

ზოია ხასია • შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოკავრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასაქონლო უსრულების სისტემაში

ზოია (მაია) ხასია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოკავრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასაქონლო უსრულების სისტემაში



ზონა (მანია) სასია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე  
პირებთან მოპყრობის სტანდარტები და  
პრაქტიკა სასჯელაღსრულების სისტემაში

თბილისი, 2023, საქართველო

© ზოია (მაია) ხასია, 2023

გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-418-3

## სარჩევი

ნინასიტყვაობა.....	7
გამოყენებული აბრევიატურებისა და ტერმინთა განმარტება...	9
ზოგადი შესავალი.....	15
<b>კარი I. შეზღუდული შესაძლებლობების ცნება და ისტორიული ექსკურსი.....</b>	<b>47</b>
<b>თავი 1.</b> შეზღუდული შესაძლებლობები ადამიანის უფლებათა კონტექსტში, ისტორიული ექსკურსი.....	47
<b>თავი 2.</b> ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცნება, მისი აღქმადობა და მოპყრობის თავისებურებანი.....	54
2.1 შეზღუდული შესაძლებლობების რაობა.....	54
2.2 შეზღუდული შესაძლებლობების აღქმადობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.....	59
<b>კარი II.</b> საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით.....	67
<b>თავი 1.</b> საერთაშორისო სტანდარტები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მიმართებით - მიმოხილვა და მისი შესაბამისობა ეროვნულ პრაქტიკასთან.....	67
<b>თავი 2.</b> საქართველოს კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მიმართებით.....	<b>80</b>
2.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით საქართველოს კონსტიტუციის მოკლე მიმოხილვა.....	80
2.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცნებისა და სტატუსის განმსაზღვრელი ეროვნული საკანონმდებლო აქტების მოკლე მიმოხილვა.....	85
2.3 სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მოქმედი კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით.....	88
2. 3.1 ზოგადი მიმოხილვა.....	88

2.3.2 სისხლის სამართლის კოდექსის მოკლე მიმოხილვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით.....	91
2.3.3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოკლე მიმოხილვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით .....	103
<b>კარი III. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მოპყრობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში .....</b>	<b>112</b>
<b>თავი 1.</b> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მოპყრობის თავისებურებანი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.....	112
<b>თავი 2.</b> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი სასჯელაღსრულების სისტემაში. შიდაეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა .....	118
<b>თავი 3.</b> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრებთან მოპყრობაზე ორიენტირებული სასჯელაღსრულების სისტე- მის დანესებულებების მენეჯმენტი .....	124
<b>თავი 4.</b> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრის სასჯელაღსრულების დანესებულებაში მიღება .....	128
<b>თავი 5.</b> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრის შემონმება სასჯელაღსრულების დანესებულებაში მიღების დროს .....	137
<b>თავი 6.</b> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სასჯელის მოხდის პროცესის დაგეგმვა .....	143
<b>თავი 7.</b> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სასჯელაღსრულების დანესებულებაში განთავსება და საცხოვრებელში განაწილება.....	148
<b>თავი 8.</b> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საცხოვრებელი პირობები სასჯელაღსრულების სისტემაში .....	152
<b>თავი 9.</b> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების	

	კონტაქტი ოჯახსა და გარე სამყაროსთან.....	163
<b>თავი 10.</b>	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კვება სასჯელალსრულების დაწესებულებაში.....	168
<b>თავი 11.</b>	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები სასჯელალსრულების დაწესებულებაში.....	173
<b>თავი 12.</b>	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოპყრობა სასჯელალსრულების დაწესებულებაში.....	177
<b>თავი 13.</b>	სასჯელალსრულების სისტემის პერსონალი და მათი მომზადება .....	183
<b>თავი 14.</b>	შეზღუდული შესაძლებლობების შექენა და ძალადობის მაღალი რისკი ციხეში .....	187
<b>თავი 15.</b>	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სამედიცი- ნო მომსახურება და მოვლა სასჯელალსრულების დაწესებ- ულებებში .....	195
<b>თავი 16.</b>	ციხის რეჟიმი და დისციპლინური ღონისძიებები.....	203
16.1	დისციპლინური ღონისძიების გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ .....	203
16.2.	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სამარტოო საკანში მოთავსება.....	208
<b>თავი 17.</b>	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის რე- აბილიტაციის პროგრამებისა და ფსიქოლოგის მომსახურების ხელმისაწვდომობა.....	214
<b>თავი 18.</b>	სპეციალური გამოწვევები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის საჭიროებები.....	225
<b>თავი 19.</b>	მრავალმხრივი საჭიროებების მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრები.....	230
19.1	უცხოელი პატიმრები, ეთნიკური და რასობრივი უმცირესობები .....	231
19.2	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი (LGBT) პატიმრები.....	238

19.2.1 ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი (LGBT) პატიმრების განაწილება, განსახლება და პროგრამები ...	241
19.3 ხანდაზმული პატიმრები .....	243
19.4 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალი პატიმრები .	248
19.5 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანი პატიმრები.....	254
19.6 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უვადო და გრძელვადიანი პატიმრები .....	267
<b>თავი 20.</b> გათავისუფლებისათვის მომზადება და სასჯელის მოხდისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლება .....	272
<b>კარი IV. არასაპატიმრო სასჯელების აღსრულება/პრობაცია.....</b>	<b>279</b>
<b>თავი I.</b> არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სპეციფიკა შშმ პირებთან მიმართებით. კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი.....	279
1.1. წინასასამართლო ზედამხედველობა .....	296
1.2 პრობაციის საქმიანობის დაგეგმვა და სტატისტიკის წარმოება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მიმართებით .....	298
დასკვნა .....	301
ბიბლიოგრაფია .....	336
I. კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტები:.....	336
III. ნაშრომები, სახელმძღვანელოები და ანგარიშები.....	341
IV. უცხოენოვანი ლიტერატურა .....	345
V. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.....	354
VI. ევროპის სასამართლოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილებები .....	354
VII. პერსონალური ინტერვიუები .....	355
VIII. ვებგვერდები .....	356

## წინასიტყვაობა

წიგნი ეფუძნება სადისერტაციო ნაშრომს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასჯელალსრულების სისტემაში“, რომელიც პირველი სამეცნიერო ნაშრომია მოცემულ თემაზე საქართველოში და მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებს. ნაშრომს განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს ავტორის მიერ საკვლევი თემის ირგვლივ დაგროვილი მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება. ასევე, აღსანიშნავია კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც გამოყენებულ იქნა თემაში, კერძოდ, ავტორმა გააანალიზა როგორც ქართული პენიტენციური სისტემის, ისე პოსტსაბჭოთა და ევროპული ქვეყნების პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები, რამაც საშუალება მისცა ავტორს შეეფასებინა სასჯელალსრულების სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით არსებული გამოწვევები და შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საშუალებით ჩამოეყალიბებინა რეკომენდაციები არსებული პრაქტიკის განვითარებისთვის.

ნაშრომი განკუთვნილია სამეცნიერო სფეროში მომუშავე პირებისთვის, პრაქტიკოსი იურისტებისთვის, სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებული ადამიანებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც სამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობების განხორციელებისას სასჯელალსრულების სისტემაში შეხება აქვთ შშმ პირებთან, ასევე სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისა და სამართლის აქტუალური საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ნაშრომში განხილულია სისხლის სამართლის მართლმსაჯულებითა და სასჯელის მოხდის სფეროში შშმ პირებთან დაკავშირებული პრობლემები და გამოწვევები, ასევე მათი გადაჭრის გზები და მეთოდები. ნაშრომში წარმოდგენილი ახლებური ხედვა შესაძლებლობას მისცემს საქართველოს პენიტენციურ სისტემას, პრაქტიკაში დანერგოს თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული მიდგომა და შშმ პირთათვის უზრუნველყოს მათ საჭიროებაზე მორგებული, სხვა მსჯავრდებულებთან გათანაბრებული სასჯელის



მოხდის პირობები, რაც შესაძლებელს გახდის დაცულ იქნეს შპმ პირების, როგორც მონყველადი ჯგუფის, უფლებები.

ავტორის მიერ ნაშრომში შემოთავაზებულია ახალი ტერმინები/ინსტიტუტები, როგორიც არის: „მრავალმხრივი საჭიროების მქონე შპმ პატიმრები“, „ციხეში მომვლელის ინსტიტუტი“ და სხვა, რომელთა ანალოგი პენიტენციურ სისტემასთან მიმართებით ქართულ საკანონმდებლო აქტებში არ მოიძებნება. აღნიშნული ტერმინების/ინსტიტუტების დანერგვა მნიშვნელოვნად გააადვილებს შპმ პირებთან დაკავშირებული რისკებისა და საჭიროებების შეფასებას, ასევე სასჯელის მოხდის ადეკვატური პირობების შექმნის/დანერგვის პროცედურებს.

დიდია ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან ავტორის მიერ შემუშავებული დებულებები, დასკვნები და რეკომენდაციები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს შპმ პირთა სასჯელის მოხდის პროცესის დაგეგმვის, სასჯელის მოხდის ადეკვატური პირობების შექმნისა და გათავისუფლებისათვის მომზადების სისტემის ჩამოყალიბებაში, ზემოხსენებულ პრობლემებთან მიმართებით დანერგავს ახალ მიდგომებს, რომლებიც დაკავშირებულია სადავო საკითხების გადანყვეტასთან.

რედაქტორი,  
პროფესორი **მაია ივანიძე**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## გამოყენებული აბრევიატურებისა და ტერმინთა განმარტება

**ა. შ.** - ასე შემდეგ

**ე. ნ.** - ეგრეთ წოდებული

**იხ.** - იხილეთ

**გვ.** - გვერდი

**ე. ი.** - ესე იგი

**სსკ** - სისხლის სამართლის კოდექსი

**სსსკ** - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

**მსწ** - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირი** - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებასთან შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში“.<sup>1</sup>

**შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი** - შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელის მიხედვით, დარღვევების მქონე ადამიანებს არახელსაყრელ პირობებში აყენებს მათ წინაშე აღმართული სოციალური, კულტურული, ეკონომიკური თუ გარემოს ბარიერები.<sup>2</sup>

**შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელი** - სამედიცინო მოდელის თანახმად, უთანასწორობა და არახელსაყრელი პირობები, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აწყდებიან, მხოლოდ მათი სამედიცინო პრობლემით არის გამოწვეული და ერთადერთ „იმედს“ განკურნება წარმოადგენს.<sup>3</sup>

<sup>1</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მუხლი 1, 2006 წლის 13 დეკემბერი.

<sup>2</sup> იხ. სახელმძღვანელო პოლიტიკის განმსაზღვრელთათვის ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებაზე, ბრიტანეთის საბჭო, 2014, 10.

<sup>3</sup> იქვე

**განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პატიმრები**<sup>4</sup> - საერთაშორისო დოკუმენტებში გვხვდება ასევე პატიმართა სპეციალური კატეგორიები და მათში მოიაზრებიან: ქალები, არასრულწლოვნები, შშმ პირები, მოხუცები, განუკურნებელი სენით დაავადებული პირები, უცხოელები, ეთნიკური და რასობრივი უმცირესობები, LGBT (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი) პირები.

**სურდოთარჯიმანი** - ჟესტური ენის თარჯიმანი.

**ბრაილის შრიფტი** - ნერტილოვანი შრიფტი უსინათლოთათვის; ემყარება ექვსი ამოზურცული ნერტილის სხვადასხვა კომბინაციას, ფრანგი პედაგოგის, ლუი ბრაილის (1809-1852) სახელის მიხედვით.<sup>5</sup>

**დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე** — გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან აკრძალვას, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს აღიარების, თანაბარი უფლებებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში მათ მიერ ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზების მინიმუმამდე დაყვანა ან სრული უარყოფა.<sup>6</sup>

**გონივრული მისადაგება** - გულისხმობს საჭირო და შესაბამისი ცვლილებებისა და შესწორებების შეტანას, მოცემული გარემოების საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც არ იქცევიან დისპროპორციულ ან არააუცილებელ ტვირთად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ სხვებთან თანასწორად ადამიანის ყველა უფლებით და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობის ან მათი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით.<sup>7</sup>

**ხელმისაწვდომობა** - ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ტექნოლოგიური სისტემების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ჩათვლით, საზოგადოებისთვის განკუთვნილი სხვა

<sup>4</sup> Atabay T., Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009.

<sup>5</sup> იხ. Braille Definition & Meaning | Dictionary.com

<sup>6</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მუხლი 2, 2006 წლის 13 დეკემბერი.

<sup>7</sup> იქვე

მონყობილობებისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობა სხვების თანასწორად, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში.<sup>8</sup>

**ადაპტირებული გარემო** - საცხოვრებელი ადგილის, საზოგადოებრივი შენობებისა და ობიექტების პროექტირება ისე, რომ ისინი თავისუფალი იყვნენ დაბრკოლებებისაგან.

**რეაბილიტაცია** - იმ პირთა ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენა, რომელთაც გადატანილ დაავადებათა ან ტრავმების შედეგად შეზღუდული აქვთ ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობანი.<sup>9</sup>

**ჰაბილიტაცია (Habilitative/Habilitation Services)** - სამედიცინო მომსახურება, რომელიც ეხმარება პირს შეინარჩუნოს, შეისწავლოს ან გაიმჯობესოს უნარები და ფუნქციონირება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგალითად, ბავშვის თერაპია, რომელიც არ დადის ან არ საუბრობს მოსალოდნელ დროს.

**სოციალური რეაბილიტაცია** - რეაბილიტაციის პროცესის ეს ნაწილი გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ინტეგრაციას ან რეინტეგრაციას საზოგადოებაში, რითაც ეხმარება მას, მოერგოს ოჯახის, საზოგადოებისა და დასაქმების მოთხოვნებს, აგრეთვე, ამცირებს ნებისმიერ ეკონომიკურ თუ სოციალურ ხელის შემშლელ ფაქტორებს, ბარიერებს, რამაც, შესაძლოა, დააბრკოლოს რეაბილიტაციის პროცესი.

**ინტეგრაცია** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ მაქსიმალური დამოუკიდებლობის მიღწევა, რომ სრულად განახორციელონ თავიანთი ფიზიკური, გონებრივი, სოციალური და პროფესიული პოტენციალი, ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.<sup>10</sup>

**მედიაცია (mediation)** - კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი

---

<sup>8</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მუხლი 2, 2006 წლის 13 დეკემბერი.

<sup>9</sup> იხ. World Health Organization (WHO), *Rehabilitation*, <<https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/rehabilitation>>, [05.03.2021].

<sup>10</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მუხლი 26, 2006 წლის 13 დეკემბერი.

მეთოდი, რომლის დროსაც მიუკერძოებელი მხარე (მედიატორი - შუამავალი, შუაკაცი) მოდავე მხარეებს ეხმარება ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევაში. არსებობს მედიაციის ორი სახე: არსებობს ორი სახის მედიაცია: მედიაცია სასამართლოს გადანაცვლებით და ნებაყოფლობითი ან კერძო მედიაცია.

**პოლიომიელიტი** - ვირუსი, რომელიც აზიანებს ნერვულ სისტემას, შეიძლება გამოიწვიოს დამბლა მთელი სიცოცხლის მანძილზე და ზოგ შემთხვევაში - სიკვდილი.<sup>11</sup>

**დანესებულება** - ნაშრომში იგულისხმება პენიტენციური დაწესებულება.

**პოსტსაბჭოთა ქვეყანა** - ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანა. 1922 წლის 30 დეკემბერს საკავშირო საბჭოების ყრილობაზე შეიქმნა სსრკ<sup>12</sup>. 1924 წელს საბჭოების II ყრილობამ დაამტკიცა სსრკ კონსტიტუცია.

**რაზმეული** - ტერმინი გვხვდება პოსტსაბჭოთა ქვეყნების პრაქტიკაში. ე. წ. აღმზრდელობითი სამსახურის თანამშრომელი (რაზმეულის უფროსი) პასუხისმგებელია ერთ რაზმეულზე, რომელშიც 50-დან 100-მდე პატიმარი ირიცხება. პატიმართა რაზმეულების მიხედვით გადანაწილება პატიმართა დაყოფის მარტივი ფორმაა.

**კოლონია** - სასჯელალსრულების დაწესებულების ტიპი პოსტსაბჭოთა ქვეყნების სასჯელალსრულების სისტემებში. განკუთვნილია მისჯილ პირთა განსათავსებლად.

**შავი სამყარო** - ე. წ. ქურდულ სამყაროს მიკუთვნებული პატიმრები და მათი გარემოცვა.

**PRI (Penal Reform International)** - ციხის საერთაშორისო რეფორმა არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1989 წელს სისხლის სამართლისა და ადამიანის უფლებათა დამცველების ჯგუფის მიერ.

**UNODC (United Nations Office on Drugs and Crime)** - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისი, რომელიც დაფუძნდა საერთა-

---

<sup>11</sup> იხ. Fact sheets on sustainable development goals: health targets, World Health Organisation, regional office for Europe, 2017, 1.

<sup>12</sup> საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

შორისო ნარკოტიკების კონტროლის პროგრამის ფარგლებში 1997 წელს, როგორც ნარკოტიკების კონტროლისა და დანაშაულის პრევენციის ოფისი.

**CPT** (The European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment) - წამების საწინააღმდეგო კომიტეტი დაფუძნდა წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის საფუძველზე (1987), რომელიც ძალაში შევიდა 1989 წლის თებერვალში.

**APT** (Association for the Prevention of Torture) - ასოციაცია წამების პრევენციისთვის არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1977 წელს.<sup>13</sup>

**AHRC** (The Australian Human Rights Commission) - ავსტრალიის ადამიანის უფლებათა კომისია არის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა 1986 წელს, როგორც ადამიანის უფლებათა და თანაბარი შესაძლებლობების კომისია. მოცემული სახელით ფუნქციონირებს 2008 წლიდან. ეს არის ავსტრალიის მთავრობის მიერ დაფინანსებული დამოუკიდებელი ინსტიტუტი.

**ACLRC** (Alberta Civil Liberties Research Center/University of Calgary, Alberta, Canada) - ალბერტა, სამოქალაქო თავისუფლების კვლევის ცენტრი. ცენტრის მისიაა ხელი შეუწყოს სამოქალაქო თავისუფლებებისა და ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემას კვლევისა და განათლების საშუალებით, ხელი შეუწყოს უფრო სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას.

**IDFI** (Institute for Development of Freedom of Information) - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 2009 წელს. ორგანიზაციის მისიაა საზოგადოების გაძლიერება, რათა გახადოს იგი მეტად ინკლუზიური და ინფორმირებული.

**NEDAS** (National Educational Association of Disabled Students) - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა ეროვნული საგან-

---

<sup>13</sup> იხ. ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ასოციაციის ვებგვერდზე: <<https://www.apr.ch/en/who-we-are/>>, [15.11.2019].

მანათლებლო ასოციაცია არის ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1986 წელს (ოტავა, ონტარიო, კანადა).

**Human Rights Watch** - საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1978 წელს. ორგანიზაცია ატარებს კვლევებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე და ახორციელებს ადვოკატირების კამპანიას მთელ მსოფლიოში.<sup>14</sup>

**WHO (World Health Organisation)** - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 1948 წლის 7 აპრილს, მუშაობს მსოფლიოს მასშტაბით, ჯანმრთელობის გაუმჯობესების, მსოფლიოს უსაფრთხოებისა და დაუცველთა მომსახურების მისიით.

**HWA (Handicaps Welfare Association)** - შშმ პირთა კეთილდღეობის ასოციაცია, რომელიც დაარსდა 1969 წელს 23-კაციანი ჯგუფის მიერ სინგაპურში. ორგანიზაციას ხელმძღვანელობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თვითდახმარებასა და ურთიერთდახმარებას. იგი 1976 წლიდან ჩამოყალიბდა დღევანდელი დასახელებით.

**IACHR (Inter-American Commission on Human Rights)** - ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია.

**PRT (The Prison Reform Trust is an independent UK charity working to create a just, humane and effective penal system)** - დამოუკიდებელი ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს სამართლიანი, ჰუმანური და ეფექტიანი სასჯელალსრულების ჩამოყალიბებისთვის.

**Leicester University** - The University was founded as Leicester, Leicestershire and Rutland University College in 1921, at the heart of the UK. The Leicester is a leading university committed to international excellence, world-changing research and high quality, inspirational teaching - დოქტორანტის მიერ კვლევისას ჩატარებული ინტერვიუ ეყრდნობა ლესტერის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებსა და მის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

<sup>14</sup> იხ. ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www.hrw.org/about-us>>, [15.11.2019].

## ზოგადი შესავალი

ნაშრომში განხილულია ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პირთა სასჯელის მოხდის თავისებურებები, გაანალიზებულია შშმ პირთა სასჯელის მოხდის სფეროში არსებული პრობლემები და სირთულეები, წარმოდგენილია ახლებური ხედვა არსებული პრობლემების გადასაჭრელად, რაც შესაძლებლობას მისცემს საქართველოს პენიტენციურ სისტემას, პრაქტიკაში დანერგოს თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული მიდგომა და უზრუნველყოს შშმ პირთათვის მათ საჭიროებაზე მორგებული, სხვა მსჯავრდებულებთან გათანაბრებული სასჯელის მოხდის პირობები.

შშმ პირთათვის გონივრული მისადაგებისა და ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა, ზოგადად, სიახლეა საზოგადოებისთვის. ამგვარი მიდგომა, ძირითადად, 2006 წლიდან იჩენს თავს, როდესაც მიღებულ იქნა შშმ პირების უფლებათა დაცვის კონვენცია. საქართველოში ის ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი ხდება 2014 წლიდან, როდესაც საქართველომ მოახდინა აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება.<sup>15</sup>

აღნიშნული საკითხის დარეგულირებას სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად აქცევს განსახილველი თემის სიახლე, მის მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესი და ის საჭიროებები, რომლებიც საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილს აქვს ან შეიძლება ჰქონდეს. ასევე, პრიორიტეტულობას განაპირობებს ის საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებსაც მიერთებულია საქართველო ან გეგმავს მათთან მიერთებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომი მიზნად

---

<sup>15</sup> საქართველომ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმს ხელი მოაწერა 2009 წლის ივლისში, კონვენციის რატიფიცირება მოხდა 2014 წლის 13 მარტს, ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება ამ ეტაპისთვის არ განხორციელებულა (CRPD List of Countries: Convention, Optional Protocol Signatures, Ratifications), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www.disabled-world.com/disability/discrimination/crpd-milestone.php>>, [20.11.2019].



ისახავს არსებული მანკიერი მხარეებისა და მიღწევების ანალიზს და მის საფუძველზე ეფექტიანი გადაწყვეტილებების გზების ძიებას. მასში გაანალიზებულია როგორც საქართველოში არსებული პრაქტიკა, თავისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლებით, ისე კანონმდებლობა, რომელიც ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფს შექმნას სასჯელის მოხდის გარემო შშმ პირთა ღირსების სრული დაცვით.

შშმ პირთა წინაშე არსებული პრობლემები განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს არა მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ თავისუფლების აღკვეთის ან/და თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის ადგილებშიც. სწორედ აქ, უცხო გარემოსა და ინფორმაციულ ვაკუუმში, განსაკუთრებული სიმძაფრით იჩენს თავს არათანაბარი პირობებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენა შშმ პირებზე. მათ ხელი არ ან ვერ მიუწვდებათ იმ მომსახურებასა და აქტივობებზე, რომლებითაც ყოველდღიურად სარგებლობენ სხვა პატიმრები. ხშირად ასეთი ზრუნვის, მოვლისა და მომსახურების არარსებობა შესაძლებელია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს შშმ პირისათვის, შეზღუდულობის ხარისხისა და ჯანმრთელობის მიძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე.<sup>16</sup>

წამრომში **თემის აქტუალურობას** განაპირობებს არაერთი ფაქტორი, რომლებიც განხილულია ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, თუმცა ხაზს უსვამს ამ ფაქტორების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას. უპირველეს ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შშმ პირთა რაოდენობის ზრდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის, სავარაუდოდ, საქართველოშიც. კვლევის ფარგლებში სასჯელალსრულების დაწესებულებებში განთავსებულ შშმ პირთა რაოდენობისა და მისი დინამიკის დაზუსტებული ანალიზი ქართული პრაქტიკის მიხედვით ვერ მოხერხდა, რადგანაც არ არის გამოქვეყნებული ზემოაღნიშნული ინფორმაციის მაჩვენებელი სტატისტიკა.<sup>17</sup>

<sup>16</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 44.

<sup>17</sup> სტატისტიკური ინფორმაცია სასჯელალსრულების დაწესებულებებში განთავსებულ შშმ პირთა რაოდენობის შესახებ არ იძებნება არც სასჯელალ-

გარდა იმისა, რომ პატიმართა რაოდენობის ზრდა განსაზღვრავს შშმ პირთა რაოდენობის ზრდას სასჯელის მოხდის ადგილებში, მისი ზეგავლენა ნიშანდობლივია შშმ პირთა სასჯელის მოხდის პროცესთან მიმართებით. თავისუფლებააღკვეთილ პირთა რაოდენობის ზრდა იწვევს ციხის სისტემების გადატვირთულობას, შესაბამისად, აღნიშნულ დანესებულებებში რთულდება პირობები შშმ პირთათვის. ტოლედოს უნივერსიტეტის მიერ გამოცემული თეზისები ამტკიცებს, რომ დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქმედების შემთხვევები ბოლო 20 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთან ერთად, გაიზარდა თავისუფლებააღკვეთილი პირების რაოდენობაც. ამდენად, თეზისების დასკვნის თანახმად, შშმ ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების დიდი ნაწილი, რომლებიც საჭიროებენ რეაბილიტაციას, ვერ იღებენ სათანადო მომსახურებას.<sup>18</sup>

**თემის აქტუალურობის** განმსაზღვრელ შემდეგ ფაქტორს წარმოადგენს მსჯელობა შშმ პირების მიერ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე, რომლებიც ძირითადად განსხვავებული მახასიათებლებით გამოირჩევიან, სხვა დანარჩენ მსჯავრდებულებთან შედარებით. კვლევების მიხედვით, შშმ პირები, უმეტეს შემთხვევაში, სჩადიან დანაშაულს არა მათი კრიმინალური აზროვნების, არამედ საჭიროებათა უზრუნველყოფისა და დაბრკოლებათა გადალახვის მიზნით. რესპოდენტი შშმ პირები<sup>19</sup>, კარგად იცნობენ რა მათ წინაშე არსებულ

---

სრულების სისტემის ვებგვერდზე: <[www.sps.gov.ge](http://www.sps.gov.ge)> და არც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე: <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/131/samartaldarghvebis-statistika>>, [20.11.2019].

<sup>18</sup> იხ. *Greifinger R. B.*, Disabled prisoners and reasonable accommodation, *Criminal Justice Ethics*, 25, 253-55, 2006, in *Shunk C.*, *The Treatment of Criminals with Disabilities: An Ongoing Debate*, Submitted as partial fulfillment of the Requirements for The Master of Liberal Studies, The University of Toledo, 2008, 13.

<sup>19</sup> კვლევის ფარგლებში ინტერვიუ და ანკეტირება ჩაუტარდა შშმ პირებს, სახალხო დამცველის შშმ პირთა უფლებათა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებსა და შშმ პირებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ასევე მოქალაქეებს, შემთხვევითი შერჩევის წესით. ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლესტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმი-

პრობლემებს და მუშაობდნენ მათსავე მდგომარეობაში მყოფ ადამიანებთან, რომლებიც სხვადასხვა ქმედების გამო განთავსებული იყვნენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, განმარტავენ, რომ დანაშაულის გამომწვევი ფაქტორი არის ის, რომ სახელმწიფო შშმ პირებს არ სთავაზობს არც დახმარებას, არც მომსახურებას და არც სამუშაოს. მაგალითად, IDF-ის მონაცემებით, საქართველოში შშმ პირების დასაქმების მაჩვენებლებში შეინიშნება გაუარესება. კერძოდ, სტატუსის სიმძიმის მიხედვით, დასაქმების სტატისტიკა იყო შემდეგი: მკვეთრად გამობატული ჯგუფიდან (I ჯგუფი), 15 წლის და ზემოთ, მხოლოდ 3.8% იყო ანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებული, მნიშვნელოვნად გამობატული ჯგუფიდან (II ჯგუფი) — 4.8%, ხოლო ზომიერად გამობატული ჯგუფიდან (III ჯგუფი) - 7.8%, მაშინ, როდესაც, 2014 წლის მდგომარეობით, ევროპის ქვეყნებში, საშუალოდ, შშმ პირთა ანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმების მაჩვენებელია 33,6% შეადგინა, რაც საქართველოს მაჩვენებელს 7-ჯერ აღემატება.<sup>20</sup>

აქვე, საყურადღებოა კვლევები საქართველოში დანაშაულის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, რომლებიც, სხვა მიზეზებთან ერთად, მოიაზრებენ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, როგორცაა: უმუშევრობა, სიღარიბე მოსახლეობის დიდ ნაწილში და სხვ. ერთ-ერთ ასეთ კვლევაში შევხვდებით ავტორისეულ (*დუშუაშვილი თ.*) მოსაზრებას, რომ, ექსპერტების განმარტებით, „*ეკონომიკური დაღმავლობის პერიოდში უფრო მეტ ადამიანს აქვს მოტივი, რომ ჩაიდინოს დანაშაული.*”<sup>21</sup> მისივე განმარტებით, ამ გზით ისინი ცდილობენ მიიღონ ის, რისი შექმნის საშუალებაც

---

სანვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.ie.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

<sup>20</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემის ანალიზი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2018, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <[https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2017/idfi\\_general/statistics\\_on\\_pwdws\\_in\\_georgia\\_geo\\_idfi.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/idfi_general/statistics_on_pwdws_in_georgia_geo_idfi.pdf)>, [15.11.2019].

<sup>21</sup> იხ. *დუშუაშვილი თ.*, კრიმინალი და ეკონომიკა, 2015, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://forbes.ge/blog/123/kriminali-da-ekonomika>>, [15.11.2019].

მათ არ აქვთ. აღნიშნული მსჯელობა ცალსახად ემთხვევა რესპოდენტის აზრს დანაშაულის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით. ცხადია, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები შშმ მოსახლეობაზე უფრო მეტად აისახება, მათი მონაცვლადობიდან გამომდინარე. ეს მიზეზი არ არის წარმოდგენილი მხოლოდ საქართველოს პრაქტიკაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც მას ერთ-ერთი განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს. NSW<sup>22</sup>-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელიც ეყრდნობა ინდივიდუალური პირების დანაშაულებრივი გამოცდილების ანალიზს, როგორც წესი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დაბალ ზღვარზე მყოფი ადამიანები, უფრო მეტად არიან მიდრეკილი დანაშაულში მონაწილეობისკენ.<sup>23</sup> ნაშრომის ბენეფიციართა დიდი ნაწილი კი სწორედ ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება. ეს და სხვა რიგი ფაქტორები რადიკალურად უარყოფით ზეგავლენას ახდენს შშმ პირების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ასეთი ზეგავლენა აისახება მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რასაც ისინი რეალურად მიჰყავს კიდევ სასჯელის მოხდის ადგილამდე. ასევე ასეთ ზეგავლენას ვხვდებით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სადაც შშმ პირები ხშირად სხვა პატიმრებისაგან განსხვავებულ, დისკრიმინაციულ გარემოში ხვდებიან, რაც იწვევს მათი, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური მდგომარეობის მკვეთრად გართულებას. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთმა გართულებამ შესაძლებელია ისინი სიცოცხლისათვის საშიში რისკის წინაშე დააყენოს.

დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს შორის, გარდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, შესაძლებელია განვიხილოთ ინფორმაციის არქონის პრობლემა, როცა შშმ პირებმა, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, საზოგადოებისაგან იზოლირებულად ყოფნის გამო, არ იციან, თუ რა ქმედება ითვლება დანაშაულად და, საერთოდ, რას გულისხმობს დანაშაულის ცნება. ამავე მიზეზის გამო სრულად ვერ ერთვებიან სისხლის სამართლის პროცესის ყველა

<sup>22</sup> იხ. NSW - Justice Bureau of Crime Statistics and Research, Australia <<https://www.justice.nsw.gov.au/>> [15.11.2019].

<sup>23</sup> იხ. *Weatherburn D.*, What Causes Crime? Crime and justice bulletin, NSW - Justice Bureau of Crime Statistics and Research, Australia. No 54, 2001.

ეტაპზე და ციხის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ანგარიშებში ხაზგასმულია, რომ არსებული სტანდარტები არ უზრუნველყოფენ სრულ და ხელმისაწვდომ ინფორმაციას., ასევე კომუნიკაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირისთვის სამართლებრივი პროცედურების ყველა ეტაპზე. შშმ პირები ხშირად ვერ იღებენ მონაწილეობას სამართალწარმოებაში, რადგან ხელისუფლებას არ აქვს უნარი მიანოდოს ინფორმაცია და დაამყაროს კომუნიკაცია მათთვის სრულად ხელმისაწვდომი ფორმით.<sup>24</sup>

შშმ რესპოდენტები ინტერვიუს დროს ასახელებენ პრობლემებს, რომლებიც მათ ხვდებოდათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისინი საუბრობენ არსებული იზოლაციის პრობლემის შესახებ, რომელშიც მოიაზრება არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ინფორმაციული იზოლაცია. მაგალითად, სმენადაქვეითებული პირი ვერ იღებს ინფორმაციას საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების, წესების, კანონების, განსაკუთრებით ამკრძალავი ნორმების შესახებ, რაც თავისთავად ხდება დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორი. თუმცა ლოგიკურია, რომ ეს ფაქტორები შეიძლება ჩადენილ ქმედებაში პირდაპირ არ აისახებოდეს და, ამდენად, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები ამ ფაქტორების შესწავლას ვერ ან არ ახდენდნენ.<sup>25</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, **თემის აქტუალურობას** განაპირობებს მთავარი კითხვა: როგორი უნდა იყოს სასჯელის მოხდის პირობები შშმ პირებისათვის, რათა ისინი სასჯელს იხდიდნენ სხვა მსჯავრდებულებთან თანაბარ პირობებში და რა ინვესს სასჯელის მოხდის არათანაბარ პირობებს? ნაშრომ-

---

<sup>24</sup> იხ EDF alternative report on the implementation of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities, Adopted in Brussels by European Disability Forum's Board of Directors on 8-9 November 2014, 28 (ხელმისაწვდომ ფორმაში მოიაზრება Jestebis enis Targmani, damxmare smenis aparatebi, saubris teqstad gardaqmnis momsaxureba, martivad sakiTxavi da aRqmadi informacia).

<sup>25</sup> შშმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლესტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

მა პასუხი უნდა გასცეს დასმულ კითხვებს, მიკვლეულ უნდა იქნეს პრობლემის გადაჭრის გზები და წარმოდგენილ იქნეს სასჯელის მოხდის ის ადეკვატური პირობები, რომლებიც ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სასჯელის მოხდის ადგილებში შშმ პირთათვის.

**თემის აქტუალურობის** განმსაზღვრელ ფაქტორად უნდა განვიხილოთ ასევე სასჯელალსრულების პერსონალთან მიმართებით ნაშრომში მოცემული მსჯელობა და დასკვნები, სადაც, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განხილულია, თუ როგორი უნდა იყოს სასჯელალსრულების სისტემის პერსონალის მზაობა და მათი დამოკიდებულება შშმ პატიმრების მიმართ და როგორ უნდა მოხდეს შშმ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაცია სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შემდეგ.

ზემოთ მოცემულ სხვა თემებთან ერთად, **ნაშრომის აქტუალურობა** გამოხატულია ისეთი საკითხის განხილვით, როგორცაა მართლმსაჯულების სისტემის დამოკიდებულება შშმ პირთა მიმართ. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში და სხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკა შშმ პირთა მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით და მისი ზეგავლენა სასჯელის მოხდის პროცესზე. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ცალკე კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა, წინამდებარე ნაშრომი მაქსიმალურად ამომწურავ ინფორმაციას მიაწოდებს აღნიშნულ სფეროში მოქმედ დაინტერესებულ პირებს.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტები თუ ეროვნული კანონმდებლობა აქტიურად განიხილავს შშმ პირთა უფლებებსა და მათთან მოპყრობის სტანდარტებს, საქართველოში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შშმ პირებს, უმეტეს შემთხვევაში, საზოგადოების სხვა ნაწილთან შედარებით, არათანაბარ პირობებში უწევთ ცხოვრება. აღნიშნული პრობლემის გამომწვევ მიზეზებად შესაძლებელია განვიხილოთ შემდეგი ფაქტორები: შეზღუდული ხელმისაწვდომობა, არაადაპტირებული გარემო, საკანონმდებლო ხარვეზები, სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა, საზოგადოების

ინფორმირების დაბალი დონე და სხვ. არსებული ხარვეზები კი ამ ადამიანებს საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფად აქცევს. სასჯელის მოხდის ადგილებში კი შშმ პირების მდგომარეობას ართულებს სათანადო ზრუნვის, მოვლისა და მომსახურების არქონა, რომლებსაც ისინი საჭიროებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. სათანადო პირობების არქონა კი შესაძლებელია სასიცოცხლო მნიშვნელობის იყოს იმ შშმ პირებისათვის, რომლებიც დახურული ტიპის დანესებულებაში არიან.

ზემოაღნიშნული და სხვა პრობლემები მწვავედ დგას შშმ პირების წინაშე საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ მსოფლიოში გადადგმულია არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მათ დასარეგულირებლად ხარვეზები პრაქტიკაში მაინც გვხვდება. კერძოდ, შშმ პირთა უფლებების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები მრავალ ფაქტორს ითვალისწინებენ, როგორიცაა: საცხოვრებელი პირობები, სოციალური დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა, შრომის უფლება, განათლება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა<sup>26</sup> და ა. შ., რაც შშმ პირებს სხვებთან თანაბარ პირობებში უნდა აყენებდეს. პრობლემა, უმეტესწილად, ჩნდება კანონმდებლობის ამ ნორმების აღსრულების ნაწილში. მათი ეფექტი ხშირ შემთხვევაში მინიმუმამდეა დაყვანილი, რის გამოც აღნიშნული ნორმები განსაკუთრებით დეკლარაციული ჩანს და იქცევა ე. წ. „მკვდარ ნორმებად“. რეგულირების მექანიზმებთან დაკავშირებულ პრობლემად ეროვნულ დონეზე უნდა განვიხილოთ საერთაშორისო სტანდარტების ინტეგრირება ეროვნულ კანონმდებლობაში.

მოცემული მიზეზების გამო, ჩემი აზრით, შშმ პირთა და სხვა მოქალაქეთა ცხოვრების პირობებს შორის, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, კვლავ თვალსაჩინო ზღვარი არსებობს, რომელიც ხშირ შემთხვევაში

<sup>26</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2006 წლის 13 დეკემბერი. საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 14/06/1995.

არათუ მცირდება, არამედ დროთა განმავლობაში იზრდება. ასეთი ზღვარის შედეგად, საზოგადოების სხვა ნაწილისაგან განსხვავებით, შშმ პირები რჩებიან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სირთულეების წინაშე. აღნიშნული და სხვა მრავალი მიზეზიდან გამომდინარე, შშმ პატიმართა სასჯელის მოხდის პირობებსა და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობის არაერთ საფუძველს შეგვიძლია შევხვით, რომელიც ამ მსჯელობის გარდაუვალ აუცილებლობას ამართლებს.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც მიერთებულია ადამიანის უფლებათა დაცვის არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებას, ვალდებულია, შექმნას პირობები იმისათვის, რომ თითოეულმა ადამიანმა იცხოვროს ღირსეულ და სხვა ადამიანებთან თანაბარ პირობებში, იმის მიუხედავად, თუ სად იმყოფებიან ისინი.

ზედაპირულ მსჯელობაზე დაყრდნობით, საქართველოში შშმ პატიმრების რაოდენობა პროცენტულად მცირეა, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები სხვა სურათს გვიჩვენებს. მაგალითად, მიჩიგანის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევა წარმოადგენს თავისუფლებაალკვეთილ პირთა შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა რაოდენობასა და თანაფარდობას. აღნიშნული კვლევის მიხედვით, ამერიკაში პატიმართა უმეტესობას აქვს, სულ ცოტა, ერთი სახის შეზღუდული შესაძლებლობა, ხოლო ამერიკის იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის სტატისტიკის ბიუროს მიერ ჩატარებული უახლესი კვლევის მიხედვით, გამოვლინდა, რომ პატიმართა 10% უჩივის მობილობის გაუარესებას, 6%-ზე მეტი აცხადებს, რომ არის ყრუ ან სმენადაქვეითებული, 7%-ზე მეტი აცხადებს, რომ არის ბრმა ან დაბალი მხედველობის მქონე (რომელიც სათვალის მეშვეობით ვერ გამოსწორდება), 4%-დან 10%-მდე არის ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობებით.<sup>27</sup>

შემდეგი მსჯელობა, რომელიც **თემის აქტუალურობას** განაპირ-

---

<sup>27</sup> იხ. *Schlanger M.*, Professor of Law at the University of Michigan Law School, Prisoners with disabilities: Individualization and Integration, Public law legal theory research paper series, March 14, 2017, 2.



ობებს და შშმ პატიმართა სასჯელის მოხდის პირობებთან მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, არის ციხეების დიზაინი და მონყოლა. საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომელიც მოცემულ საკითხზე მსჯელობის საფუძველს იძლევა. კითხვა, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ეს დაწესებულებები შშმ პატიმართა განთავსებისთვის საჭირო მოთხოვნებს, დღემდე უპასუხოდ რჩება, მიუხედავად იმისა, რომ შშმ პირების მიმართ სულ უფრო და უფრო გამოიყენება საპატიმრო სასჯელები. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტორი, რომ მრავალ ქვეყანაში ციხეების შენობათა უმრავლესობა აშენებულია მეოცე საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როდესაც არათუ შშმ პირთა, არამედ, ზოგადად, ადამიანის უფლებათა ცნება, ფაქტობრივად, ნაკლებად იყო ცნობილი. გარდა ამისა, როგორც ექსპერტები განმარტავენ, ციხეები, ლოგიკურად, შენდება ჯანმრთელი ადამიანებისათვის, რომლებიც დანაშაულის ჩამდენ პირთა დიდ ნაწილს შეადგენენ. პროფესორი მორდოკის განმარტება,<sup>28</sup> ზოგადად, ციხეების დანიშნულებასთან მიმართებით, ასახავს იმ რეალობას, რომლის მიხედვითაც, ციხეების უმეტესობა პრაქტიკულად განკუთვნილია ახალგაზრდა და ფიზიკურად ჯანმრთელი პატიმრებისათვის, შესაბამისად, ასეთი პატიმრები შეადგენენ ციხის პოპულაციის უმრავლესობას. ის ასევე განმარტავს, რომ არა მხოლოდ ციხის პირობები, არამედ ციხის პროგრამებიც, როგორც ნესი, შემუშავებულია ახალგაზრდა პატიმრების საჭიროებების გათვალისწინებით. „ასაკოვან (მოხუცები) და ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრებს (განსაკუთრებით, ხანგრძლივი შეზღუდულობის მქონე) შეიძლება შეხვდეთ სხვადასხვა ბარიერი, რომლებიც ხელს უშლიან მათ სრულ და ეფექტიან ჩართულობას ციხის ცხოვრებაში სხვა პატიმრებთან თანაბარ პირობებში.“<sup>29</sup>

<sup>28</sup> იხ. *Murdoch J.*, Professor of Public Law, University of Glasgow, School of Law, United Kingdom, *Jiricka V.*, Head Psychologist, Prison Service, Czech Republic, A handbook for prison staff with focus on the prevention of ill-treatment in prison, Council of Europe, April 2016, 55.

<sup>29</sup> იქვე.

**თემის აქტუალურობის** განმაპირობებელი არგუმენტებია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა შშმ პირთა მიკუთვნება განსაკუთრებულ კატეგორიასთან. აღნიშნული სტატუსის მინიჭება ეყრდნობა იმ განსაკუთრებულ საჭიროებებს, რომლებიც მათ აქვთ, როგორც მონყვლად/დაუცველ პირებს მათი ფიზიკური თუ მენტალური მდგომარეობის გამო. ასეთი საჭიროებების შესწავლა, გამოვლენა და შემდეგში მისი უზრუნველყოფა კი ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებას წარმოადგენს, ან, უარეს შემთხვევაში, უნდა წარმოადგენდეს, რათა ასეთი პირები ამა თუ იმ გარემოებებში არ აღმოჩნდნენ სხვა პირთა მხრიდან უფლებათა დარღვევისა და ძალადობის სამიზნენი. მეცნიერები გამოყოფენ პატიმართა განსაკუთრებულ კატეგორიებს, რომლებსაც მიაკუთვნებენ პატიმრებს ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი და სექსუალური უმცირესობიდან. პროფესორი მორდოკი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, როგორცაა უნარშეზღუდული (handicapped), ავადმყოფი, მენტალურად დაავადებული ან გონებრივად ჩამორჩენილი პატიმრები. მისი აზრით, ისინი არასათანადო მოპყრობისა და დისკრიმინაციის ბევრად უფრო მაღალი რისკის წინაშე დგანან.<sup>30</sup>

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ შშმ პირები, მიზანმიმართულად თუ მის გარეშე, დგებიან დისკრიმინაციის რისკის წინაშე. შშმ პირების ციხეში მოხვედრა ის შემთხვევაა, როდესაც პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფის შემთხვევაშიც კი რთულია დისკრიმინაციის თავიდან აცილება. პრევენცია დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, თუმცა მაქსიმალურად გამართული პრევენციული ღონისძიებების არსებობის დროსაც შეუძლებელია დისკრიმინაციის ყველა გამოვლინების თავიდან არიდება. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ეფექტიანი რეაგირე-

<sup>30</sup> იხ. *Murdoch J.*, Professor of Public Law, University of Glasgow, School of Law, United Kingdom, *Jiricka V.*, Head Psychologist, Prison Service, Czech Republic, A handbook for prison staff with focus on the prevention of ill-treatment in prison, Council of Europe, April 2016, 46.

ბა დისკრიმინაციის ყველა ფაქტზე. ამისათვის კი აუცილებელია, სახელმწიფოში არსებობდეს შესაბამისი სამართლებრივი ბაზა და ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც ანტიდისკრიმინაციული ნორმების იმპლემენტაციას მოახდენენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, გაანალიზდეს, რა სახის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო უნდა არსებობდეს ეროვნულ დონეზე.<sup>31</sup>

სასჯელალსრულების სისტემაში პრევენციულ ღონისძიებებად, საკანონმდებლო რეგულირების გარდა, უნდა განვიხილოთ ადამიანური და ფინანსური ფაქტორები, როგორიცაა: ციხის მენეჯმენტი, პერსონალი, პირობები და სხვ.

პირველ რიგში, ექსპერტების განმარტებით, სასჯელალსრულების დანესებულებებში მყოფი შშმ/დაუცველი პატიმრები ადმინისტრაციისათვის არ უნდა იყოს აღქმული, როგორც ციხის მარგინალური საკითხი. ცალსახაა ექსპერტთა მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ შშმ პირებთან მუშაობისას გამოვლენილი ყოველდღიური პრობლემების დროული და ეფექტიანი გადამწყვეტისათვის საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკამ უზრუნველყოს ციხის სისტემის ისეთი ფუნქციონირება, რომ შშმ პირებთან მუშაობა იყოს ციხის პერსონალის პერმანენტული საქმიანობის განუყოფელი, კანონმდებლობით დარეგულირებული და, შესაბამისად, ანაზღაურებადი ნაწილი.<sup>32</sup>

მრავალი არგუმენტი არსებობს იმისთვის, რომ ხაზი გაფუსვავთ პერსონალის მნიშვნელოვან როლს შშმ პირებთან მუშაობისას, მათი საქმიანობის განმსაზღვრელი სწორი პოლიტიკის საჭიროებას. პროფესიონალთა განმარტებით, ციხის პერსონალს, ზოგადად, რთულ გარემოში უწევს მუშაობა, როგორიცაა: მაღალი რისკის პატიმართა

---

<sup>31</sup> იხ. *ძამაშვილი ბ.*, დისკრიმინაციასთან ეფექტური ბრძოლის მიზნით სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, სამართლის ჟურნალი, №1, 2016, 254.

<sup>32</sup> იხ. *Murdoch J.*, Professor of Public Law, University of Glasgow, School of Law, United Kingdom, *Jiricka V.*, Head Psychologist, Prison Service, Czech Republic, A handbook for prison staff with focus on the prevention of ill-treatment in prison, Council of Europe, April 2016, 47.

დიდი რაოდენობა, ფინანსური სირთულეები (დაბალი ანაზღაურება, სისტემის დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემები და სხვ.) და არასათანადო პროფესიული მომზადება. აღნიშნული სირთულეების არსებობისას მხოლოდ კომპლექსურმა მიდგომამ შეიძლება უზრუნველყოს იმის მიღწევა, რომ შშმ პირებთან მუშაობა ციხის თანამშრომლებისა და ადმინისტრაციის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილი გახდეს, რაც განსაკუთრებულ და მუდმივ ყურადღებას საჭიროებს. შშმ პირთა საჭიროებას მორგებული მართვის პოლიტიკის განხორციელებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს კომპლექსური მართვის სტრატეგია რისკისა და საჭიროებების შეფასების, სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისა და სპეციალური მოვლის ჩათვლით. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პატიმრების ზედამხედველობა და დაცვა გულისხმობს, რომ უნდა შემუშავდეს და დაინერგოს შესაბამისი პოლიტიკა და პრაქტიკა. მოცემულ მსჯელობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არსებული სისტემის შშმ პირებთან მუშაობისადმი მიდგომის ფორმულირება, „რომ დაუცველი პატიმრების უფლებების (ადამიანის უფლებები) დაცვა განიხილებოდეს როგორც ციხის მენეჯმენტის ვალდებულების განუყოფელი ნაწილი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და სამართლიანი გარემო.“<sup>33</sup>

პრობლემებსა და სირთულეებს შორის ნაშრომში არ განიხილება მხოლოდ ციხის პირობები და მიდგომარეობა დახურულ ინსტიტუციებში. მასში ყურადღება გამახვილებულია საკანონმდებლო სივრცეზე, კერძოდ, კი პენიტენციური სისტემის მარეგულირებელ კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რომელიც, თუ ზემოაღნიშნულ მსჯელობას დავეყრდნობით, შშმ პირებთან მიმართებით განახლებას საჭიროებს. ამასთანავე, გაანალიზებულია, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ გარე ფაქტორების განხილვა, რომლებიც ხშირად გადამწყვეტ ზეგავლენასაც კი ახდენენ სასჯელის მოხდის ადეკვა-

<sup>33</sup> იხ. *Murdoch J.*, Professor of Public Law, University of Glasgow, School of Law, United Kingdom, *Jiricka V.*, Head Psychologist, Prison Service, Czech Republic, A handbook for prison staff with focus on the prevention of ill-treatment in prison, Council of Europe, April 2016, 18.

ტური გარემოს შექმნაზე.

**თემის აქტუალურობის** განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სტანდარტები და პროცედურები. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა შშმ პირებთან მიმართებით გამოწვეულია იმით, რომ ევროპული სტანდარტები ხაზგასმით მიუთითებენ პირობით ვადამდე გათავისუფლების ეფექტიანი სისტემის დანერგვისა და განხორციელების თაობაზე, რაც აღიარებულია სასჯელის მიზნის მიღწევის ყველაზე მიზანშეწონილ სისტემად და ხელშემწყობ ფაქტორად მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისთვის.<sup>34</sup>

**თემის აქტუალურობას** განაპირობებს ასევე მსჯელობა იმ გარე ფაქტორებზე, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ შშმ პირთა სასჯელის მოხდის პირობებზე, სისტემის შიგნით არსებულ პრობლემებთან ერთად. მოცემული გარე ფაქტორების პროფესიულ დონეზე განხილვა შესაძლებელია ასეთი ზეგავლენის შემცირების ერთ-ერთ გზად დავსახოთ. ნაშრომი განიხილავს შემდეგს:

**ა. საზოგადოების ზეგავლენა**, რომელიც გამოწვეულია შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ ელემენტარული ცოდნის არქონით. იგი, ძირითადად, განპირობებულია საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონით და აყალიბებს დისკრიმინაციულ მიდგომას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. რა არის შეზღუდული შესაძლებლობა, საზოგადოების აზრით? არის ეს უბრალოდ სტატუსი, რომლის გამოც შშმ პირები ცხოვრობენ საკუთარ სახლში ჩაკეტილი, გარე სამყაროსგან იზოლირებულად, თუ საზოგადოება შეზღუდულ შესაძლებლობას აქცევს სტიგმად, რომელიც ამ პირთა ყოველდღიურ ცხოვრებას მნიშვნელოვნად ართულებს. არაინფორმირებულობისა თუ სხვა მიზეზის გამო საზოგადოება ხშირად არ ფიქრობს იმ შედეგზე, რომელიც შესაძლებელია მათმა დამოკიდებულებამ მოუტანოს შშმ პირს. კვლევებში ვხვდებით

<sup>34</sup> იხ. *მიქანაძე გ.*, პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება — ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბილისი, 2012, 139.

არაერთი ასეთი შედეგის განმარტებას. მაგალითად, ასეთმა სტიგმამ და დისკრიმინაციულმა მიდგომამ შეიძლება ინდივიდში გამოიწვიოს ჩაგვრისა და სირცხვილის განცდა, რამდენადაც მას შეიძლება დიდი სირთულეები შეხვდეს საზოგადოების ნეგატიური შეხედულებების გადალახვისას, რათა აიმაღლოს თვითშეფასება და ჩამოუყალიბდეს საკუთარი თავის პატივისცემა.<sup>35</sup> საზოგადოების ზემოაღნიშნული დამოკიდებულება ცხადად ვლინდება ქართულ პრაქტიკაში. ერთ-ერთი გამოკითხული რესპოდენტი მიუთითებს: „მეათე კლასში ვიყავი, როცა გავიგე, რომ ჩემ გვერდით მეზობელს ჩემი ტოლი შშმ შვილი ჰყავდა. ეზოში არ გამოჰყავდათ თურმე ბავშვებს, რომ არ გვენახა ოჯახში შშმ წევრი რომ იყო“.<sup>36</sup> ხშირად პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზაა, დამაღონ ოჯახის ის წევრი, რომელიც, გავრცელებული შეხედულებით, დაბრკოლებას ქმნის დანარჩენი საზოგადოებისთვის. გასაანალიზებელია ამ გადანყვებილების საფუძველი, რომელიც საზოგადოების გულგრილ და არაპყვამანურ დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ, რომელიც უზიძგებს ან/და აიძულებს კიდევ მას, მიმართოს აბსოლუტურად გაუმართლებელ და რადიკალურ ზომას. შეზღუდული შესაძლებლობა კი არის ბარიერი/დაბრკოლება, რომელიც სხვადასხვა ტიპის პრობლემის მქონე ადამიანებს ელოება ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაბრკოლება, აღქმადობის თვალსაზრისით, შესაძლებელია იყოს აშკარა ან/და ნაკლებად შესამჩნევი, რომელიც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. თუმცა ამ მდგომარეობამ შესაძლებელია შშმ პირს არათუ შეუზღუდოს ესა თუ ის მომსახურება თუ სასურველი აქტივობა, განსაკუთრებით დახურულ ინსტიტუტებში, არამედ მიუღწეველიც გახადოს მისთვის. თუმცა შესაბამისი მხარდაჭერისა და მომსახურების შედეგად ყველა

---

<sup>35</sup> იხ. Rohwerder B., Disability stigma in developing countries, Institute of Development Studies, 9 May 2018, 4.

<sup>36</sup> მოქალაქე, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლესტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

ეს ბარიერი შესაძლებელია დაძლეულ იქნეს.

**ბ. საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება შშმ პირების პრობლემებისადმი.** შშმ პირები მათი მდგომარეობიდან და სტატუსიდან გამომდინარე, ყოველდღიურად აწყდებიან მრავლობით სირთულეებს. მიუხედავად ამისა მაინც ჩნდება კითხვები, თუ რატომ უნდა განიხილებოდნენ შშმ პირები მონყვლად ჯგუფებად როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე დახურულ ინსტიტუციებში. ასევე რატომ უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო და საზოგადოება შშმ პირების უფლებების განუხრელ დაცვაზე, მათ შორის, იმ უფლებებისა, რომლებიც მათი სტატუსიდან გამომდინარეობს. პრობლემას სწორედ ის წარმოადგენს, რომ ეს კითხვა ჩნდება საზოგადოების ნებისმიერ ფენაში და საზოგადოება არ ან ვერ აღვიქვამს იმ სირთულეს, რომელსაც ეს ადამიანები აწყდებიან.

**გ. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.** კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი შშმ პირი სწორედ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობას ასახელებს შშმ პირების მხრიდან დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად. იგი განმარტავს, რომ შშმ პირთა დიდი რაოდენობა, დაახლოებით 80%, იმავდროულად არის სოციალური მომსახურების სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფ პირთა სიაში. ამდენად, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორია დანაშაულის ჩადენისათვის.<sup>37</sup>

დოკუმენტი „ზოგიერთი ფაქტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ“<sup>38</sup> განმარტავს, რომ დაბალი ეკონომიკური განვითარების მრავალ ქვეყანაში მილიონობით ადამიანს შეზღუდუ-

<sup>37</sup> შშმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (კითხვები ინტერვიუსთვის გამოყენებულ იყო ლესტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტების მიხედვით.), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

<sup>38</sup> იხ. The UN Fact sheet on Persons with Disabilities, The UN Programme on Disability/Secretariat for the Convention on the Rights of Persons with Disabilities (SCRPD) falls within the Division for Social Inclusive Social Development (DISD) of the United Nations Department of Economic and Social Affairs (UNDESA), 2018, 1.

ლი შესაძლებლობა აქვს პრევენციული დაავადების, პოლიომიელიტის, შედეგად. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების 80% ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში.

რაც შეეხება საქართველოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის მონაცემებით, შემწეობის მიმღები ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში<sup>39</sup> რეგისტრირებულია შემწეობის მიმღები 317 796 ოჯახი (438 543 მოქალაქე). საქართველოში არსებული პრაქტიკით, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირები ერთ-ერთი ისეთი რისკჯგუფია, რომელშიც შშმ პირები დიდი რაოდენობით გვხვდება და რომლებისთვისაც, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომი არ არის ცხოვრების ელემენტარული პირობები. ჩატარებული ანალიზი აჩვენებს, რომ 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში სულ აღრიცხულია 100,113 შშმ პირი, მაშინ როდესაც 2015 წლის 1 მარტის მდგომარეობით, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ რეგისტრირებულია 118,651 მხოლოდ სოციალური დახმარების მიმღები შშმ პირი, ხოლო 2017 წელს – 125,104.<sup>40</sup> არაერთი ფაქტორი შეიძლება ვივარაუდოთ ეკონომიკურ მდგომარეობასა და შშმ პირთა შორის კავშირის არგუმენტირებისათვის. მაგალითად, უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს არ გააჩნიათ ფინანსური სახსრები, რათა დროულად გამოავლინონ არსებული შეზღუდული შესაძლებლობა ან ასეთი რისკი, მიმართონ დროული ჩარევისთვის შესაბამის სტრუქტურებს, რითაც შეიძლება თავიდან აიცილონ შეზღუდული შესაძლებლობის ჩამოყალიბება ან ასეთის შექმნა ან/და გართულება. ასევე უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს არ აქვთ შესაძლებლობა ადეკვატური

<sup>39</sup> იხ. სოციალური მომსახურების სააგენტო, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზა, 2018.

<sup>40</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემის ანალიზი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2018, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <[https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2017/idfi\\_general/statistics\\_on\\_pwdws\\_in\\_georgia\\_ge\\_idfi.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/idfi_general/statistics_on_pwdws_in_georgia_ge_idfi.pdf)>, [15.11.2019].



პირობები შეუქმნან განსაკუთრებული საჭიროების მქონე ოჯახის წევრს და უზრუნველყონ საჭირო მომსახურების ხელმისაწვდომობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულ და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს შშმ პირები ხშირად დანაშაულის ჩადენამდე მიჰყავს, თუმცა სახელმწიფო მოხელეები ყურადღების მიღმა ტოვებენ ამ და სხვა გამომწვევ მიზეზებს, მაშინ როცა აღნიშნული პირობების უზრუნველყოფა სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა. თვალსაჩინოებისთვის შესაძლებელია დავეყრდნოთ არაერთი ქვეყნის პრაქტიკას. მაგალითად, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით<sup>41</sup>, შეუზღუდავი სუბიექტური მოთხოვნილებებისადმი მიდრეკილება საზოგადოების ხარჯზე არ შეესაბამება სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. აქვე, ის ხაზს უსვამს იმას, რომ სახელმწიფოს არ აქვს ადამიანების რჩენის, მათთვის მატერიალური რესურსების დარიგების, მით უფრო, მათი ფუფუნებით უზრუნველყოფის ვალდებულება, არამედ სახელმწიფოს ვალდებულებაა, შექმნას ისეთი გარემო, სადაც პირებს ექნებათ თვითრეალიზაციის შესაძლებლობა.

**დ. სტატუსის დადგენა.** საქართველოში და სხვა მრავალ ქვეყანაში, შშმ პირებისათვის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს სტატუსის დადგენა. სტატუსის დადგენის ბიუროკრატიული და მოუქნელი სისტემა უმეტესწილად ახასიათებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, რაც, რა თქმა უნდა, კვლავ მძიმე ტვირთად აწვება შშმ პირებს და მათ ეკონომიკურად შეჭირვებულ ოჯახებს.

იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში არსებობს სტატუსის დადგენის ბიუროკრატიული ან/და მოუქნელი სისტემა, შშმ პირები ხშირად რჩებიან სტატუსის გარეშე, რის გამოც ისინი ვერ იღებენ იმ ელემენტარულ მომსახურებას, რომელსაც მათ სახელმწიფო სთავაზობს. სტატუსის დადგენის პრობლემა განსაკუთრებული სიმძაფრით ვლინდება სასჯელის მოხდის ადგილებში, სადაც სტატუსის დადგე-

---

<sup>41</sup> იხ. *ქანთარია ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, 388.

ნის მხარდამჭერი შიდა პროცედურები ან არ არსებობს, ან მოუქნელი და ხანგრძლივია, რასაც ემატება ის, რომ პატიმრობაში მყოფ პირს არ აქვს შესაძლებლობა, პირადად იზრუნოს სტატუსის დადგენის ბიუროკრატიული ასპექტების მოგვარებაზე. ასევე არ აქვს შესაძლებლობა, დაფაროს იმ ადვოკატის მომსახურების ხარჯები, რომელიც ამ პროცედურებს განახორციელებს და ა. შ.

**ე. შეზღუდული შესაძლებლობების მოდელის არასწორი გაგება, რომელიც** შეიძლება გამონეული იყოს მრავალი ფაქტორით, მათ შორის საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცოდნის დაბალი დონით, რაც ხშირად უარყოფითად აისახება შშმ პირთა ცხოვრების ყველა სფეროზე. მის უარყოფით შედეგებს ვხვდებით სანყის ეტაპზე, შეზღუდული შესაძლებლობების მოდელის განხილვისას. არსებობს ტრადიციული შეხედულება, რომელსაც ხშირად „შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელს“ უწოდებენ და თანამედროვე „სოციალური მოდელი“, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, როგორც, ზოგადად, საზოგადოებაში, ისე სპეციალისტებში.<sup>42</sup>

შეზღუდული შესაძლებლობების სამედიცინო მოდელი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, პირველ რიგში, იქიდან გამომდინარე, რომ ინვალიდობის ტრადიციული მიდგომის დროს ყურადღება გამახვილებულია ადამიანის ფიზიკურ შეზღუდულობასა და ნაკლოვანებაზე<sup>43</sup> და არა იმ გარე ფაქტორებზე, რომლებიც მას ამ შეზღუდულ შესაძლებლობებს უქმნიან. მეორე მხრივ, ინვალიდობა, როგორც პრობლემა, განიხილება სამედიცინო ჩრილში და ამიტომ, შესაძლებლობათა შეზღუდვის მქონე პირის პოტენციალსა და შესაძლებლობებს სათანადო ყურადღება არ ექცევა, რაც, საბოლოო ჯამში, მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას ვერ უზრუნველყოფს და ამყოფებს დისკრიმინაციულ გარემოში.<sup>44</sup> სამედიცინო მოდელის დანერგვა მნიშვნელო-

<sup>42</sup> იხ. სახელმძღვანელო პოლიტიკის განმსაზღვრელთათვის ინკლუზიური გადანყვეტილებების მიღებაზე, ბრიტანეთის საბჭო, 2014, 14-15.

<sup>43</sup> იხ. International classification of functioning disability and health (ICF), world health organization, Publication, 22 May, 2001, 20.

<sup>44</sup> იხ. იონათამიშვილი რ., შესაძლებლობათა შეზღუდვის ისტორია,

ვან ზეგავლენას ახდენს მოპყრობაზეც, რადგანაც ის მოიაზრებს მხოლოდ სამედიცინო საჭიროების დადგენას და არ გულისხმობს დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობასა და ხელმისაწვდომობას, როგორცაა: განათლება, დასაქმება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა და სხვა. სამედიცინო მოდელის გამოყენება განსაკუთრებით საზიანოა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, რადგან საქართველოსა თუ სხვა ბევრ ქვეყანაში ციხის ადმინისტრაციისთვის პრობლემის გადაჭრის გზაა შშმ პირების ციხის სამედიცინო განყოფილებაში მოთავსება. ადმინისტრაცია ვერ ხედავს, თუ რამდენად საჭიროა ამ ადამიანებისთვის სხვა პატიმრებთან გათანაბრებული საცხოვრებელი გარემოსა და პირობების შექმნა.

**ვ. მოქალაქეობრივი ვალდებულება.** ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის შეზღუდული შესაძლებლობა პირის ან მისი ოჯახის პრობლემა და მათი პირადი ტრაგედიაა. საქართველოში შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არაერთი ორგანიზაცია განმარტავს, რომ საზოგადოება საკუთარ პასუხისმგებლობად არ მიიჩნევს შშმ პირთა მხარდაჭერას და თანაბარ პირობებში თანაცხოვრებას. აღნიშნული მანკიერი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, უმეტესწილად შშმ პირებისგან მოვლიან, რომ ისინი დაბრკოლებებს უნდა გაუმკლავდნენ პირადად და შეეგუონ საკუთარ მდგომარეობას, რადგან მათ ბევრი რამის გაკეთება არ შეუძლიათ და ამიტომ არ უნდა ცდილობდნენ სხვებთან გათანაბრებულ პირობებში ცხოვრებას.<sup>45</sup> ამ თვალსაზრისს შედეგად მოსდევს გარიყვა და შშმ პირს ხდის სხვაზე დამოკიდებულს, რაც აძლიერებს შიშს შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ. *„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად ყოფნა ნიშნავს, რომ არ ხარ სრულფასოვანი, ხოლო იყო არასრულფასოვანი — არასასურველი.“*<sup>46</sup>

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურმა მომხ-

---

შესაძლებლობათა შეზღუდვის სოციალური და სამედიცინო მოდელები, 2007, 14.

<sup>45</sup> იხ. სახელმძღვანელო პოლიტიკის განმსაზღვრელთათვის ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებაზე, ბრიტანეთის საბჭო, 2014, 14.

<sup>46</sup> იქვე.

სენებელმა 2008 წლის სპეციალური ანგარიში მიუძღვნა შშმ პირთა მდგომარეობას, რომელშიც ნათლად წარმოაჩინა, თუ რა მიზეზით შეიძლება განვიხილოთ ისინი დაუცველ/მონყვლად ჯგუფებად და რატომ უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა საზოგადოებამ შშმ პირთა მხარდასაჭერად. ის განმარტავს, თუ როგორია მათ მიმართ დამოკიდებულება, რომ ისინი „ხშირად განიცდიან შეურაცხყოფას, შეზღუდვებისა და იზოლირების მძიმე ფორმებს, ფიზიკურ, გონებრივ და სექსუალურ ძალადობას“.<sup>47</sup>

ანგარიშში ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტორზე, რომ სპეციალური მომხსენებელი შემოფოთებას გამოთქვამს სწორედ იმის გამო, რომ ასეთი პრაქტიკა გვხვდება როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებში, ისე კერძო სტრუქტურებში. ის რჩება შეუმჩნეველი და არ არის აღიარებული როგორც წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი.<sup>48</sup>

ამ და სხვა პრობლემების არსებობა არის უმთავრესი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მოცემულ ნაშრომში განხილული **თემის აქტუალურობას**, რადგანაც მოცემული ნაშრომი იძლევა იმის საფუძველს, რომ სამეცნიერო დონეზე იქნეს განხილული შშმ პირთა სხვა პატიმრებთან თანაბარ პირობებში ცხოვრებისათვის საჭირო გარემოს შექმნის აუცილებლობა თავისუფლების აღკვეთისა და თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერ ადგილზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული თანასწორობის უფლების დარღვევა, რომელიც კრძალავს ყოველგვარ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას, ნებისმიერი ნიშნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიეცეს რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ: როგორ უნდა შექმნას დისკრიმინაციისაგან თავისუფალი პირობები; როგორ უნდა შეუწყოს ხელი შშმ პირებს, რომ სწორად შეხედონ და აღიქვან თავიანთი მდგომარეობა თავისუფლების

<sup>47</sup> იხ. *Nowak M.*, Special Rapporteur of the Human Rights Council on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, Interim report on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, submitted in accordance with Assembly resolution resolution 62/148, 2008, Summary,2.

<sup>48</sup> იქვე.

აღკვეთის ადგილებში მოხვედრის შემთხვევაში და შეძლონ იცხოვრონ სხვა პატიმრებთან თანაბარ პირობებში; მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ გათავისუფლების შემდგომ მათ შეძლონ ცხოვრება, როგორც საზოგადოების სრულფასოვანმა წევრებმა, თავისუფალ საზოგადოებაში. ამ შედეგის მიღწევა უნდა გამომდინარეობდეს მონყვლად (დაუცველ) პატიმრებთან სწორი მიდგომის ფორმირებით. მათ ისე უნდა ექცეოდნენ, როგორც ყველა სხვა პატიმარს, საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. მათი განსაკუთრებული საჭიროებები უნდა იყოს განხილული მათი სოციალური რეინტეგრაციის პერსპექტივის გათვალისწინებით.<sup>49</sup>

დაბოლოს, **თემის აქტუალურობა** განსაკუთრებულად განპირობებულია იმ სტატისტიკური მონაცემებით, რომლებიც ფიქსირდება სასჯელაღსრულების სისტემის მიერ და ამყარებს შშმ პირთათვის საჭირო სტანდარტების შექმნის მეცნიერულად განხილვის აუცილებლობას.<sup>50</sup>

კვლევა ეჭვქვეშ აყენებს სტატისტიკური მონაცემების სისწორეს ორი გარემოების გამო: პირველ რიგში, შშმ პატიმართა რაოდენობის სიმცირე, რომელიც პატიმართა საერთო რაოდენობის მხოლოდ 1%-ია და, მეორე მხრივ, ის ანალიზი, რომელსაც სტატისტიკა ეყრდნობა.<sup>51</sup> წერილის თანახმად, მოცემული სტატისტიკა წარმოადგენს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ იმ ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც სარგებლობენ დამხმარე სამედიცინო საშუალებებით (90 პირი, რომელიც მხოლოდ

<sup>49</sup> იხ. *Nowak M.*, Special Rapporteur of the Human Rights Council on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, Interim report on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, submitted in accordance with Assembly resolution 62/148, 2008, 46.

<sup>50</sup> კვლევაში მონაწილე შშმ პირებთან მომუშავე ორგანიზაციისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 28 ივნისის No191166/01 წერილი.

<sup>51</sup> იხ. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის, 2019 წლის ივნისის მონაცემებით საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებულ პირთა რაოდენობა შეადგენდა 9869-ს, 110.

აშკარად გამოხატული შეზღუდულობის მქონენი არიან). ასევე, იმ პირთა შესახებ ინფორმაციას, რომლებმაც წარმოადგინეს დოკუმენტაცია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსთან დაკავშირებით (11 პირი). წერილში მოცემული განმარტება აშკარად სცდება საკანონმდებლო რეგულირებით დადგენილ სტანდარტებს, რადგანაც შეზღუდული შესაძლებლობა, მიუხედავად მისი უკიდურესად რთული მდგომარეობისა, შეიძლება არ იყოს აშკარად გამოხატული. მაგალითად. შესაძლებელია მოვიყვანოთ შესაბამისი ინსტრუქცია,<sup>52</sup> რომლის მიხედვით, ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების დარღვევის კატეგორიებში, რომლებიც შეზღუდულ შესაძლებლობებს ინვევენ, მიჩნეულია შემდეგი შემთხვევები: სისხლის მიმოქცევის, სუნთქვის, საჭმლის მონელების, გამოყოფის, ნივთიერებათა ცვლის, შინაგანი სეკრეციის ფუნქციების დარღვევა, რომლებიც, დიდი ვარაუდით, აშკარად გამოხატულ ფორმებს არ წარმოადგენენ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს საკანონმდებლო ცვლილება,<sup>53</sup> რომლის საფუძველზეც სიტყვა „გამოხატული“ ამოღებულ იქნა პატიმრობის კოდექსის იმ მუხლებიდან, რომლებიც არეგულირებდა გარკვეულ ურთიერთობებს შშმ პირებთან მიმართებით. შესაბამისად, პენიტენციური სისტემა შშმ პირთა აღრიცხვისას განსხვავებული, უფრო დაზუსტებული სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენას შეიძლებს. ცალსახად პრობლემად რჩება ის კითხვა, თუ როგორ უნდა მოხდეს იმ პირების აღრიცხვა, რომლებსაც არ აქვთ დადგენილი სტატუსი და ამასთანავე არ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის გამოხატული ნიშნები.

---

<sup>52</sup> იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №1/ ნ შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, თბილისი, 2003 წლის 13 იანვარი.

<sup>53</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 14 ივლისი 2020.

**მამაკაც შშმ პატიმარა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:<sup>54</sup>**

შშმ პირები	22-25	26-30	31-35	36-40	41-49	50-59	60-64	65-69	70 <	სულ
ყავარჯნით მოსარგებლები		1	2	3	4	4	2			16
ეტლით მოსარგებლები				2	10	6				18
სასმენი აპარატით მოსარგებლები		2	2		2	1	1		1	9
ხანგრძლივი მოვლის განყოფილებაში განთავსებული პირები			2	2	4	7	2	3	2	22
დადგენილი შშმ სტატუსის მქონე პირები	1			1	3	4				9
ანოფთალმია		2	3	6	6	4				21
ზ/კიდურის ამპუტაცია				1	1					2
<b>სულ</b>										<b>97</b>

<sup>54</sup> კვლევაში მონაწილე შშმ პირებთან მომუშავე ორგანიზაციისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 28 ივნისის Nო191166/01 წერილი.

**ქალ შშმ პატიმართა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედ-  
ვით:**

შშმ პირები	36-40	41-49	50-59	სულ
სასმენი აპარატით მოსარგებლები			1	1
დადგენილი შშმ სტატუსის მქონე პირები	1	1		2
ანოფთალმია		1		1
<b>სულ</b>				<b>4</b>

**წინამდებარე ნაშრომში სამეცნიერო კვლევის საგანია:**

- სასჯელალსრულების სისტემის დაწესებულებებში მყოფ თავისუფლებააღკვეთილ (ბრალდებულ/მსჯავრდებულ) შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მათთან მოპყრობის პრაქტიკა. მომსახურების ხელმისაწვდომობა და საცხოვრებელი გარემო პირობები. ასევე ალტერნატიული სასჯელების აღსრულების პროცესში შშმ პირებთან მოპყრობის თავისებურებები;
- ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან;
- საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი იმ ქვეყნების მაგალითზე, რომლებსაც შშმ პატიმართა მიმართ მოპყრობის წარმატებული პრაქტიკა აქვთ, ასევე იმ ქვეყნების პრაქტიკის მიმოხილვა, რომლებსაც კვლევის განხორციელების დროისათვის მოცემულ სფეროში ხარვეზები ჰქონდათ;
- დასკვნების მომზადება არსებული პრაქტიკისა და კანონმდებლობის, გამოქვეყნებული ანგარიშებისა და სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით. ასევე საკითხის მიმართ არსებული სხვადასხვა მოსაზრებისა და პრობლემური საკითხის გაანალიზების საფუძველზე;
- ზემოაღნიშნული ანალიზისა და შესაბამისი დასკვნების საფუძ-



ველზე რეკომენდაციების მომზადება, რომლებიც შემდგომში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასჯელის მოხდის ადგილებში შშმ პირთათვის სასჯელის მოხდის თანაბარი პირობების შექმნის, მოპყრობის ეფექტიანი გარემოს შექმნისა და უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული სასჯელის მოხდის გარემოს უზრუნველყოფისათვის.

### **სამეცნიერო კვლევის მიზანია:**

მომზადდეს პრაქტიკის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებსა და წარმატებულ პრაქტიკასთან მიმართებით. გამოიკვეთოს ხარვეზები, რომლებიც შშმ პირთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ქმნიან დისკრიმინაციულ და, ზოგ შემთხვევაში, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიშ გარემოს სასჯელის აღსრულების პროცესში. მოამზადოს რეკომენდაციები არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

საერთაშორისო პრაქტიკისა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ განხილული საქმეების ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინოს ის მანკიერი მხარეები, რომლებიც შშმ პირთა უფლებების დარღვევის, ზოგ შემთხვევაში, წამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობის საფუძველი ხდება. მომზადდეს წინადადებები და რეკომენდაციები ციხის მართვისა ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ციხის ადმინისტრაციას, შეიმუშაოს სპეციალური პოლიტიკა და სტრატეგია, რომელიც ორიენტირებული იქნება დაუცველი ჯგუფების საჭიროებებზე და შშმ პატიმრებთან თანაბარი მოპყრობის გარემოს შექმნასა და მათი უფლებების დაცვაზე. ზემოაღნიშნულმა სტრატეგიამ და პოლიტიკამ უნდა დაარეგულიროს ისეთი პრიორიტეტული საკითხები, როგორცაა: პერსონალის ტრენინგი, კლასიფიკაცია, საცხოვრებელი პირობები, სამედიცინო მომსახურება, პროგრამებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოება და პირობით ვადამდე აღრე გათავისუფლებისათვის მომზადება.<sup>55</sup>

<sup>55</sup> იხ. *Murdoch J.*, Professor of Public Law, University of Glasgow, School of Law,

ჩატარებული კვლევისა და წარმატებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასჯელალსრულების სისტემას, განახორციელოს რეფორმები შშმ პირთათვის სასჯელის მოხდის ადეკვატური, სხვა პირებთან თანაბარი და რეაბილიტაციაზე ორიენტირებული სისტემის შესაქმნელად.

### **სამეცნიერო სიახლე**

სამეცნიერო დონეზე ნაშრომში მოცემული სიახლე და მისი დიდი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ იგი სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგენს ახალ თემას, რომელიც შესაძლებელია განხილულ იქნეს სხვადასხვა რაკურსით და გახდეს არაერთი ახალი კვლევის საგანი, როგორც, ზოგადად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების, ისე კრიმინოლოგიისა და ადამიანის უფლებების კონტექსტში. თემა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს ჩაატარონ სამეცნიერო კვლევები, შექმნან და ჩამოაყალიბონ ახალი მიდგომები შშმ პირთა მიმართ სასჯელის გამოყენებისა და მისი აღსრულების ფორმებისა და მეთოდების შესახებ.

ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკის, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზის საფუძველზე სამეცნიერო დონეზე განიხილოს სასჯელის მოხდის ადეკვატურობა შშმ პირთა მიმართ მოპყრობა, განთავსების პირობები და მისი მნიშვნელობა საქართველოში.

ნაშრომში სამეცნიერო სიახლეებზე საუბრისას ადეკვატური ეთიმოლოგია შემდეგ საკითხებს:

- სასჯელალსრულების სისტემაში ახლებურად იქნეს გააზრებული შეზღუდული შესაძლებლობების რაობა, მისი მნიშვნელობა და სპეციფიკურობა, რათა სისტემის მმართველმა რგოლმა თუ სხვა დასაქმებულმა პერსონალმა სწორად, ადამიანის ღირსების

---

United Kingdom, *Jiricka V.*, Head Psychologist, Prison Service, Czech Republic, A handbook for prison staff with focus on the prevention of ill-treatment in prison, Council of Europe, April 2016, 56.

დაცვით შეძლონ შშმ პატიმრებთან მოპყრობა და სასჯელის მოხდის პირობების უზრუნველყოფა.

- ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში და განსაკუთრებით სასჯელალსრულების სისტემის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებში ნაკლებადაა აღწერილი სასჯელალსრულების სისტემაში შშმ პატიმრებთან მოპყრობის პროცედურები მიღებულიდან გათავისუფლებამდე, როგორცაა: ფიზიკური გარემო, პატიმართა შემონემა (სრული და არასრული), გათავისუფლებისათვის მომზადება, პროგრამებში მონაწილეობა და სხვ. ამ შემთხვევაში ნაშრომი ახლებურად, საერთაშორისო სტანდარტებზე და წარმატებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით წარმოაჩენს, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას მოცემული ხარვეზი.
- ნაშრომში ღრმადაა გაანალიზებული შშმ პატიმრებთან მიმართებით შესაბამისი მოპყრობისა და პირობების არარსებობის მძიმე შედეგები და ამ შედეგების ანალიზის საფუძველზე სასჯელის მოხდის სათანადო გარემოს შექმნის აუცილებლობა.
- ნაშრომში სიახლეს წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის პატიმართა შიდა დიფერენცირება, როგორცაა სპეციალური საჭიროებების მქონე შშმ პატიმრები. ასეთ მიდგომას დღეისათვის ქართული კანონმდებლობა და პრაქტიკა არ ცნობს, თუმცა მისი დანერგვა ბევრად უფრო ეფექტიანს გახდის და გააადვილებს როგორც თვითონ შშმ პატიმართა სასჯელის მოხდის პროცესს, ასევე მათთან მუშაობის პროცესის მართვას პერსონალის მხრიდან.
- ნაშრომში ასევე გაანალიზებულია ახლებური მიდგომები შშმ პატიმართა გათავისუფლებისა და გათავისუფლებისათვის მომზადების სტანდარტების დანერგვის, ასევე მათი გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში ეფექტიანი რეინტეგრაციის შესახებ.
- ნაშრომი ყველა დაინტერესებული მხარისათვის იძლევა განმარტებას სასჯელის მოხდის პირობებისა და იმ სტანდარტების შესახებ, რომელიც უნდა იყოს შექმნილი იმისათვის, რომ არ მოხდეს ადამიანის ისეთი უნივერსალური უფლებების ხელყოფა, როგორცაა: სიცოცხლის უფლება, ღირსების ხელ-

შეუხებლობა, წამების, არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დისკრიმინაციის დაუშვებლობა და სხვა. ნაშრომში ხაზგასმულია შშმ პირებთან სპეციფიკური მოპყრობის საჭიროება და ამგვარი მოპყრობის აუცილებლობა. იგი ორიენტირებულია დაანახოს მისი სასიცოცხლო მნიშვნელობა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც შშმ პირების მიმართ სპეციფიკურ მოპყრობას განიხილავს, როგორც სხვა პირების დისკრიმინაციას. სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც პირს შეზღუდული შესაძლებლობის თუ სხვა ობიექტური გარემოების გამო აქვს ინდივიდუალური საჭიროება, ამ საჭიროების გათვალისწინებით მოახდინოს მისი უფლებების რეალიზება.<sup>56</sup>

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა** არის ის, რომ მასში შემუშავებული დებულებები, დასკვნები და რეკომენდაციები არსებით წვლილს შეიტანს შშმ პირთა სასჯელის მოხდის პროცესის დაგეგმვის, მათი სასჯელის მოხდის ადეკვატური პირობების შექმნასა და გათავისუფლებისათვის მომზადების სისტემის ჩამოყალიბებაში; დანერგავს ახალ მიდგომას, როგორცაა მრავალმხრივი საჭიროების მქონე პატიმრები და მათთან მუშაობის სპეციფიკა; სასჯელალსრულების სისტემის წინაშე წარმოადგენს ახალ მიდგომებს ამ საკითხთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტაში.

სამართლებრივ კონტექსტში **ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა** განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ნაშრომზე მუშაობის დასრულებისას საქართველოში უკვე განხორციელდა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომლებიც ეხმიანებიან ავტორის სადისერტაციო ნაშრომში დასმულ პრობლემებს. კერძოდ, 2020 წლის 14 ივლისს მიღებულ იქნა კანონი შშმ პირთა უფლებების შესახებ.

ცვლილებები იქნა შეტანილი: სისხლის სამართლის საპრო-

---

<sup>56</sup> იხ. *ძამაშვილი ბ.*, დისკრიმინაციასთან ეფექტური ბრძოლის მიზნით სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, სამართლის ჟურნალი, №1, 2016, 253.

ცესო კოდექსში,<sup>57</sup> პატიმრობის კოდექსში,<sup>58</sup> საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში,<sup>59</sup> ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.<sup>60</sup> ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომთან არ აქვს პირდაპირი კავშირი, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც შშმ პირებთან დამოკიდებულებას უსვამს ხაზს, კერძოდ, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონს<sup>61</sup> შეეცვალა სახელი და დაერქვა „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ კანონი. ამასთანავე, ცალკე უნდა აღინიშნოს 2020 წელს დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „მისანვდომობის ეროვნული სტანდარტები“,<sup>62</sup> რადგანაც ნაშრომში ერთ-ერთი მთავარი აქცენტი კეთდება სწორედ შშმ პირისათვის მისანვდომობის პრობლემის მნიშვნელობაზე. შესაძლებელია დოკუმენტი არ ეხება მისანვდომობის პრობლემას უშუალოდ პენიტენციურ სისტემაში, თუმცა მასში მოცემული განმარტება: „ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა კლასის შენობა-ნაგებობაზე“,<sup>63</sup>

<sup>57</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 14 ივლისი, 2020.

<sup>58</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, 14 ივლისი, 2020.

<sup>59</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, 15 ივლისი, 2020.

<sup>60</sup> საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 10 თებერვალი, 2020 და საქართველოს კანონი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 14 ივლისი, 2020. არქიტექტ

<sup>61</sup> საქართველოს კანონი ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, 23 ივნისი, 2020.

<sup>62</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №732, ტექნიკური რეგლამენტის — „მისანვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე, 4 დეკემბერი, 2020.

<sup>63</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №732, ტექნიკური რეგლამენტის — „მისანვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე, 4 დეკემბერი, 2020.

ნიშნავს იმას, რომ ის არეგულირებს ურთიერთობებს როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

კვლევის თეორიულ საფუძველსა და ინფორმაციულ ბაზას შეადგენს ქართველ და უცხოელ ავტორთა ფუნდამენტური კვლევები, სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები და ინტერნეტგვერდებზე არსებული ინფორმაცია.

**ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია:**

- მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა და შედარებითი ანალიზი;
- სამეცნიერო ნაშრომების, გამოქვეყნებული ანგარიშების, სტატიებისა და სხვა მასალების ანალიზი;

შემ პირებთან მიმართებით სასჯელის მოხდის პრაქტიკის ანალიზი, როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე.

სამეცნიერო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა მცირე სამიზნე ჯგუფებთან ინტერვიუს/ანკეტირებას,<sup>64</sup> რომელიც წარმოაჩენს სხვადასხვა ვინრო სპექტრს: კერძოდ, მშმ პირებისა და იმ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინტერვიურება, რომლებიც საქართველოში აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობენ; შმ პირებთან მოპყრობის თვალსაზრისით პერსონალის მომზადების არსებული პრაქტიკის დემონსტრირება საქართველოსა და ყირგიზეთის შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელებთან ინტერვიუს საფუძველზე.<sup>65</sup>

<sup>64</sup> ინტერვიუ ნაშრომში გამოყენებულია ლესტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით (Footnote referencing style, Interviews-Interviewee, interview by interviewer, recording medium, location, date, where held (if appropriate), <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

<sup>65</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი, თბილისი, 2017; ყირგიზეთის სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრის დირექტორი, ბიშკეკი, 2017. ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩატარა ზ. ხასიაძე, აგვისტო, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამ-

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომი შედგება შესავლის, აბრევიატურების, აკრონიმებისა და გამოყენებულ ტერმინთა განმარტებისაგან, 4 კარის, 20 თავის, 20 პუნქტისა და დასკვნისგან. ნაშრომის მოცულობაა 355 გვერდი, რომელსაც თან ერთვის ბიბლიოგრაფია 23 გვერდად.

---

ოყენებულია ლესტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

# პარი I. შეზღუდული შესაძლებლობების ცნება და ისტორიული ექსპურსი

## თავი 1. შეზღუდული შესაძლებლობები ადამიანის უფლებათა კონტექსტში, ისტორიული ექსპურსი

ცნობილია, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც საერთაშორისო საზოგადოება შეზღუდულ შესაძლებლობას განიხილავს ადამიანის უფლებათა კონტექსტში. ეს ხდება, ძირითადად, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან. სხვადასხვა ანგარიშებში მოცემული განმარტებების თანახმად, „ინვალიდობის შესახებ რეაგირება შეიცვალა 1970-იანი წლებიდან, რაც მეტწილად გამომწვეული იყო შშმ პირთა თვითორგანიზაციებითა (5, 6) და მზარდი ტენდენციით, რომ ინვალიდობა განხილულიყო ადამიანის უფლებების საკითხად.“<sup>66</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებებისადმი მიდგომის განვითარება დიდი ხნის წინ დაიწყო, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ქართული პრაქტიკაც, სხვა საერთაშორისო საზოგადოების შესაბამისად, არ გამოირჩევა განსაკუთრებული მიღწევებით. აქვე მნიშვნელოვანი იქნებოდა იმის ხაზგასმა, რომ საქართველოს ბევრი სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ადამიანის უფლებების განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ერთ-ერთი ვერსიით მეცნიერები მის პირველ ეტაპად ანტიკური ხანის შემდგომ პერიოდს განიხილავენ „სახეზეა თითქმის ყველა ის ძირითადი პრინციპი, რაც დაკავშირებულია ზოგადად საზოგადოებისა თუ კონკრეტულად ცალკეული პიროვნების უფლებების დაცვისა თუ ამ უფლებების დარღვევის სფეროსთან“.<sup>67</sup> თუმცა ხანგრძლივმა პერიოდმა ვერ უზრუნველყო ადამიანის უფლებების ცალკეულ პირთა

<sup>66</sup> იხ. World report on disability, World Health Organization, Malta, 2011, 3.

<sup>67</sup> იხ. ბერძენიშვილი ლ., ბრაგვაძე ზ., გვახარია გ., დარასელია ზ., თაქთაქიშვილი ლ., საყვარელიძე ფ., ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა, გამოცემულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით, 2004, 11.



საჭიროებების ჭრილში განხილვა, რომელშიც შშმ პირთა უფლებები ღირსეულ ადგილს დაიკავებდა.

ადამიანის უფლებათა განვითარების ხანგრძლივი ისტორიის ამ-სახველი დოკუმენტური ნყაროებისაგან განსხვავებით, შეზღუდული შესაძლებლობის აღქმადობისა და მასთან დამოკიდებულების ეტაპობრივი განვითარების აღწერა საქართველოში თითქმის არ გვხვდება. ისტორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ადამიანების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ არ ყოფილა ერთგვაროვანი. ამის არგუმენტად შეიძლება მხოლოდ ხელოვნების სხვადასხვა სფერო მოვიშველიოთ, რომელიც დოკუმენტურ ფაქტებს ეყრდნობა. ქართული ფოლკლორის, ზეპირსიტყვიერებისა თუ მხატვრული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რასთან ასოცირდებოდა „ინვალიდობა“ საქართველოში ადრეულ პერიოდში და როგორი დამოკიდებულება ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ ქართულ საზოგადოებას.<sup>68</sup>

რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს, აქ „ინვალიდ“ პირთა მდგომარეობა არათუ პოზიტიურ ცვლილებებს განიცდის, არამედ საქართველოში და, ზოგადად, საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ის კიდევ უფრო მძიმდება. საბჭოთა მიდგომებმა დაამკვიდრა ისეთი პოპულარული ლოზუნგი, როგორიც იყო - „ჩვენთან ინვალიდები არ ცხოვრობენ!“<sup>69</sup> რაც ცხადია, რეალობას არ ასახავდა. თუმცა პრობლემა არ იყო მხოლოდ ლოზუნგი, არამედ ის ზოგადად გამოხატავდა სახელმწიფოს დამოკიდებულებას იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც რაიმე ფორმით შეზღუდული ჰქონდათ შესაძლებლობები. შშმ პირების აღიარებისა და სწორად აღქმადობის პრობლემის გარდა, სახელმწიფოს არ ქონდა ვალდებულება, რაიმე ფორმით ეზრუნა ამ ადამიანებისათვის თანაბარი პირობების შექმნაზე ნებისმიერ, საზოგადოებრივ ცხოვრებასა თუ სასჯელის მოხდის ადგილებში.

<sup>68</sup> იხ. *იონათამიშვილი რ.*, შესაძლებლობათა შეზღუდვის ისტორია, 2007, 9-11.

<sup>69</sup> იხ. *Федёлов В.*, В СССР инвалидов нет!., 1986, <<https://e-libra.ru/read/242202-v-sssr-invalidov-net.html>>, [20.03.2020].

სახელმწიფო ამ ე. წ. „ლოზუნგით“ თავიდან ირიდებდა ვალდებულებას, პასუხისმგებლობა აელო ამ ადამიანებზე. ეს არის პერიოდი, როდესაც არავითარი ყურადღება არ ეთმობოდა მათ ფიზიკურ და ინტელექტუალურ პოტენციალს. სახელმწიფო და შესაბამისად „კანონმორჩილი“ საზოგადოება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მხოლოდ ოჯახის პრობლემად აღიქვამდა, ფაქტობრივად, იძულებით იზოლაციაში ამყოფებდა მათ. არსებობს წყაროები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სსრკ-ში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს დიდი ხნის განმავლობაში საცხოვრებლად ასახლებდნენ პერიფერიებში, რაც, რეალურად, ნიშნავდა სპეციალურ დაწესებულებებში ჩაკეტვას, ან აიძულებდნენ მათ თავიანთ საცხოვრებლებში ყოფნას, რადგანაც მათთვის არ არსებობდა ადაპტირებული გარემო.<sup>70</sup>

საქართველოში ჩატარებული კვლევები ადასტურებენ იმას, რომ, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც შშმ პირი მოკლებული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. ის საზოგადოების სრულფასოვან ნევრად იმდენად არ მიიჩნეოდა, რომ არ ეძლეოდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო მასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში. „შშმ პირებს უმეტესწილად სპეციალურ დაწესებულებებში<sup>71</sup> ათავსებდნენ და ბავშვობიდან სრულად იზოლირებული იყვნენ საზოგადოებისგან. მიიჩნეოდა, რომ მათ არ შეეძლოთ სრულფასოვანი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით, წვდომის მოპოვება მართლმსაჯულების სისტემასა ან სასამართლოზე.“<sup>72</sup>

<sup>70</sup> იხ. *Волкова Н., Инвалиды в СССР: история об уничтожающей опеке*, 2016. <<https://www.miloserdie.ru/article/invalidy-v-sssr-istoriya-ob-unichtozhayushhej-opeke/>>,[20.03.2020].

<sup>71</sup> მოცემულ შემთხვევაში დაწესებულებებში მოიაზრება არა სასჯელაღსრულების დაწესებულება, არამედ საზოგადოებაში სპეციალურად შშმ პირებსათვის განკუთვნილი დაწესებულება, სადაც ეს ადამიანები ერთად იყვნენ მოთავსებული, საზოგადოებისაგან იზოლირებულად.

<sup>72</sup> იხ. *ნადირაძე კ., არგანაშვილი ა., აბაშიძე ა., გორჩიაშვილი ნ., ლორდიჯ., სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული*

ზემოაღნიშნული მიდგომიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დამოკიდებულება, რომელიც ჰქონდა საბჭოთა საზოგადოებას შშმ პირების მიმართ, მკვეთრად განსხვავდებოდა სხვა პირებისადმი დამოკიდებულებისაგან და ეს დამახასიათებელი იყო საბჭოთა ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის. ამ მიდგომის სრულიად საპირისპირო დამოკიდებულებას ვხვდებით მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში. მაგალითად, ბრიტანეთის ციხის ბრძანება განმარტავს, თუ როდის განიხილება შშმ პაციმრისადმი მოპყრობა დისკრიმინაციულად და აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციულია მიდგომა, როდესაც შშმ პირს, სხვებთან შედარებით, ნაკლებ კეთილგანწყობილად ეპყრობიან და ამ მოპყრობის მიზეზი დაკავშირებულია მის შეზღუდულ შესაძლებლობასთან, რომელსაც არ აქვს გამართლება.<sup>73</sup>

სახელმწიფოსა და საზოგადოების დისკრიმინაციული დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ უფრო მკაფიოდ ჩანს საბჭოთა ციხეების მაგალითზე. საბჭოთა ციხეებში გაუსაძლისი იყო იმ ადამიანების მდგომარეობა, რომელთა არსებობასაც სახელმწიფო ოფიციალურად უარყოფდა.<sup>74</sup> რეგულაციები, რომლებიც არ იყო ორიენტირებული მონყვლად ჯგუფებზე, არ ცნობდა პაციმართა განსაკუთრებულ კატეგორიებს, არ მოითხოვდა მათთვის ადაპტირებული და ხელმისაწვდომი გარემოს შექმნას<sup>75</sup>. „რაზმეულები“ ყველასთვის ერთნაირად იყო მონყობილი. ორსართულიანი სანოლების პირველი სართული დაკავებული ჰქონდათ კრიმინალურ ავტორიტეტებს ან მათ გარემოცვას. შეხვედრების ოთახები მხოლოდ „ჯანმრთელი“ ადა-

---

შესაძლებლობის მქონე პირთათვის, 2019, , 17-18.

<sup>73</sup> იხ. Prison Service Order, Order Number 2855, HM Prison Service, Prisoners with physical, sensory and mental disabilities, article, 2.5.1, Date of Initial Issue 20/12/99, Date of Update: 13/10/03.

<sup>74</sup> იხ. Волкова Н., Инвалиды в СССР: история об уничтожающей опеке, 2016. <<https://www.miloserdie.ru/article/invalidy-v-sssr-istoriya-ob-unichtozhayushhej-opeke/>>,[20.03.2020].

<sup>75</sup> რაზმების დიზაინისა და მონყობის შესახებ, მაგალითად შეიძლება განხილულ იქნეს შემდეგი: Приложение к приказу Министра внутренних дел Республики Узбекистан от 08 мая 2001 года N 118, Правила внутреннего распорядка учреждений по исполнению

მიანებისთვის იყო მონყობილი და, რაც მთავარია, პერსონალს არ გააჩნდა არავითარი პასუხისმგებლობა შშმ პირისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფაზე.

შშმ პირთა უფლებების მნიშვნელობა კი ნიშანდობლივია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ეტაპზე და ყველა სფეროში, მათი განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე. განსაკუთრებით კი მაშინ, თუ შშმ პირები იმყოფებიან სასჯელის მოხდის ადგილებში და მონყვლადობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. ამდენად გარკვეული მანკიერი მხარეების მიუხედავად, გვაქვს საფუძველი, დავასკვნათ, რომ, ზოგადად, ადამიანის უფლებების და, მათ შორის, ასევე მონყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვისადმი მიდგომა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, დახურული ინსტიტუციების ჩათვლით, უნდა იყოს დახვეწილი, მოქნილი და ეფექტიანი, ნებისმიერი მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული და ადამიანის უფლებების სფეროში არსებული სხვა ნეგატიური ფაქტორები, სავარაუდოდ, გახდა წინაპირობა იმისა, რომ საქართველოში 80-იანი წლებიდან იწყება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებათა დამცველი მოძრაობა,<sup>76</sup> რომელიც ორიენტირებულია შშმ პირთა უფლებების დაცვაზე როგორც თავისუფალ საზოგადოებაში, ისე სასჯელის მოხდის ადგილებსა და სხვა დახურულ ინსტიტუციებში. 1996 წელს უკვე არსებობდა რამდენიმე ათეული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა მიზანი იყო შშმ პირთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა. შეიძლება ითქვას, შედეგად მოჰყვა 1995 წელს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“<sup>77</sup> კანონის მიღება საქართველოს პარლამენტის მიერ. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით, მნიშ-

<sup>76</sup> იხ. იონათამიშვილი რ., შესაძლებლობათა შეზღუდვის ისტორია, თავი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დამცველი მოძრაობა საქართველოში, 2007, 12.

<sup>77</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ კანონი საქართველოში, პირველად მიღებულ იქნა 1995 წლის 14 ივნისს.

ვენელოვანი მოვლენა იყო 2014 წლის 12 აპრილიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს 2006 წლის კონვენციის ძალაში შესვლა. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის რატიფიცირება ქართული საზოგადოებისათვის გრანდიოზული ნაბიჯი იყო, მის უარყოფით მხარედ კვლავ რჩება ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირების საკითხი, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოიხატება იმით, რომ ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აძლევს საშუალებას, მიმართონ გაეროს შესაბამის კომიტეტს ინდივიდუალურ უფლებადარღვევებთან დაკავშირებით. საქართველოში მცხოვრები შშმ პირები, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში განთავსებულები, ამ უფლებით დღემდე ვერ სარგებლობენ.

კანონის მიღებამ, კონვენციის რატიფიცირებამ და კონვენციის შესახებ ფართო საინფორმაციო კამპანიამ საზოგადოებას შეზღუდული შესაძლებლობების სწორად აღქმის საშუალება მისცა. სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მოხელეებს გაუჩნდათ ვალდებულება, ეფიქრათ თანაბარი პირობების შექმნაზე და, რაც მთავარია, გადაესინჯათ ყველა საკანონმდებლო რეგულაცია. ეს არის პერიოდი, როდესაც საპატიმრო ადგილების მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ნელ-ნელა, მაგრამ მაინც, ჩნდება ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“, ასევე ჩნდება მოთხოვნები ადაპტირებული გარემოს შექმნასა და პროგრამების არსებობაზე.

შშმ პირთა ადამიანის უფლებათა კონტექსტში განხილვის მაღალი მნიშვნელობის წარმოსაჩენად, ზემოაღნიშნულ მსჯელობასთან ერთად, სხვა არაერთი განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება წარმოვადგინოთ. უფლებებში უნდა განვიხილოთ ისეთი სფეროები, როგორცაა ჯანდაცვის, განათლების მიღების, სამუშაოს ხელმისაწვდომობისა და სხვა უფლებები. ეს კი სახელმწიფოს წინაშე აყენებს ვალდებულებას შშმ პირთა მდგომარეობა განხილულ იქნეს ადამიანის უფლებათა პრიორიტეტულ სფეროდ, რამაც მინიმუმამდე უნდა შეამციროს შშმ პირების წინაშე არსებული ბარიერები, რომელთა გამოც მათ ხელი ვერ მიუწვდებათ სხვა პირებთან თანაბარ ცხოვრების

პირობებზე.

ადამიანის უფლებათა ნაწილია იმის განხილვა, რომ აღმოიფხვრას შემთხვევები, როდესაც შშმ პირები, მხოლოდ მათი შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე ხდებიან სხვადასხვა სახის ძალადობისა თუ უხეში მოპყრობის მსხვერპლი. ეს მიდგომები პრიორიტეტი უნდა გახდეს როგორც თავისუფალ საზოგადოებაში, ასევე ნებისმიერ დახურულ ინსტიტუციაში, სადაც შშმ პირი შეიძლება განთავსდეს, განსაკუთრებით ისეთ დაუცველ გარემოში, როგორცაა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. ბოლოს კი, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულებას შევხებით, ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ წინ გადადგმულ ნაბიჯებს შშმ პირთა საკითხის ადამიანის უფლებათა კონტექსტში განხილვის თვალსაზრისით. კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანახმად, ნევრ სახელმწიფოებში აშკარად შეიმჩნევა წინსვლა შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანის უფლებათა პერსპექტივით განხილვის საქმეში.<sup>78</sup> ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, მსოფლიოს 39-მა ქვეყანამ მიიღო კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის ან თანაბარი შესაძლებლობების შესახებ. ცხადია, საქართველომაც, შესაბამისად, უნდა გადადგას თანმდევი ნაბიჯები.

---

<sup>78</sup> იხ. *Quinn G. and Degener T., The current use and future potential of United Nations human rights instruments in the context of disability, 2002, 2.*

## თავი 2. ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცნება, მისი აღქმადობა და მოპყრობის თავისებურებანი

### 2.1 შეზღუდული შესაძლებლობების რაობა

რა არის შეზღუდული შესაძლებლობა და რა მახასიათებლები აქვს მას? როგორი გამოხატულება აქვს შეზღუდულ შესაძლებლობას ცხოვრებაში?

ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობა“ ნიშნავს დარღვევებით გამოწვეულ სოციალურ შედეგებს.<sup>79</sup> სპეციალისტების განმარტებით, დარღვევების მქონე ადამიანებს საზოგადოება უზღუდავს უნარებს ისეთი დამატებითი ბარიერების შექმნით, როგორიცაა: საზოგადოებრივი დამოკიდებულება და წინასწარი განწყობა, კანონთან და პოლიტიკასთან დაკავშირებული ინსტიტუციური ბარიერები, ეკონომიკური ბარიერები, ასევე დამოკიდებულება, რომელიც მათ არახელსაყრელ პირობებში აყენებს, რის გამოც შშმ პირები საზოგადოებისაგან გარიყულად გრძნობენ თავს.

ბარიერები შესაძლებელია დონეებად დავყოთ მათი დაძლევის ხარისხის ან საჭიროების ხარისხის მიხედვით. მაგალითად, განსაკუთრებულ ხელოვნურ შემაფერხებელ გარემოებებად შეიძლება განვიხილოთ გარემოებითი ბარიერები, როგორიცაა: ამა თუ იმ მომსახურების თუ ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი სხვადასხვა ობიექტის ფიზიკური ხელმისაწვდომობა, ასევე არაეფექტიანი და ზოგიერთი შშმ პირისათვის გაუგებარი ინფორმაციისა და კომუნიკაციის მიწოდების გზები და სხვ. ზემოაღნიშნული ბარიერები შშმ პირს არ აძლევს საშუალებას საზოგადოების სხვა წევრების თანაბრად მიიღოს განათლება, დასაქმდეს და განვითარდეს. მოცემული და სხვა

<sup>79</sup> იხ. სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებაზე, ნაშრომი მომზადებულია ბრიტანეთის საბჭოს პროექტის ფარგლებში (Project is implemented by British Council in Armenia, Azerbaijan, Georgia, Jordan, Lebanon and Ukraine in partnership with local organisations for people with disabilities), თბილისი, 2014, 7.

ანალოგიური ბარიერები უმეტესწილად ხდება იმის საფუძველი, რომ ეს ადამიანები ხვდებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, შესაძლებელია, ხშირად მხოლოდ იმ მიზეზით, რომ საზოგადოებაში თავის დამკვიდრების რთულ გზაზე ან უბრალოდ საარსებო მინიმუმის მისაღებად უწევთ კანონის დარღვევა, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თანაბარ გარემოში არ ცხოვრობენ. შშმ სტუდენტთა ასოციაციის<sup>80</sup> მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობა წარმოადგენს ფუნქციურ შეზღუდვას ან პიროვნების შესაძლებლობების შეზღუდვას, შეასრულოს რაიმე ქმედება. თუმცა ის იქვე განმარტავს, რომ შეზღუდვა არ ნიშნავს იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს არ შეუძლია თანაბარი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასოციაციის განმარტებით, შესაბამის პირობებსა და მხარდაჭერას შეუძლია უზრუნველყოს ყველას ჩართულობა. „მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ „შეზღუდული“ არის ზედსართავი სახელი და არა არსებითი სახელი. ადამიანი არ არის ის მდგომარეობა, რომელშიც ის იმყოფება, ამიტომაც მიზანშეწონილია გამოვიყენოთ არა ტერმინი „ინვალიდი“, არამედ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი.“<sup>81</sup>

შეზღუდულობის ტიპების მოკლე მიმოხილვისათვის წინამდებარე კვლევაში ვიყენებთ NEADS<sup>82</sup>-ისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO)<sup>83</sup> განმარტებებს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ტიპებზე:<sup>84</sup>

---

<sup>80</sup> იხ. NEDAS (National Educational Association of Disabled Students) - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა ეროვნული საგანმანათლებლო ასოციაცია, ჰუმანიტარული ორგანიზაცია, დაფუძნებულია 1986 წელს, ოტავა, ონტარიო, კანადა.

<sup>81</sup> იხ. ფუნქციონირების საერთაშორისო კლასიფიკაცია, შეზღუდული შესაძლებლობები და ჯანმრთელობა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 22 მაისი, 2001.

<sup>82</sup> იხ. NEDAS (National Educational Association of Disabled Students), <[https://www.neads.ca/en/about/projects/inclusion/guide/pwd\\_01.php](https://www.neads.ca/en/about/projects/inclusion/guide/pwd_01.php)>, [15.11.2019].

<sup>83</sup> WHO - is the authority responsible for public health within the United Nations, <<https://www.who.int/about/what-we-do>>, [15.11.2019].

<sup>84</sup> იქვე.



## **ა. ფიზიკური შეზღუდვები**

ფიზიკური შეზღუდვა არის ის, რაც მოქმედებს პირის მობილურობაზე (მოძრაობაზე) და სისწრაფეზე. ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირს გადაადგილებისთვის შესაძლებელია სჭირდებოდეს რაიმე სახის აღჭურვილობის გამოყენება. ფიზიკურად შეზღუდული ასევე არიან ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს კიდურები ან მათი სხეულის ფორმის გამო საჭიროებენ უმნიშვნელო ადაპტირებულ გარემოს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიიღონ სრულფასოვანი მონაწილეობა.<sup>85</sup>

შშმ პირთა სოციალური უზრუნველყოფის ასოციაცია (HWA),<sup>86</sup> განსაზღვრავს ფიზიკური შეზღუდულობის ორ ფორმას: ძვალ-კუნთოვან უკმარისობას, როგორცაა, მაგალითად: კიდურების დაკარგვა ან კუნთოვანი დისტროფია და სხვ. და ნეურო-კუნთოვან უკმარისობას, როგორცაა: ზურგის ტვინის ტრავმა, თავის ტრავმა, ცერებრალური დამბლა და სხვ.<sup>87</sup>

## **ბ. ინტელექტუალური და შემეცნებითი შეზღუდვა**

ინტელექტუალური ან შემეცნებითი შეზღუდვის მქონე ადამიანებს აქვთ ამოცანების ან/და ინფორმაციის მიღების დაქვეითებული შესაძლებლობა. შემეცნებით შეზღუდვას შეუძლია ადამიანს შეუზღუდოს შესაძლებლობა, მიიღოს ან/და გადასცეს ინფორმაცია. შემეცნებითმა შეზღუდულობამ შესაძლებელია გამოიწვიოს პრობლემები წერაში, კითხვაში ან, მაგალითად, მათემატიკაში. ასეთი ტიპის შეზღუდულობა და ყურადღების დეფიციტი ვლინდება 3%-დან 10%-მდე ადამიანებში. პირები ამ შეზღუდულობით ხშირად არიან ნიჭიერები, შემოქმედებითები და პროდუქტიულები.<sup>88</sup>

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით კი ინტელე-

---

<sup>85</sup> იხ. NEDAS (National Educational Association of Disabled Students), <[https://www.neads.ca/en/about/projects/inclusion/guide/pwd\\_01.php](https://www.neads.ca/en/about/projects/inclusion/guide/pwd_01.php)>, [15.11.2019].

<sup>86</sup> HWA /Handicaps Welfare Association <<https://hwa.org.sg/>>, [15.11.2019].

<sup>87</sup> იხ. იქვე, <<https://hwa.org.sg/general-information-on-physical-disabilities/>>, [15.11.2019].

<sup>88</sup> იხ. NEDAS (National Educational Association of Disabled Students), <[https://www.neads.ca/en/about/projects/inclusion/guide/pwd\\_01.php](https://www.neads.ca/en/about/projects/inclusion/guide/pwd_01.php)>, [15.11.2019].

ქტუალური შეზღუდული შესაძლებლობა განმარტებულია, როგორც ახალი ან რთული ინფორმაციის გაგების, ახალი უნარების სწავლისა და გამოყენების (დაქვეითებული ინტელექტი) მნიშვნელოვნად შემცირებული უნარი. რაც ინვესს დამოუკიდებლად გამკლავების შემცირებულ უნარს (დაქვეითებული სოციალური ფუნქციონირება), ინყება სრულწლოვანებამდე და დიდ გავლენას ახდენს განვითარებაზე.<sup>89</sup>

### **გ. ფსიქიკური შეზღუდვა**

ფსიქიკურ შეზღუდულ შესაძლებლობას ნაშრომი არ განიხილავს, თუმცა იძლევა მის მოკლე განმარტებას იმის გათვალისწინებით, რომ მან შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს პირის ფიზიკურ მდგომარეობაზეც. სპეციალისტების განმარტებით ფსიქიკური შეზღუდვა (მენტალური დაავადება) შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ ასაკში და ხშირად შესაძლებელია სხვა ადამიანებისთვის შეუმჩნეველი დარჩეს. ფსიქიკური შეზღუდვის შემთხვევაში შეიძლება ადამიანების დამოკიდებულება ეყრდნობოდეს მითებსა და ცრურწმენებს (მაგ., შიზოფრენია პოტენციურად არის ძალადობრივი).<sup>90</sup>

მენტალური დაავადება შეიძლება მოიცავდეს პირობებს, დაკავშირებულს სტრესთან, დეპრესიასთან, ასევე ღრმა დეპრესიასთან ბიპოლარული აშლილობით (ადრე ინოდებოდა მანიაკალურ დეპრესიულ ფსიქოზად), შფოთვასა და შიზოფრენიასთან. დეპრესია არის ყველაზე გავრცელებული არაფსიქოზური ფსიქიკური დაავადება (ფსიქოზი არის აშლილობა, რომელიც გულისხმობს რეალობასთან კავშირის დაკარგვას).<sup>91</sup>

### **დ. მხედველობითი დარღვევა**

უსინათლო ადამიანების მხოლოდ 5% ვერ ხედავს ვერაფერს.

<sup>89</sup> იხ. World Health Organisation (WHO) regional office in Europe <<http://www.euro.who.int/en/health-topics/noncommunicable-diseases/mental-health/news/news/2010/15/childrens-right-to-family-life/definition-intellectual-disability>>, [20.09.2019].

<sup>90</sup> იხ. NEDAS (National Educational Association of Disabled Students), <[https://www.neads.ca/en/about/projects/inclusion/guide/pwd\\_01.php](https://www.neads.ca/en/about/projects/inclusion/guide/pwd_01.php)>, [15.11.2019].

<sup>91</sup> იხ. WHO <<https://www.who.int/about/what-we-do>>, [15.11.2019].

მხედველობითი დარღვევა შესაძლებელია გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით, მათ შორის, უბედური შემთხვევით და სხვა არათანდაყოლილი დაავადებებით. აქ განსხვავებაა იმ ადამიანების საჭიროებებში, რომლებსაც დარღვეული აქვთ მხედველობა და, რომლებიც არიან ტოტალურად უსინათლოები.<sup>92</sup>

### **ე. სმენითი დარღვევა**

სიყრუე და სმენის დაკარგვა შესაძლებელია გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით, მათ შორის, ფიზიკური დაზიანებით, ავადმყოფობით, ორსულობით ან ძალიან ძლიერი ხმაურის ზემოქმედებით. არსებობს ბევრი განსხვავება ყრუებსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც აქვთ სმენის დაქვეითება, შესაბამისად, მათი საჭიროებებიც მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.<sup>93</sup>

### **ვ. ნევროლოგიური შეზღუდვა**

ნევროლოგიური შეზღუდვა ასოცირდება ნერვული სისტემის დაზიანებასთან, რისი შედეგიც არის გარკვეული ფიზიკური და ფსიქიკური ფუნქციის დაკარგვა. ნევროლოგიურმა შეზღუდვამ შესაძლებელია გავლენა იქონიოს პირის გადაადგილების ან გრძნობების გამოხატვის უნარებზე.<sup>94</sup>

---

<sup>92</sup> იხ. NEDAS (National Educational Association of Disabled Students), <[https://www.neads.ca/en/about/projects/inclusion/guide/pwd\\_01.php](https://www.neads.ca/en/about/projects/inclusion/guide/pwd_01.php)>, [15.11.2019].

<sup>93</sup> იქვე.

<sup>94</sup> იქვე.

## 2.2 შეზღუდული შესაძლებლობების აღქმადობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში

მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობის თანასწორობის ზემოქმედების შეფასება,<sup>95</sup> რომელიც შემუშავებულია იმისთვის, რომ არ იქნეს დაშვებული ამა თუ იმ ჯგუფის დისკრიმინაცია და გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი შესაძლებლობა თანასწორობის უზრუნველსაყოფად. შეფასება მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, სადაც გამონაკლისს არ წარმოადგენს სასჯელის მოხდის ადგილები.

საერთაშორისო სტანდარტები და განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა სასჯელალსრულების ადგილებში განთავსებულ პატიმართა შორის ადგენს განსაკუთრებულ კატეგორიებს/მონწყვლად ჯგუფებს ისეთი საფუძვლით, როგორიცაა: სქესი, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვ. ამ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრები წარმოადგენენ განსაკუთრებით მონწყვლად ჯგუფს. აღნიშნულის მიუხედავად, სასჯელის მოხდის ადგილებში შშმ პირთა მდგომარეობა, მათთან მოპყრობა და განსაკუთრებული საჭიროებები დღემდე არც თუ ისე ხშირად ყოფილა კვლევის საგანი, განსხვავებით სხვა ჯგუფებისაგან, რომლებზეც არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმართა რაოდენობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები არ არის მაღალი, რამდენიმე კვლევით გამოვლინდა, რომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, პატიმართა რაოდენო-

---

<sup>95</sup> შეზღუდული შესაძლებლობის თანასწორობის ზემოქმედების შეფასება არის შშმ პირთა თანასწორობასთან დაკავშირებით არსებული ან შემოთავაზებული პოლიტიკისა და პრაქტიკის შეფასების პროცესი, რომელიც უკავშირდება ასეთი პოლიტიკითა და პრაქტიკით გამოწვეულ შედეგებს. იგი მოიცავს შესაძლო პოზიტიური ზემოქმედების ძიებას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს, ან რომელიც შეიძლება უკეთესად იქნეს გამოყენებული, ასევე ფაქტობრივი ან პოტენციური ნეგატიური ზემოქმედების აღმოჩენას.

ბის ზრდასთან ერთად, იზრდება შშმ პატიმართა რაოდენობაც.<sup>96</sup>

ის სირთულეები, რომლებსაც შშმ პირები აწყდებიან საზოგადოებაში, კიდევ უფრო გამძაფრებულია ციხის პირობებში. „სასჯელალსრულების დანესებულებაში მოხვედრა ყველასთვის მძიმეა, მაგრამ შშმ პირებისთვის ის განსაკუთრებული სიმძიმით გამოირჩევა.“<sup>97</sup> სასჯელის მოხდის პირობების განსაკუთრებულად უარყოფითი ზეგავლენის არაერთი გამომწვევი ფაქტორი არსებობს, როგორცაა: დახურული და მკაცრი გარემო, ციხის გადატვირთულობა და ხშირად ამ მიზეზით განპირობებული ძალადობრივი გარემო, პატიმრების შესაფერისი კატეგორიზაციის არქონა, ზედამხედველობის ნაკლებობა და სხვ., ეს კი რთულ პირობებში აყენებს როგორც შშმ პატიმარს, ისე მასთან ერთად განთავსებულ სხვა პირებს. თუ ზემოაღნიშნულ ფაქტორებს განვიხილავთ, ვნახავთ, რა შედეგებამდე მივყავართ მათ. მაგალითად, ციხის გადატვირთულობა შშმ პირთა უგულვებლყოფის, ფსიქოლოგიური სტრესისა და შესაფერისი სამედიცინო მომსახურების არარსებობის პირობებში, რაც ხშირად ახასიათებს გადატვირთულ ციხეებს, აჩქარებს შეზღუდული შესაძლებლობის განვითარების პროცესს და მნიშვნელოვნად ამძიმებს შშმ პირთა როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ მდგომარეობას.

შშმ პირთა უფლებათა დაცვის კომიტეტი განმარტავს, რომ შშმ პირებს უნდა ჰქონდეთ სხვა დაკავებულ პირებთან თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ შენობებთან, რომლებშიც მდებარეობს სამართალდამცავი (სხვადასხვა სააგენტოები) და სასამართლო ორგანოები. მოცემულმა სტრუქტურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი მომსახურება მოიცავდეს ინფორმაციას და კომუნიკაციის საშუალებებს შშმ პირებისათვის გასაგები ფორმით, იმისათვის, რომ მათ შეძლონ

<sup>96</sup> იხ. *Atabay T.*, Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 44.

<sup>97</sup> შშმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლეს-ტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

და გაუადვილდეთ მოცემულ სტრუქტურებთან კომუნიკაცია და მათგან დახმარების მიღება.<sup>98</sup>

ექსპერტთა განმარტებით, არათანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ სრული ინფორმაციის მინოდებით, კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციით ან/და დახმარებით. ასეთმა დახმარებამ და სათანადო მხარდაჭერამ შეიძლება უზრუნველყოს, რომ შშმ პირებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი მართლმსაჯულების განხორციელებაზე. საქართველოში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მაგალითად, სასამართლოებში შშმ პირებს არ გააჩნიათ ელემენტარულ ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა. კერძოდ, „ყველა სასამართლოს შენობისათვის გამოწვევას წარმოადგენს საინფორმაციო დაფების, საინფორმაციო ნიშნების, გზამკლევით ნიშანდებებისა და ტაქტილური რუკების არარსებობა.“<sup>99</sup> აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარეობს დაცვის საჭიროებები როგორც სისხლის სამართლის საქმისწარმოების დროს, ასევე მის შემდეგ. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პირს მიესაჯა საპატიმრო სასჯელი. აქ სასამართლო ორგანოები უნდა ხედავდნენ იმ განსაკუთრებულ სირთულეს, დაცვის საჭიროებებს და მალაღრიისკს, რაც პირს ელოდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. შშმ პატიმარი ადვილად ხდება სხვა პატიმრებისა და ციხის თანამშრომლების მხრიდან შეურაცხყოფისა და ძალადობის სამიზნე. მაგალითად, „ციხის რეჟიმის თანამშრომლებმა შესაძლოა პატიმრებს ჩამოართვან ეტლები, ყავარჯნები, ორთოპედიული კორსეტები, სმენის აპარატები, სათვალეები და წამლები.“<sup>100</sup>

<sup>98</sup> იხ. Committee on the Rights of Persons with Disabilities, Guidelines on article 14 of the Convention on the Rights of Persons with Disabilities, The right to liberty and security of persons with disabilities, Adopted during the Committee's 14th session, held in September 2015, 7.

<sup>99</sup> იხ. ნადირაძე კ., არგანაშვილი ა., აბაშიძე ა., გოჩიაშვილი ნ., ლორდიჯ., სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, 2019, 13.

<sup>100</sup> იხ. Russell M. and Stewart J., Disablement, Prison and Historical Segregation, An Independent Socialist Magazine, Monthly Review, Jul 01, 2001, <<https://monthlyreview.org/2001/07/01/disablement-prison-and-historical-segregation>>, [15.11.2019].

შშმ პატიმართა ყოფით პირობებს ართულებს არა მხოლოდ გამიზნული ქმედება, რომ მოახდინონ ამა თუ იმ პირის დისკრიმინაცია, არამედ უმოქმედობა ან/და უყურადღებობა. შესაძლოა მოხდეს იმ პატიმრების უგულებელყოფა, რომელთაც სჭირდებათ დახმარება ყოველდღიურ აქტივობებში, როგორცაა: კვება, ჩაცმა და ბანაობა. ისინი შესაძლოა დარჩნენ მშვიერი ან იძულებული იყვნენ ტანსაცმელში მოშარდონ, რადგან არ არსებობს პირი, ვინც მათ დაეხმარება.<sup>101</sup>

ძირითადი დაბრკოლება, რომელიც შშმ პირს შეიძლება შეხვდეს, ეს არის დისკრიმინაციის მაღალი ალბათობა, რადგანაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები ცხოვრებაში შესაძლოა პირდაპირ ან ირიბად დაექვემდებარონ დისკრიმინაციას. შშმ პირების მდგომარეობიდან გამომდინარე დისკრიმინაციის რისკი კიდევ უფრო მაღალია, თუ იგი მოხვდება სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ცხოვრების ჩვეული რიტმისაგან განსხვავებულ გარემოში და უცხო პირების გარემოცვაში.

ექსპერტები განმარტავენ არაერთ გარემოებას, როდესაც შშმ პირები ციხეში აღმოჩნდნენ დისკრიმინაციულ გარემოში. ეს გარემოებები მათი აზრით შეიძლება გამოიხატებოდეს მომსახურების არახელმისაწვდომობით, ციხეში სხვა პატიმრებისათვის არსებულ აქტივობებში მონაწილეობის შეუძლებლობით, როდესაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის არ იქმნება სპეციფიკური პირობები. ასეთია არქიტექტურული ბარიერები, რის გამოც, მობილურობის შეზღუდვის მქონე პატიმრებმა შესაძლოა დამოუკიდებლად ვერ შეძლონ სასადილოში, ბიბლიოთეკაში, სანიტარულ ოთახებში, სამუშაოზე, დასვენებისა და შეხვედრის ოთახებში შესვლა. გარდა აღნიშნულისა ასევე უნდა განვიხილოთ სხვა ფიზიკური ბარიერები, მაგალითად როდესაც მხედველობითი შეზღუდვების მქონე პატიმრები დახმარების გარეშე ვერ გაეცნობიან საკუთარ ნერილებს ან ციხის წესებსა და რეგულაციებს, თუ ის ბრაილის შრიფტით არ

<sup>101</sup> იხ. *Russell M. and Stewart J.*, *Disablement, Prison and Historical Segregation*, *An Independent Socialist Magazine, Monthly Review*, Jul 01, 2001, <<https://monthlyreview.org/2001/07/01/disablement-prison-and-historical-segregation>>, [15.11.2019].

იქნება მათთვის მიწოდებული, რაც გარდა ფიზიკური ხელმისაწვდომობის პრობლემისა რისკის წინაშე აყენებს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. აქვე განათლების უფლების დარღვევა შეიძლება გახდეს ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, როდესაც ისინი ვერ გამოიყენებენ ბიბლიოთეკას, თუ დაბეჭდილი მასალა ან წიგნები არ არის ხელმისაწვდომი ბრაილის შრიფტით. სმენის ან მეტყველების შეზღუდვის მქონე პაციმრებს შესაძლოა უარი ეთქვას თარჯიმნის უზრუნველყოფაზე, რაც შეუძლებელს გახდის მათ მონაწილეობას ციხის მთელ რიგ აქტივობებში, მათ შორის, სარეაბილიტაციო პროგრამებში, ასევე ვადაზე ადრე გათავისუფლების ან დისციპლინური ღონისძიების შესახებ მოსმენაში.<sup>102</sup>

ექსპერტების აზრით არსებულ პრობლემებს გარდა ტექნიკური ბარიერებისა და საჭიროებებისა, ემატება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაბრკოლება, როგორცაა მდგომარეობასთან დაკავშირებული, სპეციფიკური სამედიცინო საჭიროებები, რაც ამ ადამიანებს სიცოცხლის ფასად შეიძლება დაუფჯდეთ. მაგალითად, ფიზიოთერაპია, მხედველობისა და სმენის რეგულარული შემოწმება და ოკუპაციური თერაპია, რომელთა უზრუნველყოფაც ციხის პირობებში შესაძლოა რთული ან/და შეუძლებელიც იყოს. სპეციფიკურ საჭიროებებზე შეგვიძლია განვიხილოთ ისეთი ხელსაწყოები თუ მომსახურება, როგორცაა: სმენის აპარატები, ეტლები, ხელჯოხები და ორთოპედიული მოწყობილობები, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ისარგებლონ საკუთარი უფლებებით.<sup>103</sup> წაიკითხონ და აღიქვან ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ციხის ყოველდღიურ ცხოვრებასა და უსაფრთხოებას, გადაადგილდნენ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობებში, აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახონ შესაბამისი პერსონალი და ა. შ.

<sup>102</sup> იხ. *Russell M. and Stewart J.*, *Disablement, Prison and Historical Segregation*, *An Independent Socialist Magazine, Monthly Review*, Jul 01, 2001, <<https://monthlyreview.org/2001/07/01/disablement-prison-and-historical-segregation>>, [15.11.2019].

<sup>103</sup> იქვე.



მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში არ განიხილება ფსიქიკური შეზღუდულობის მქონე პატიმართა მდგომარეობა, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ შშმ პატიმარს, თავისი მდგომარეობისა და ამას დამატებული პატიმრობითა და საპატიმრო ადგილებში არსებული პირობებით გამოწვეული სტრესის გამო, ესაჭიროება სხვადასხვა ფორმის ფსიქიკური ჯანდაცვა. მაგალითად, ასეთი დახმარება შესაძლოა დასჭირდეთ სენსორული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, რასაც, როგორც წესი, თან ახლავს იზოლირება, მით უფრო ციხეში, სადაც ასეთი პირების განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინება იშვიათად ხდება და ისინი შესაძლოა გახდნენ ფსიქოლოგიური შეურაცხყოფისა და დაცინვის ობიექტი.<sup>104</sup> მსგავსი პრობლემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ კომუნიკაციის პრობლემის მქონე პატიმრები, თუ მათ არ ექნებათ წვდომა ფსიქიკურ ჯანდაცვასა და სარეაბილიტაციო პროგრამებზე. ფსიქიკური მომსახურება ხშირად შეიძლება დასჭირდეთ ასევე პატიმრებს, რომელთაც აქვთ სმენის ან მეტყველების პრობლემა. ეს მათ უზღუდავს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა თუ უბრალოდ კომუნიკაციას, რაც თავისთავად ძლიერ სტერესულ გარემოს ქმნის. ასევე შეიძლება ჩამოითვალოს სხვა მსგავსი პრობლემების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რაც შშმ პატიმართა რთულ მდგომარეობას სასჯელის მოხდის ადგილებში კიდევ უფრო ამძიმებს.

შშმ პირებს შორის ასევე ვხვდებით განსაკუთრებული საჭიროების მქონე კატეგორიას, რომლებიც, სხვა შშმ პირებისაგან განსხვავებით, დაცვისა და უსაფრთხოების დამატებით მექანიზმებს საჭიროებენ, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ ყოფას ციხეში. რიგი ასეთი მონყვლადი ჯგუფები განხილულია წინამდებარე ნაშრომში, როგორიცაა უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრები, ეთნიკური და რასობრივი უმცირესობის წარმომადგენლები, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი პატიმრები, რომლებიც ციხის გარემოში

<sup>104</sup> იხ. *Russell M. and Stewart J.*, *Disablement, Prison and Historical Segregation*, *An Independent Socialist Magazine, Monthly Review*, Jul 01, 2001, <<https://monthlyreview.org/2001/07/01/disablement-prison-and-historical-segregation>>, [15.11.2019].

ინტენსიური დისკრიმინაციის, შეურაცხყოფის, სექსუალური და სხვა ფორმის ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან.

შშმ პირებისთვის ციხის გარემოში არსებულ შეუსაბამო პირობებზე მსჯელობას არაერთ ნაშრომსა თუ ანგარიშში ვხვდებით, რომლებშიც საუბარია იმაზე, რომ შშმ პატიმრები ხშირად ხვდებიან მნიშვნელოვნად არახელსაყრელ პირობებში ციხის გარემოს შეუსაბამო არქიტექტურისა და გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ნაკლებობის გამო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთია, ვისაუბროთ არსებულ მდგომარეობაზე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე შედეგები, რომლებსაც ამ ადამიანების მიმართ თითქმის ყველა ფუნდამენტური უფლების დარღვევამდე მიყვავართ. შშმ პატიმრები ხშირად აწყდებიან დაბრკოლებებს, რათა შეინარჩუნონ საკუთარი ღირსება, იყვნენ დამოუკიდებელი და თავად გაუძღვნენ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებას ჰიგიენის, კვებისა და გადაადგილების თვალსაზრისით და სხვებთან თანაბარ პირობებში მიიღონ მონაწილეობა ციხის ცხოვრებაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ შშმ პატიმრისთვის გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმა წარმოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.<sup>105</sup>

თუმცა სანამ გავანალიზებდეთ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შშმ პირთა ყოფნასა და მათთან მოპყრობას, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ შეზღუდული შესაძლებლობების რაობა. მნიშვნელოვანია ყველა მოქალაქემ, განსაკუთრებით კი, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულმა პირებმა, რომელთაც, თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, შეხება აქვთ შშმ პირებთან, იცოდნენ რას ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობა, რას მოიაზრებს მათთვის

---

<sup>105</sup> *CASE OF D.G. v. POLAND* (Application no. 45705/07), 12 February 2013 სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას განმცხადებლის პატიმრობის მატერიალურ პირობებთან მიმართებით, მისი სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით და აღნიშნა, რომ საკმარისი ძალისხმევა არ იქნა განეული იმისათვის, რომ მისი განსაკუთრებული საჭიროებები დაკმაყოფილებულიყო, რაც სერიოზული საკითხია კონვენციის მიზნებისთვის.

სხვა ადამიანებთან თანაბარი პირობების შექმნა.

როგორც არ უნდა ავარიდოთ თავი ზოგად მიდგომებს, შეუძლებელია საუბარი მხოლოდ სასჯელის მოხდის ადგილებში მყოფ შშმ პირებზე, საზოგადოების სხვა ნაწილისაგან მონყვევით. სასჯელის მოხდის ადგილებში მოხვედრამდე ეს ადამიანები ცხოვრობდნენ სხვა ადამიანებთან ერთად, სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთქმედებაში და სწორედ მათი უმოქმედობა ან არაპროფესიონალიზმი იწვევს იმას, რომ განსახილველი ხდება სასჯელის მოხდის ადგილებში მოხვედრილ პირთა მდგომარეობა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების რაობის ცოდნას და მისი იდენტიფიცირების მოქნილი მექანიზმების არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის მოხდის ადგილებში. ადმინისტრაციისა და პერსონალის დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ, ადეკვატური საცხოვრებელი პირობებისა და ყველა მომსახურების ხელმისაწვდომობა, სხვა პატიმრების თანაბრად, დამოკიდებულია დანესებულებაში მიღების დროს შშმ პირის მდგომარეობის იდენტიფიცირებასა და პერსონალის ცოდნაზე. შშმ პატიმართა უფლებების დარღვევისა და დისკრიმინაციის მაღალი რისკის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პერსონალის ცოდნა ეფუძნება დადგენილ სტანდარტებს და არა მათ ინტერპრეტაციას ან ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

**პარი II. საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული  
კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე  
პირებთან მიმართებით**

**თავი 1. საერთაშორისო სტანდარტები შეზღუდული  
შესაძლებლობების მქონე პირებთან მიმართებით  
– მიმოხილვა და მისი შესაბამისობა ეროვნულ  
პრაქტიკასთან**

შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენცია (შემდგომში - კონვენცია) არის შშმ პირთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი იმ ქვეყნებში, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიკაცია ან ემზადებიან ამ ნაბიჯის გადასადგმელად. კონვენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2006 წელს მიიღო. იგი ადგენს შშმ პირთა უფლებების დაცვის სტანდარტებს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

კონვენცია პირდაპირ არ ასახავს კანონთან კონფლიქტში მყოფ შშმ პირებთან დაკავშირებულ თავისებურებებსა და მათთან მოპყრობას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. თუმცა, კვლევის ფარგლებში, კონვენციის განხილვა ეფუძნება მის როლს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ასევე გავრცელების არეალს, რომელიც, შესაბამისად, ყველა შშმ პირზე ვრცელდება, მათ შორის, მათზე, რომლებიც იმყოფებიან სასჯელის მოხდის ადგილებში ან ნებისმიერი სახის დახურულ ინსტიტუტებში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კონვენცია პირველი დოკუმენტია, რომელმაც საერთაშორისო საზოგადოებას მისცა შშმ პირის უნივერსალური განმარტება. იგი ეფუძნება კონვენციის ისეთ მთავარ პრინციპებს, როგორიცაა: ადამიანის თანდაყოლილი ღირსებისა და მისი ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა, საკუთარი არჩევანის გაკეთების უფლება, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, პიროვნების დამოუკიდებლობა და სხვ. „შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებასთან შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში.<sup>106</sup>

განმარტება მთავარ აქცენტს აკეთებს იმ შეზღუდვებზე, რომელთა არსებობამ, სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებისას, შეიძლება ხელი შეუშალოს შშმ პირებს, მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და ეფექტიანი მონაწილეობა სხვების თანასწორად. განმარტებაში ხაზგასმულია, რომ შშმ პირები არ არიან რაიმე ნიშნით გამორჩეული ან განსხვავებული სხვებისგან, იმათგან, რომლებსაც შესაძლებელია ასეთი ტიპის შეზღუდვა არ ჰქონდეთ ან ჰქონდეთ ცხოვრების კონკრეტულ პერიოდში. განმარტება საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა, თუმცა, კონვენციის პრეამბულის თანახმად, „შეზღუდული შესაძლებლობა“ განვითარებადი კონცეფციაა და საერთაშორისო საზოგადოების მიდგომა შეზღუდული შესაძლებლობის ცნებისადმი უნდა იყოს დინამიკური და განვითარებადი დროში.

რაც შეეხება შშმ პირთა ცნებას, მას ვხვდებით არა მხოლოდ კონვენციაში, არამედ სხვადასხვა დოკუმენტში, რომლებიც, შეიძლება ითქვას, რომ კონვენციის მიღებამდე არსებობდნენ და, მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე, გარკვეულ მიდგომებს აყალიბებდნენ. ფუნქციონირების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ICF) შეზღუდული შესაძლებლობის დადგენისას „შესაძლებლობის შეზღუდვას“ არ განიხილავს მხოლოდ „სამედიცინო“ ან „ბიოლოგიურ“ დისფუნქციად, არამედ ითვალისწინებს შესაძლო გამომწვევ სოციალურ ასპექტებსაც. მიიჩნევს რა, რომ „შეზღუდული შესაძლებლობა არ არის პიროვნების ატრიბუტი, არამედ ეს არის პირობების კომპლექსური ნაკრები, რომლებიც ქმნიან სოციალურ

<sup>106</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მუხლი 1, 2006 წლის 13 დეკემბერი.

გარემოს“<sup>107</sup> აღნიშნული შეიძლება მივიჩნიოთ ჯანმრთელობისა და შეზღუდული შესაძლებლობის ერთ-ერთ უნივერსალურ საზომად. მოცემული განმარტება ასევე შესაძლებელია სახელმძღვანელო პრინციპად მივიღოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში და განსაკუთრებით სასჯელის მოხდის ადგილებში, სადაც შეზღუდულ შესაძლებლობებს ავადმყოფობად მიიჩნევენ და, შესაბამისად, პრობლემას წყვეტენ შშმ პატიმართა მოთავსებით სამედიცინო განყოფილებაში/დანესებულებაში.

კონვენციის განხილვისას საყურადღებოა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტის (შემდგომში - კომიტეტი) განმარტებები კონვენციის სხვადასხვა მუხლთან მიმართებით. სასჯელის მოხდის ან ნებისმიერი დაკავების ან/და თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში შშმ პირთა განთავსების შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონვენციის მოთხოვნათა დაცვას, კერძოდ, როგორცაა: პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება,<sup>108</sup> თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა<sup>109</sup> და სხვ.

კომიტეტი კონვენციის მე-14 მუხლს განიხილავს, როგორც დისკრიმინაციის დაუშვებლობის დებულებას.<sup>110</sup> იგი აკონკრეტებს პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების მასშტაბებს შშმ პირებთან მიმართებით და კრძალავს შეზღუდულ შესაძლებლობაზე დაფუძნებულ ყველა სახის დისკრიმინაციას ყველა სფეროში, განურჩევლად იმისა, ეს ეხება მათ ყოფას საზოგადოებრივ ცხოვრებაში თუ დახურულ ინსტიტუციებში, მათ შორის, სასჯელის

<sup>107</sup> იხ. International classification of functioning disability and health (ICF), world health organization, Publication, 22 May, 2001, 20.

<sup>108</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მუხლი 14, 2006 წლის 13 დეკემბერი.

<sup>109</sup> იქვე, მუხლი 5.

<sup>110</sup> იხ. Committee on the Rights of Persons with Disabilities, Guidelines on article 14 of the Convention on the Rights of Persons with Disabilities, The right to liberty and security of persons with disabilities, Adopted during the Committee's 14th session, held in September 2015, 1.

მოხდის ადგილებში. შესაბამისად, „მე-14 მუხლი პირდაპირ უკავშირდება კონვენციის მიზანს – ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა თანაბარი რეალიზება და მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემა.“<sup>111</sup>

კვლევის ფარგლებში ყურადღების გამახვილება თავისუფლები-სა და უსაფრთხოების უფლებაზე, ასევე დისკრიმინაციის აკრძალვაზე განპირობებულია იმით, რომ სასჯელის მოხდის ადგილებში განთავსებულ პირებს ეზღუდებათ თავისუფლება, რაც მათი მხრიდან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შეუქცევადი პროცესია. ჩემი აზრით, სწორედ თავისუფლების აღკვეთის დანესებულებებში, მათი დაუცველობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე არიან შშმ პირები დისკრიმინაციის მაღალი რისკის ქვეშ. ასეთ შემთხვევაში უსაფრთხოება არის მათი უმთავრესი უფლება, რაც უზრუნველყოფს შშმ პირთა დაცვას ყოველგვარი უარყოფითი ზემოქმედებისაგან.

კომიტეტი კონვენციის მე-5 მუხლს ასევე განიხილავს, როგორც დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და თანასწორუფლებიანობის გარანტს, სადაც იგი განმარტავს, რომ „კანონის წინაშე და მის თანახმად ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია და ყველას ერთნაირად, დისკრიმინაციის გარეშე, აქვს უფლება, დაცული იყოს და ისარგებლოს კანონით“.<sup>112</sup> ასევე კომიტეტის განმარტებით, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი წარმოადგენს ნორმას, რომელიც კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული დისკრიმინაციის ყველა ფორმას და უზრუნველყოფს შშმ პირთა თანაბარ და ეფექტიან იურიდიულ დაცვას ყოველგვარი დისკრიმინაციისგან.

კონვენციის რეგულირების სფეროდან კიდევ ერთი ასპექტი, რომელსაც კვლევაში მოკლედ, მაგრამ მაინც ეთმობა ადგილი, არის მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობა. კონვენცია კრძა-

<sup>111</sup> იხ. Committee on the Rights of Persons with Disabilities, Guidelines on article 14 of the Convention on the Rights of Persons with Disabilities, The right to liberty and security of persons with disabilities, Adopted during the Committee's 14th session, held in September 2015, 1.

<sup>112</sup> იქვე.

ლავს ნებისმიერი სახის შეზღუდვაზე დაფუძნებულ დისკრიმინაციულ მიდგომას და ადგენს ვალდებულებას სახელმწიფოების მიმართ, რომ ისინი „...უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვების თანაბრად, მისგან ეფექტიანი იურიდიული დაცვით“.<sup>113</sup>

მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობა, მოცემულ შემთხვევაში, განხილულია როგორც შშმ პირის სასჯელის მოხდის ადგილებში მოხვედრის წინაპირობა, რომელიც ასევე ხშირ შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სასჯელის მოხდის პროცესშიც. კონვენციის მე-13 მუხლი განიხილავს „მართლმსაჯულების ეფექტიან ხელმისაწვდომობას სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, მათ შორის, პროცედურული და ასაკთან შესაბამისი პირობების შექმნით, ყველა სამართალწარმოებაში, გამოძიებისა და სხვა წინასწარი სტადიის ჩათვლით“.<sup>114</sup>

მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს შორის შშმ პირთა უფლებათა კონვენცია ყურადღებას ამახვილებს რესურსების ხელმისაწვდომობაზე და განმარტავს, რომ ასეთი ხელმისაწვდომობის არქონის შემთხვევაში, შესაძლოა უფრო გამწვავდეს შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება. კონვენცია ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ შშმ პირები, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხშირად იღებენ მწირ, უფასო ან დაბალფასიან იურიდიულ მომსახურებას, რაც თავისთავად განაპირობებს იმ შედეგებს, რომ შშმ პირებს არ აქვთ ან მცირედი შესაძლებლობა გააჩნიათ წარმომადგენლებს შორის გააკეთონ არჩევანი, რაც შესაბამისად მათთვის სამართლებრივ სისტემას ნაკლებად გასაგებსა და ხელმისაწვდომს ხდის. კონვენცია ნევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ „კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღიარებულ იქნეს პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია კომპეტენტური იურიდიული მომსახურების

<sup>113</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მუხლი 5, პუნქტი 2, 2006 წლის 13 დეკემბერი.

<sup>114</sup> იქვე.



ფინანსურ და ფიზიკურ ხელმისაწვდომობასთან<sup>115</sup>.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპოდენტები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობასთან მიმართებით ყურადღებას უთმობენ, საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნულ კანონმდებლობას შორის არსებულ შეუსაბამობას. მათი ხედვით ეს რისკის წინაშე აყენებს კანონთან კონფლიქტში მყოფ შშმ პირთა მდგომარეობას. ისინი ასევე განიხილავენ საქართველოში კონვენციის მოთხოვნების შესრულების საკითხებს და სახელმწიფოს ვალდებულებას, საუბრობენ ამ საკითხის მიმართ სახელმწიფოს მიდგომებზე: „რადგან კანონმდებლობა არ ადგენს სახელმწიფოს პირდაპირ ვალდებულებას, შექმნას პირობები შშმ პირებისათვის, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე სასჯელის მოხდის ადგილებში, ამდენად სახელმწიფო პასიურ როლშია“.<sup>116</sup> ჩატარებული კვლევა განიხილავს და აფასებს შშმ პირთათვის სასამართლოს ფიზიკურ ხელმისაწვდომობას საქართველოში და განმარტავს, რომ „სასამართლო შენობების პანდუსების თითქმის სრული უმრავლესობა, ასევე შიდა და გარე კიბეები არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს.“<sup>117</sup> ასევე აღსანიშნავია ე. წ. მოჩვენებითი ადაპტირება, როდესაც სასამართლოს შესასვლელი შესაძლებელია იყოს ადაპტირებული, თუმცა სასამართლო შენობების უმრავლესობაში სართულები ერთმანეთს არ უკავშირდება მისაწვდომი ლიფტით ან მობილობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის გადაადგილების სხვა საშუალებებით.<sup>118</sup>

<sup>115</sup> იხ. *Larson D. A., An Emerging Strategy, Access to Justice for Persons with Disabilities: School of Law, May 27, 2014, 224-225.*

<sup>116</sup> შშმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლეს-ტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

<sup>117</sup> იხ. *ნადირაძე კ., არგანაშვილი ა., აბაშიძე ა., გოჩიაშვილი ნ., ლორდი ჯ., სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, 2019, 13.*

<sup>118</sup> იქვე.

გარდა სასამართლოს ფიზიკური ხელმისაწვდომობისა, რესპოდენტები განიხილავენ სხვა შემაფერხებელ ფაქტორებსაც, რომელთაც შშმ პირი, ფაქტობრივად, სასჯელის მოხდის ადგილამდე მიჰყავს და რომელიც სწორედ საერთაშორისო სტანდარტების შესრულების სისუსტეზე მიუთითებს. სასამართლო პროცესის თანაბარ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ადაპტირებული გარემოს გარდა, ერთ-ერთ ასეთ მტკივნეულ საკითხად რესპოდენტი ასახელებს დამცველის არჩევის შეზღუდულობას. კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ საადვოკატო ოფისები ხელმისაწვდომი არ არის ფიზიკურად შშმ პირისათვის, მაგალითად, ეტლით მოსარგებლისთვის, ასევე სმენადა მხედველობადაქვეითებული პირებისათვის და, აქედან გამომდინარე, მათ, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციები უწევენ დახმარებას. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია შშმ პირს არ უნდოდეს თემმა იცოდეს მისი პრობლემების შესახებ, ის იძულებულია დათანხმდეს დაცვას ამ ფორმით, რადგანაც, სხვა ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა არ აქვს.<sup>119</sup> წარმოჩენილი პრობლემა სცილდება მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის საკითხს და მას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევასთან მიყვავართ.

თუმცა, თუ თვალს მივადევნებთ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარებს, ვნახავთ განსხვავებულ მიდგომებს. ყოველი მათგანი ცალსახად აღიარებს სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ბრალდებულის (განსასჯელის) აქტიურ მონაწილეობას თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, რომელშიც მოაზრებულია მათი შესაძლებლობა, წარადგინონ მტკიცებულებები, გამოთქვან მოსაზრებები, დაიცვან თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ავტორები სწორედ ასეთ მიდგომას მოიაზრებენ, როგორც მნიშვნელოვან გარანტიას პროცესის შეჯიბრებითობის, დაცვის უფლე-

---

<sup>119</sup> იხ. ნადირაძე კ., არგანაშვილი ა., აბაშიძე ა., გოჩიაშვილი ნ., ლორდიჯ., სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, 2019, 13.

ბით ადეკვატურად სარგებლობისათვის, რამაც უნდა უზრუნველყოს მხარეთა შესაძლებლობა, უკეთ დაიცვან საკუთარი ინტერესები, გავლენა მოახდინონ საქმის გადანყვეტაზე, ხელი შეუწყონ სწორი და სამართლიანი გადანყვეტილების მიღებას.<sup>120</sup>

რამდენად შეესაბამება სრულფასოვანი დაცვის უფლების რეალიზება კონვენციის მოთხოვნებს, ჩანს რესპოდენტების დამოკიდებულებიდან მტკიცებულებების სრულფასოვან წარდგენასთან დაკავშირებით, რომელმაც ზეგავლენა უნდა იქონიოს სასამართლო გადანყვეტილებაზე. მიუხედავად აღნიშნული ორგანოების არასათანადო ხელმისაწვდომობისა თუ სხვა ფაქტორებისა, ისინი ვერ იღებენ სრულფასოვან ინფორმაციას, თუ რა მიზეზით ჩაიდინა შშმ პირმა დანაშაული და რა გარემოებები ექნება მას დანიშნული სასჯელის მოსახდელად. „რა თქმა უნდა, თუ დანაშაული ჩაიდინა, მას დაიჭერენ და იქ როგორ მოიხდის სასჯელს, ამაზე არავინ ზრუნავს.“<sup>121</sup>

აქვე, თუ შევხებით ექსპერტების განმარტებებს დანაშაულის გამომწვევი მიზეზების მნიშვნელობასთან მიმართებით, ყურადსაღებია მიდგომა, რომ ეფექტიანი სისხლის სამართლის საქმისწარმოების ფარგლებში დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენა ნიშნავს გამოვლენილ იქნეს დანაშაულის ყველა ეპიზოდი და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირი, დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და პირობები.<sup>122</sup>

რესპოდენტი ცალსახად წარმოაჩინს კავშირს მართლმსა-

---

<sup>120</sup> იხ. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი, 2015, 95.

<sup>121</sup> შშმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლესტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

<sup>122</sup> იხ. გოგშელიძე რ., აქუბარდია ი., ფაფიაშვილი ლ., გოგნაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2008, 17.

ჯულების სისტემის ხელმისაწვდომობასა და საპატიმრო ადგილებში შშმ პირთა ყოფას შორის. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შშმ პირებისათვის კონვენციის შესაბამისი მართლმსაჯულების სისტემა და ამ მდგომარეობის სტრუქტურული და კულტურული სახით გაუმჯობესება, როგორც ჩანს, შშმ პირებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური საკითხია უარყოფითი გავლენის შესაცვლელად.

მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით (ACLRC) სამოქალაქო თავისუფლების კვლევის ცენტრმა თავის მიმოხილვაში „შშმ პირთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულების სისტემასთან“<sup>123</sup> განიხილა ოთხი ძირითადი ნინალობა, რომელთაც აწყდებიან შშმ პირები. აღნიშნული დაბრკოლებების უმეტესობა ბევრი ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი. მათ შორის არც საქართველოა გამონაკლისი. ამ ბარიერების დაძლევა უფრო მოქნილს გახდიდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას, შშმ პირებს კი გაუმარტივედა ყოველდღიურ ცხოვრებას. ამ ბარიერებში კვლევის ცენტრი გამოყოფს შემდეგ მიმართულებებს:<sup>124</sup>

- სოციალური და ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ბარიერი, რომელიც მოიცავს ეკონომიკური კეთილდღეობის, განათლების, ჯანდაცვის, დასაქმების, საცხოვრებლით უზრუნველყოფის, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის, პოლიტიკური და სოციალური ინკლუზიის სფეროში არსებულ პრობლემებს;
- საზოგადოებასთან იდენტიფიკაციით გამოწვეული ბარიერი, რომელიც გულისხმობს, მაგალითად, უმცირესობებს, შშმ ქალებს, ასაკოვან შშმ პირებს, შშმ ლტოლვილებს და ემიგრანტებს და სხვა კატეგორიებს, რომლებსაც სპეციფიკური საჭიროებები აქვთ;
- ბარიერი, რომელიც გამომდინარეობს შეზღუდული შესაძლებლობის სახეობიდან. შშმ პირები, შეზღუდულობის ტიპისა და

---

<sup>123</sup> იხ. Access to Justice and Persons with Disabilities, Alberta Civil Liberties Research Center, 2019, <<http://www.aclrc.com/access-to-justice-persons-with-disabilities#socialeconomic>>, [15.11.2019].

<sup>124</sup> იქვე.

სიმძიმის მიხედვით, აწყდებიან ისეთ წინააღმდეგობებს, როგორცაა: საზოგადოების დამოკიდებულება, ფიზიკური ან ინსტიტუციური ბარიერები და სხვ.;

- იურიდიული სისტემის შიგნით არსებული ბარიერები, რომლებიც წარმოიქმნება ისეთ სფეროებში, როგორცაა: ზოგადი სახის კანონები თუ კანონები შშმ პირებისთვის, დისბალანსი შშმ პირებსა და იმ პირებს შორის, რომლებიც მართავენ კანონებს, პოლიტიკასა და ბიუროკრატიულ სისტემას, დაბოლოს დისკრიმინაცია, რომელსაც შშმ პირები უფრო ხშირად განიცდიან, ვიდრე სხვები.

ზემოაღნიშნული ბარიერებთან ერთად, საზოგადოების მხარდაჭერის არქონა განაპირობებს იმას, რომ შშმ პირები ხშირად რჩებიან დაუცველნი ძალადობის პირისპირ, რის გამოც მათ უწევთ შეხვედრა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან. შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაცვა სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას ან ამგვარი საქმის წამოსაწყებად, რათა სხვა პირებთან თანაბარ პირობებში მონაწილეობა მიიღონ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში. იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს სამართლიანი გადაწყვეტილება, ის უნდა ითვალისწინებდეს განსხვავებულ ღირებულებებს. პროფესორ ხუბუას განმარტებით, სამართლიანობის განსხვავებულ მასშტაბებს საფუძვლად უნდა ედოს შემდეგი ფორმულირებები: თითოეულს - თავისი; თითოეულს - თანაბარი; თითოეულს - თავისი ბუნების მიხედვით; თითოეულს - მოთხოვნილების მიხედვით; თითოეულს - კანონით კუთვნილი და სხვ.<sup>125</sup> მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მსჯელობაში კონკრეტულად არ არის ნახსენები შეზღუდული შესაძლებლობა, თითოეულის ბუნებისა და მოთხოვნილების გათვალისწინება შეიძლება მივიჩნიოთ სამართლიანი გადაწყვეტილების გარანტიად სწორედ შშმ პირების შემთხვევაში.

შშმ რესპოდენტები უფრო გლობალურ კონტექსტში განიხილავენ საქართველოში კონვენციის შეუსრულებლობისა და მანკი-

<sup>125</sup> იხ. ხუბუა გ., სამართლის თეორია, 2004, 69.

ერი პრაქტიკის მიზეზებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან მიმართებით. პირდაპირ კავშირს ხედავენ არსებულ მდგომარეობასა და მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობას შორის. ისინი აღნიშნავენ, რომ შშმ პირი სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობაში სრულად არ არის ჩართული, რაც ხელს უშლის სათანადო შედეგის მიღწევას. თუმცა სისხლის სამართლის პროცესის კომენტარებში განმარტებულია, რომ საქმის გამოძიების დროს საქმეში ჩაბმული პირები, იქნებიან ესენი პროცესის მწარმოებელი პირები, თუ სხვა მონაწილენი, ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების მიმდინარეობისას, მონაწილეთა შორის, თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის დროს, უამრავი საპროცესო ურთიერთობა წარმოიშობა. ამგვარ ურთიერთობათა საფუძველზე სისხლის სამართლის პროცესის წინაშე მდგარი ამოცანებისა და მიზნების შესრულება მიღწევადი ხდება.<sup>126</sup>

ასევე არანაკლებ მტკივნეულ თემას წარმოადგენს შშმ პირების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის 2018 წლის ანგარიშში<sup>127</sup> აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაღობა, რომელსაც შშმ პირები აწყდებიან მართლმსაჯულების სისტემასთან მიმართებით, არის დამოკიდებულებითი ბარიერები. შშმ პირების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებისა და მოსაზრებების გამო ხშირად ისინი მიჩნეული არიან არასანდოდ, არასარწმუნოდ ან საკმარისი მტკიცებულების წარმოდგენის უუნაროდ, რომლებსაც არ შეუძლიათ სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება ან სასამართლო პროცესებში მონაწილეობა. დაბრკოლებას ქმნის ასევე სპეციალისტისგან მხარდაჭერის არქონა. ხშირად შშმ პირებს არ მიეწოდებათ შესაბამისი პროგრამე-

<sup>126</sup> იხ. გოგშელიძე რ., აქუბარდია ი., ფაფიაშვილი ლ., გოგნაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2008, 11.

<sup>127</sup> იხ. Right to access to justice under article 13 of the Convention on the Rights of Persons with Disabilities, Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, 2018, 15.

ბი, რადგან მიჩნეულია, რომ მათ არ შეუძლიათ გაიგონ ან უპასუხონ მათ მიმართ წაყენებულ სისხლის სამართლებრივ ბრალდებებს (შეურაცხადი). შშმ პირები შესაძლოა არ იქნენ უზრუნველყოფილი ადაპტირებული გარემოთი და დამხმარე საშუალებებით, რაც მათ მისცემდა ძირითადი ადამიანური საჭიროებების დაკმაყოფილებისა და ციხის ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. ისინი ხშირად ექვემდებარებიან არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას, წამებას და ციხის ადმინისტრაციის მხრიდან უხემ მოპყრობას.

რესპოდენტის აზრით, სახელმწიფო სათანადოდ არ არის დაინტერესებული შშმ პირების მდგომარეობით, რადგანაც მოცემული პერიოდისათვის კონვენციის მოთხოვნათა უმეტესი ნაწილი არ არის შესრულებული. მაგალითისთვის, რესპოდენტი მოკლედ განმარტავს კონვენციის მოთხოვნებსა და სახელმწიფოს მიდგომებს, რომ კონვენციით დადგენილი სტანდარტი ითხოვს ახალი შენობების ადაპტირებას, თუმცა შიდა ეროვნული სტანდარტით, ადაპტირებაში მოიაზრება მხოლოდ პანდუსების დამონტაჟება, რომელთა ხარისხსა და გამოყენებადობას არავინ ამონიშნავს. ხოლო, რაც შეეხება სასჯელალსრულების სისტემას, ის მას განიხილავს საზოგადოებაში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით. „რა შეიძლება ითქვას სასჯელის მოხდის დანესებულებების შენობებზე, როდესაც, მაგალითად, თბილისში დამონტაჟებული პანდუსების 90% არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს და შშმ პირმა შეიძლება დაზიანებაც კი მიიღოს. იგივე შეიძლება ითქვას ჯოხით მოსარგებლე პირზეც.“<sup>128</sup> რესპოდენტი განმარტავს, რომ ეს თითქოს ელემენტარული პრობლემა, რომლის გადაწყვეტა განსაკუთრებულ სირთულესთან არ არის დაკავშირებული, სიცოცხლისთვის საშიშია. გარდა პანდუსებისა, იგი ასევე საუბრობს გულგრილად შესრულებულ დიზაინზე, რო-

---

<sup>128</sup> შშმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლეს-ტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

გორიცაა, მაგალითად, კარის სიგანე, რომელშიც ეტლით მოსარგებლე პირი ვერ შედის და ა. შ.

ზემოაღნიშნული პრობლემების არსებობა, რესპოდენტების აზრით, პირდაპირპროპორციულად გულისხმობს სასჯელის მოხდის ადგილებში შშმ პირის მოხვედრის მაღალ ალბათობას, მაშინ როდესაც მისი აცილება შესაძლებელი იქნებოდა ნორმალური ხელმისაწვდომი გარემოს არსებობის შემთხვევაში.



## თავი 2. საქართველოს კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მიმართებით

### 2.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით საქართველოს კონსტიტუციის მოკლე მიმოხილვა

ეროვნულ კანონმდებლობაზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილია განვიხილოთ საქართველოს კონსტიტუციის მიდგომები, როგორც, ზოგადად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე კანონთან კონფლიქტში მყოფი და, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში განთავსებული, შშმ პირების მიმართ: მათთან მოპყრობა, მოვლის პირობები და მომსახურება, მათი ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ხელმისაწვდომობა.

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა მაღალი სტანდარტები მოიცავს ფართო სპექტრს, რომელიც თანაბრად ვრცელდება საქართველოს ყველა მოქალაქეზე. თუმცა საქართველოს კონსტიტუციაში არ არის გამოკვეთილი უშუალოდ შშმ პირთა სპეციფიკური უფლებები არადისკრიმინაციულ მოპყრობასთან დაკავშირებით. აქვე, კონსტიტუციის პოზიტიურ მხარედ უნდა იქნეს აღქმული ის ფაქტი, რომ არცერთ მუხლში არ გვხვდება შშმ პირთა უფლებების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს კონსტიტუციაში არ გვხვდება მრავლობითი ჩანაწერი შშმ პირებთან დაკავშირებით და საერთოდ არ მოიცავს კონკრეტულ დათქმას თავისუფლებააღკვეთილ შშმ პირებთან მიმართებით. თუმცა ეს არ უნდა განვიხილოთ ისე, თითქოს საკითხი საკონსტიტუციო რეგულირების მიღმა რჩება, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მე-11 მუხლი<sup>129</sup> დისკრიმინაციის ერთ-ერთ

---

<sup>129</sup> შშმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიაშ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლეს-ტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

რისკფაქტორად არ განიხილავს პირის შეზღუდულ შესაძლებლობას „რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილისა“.<sup>130</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუცია ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს შშმ პირთა უფლებების განუხრელი დაცვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მათ შორის მოიაზრებიან როგორც შშმ, ისე სხვა მონყვლადი ჯგუფებიც. არგუმენტად შესაძლებელია მოვიყვანოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომ მე-14 მუხლის (ახალი რედაქციით, მე-11 მუხლი) მიზანია უზრუნველყოს კანონის წინაშე თანასწორობა, არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ ან პირიქით. განმარტების თანახმად, „*ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა*“.<sup>131</sup> მოგვიანებით კი მორიგ გადაწყვეტილებაში ჩაიწერა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების ამომწურავად მიჩნევა თავისთავად გამოიწვევდა სასამართლოს მიერ იმის დადასტურებას, რომ ნებისმიერი სხვა ნიშნით დიფერენციაციის შემთხვევები არ იქნებოდა განხილული როგორც დისკრიმინაციული, რადგან იგი არ არის დაცული კონსტიტუციით. განმარტების თანახმად, ასეთი მიდგომა არ იქნებოდა სწორი, რადგან თითოეული მათგანის კონსტიტუციის მე-14 მუხლში მოუხსენიებლობა დიფერენციაციის დაუსაბუთებლობას ვერ გამოორიცხავს.<sup>132</sup>

<sup>130</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 14 (ძველი რედაქცია), მუხლი 11 (ახალი რედაქცია), 28/08/1995.

<sup>131</sup> იხ. საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1/392 გადაწყვეტილება, 6.

<sup>132</sup> იხ. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები - ახალი მემარჯვენეები და საქართველოს კონსერვატიული პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 17 სექტემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება, 14.

გარდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებისა, კვლევა ეყრდნობა ასევე კონსტიტუციის კომენტარებს, რომელშიც განმარტებულია სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს როგორც სხვა მოქალაქეების, ისე შშმ პირების ჯანმრთელი და პროდუქტიული ცხოვრება. კომენტარები განმარტავს, რომ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულებანი, შექმნას პირობები პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის. კომენტარები ასევე აღნიშნავს, თუ რა ფაქტორები უზრუნველყოფს შშმ პირებისათვის თავისუფალი განვითარების ხელმისაწვდომობას, მაგალითად, ისეთები, როგორიცაა: ინფორმაციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა, ანუ მოცემული რესურსებით სარგებლობა სხვა ადამიანებთან თანაბარ პირობებში. მოცემულ რესურსებში ასევე მოაზრებულია კულტურული და ბუნებრივი გარემოთი სარგებლობის, პოლიტიკური თუ სამოქალაქო აქტიურობის შესაძლებლობა, გარემოსა და ინდუსტრიული ჰიგიენის დაცვა, გადამდებ დაავადებათა კონტროლი და თავიდან აცილება, მოქალაქეთა სოციალური დაცვა და დაზღვევა, საცხოვრებლის, კვებისა და ცხოვრების პირობების ადეკვატური სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს ხალხის აქტიურ მონაწილეობას ყველა სფეროში. ამდენად, კომენტარები იძლევა დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ როდესაც გამოყენებულია ტერმინი „ხალხი“ მასში უნდა მოვიაროთ ყოველი ადამიანი, მიუხედავად მისი ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობისა.<sup>133</sup>

კონსტიტუციის კომენტარებში საზგასმულია ასეთი ვალდებულების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რათა შშმ პირები არ აღმოჩნდნენ გარიყული საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან. საინტერესოა ის მიდგომა, რომ კომენტარებში სახელმწიფოს მხრიდან დარღვევად განხილულია არა მხოლოდ მოქმედებით გამოწვეული შედეგი, არამედ სახელმწიფოს უმოქმედობა, რაც შშმ პირთა პი-

---

<sup>133</sup> იხ. *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, 104.

რადი განვითარების უფლების დარღვევაა, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დაწესებულებები (მაგალითად, ქალაქის მერიის ან პოლიციის ან საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები (კინოთეატრი, ბიბლიოთეკა ან სხვ.)) არ გახდა თანაბრად ხელმისაწვდომი შშმ პირებისათვის, რამდენადაც ის აბრკოლებს მათი პრობლემების მოგვარების შესაძლებლობას, ისევე როგორც სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობას. „პიროვნების განვითარების სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებანი მოიცავს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე შესაბამისი პოლიტიკის, საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებების ჩამოყალიბებას, მათ მიღებასა და განხორციელებას.“<sup>134</sup>

კომენტარებში განმარტებულია სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას, დაეხმაროს და შეუქმნას შესაბამისი პირობები იმ პირებს, რომლებიც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო აქტიურად ვერ მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ მითითებას კონსტიტუციაში პირდაპირ დათქმის სახით არ ვხვდებით, განმარტებებში მითითებულია სახელმწიფოს ვალდებულება, შექმნას ადეკვატური პირობები მათთვის.<sup>135</sup>

მართალია, საქართველოს კონსტიტუციაში მართლმსაჯულების სისტემასა და სასჯელის მოხდის ადგილებში შშმ პირთა უფლებებთან დაკავშირებით ცალკე დათქმებს არ ვხვდებით, თუმცა ზემოაღნიშნული მსჯელობებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუცია, პირდაპირ განერილ სხვა მითითებებთან ერთად, მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვასაც. ის ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს შშმ პირთა უფლებების განუხრელი დაცვა ყველა სფეროში, ქვეყანაში მოქმედ ყველა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ინსტი-

<sup>134</sup> იხ. *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, 104.

<sup>135</sup> იხ. *იზორია ლ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, 483.

ტუტებში და ზოგადად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით, იძლევა ყველა პირობას იმისა, რომ დაცული იყოს შშმ პირთა უფლებები. მაგალითად, შედარებისთვის შესაძლებელია განვიხილოთ რუსეთის პრაქტიკა. მსჯელობა ეყრდნობა შშმ პირებთან მუშაობის ამსახველ ნაშრომს, რომელშიც ავტორი უთითებს, რომ ინვალიდობის მქონე პირების უფლებები ირღვევა ყველგან. დარღვეული უფლებების აღდგენა რთულია საკანონმდებლო აქტების წინააღმდეგობრივი ბუნებით და ინვალიდების საკანონმდებლო გაუნათლებლობით. უფრო მეტიც, ის ახდენს შშმ პირთა კატეგორიზაციას და ხაზს უსვამს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში იმყოფებიან. „უფრო რთულია იმ ინვალიდების მდგომარეობა, რომლებიც იმყოფებიან თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში.“<sup>136</sup> ავტორი აქვე აანალიზებს და აღნიშნავს, რომ მრავალ ქვეყანაში ასეთი პატიმრები განთავსებული არიან სპეციალურ დაწესებულებებში, რაც აღჭურვილია სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით. მისი შეფასებით, „დღეისათვის ასეთი კატეგორიის პატიმრების მიმართ განსაკუთრებული პრობლემების არსებობა რუსეთში ოფიციალურად აღიარებული არ არის“.<sup>137</sup>

აქვე შეიძლება განვიხილოთ სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების პრაქტიკა, შშმ პირებთან მიმართებით. მაგალითად, უზბეკეთში ჩატარებული კანონმდებლობის ანალიზის UNODC განმარტავს, რომ სასჯელალსრულების კოდექსში არასაკმარისადაა ასახული საპატიმრო სასჯელის მოხდისათვის ღირსეული პირობების უზრუნველყოფის თავისებურებები მონყვლად ჯგუფს მიკუთვნებულ მსჯავრდებულებთან მიმართებით. სხვა მონყვლად ჯგუფებთან ერთად ანგარიში ხაზს უსვამს სწორედ შშმ პირებს და აღნიშნავს, რომ კანონში გარკვეული ჩანაწერები არსებობს, თუმცა ის სრულად არ

<sup>136</sup> იხ. *Балыкин Д. Г., Буланов А. С., Права инвалидов в местах лишения свободы, Справочно-информационное издание, Нижний Новгород, 2014, 5.*

<sup>137</sup> იქვე.

ასახავს მოცემული კატეგორიის პატიმართა საჭიროებებს. ანგარიშში ასევე მოყვანილია ეტლით მოსარგებლე პირების მაგალითი და აღნიშნულია, რომ არ არსებობს ელემენტარული უფლებების უზრუნველყოფის მექანიზმები იმ პატიმრებთან მიმართებით, რომლებიც არიან ეტლით მოსარგებლე.<sup>138</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მოკლე მიმოხილვა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ: ნაშრომში მოცემული სასჯელის მოხდის ადგილებში არასათანადო საცხოვრებელი პირობების, მოვლის, მომსახურების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოპყრობის პირობებში შშმ პირების განთავსება იწვევს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ისეთი უფლებების<sup>139</sup> დარღვევას, როგორცაა: ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობა და წამების აკრძალვა; თანასწორობის უფლება; დაცვის უფლება; პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება; ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმისაწვდომობა; შრომის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებები და სხვა, რომლებიც განხილული და აღწერილია ნაშრომის როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკის კვლევის ფარგლებში.

## **2.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცნებისა და სტატუსის განმსაზღვრელი ეროვნული საკანონმდებლო აქტების მოკლე მიმოხილვა**

ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვაზე ცალსახად საუბარი არ გვხვდებოდა არცერთ საკანონმდებლო აქტში 2014 წელს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის

<sup>138</sup> იხ. Анализ Уголовноисполнительного Кодекса Республики Узбекистан: Предложения и Рекомендации, Региональное Представительство Управления Организации Объединенных Наций по Наркотикам и Преступности в Центральной Азии, Узбекистан, 2018, 43.

<sup>139</sup> საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, თავი II, მუხლი 9, 11, 15, 17, 26, 27, 28, 31, 24/08/1995.

აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე. მოცემული კანონის მიღება შშმ პირების უფლებათა დაცვისა და თანაბარი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის ნაწილში ერთ-ერთ გარანტიად შეიძლება მივიჩნიოთ. აღნიშნული კანონის მიზანს წარმოადგენს საქართველოში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. აღნიშნულ კანონში მოცემული ფაქტორების ნუსხაში, სხვა გარემოებებთან ერთად, მითითებულია შეზღუდული შესაძლებლობა.<sup>140</sup> წინამდებარე ნაშრომი საკანონმდებლო რეგულირებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმის გათვალისწინებით, რომ კანონში, იმ გარემოებების ჩამონათვალში, რომელთა არსებობა არ უნდა იწვევდეს დისკრიმინაციულ მიდგომებს, ჩაიწერა შეზღუდული შესაძლებლობა.

ეროვნული კანონმდებლობის გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის დებულებებთან დაახლოების მიზნით მნიშვნელოვანია შშმ პირთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონში (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ, 1995 წ.) შესული ცვლილება, რომელმაც პრაქტიკაში შემოიტანა „შშმ პირთა“ სოციალურ მოდელზე დაფუძნებული განმარტება. თუმცა მხოლოდ ტერმინის განმარტების ცვლილება არ არის ის ძირითადი ასპექტი, რომელმაც შესაძლებელია უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობისადმი ქვეყანაში არსებული, ისტორიულად მრავალი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული სამედიცინო მიდგომიდან სოციალურ მიდგომაზე გადასვლა. აქვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმამ განსაზღვრა, რომ უნდა განხორციელდეს „შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირება და სოციალურ მოდ-

<sup>140</sup> იხ. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 02/05/2014.

ელზე ეტაპობრივი გადასვლის პროცესის გაგრძელება“.<sup>141</sup>

განსხვავებით კანონმდებლობის ძველი რედაქციისა,<sup>142</sup> რომელშიც, მოცემული განმარტების მიხედვით, საერთაშორისო სტანდარტი და საქართველოს კანონმდებლობა აბსოლუტურად განსხვავებულ მიდგომებს ეფუძნებოდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 2014 წლის რედაქციამ შემოიტანა სოციალურ მოდელზე დაფუძნებული განმარტება, რომლის მიხედვითაც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონედ მოიაზრება პირი, რომელსაც აღენიშნება მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევები. აქ უმთავრესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ მსჯელობას, რომ ეს დარღვევები უნდა განვიხილოთ, როგორც ხელშემშლელი ფაქტორი, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში“.<sup>143</sup>

საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 2 დეკემბრის №604-II დადგენილებით მიღებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია<sup>144</sup> აყალიბებს სახელმწიფოს ერთიან პოლიტიკას შეზღუდული შესაძლებლობების სფეროში, რაც მეტ-ნაკლებად უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ შეზღუდული შესაძლებლობების ხედვას და

---

<sup>141</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, პუნქტი 1.

<sup>142</sup> იხ. საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 14/06/1995.

<sup>143</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს 2014 წლის 7 მარტის კანონი №2103, მუხლი 2.

<sup>144</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია, საქართველოს პარლამენტის №604-II დადგენილება, 2 დეკემბერი, 2008.



განმარტავს, რომ ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ პირობითია და მისი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია აღნიშნულ პირთა არსებობის კონკრეტულ პირობებზე ან/და მათ მიმართ განსახორციელებელ ღონისძიებათა სახეებზე.<sup>145</sup> მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონცეფცია არ არის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტი, მისი მიღება მაინც მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს საქართველოს რეალობისთვის.

## **2.3 სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მოქმედი კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით**

### **2.3.1 ზოგადი მიმოხილვა**

მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონმდებლობას არ გააჩნია შშმ პირების მიმართ მათი მდგომარეობის პროპორციულად სასჯელის გამოყენების მკაფიო სტანდარტები და დაცვის მყარი მექანიზმები ან გარანტიები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად პატიმრობა შშმ დამნაშავეებთან მიმართებით წარმოადგენს არაპროპორციულად მკაცრ სასჯელს.<sup>146</sup>

მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა სისხლის სამართლის საკანონმდებლო რეგულირება და პროცედურები შშმ პირებთან მიმართებით, ფაქტია, რომ ამ კატეგორიას მიკუთვნებული პირები სჩადიან დანაშაულს და ისინი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი, აღმოჩნდებიან საკანონმდებლო რეგულირების პირისპირ, როდესაც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა და მათი ფიზიკური მდგომარეო-

<sup>145</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია, საქართველოს პარლამენტის №604-II დადგენილება, 2 დეკემბერი, 2008.

<sup>146</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 5.

ბის პროპორციული იქნება.

თუ კი დავეყრდნობით სისხლის სამართლის პროცესის კომენტარებს, სისხლის სამართლის პროცესი არა მხოლოდ აცხადებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, არამედ აწესებს გარანტიებსაც მათ სარეალიზაციოდ.<sup>147</sup> ამდენად, შშმ პირებს კანონი უნდა აძლევდეს მყარ გარანტიებს, იყვნენ სხვა ადამიანებთან თანაბარ პირობებში. მთავარი ძალისხმევა, პირველ რიგში, მიმართული უნდა იყოს არა სასჯელის შემფარდებელზე, ანუ სასჯელის დანიშვნის პროცესზე, არამედ კანონმდებელზე, რადგან კანონმდებელმა უნდა შექმნას ისეთი სისხლის სამართლის კანონი, რომელიც ამ პრინციპებს დაეფუძნება. მოცემულ შემთხვევაში, ალბათ, რელევანტურია პროფესორ დვალაძის მიდგომა, რომ სასჯელის დანიშვნა მნიშვნელოვანია, მაგრამ თავი და თავი მაინც სისხლის სამართლის კანონშემოქმედებაა, რომლის შედეგს სისხლის სამართლის კანონი წარმოადგენს.<sup>148</sup>

შშმ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით ნაშრომში მსჯელობა ეყრდნობა კანონმდებლობის ანალიზს შშმ პირებთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც, ადგილი ეთმობა იმ ხარვეზების არსებობას, რომ კანონმდებლობაში, ფაქტობრივად, არაფერია ნათქვამი საქმის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე შშმ პირთა სრულფასოვნად ჩართვის გარანტიებსა და აუცილებლობაზე. ასევე არ განიხილება სხვადასხვა მომსახურების ხელმისაწვდომობა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საქმის წარმოებაში შშმ პირთა სრული და ეფექტიანი ჩართულობა. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ პროცესში ყველა ეტაპზე ყველა საჭირო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობის არქონამ შესაძლებელია დაგვაყენოს რიგი კონსტიტუციური უფლებების დარღვევის რისკის წინაშე.

<sup>147</sup> იხ. გოგშელიძე რ., აქუბარდია ი., ფაფიაშვილი ლ., გოგნაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2008, 24.

<sup>148</sup> იხ. დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013, 69.

ნიშანდობლივია სამართლებრივი თანასწორობის მიმართ დამოკიდებულება ნაშრომში „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“,<sup>149</sup> რომელიც განმარტავს სახელმწიფოს როლს ყველა განსხვავებული, მათ შორის, მოწყვლადი ჯგუფის მიმართ, რომ „ლიბერალური თვალსაზრისით, სახელმწიფო საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ ჯგუფებს შორის მიუკერძოებელი მსაჯულის ფუნქციას უნდა ასრულებდეს მხოლოდ და ცალკეული პიროვნებების, ყველა მოქალაქის დაცვა უნდა შეეძლოს“.<sup>150</sup>

მოცემულ შემთხვევაში ერთ-ერთ პრობლემად განვიხილავთ სამართლებრივ თანასწორობას სწორედ შუშ პირებთან მიმართებით, რამდენადაც ფიზიკური, ფსიქიკური, ეკონომიკური თუ სხვა პრობლემა არ აძლევს მათ საშუალებას, იყვნენ სხვა მოქალაქეების თანასწორი, რა მოდელითაც არ უნდა განვიხილოთ მათი მდგომარეობა: სამედიცინო თუ სოციალური.

მეცნიერები განიხილავენ იმ გარემოებების ნუსხას, რომელიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მანამდე, ვიდრე რომელიმე კონკრეტული ქმედებისთვის იქნება დაწესებული სასჯელი. ისინი განმარტავენ, რომ კანონმდებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სასჯელის გამოყენების აუცილებლობას, ეფექტიანობას, პროპორციულობასა და ეკონომიურობას. ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა არაქმედითს გახდის დანაშაულის თავიდან აცილების სფეროში მოსალოდნელი სასჯელის მუქარას.<sup>151</sup>

როგორც ქართველი მეცნიერების განმარტებიდან ჩანს, კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილება მიიღოს სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, იზრუნოს სასჯელის ეფექტიანობაზე, როგორც ზოგადი პრინ-

<sup>149</sup> იხ. თოდუა ნ., ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., ცქიტიშვილი თ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, 23.

<sup>150</sup> იქვე, 18.

<sup>151</sup> იხ. დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013, 13.

ციპის, ისე კერძო პრინციპის გათვალისწინებით. შშმ პირის მიმართ სასჯელის განხილვისას მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გაითვალისწინოს როგორც ჩადენილი დანაშაულის ხარისხი და საშიშროება, ისე პიროვნული თვისებები და, შესაბამისად, მისი ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასჯელის მიზნების მიღწევაც შეუძლებელი იქნება.<sup>152</sup> მოცემული მსჯელობა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, იმის გათვალისწინებით, რომ შშმ პირების ფიზიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სწორედ დანაშაულის ეფექტიანობის ნაწილში. ცალსახაა, რომ შშმ პირის სასჯელის მოხდის ადგილებში მათი ფიზიკური მდგომარეობისათვის შეუსაბამო გარემოში მოხვედრა შესაძლებელია გახდეს არათუ მისი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორი, არამედ პირიქით, გამანადგურებელი შედეგის მომტანი.

### **2.3.2 სისხლის სამართლის კოდექსის მოკლე მიმოხილვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (შემდგომში - სსკ) გამოყენებულია ტერმინი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ (სსკ, მუხლი 1422). კოდექსში ასევე გვხვდება ტერმინი „ინვალიდი“, რომელიც მოცემულ შემთხვევაში იხმარება, როგორც ალტერნატიული სასჯელის გამოყენების შემაფერხებელი გარემოება, მაგალითად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებისას. სსკ 44-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე განვეულ სამხედრო მოსამსახურეს. თუმცა თანამედროვე საზოგადოებრივი და მეცნიერული აზრი თანდათან არა სასჯელის სიმკაცრის, არამედ მისი სამარგებლიანობისაკენ,

<sup>152</sup> იხ. დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის სამართლებრივი შედეგები, 2013, 72.

ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, უფრო იხრება. ამ მხრივ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ერთობ მნიშვნელოვანი სასჯელია.<sup>153</sup>

კოდექსის ზოგადი ნაწილი განიხილავს შშმ პირთა მდგომარეობას შერაცხადობის ან შეზღუდული შერაცხადობის კონტექსტში. რა თქმა უნდა, შერაცხადობა ან შეზღუდული შერაცხადობა უნდა გავიგოთ, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მარჯვენებელი ფაქტორები. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ პირი შესაძლებელია იყოს შერაცხადი, მაგრამ, მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობა. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შერაცხადობა და შეზღუდული შესაძლებლობა ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან განსხვავებული ტერმინებია და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი სრულად გაიგივება შეუძლებელია. ამასთან, შერაცხადობა პირის ფსიქიკურ მდგომარეობას ასახავს და არა ფიზიკურს, განსხვავებით შეზღუდული შესაძლებლობისაგან, რომელიც ორივე ელემენტს მოიცავს.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს კანონის განმარტება შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დანესებულებაში იმ პირის მოთავსების შესახებ გამოჯანმრთელებამდე, რომელიც დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია აკონტროლოს თავი.<sup>154</sup> თუმცა, აქვე, ღიად რჩება საკითხი, როდესაც პირი ფიზიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე და მისი მდგომარეობა არ იძლევა შესაძლებლობას მოიხადოს სასჯელი, ან პირს გონებრივად შესწევს უნარი ანგარიში გაუწიოს თავის ქმედებას, მაგრამ შეზღუდული ფიზიკურად, ან არ შეუძლია მოუაროს თავს დამოუკიდებლად. რა

<sup>153</sup> იხ. *დვალაძე ი.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013, 48.

<sup>154</sup> იხ. „თუ დანაშაული შერაცხადმა პირმა ჩაიდინა, მაგრამ იგი ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას, პირი სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე მოიხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დანესებულებაში.“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 34, ნაწილი 3, 22/07/1999.

ხდება ამ შემთხვევაში და რა გარანტიებს სთავაზობს მას კანონი?

სსკ-ის 35-ე მუხლი „შეზღუდული შერაცხადობა“ მეტ-ნაკლებად განიხილავს სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლოს მიერ პირის შეზღუდული შერაცხადობის გათვალისწინების შესაძლებლობას. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული მიდგომა არ განიხილავს ფიზიკური შეზღუდულობის მქონე პირებს და მეორე მხრივ, ის არ არის სავალდებულო. ყურადღება უნდა დაეთმოს ექსპერტთა განმარტებებს შეზღუდულ შერაცხადობასთან დაკავშირებით. მართალია, აქ არ მოიაზრება ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობები, თუმცა ეს მიდგომა შეიძლება გავრცელდეს მოცემულ სამიზნე ჯგუფზეც. მაგალითად, ისინი განმარტავენ, რომ მოსამართლე სასჯელის დანიშვნისას უნდა ითვალისწინებდეს შეზღუდულ შესაძლებლობას, რომელიც კვალიფიცირდება როგორც შეზღუდული შერაცხადობა, რის გამოც სრულწლოვან დამნაშავეს სასჯელი უნდა შეუმცირდეს და, რომ ეს დასკვნა ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს. თუ მოსამართლის მიერ შეზღუდული შერაცხადობის გათვალისწინებას სასჯელის დადგენის დროს არ ექნება სასჯელის ფარგლებზე არანაირი ზეგავლენა, ასეთ შემთხვევაში ზემოაღნიშნული დათქმა მნიშვნელობას დაკარგავდა.<sup>155</sup> იმის გათვალისწინებით, რომ სსკ 34-ე მუხლით დადგენილი სტანდარტები ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე არ ვრცელდება და მისი განხილვა საფუძველს მოკლებული იქნებოდა, ხოლო სსკ 35-ე მუხლი, რომელიც განიხილავს შეზღუდულ შერაცხადობას, შესაძლებელია არა პირდაპირ, მაგრამ მაინც განვიხილოთ ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მიმართებით. „სსკ 35-ე მუხლში კანონმდებელს შემოაქვს შეზღუდული შერაცხადობის მხოლოდ ერთი ნაირსახეობა - ფსიქიკური დაავადების გამო შეზღუდული შერაცხადობა.“<sup>156</sup>

<sup>155</sup> იხ. თოდუა ნ., ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., ცქიტიშვილი თ., მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, 530-531.

<sup>156</sup> იხ. გაბიანი ა., გვენეტაძე ნ., დვალაძე ი., თოდუა ნ., ივანიძე მ., მამულაშვილი გ., ნაჭყებია გ., ტყეშელიაძე გ., ხუროშვილი გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007, 303.

შესაძლებელია, სსკ 34-ე მუხლის განხილვა სადავო თემას წარმოადგენდეს, რადგანაც, თუ განვიხილავთ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ორ უახლეს კომენტარს, დავინახავთ, რომ პირველი რაღაც ფორმით ასეთ შესაძლებლობას უშვებს, ხოლო მეორე ამ ვერსიას პრაქტიკულად გამორიცხავს. კერძოდ, პირველ შემთხვევაში, ავტორთა განმარტებით, შეზღუდული შერაცხადობის დასადგენად გამოიყენება ორი კრიტერიუმი (საზომი): სამედიცინო-ბიოლოგიური და ფსიქოლოგიურ-იურიდიული. პირველი კრიტერიუმი პასუხობს კითხვაზე: იყო თუ არა პირი ფსიქიკურად დაავადებული ქმედების ჩადენისას და კერძოდ, რა დაავადებით? რაც შეეხება ფსიქოლოგიურ-იურიდიულ კრიტერიუმს, იგი პასუხობს კითხვაზე: იყო თუ არა ეს ფსიქიკური დაავადება იმ ხარისხის, რომ პირს წაერთვა უნარი, სრულყოფილად გაეცნობიერებინა ქმედების ფაქტობრივი მხარე ან მართლსაწინააღმდეგობა (ინტელექტუალური სფერო) ან წაერთვა უნარი სრულყოფილად ეკონტროლებინა თავისი ქმედება (ნებაყოფლობითი სფერო)? საბოლოოდ, იყო თუ არა ეს დაავადება იმ ხარისხის, რომ პირს ნაწილობრივ წაართვა ცნობიერება ან ნება?<sup>157</sup> მოცემულ შემთხვევაში, ყურადღება უნდა დავუთმოთ შესაბამისობას ფიზიკური შეზღუდულობის მქონე იმ პირის მდგომარეობასთან, რომელიც ასევე შესაძლებელია ვერ აკონტროლებდა თავის ქმედებას. მაგალითად, მხედველობის არმქონე ან შემეცნებითი პრობლემების მქონე პირი, რომლის მდგომარეობას კანონი შემამსუბუქებელ გარემოებად არ განიხილავს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მდგომარეობა შესაძლებელია იყოს საფუძველი იმისა, რომ პირმა გარკვეულ მომენტში სრულყოფილად ვერ გააცნობიერა ქმედების ფაქტობრივი მხარე ან მართლსაწინააღმდეგობა იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ის ვერ ხედავს და ვერ აღიქვამს სწორად, რა ხდება გარშემო, ან შემთხვევა, როდესაც პირი თავისი ინტელექტუალური მდგომარეობის გამო ვერ აცნობიერებს,

---

<sup>157</sup> იხ. გაბიანი ა., გვენეტაძე ნ., დვალაძე ი., თოდუა ნ., ივანიძე მ., მამულაშვილი გ., ნაჭყებია გ., ტყეშელიაძე გ., ხუროშვილი გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007, 304.

რომ ესა თუ ის ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

იგივე კომენტარები განიხილავენ შეზღუდული შერაცხადობის სხვა სახეებს, რომლებიც სხვადასხვა მუხლშია განხილული და არ შედის 35-ე მუხლში, მაგალითად, ასეთად მიჩნეულია: არასრულწლოვნება, რომელიც, ავტორთა განმარტებით, შეზღუდული შერაცხადობის ნაირსახეობაა, რადგან არასრულწლოვანს შეზღუდულად შეერაცხება მის მიერ ჩადენილი უმართლობა. ასევე განიხილავს მკვლევლობას უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (მ 111), დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა (მ 112).<sup>158</sup> ასეთ შემთხვევაში უნდა დაისვას კითხვა: რატომ არ შეიძლება ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობა განხილული იყოს ამ ჩამონათვალში, ხშირ შემთხვევაში, მისი უკიდურესად მძიმე გამოხატულების გამო?

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, აქ ავტორი ცალსახად განმარტავს, რომ „შეზღუდული შერაცხადობა გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო, სრულად გაეცნობიერებინა და ეკონტროლებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი მხარე ან მართლსაწინააღმდეგო ხასიათი.“<sup>159</sup> ამ დროს ნათელია, რომ ფიზიკური შეზღუდულობის მქონე პირების მიმართ სსკ 35-ე მუხლის გავრცელება მსჯელობის საგანი არ შეიძლება გახდეს.

უნდა დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ სასჯელი, როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმი, არის სახელმწიფო იძულების ყველაზე მკაცრი ღონისძიება.<sup>160</sup> ამდენად, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებმა უნდა აიღონ ვალდებულება, რომ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან ერთად, დეტალურად განიხილონ მსჯავრდებულის ფიზიკური მდგომარეობა. განსკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელისა და სხვა

<sup>158</sup> იხ. გაბიანი ა., გვენეტაძე ნ., დვალაძე ი., თოდუა ნ., ივანიძე მ., მამულაშვილი გ., ნაჭყეია გ., ტყეშელიაძე გ., ხუროშვილი გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007, 303.

<sup>159</sup> იხ. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2010, 226.

<sup>160</sup> იხ. დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013, 13.



სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა პროპორციულობას ჩადენილ დანაშაულსა და მსჯავრდებულის პიროვნებასთან მიმართებით,<sup>161</sup> იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრობის პირობები ხშირად მკვეთრად აუარესებს შშმ პირთა მდგომარეობას, რაც, თავის მხრივ, ციხის სისტემისათვის მნიშვნელოვანი ტვირთი ხდება.

საპატიმრო სასჯელი ყველა პირის მიმართ უნდა გამოიყენებოდეს თანაბარი სტანდარტებით, რომელიმე მათგანისთვის პრიორიტეტის მინიჭების გარეშე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს სხვადასხვა განსაკუთრებული კატეგორიის არსებობა, რომლებსაც დაუცველი პირები მიეკუთვნებიან. მაგალითად, შშმ პირების შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი ფიზიკური მდგომარეობის და, აქედან გამომდინარე, მონყვლადობის ხარისხის გათვალისწინება. აქვე, აღნიშნული მტკიცება არ შეიძლება გაგებულ იქნეს ისე, რომ შეზღუდული შესაძლებლობა გამორიცხავს პირის დამნაშავეობას ან ამცირებს საზოგადოებისათვის მისი საშიშროების ხარისხს. პროფესორი მარდოკი განმარტავს, რომ „დაუცველი - არ ნიშნავს „ნაკლებად სახიფათოს“, მისი თქმით, ეს მდგომარეობა არ არის დაკავშირებული საშიშროების ხარისხთან, განმეორებითი დანაშაულის რისკთან, ძალადობასთან და ა. შ., თუმცა ის ასევე განმარტავს იმ შემთხვევებს, როდესაც პირის დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს თამდევნი პრობლემები, რაც გულისხმობს იმას, რომ დაუცველი პატიმრების საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება გაუთანაბრდეს არასათანადო მოპყრობას.<sup>162</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობა არ გულისხმობს იმას, რომ შშმ პირისათვის, როგორც დაუცველისთვის, უნდა მოხდეს დანაშაულის არიდება, არამედ მიუთითებს, რომ სასამართლომ უნდა გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც

<sup>161</sup> იხ. დევლაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013, 132.

<sup>162</sup> იხ. *Murdoch J.*, Professor of Public Law, University of Glasgow, School of Law, United Kingdom, *Jiricka V.*, Head Psychologist, Prison Service, Czech Republic, A handbook for prison staff with focus on the prevention of ill-treatment in prison, Council of Europe, April 2016, 47.

კანონმდებლობაში პირდაპირ არ არის საუბარი შეზღუდულ შესაძლებლობაზე, როგორც დამამძიმებელ გარემოებაზე, გაითვალისწინოს პირის მდგომარეობა გადანყვეტილების მიღებისას. პროფესორი გ.ხუბუა თავის ნაშრომში განმარტავს, რომ თანასწორობა სამართლის ფუძემდებლური პრინციპია და იურიდიული ცნებები აბსტრაქტულია სწორედ იმიტომ, რომ ნორმა მოქმედებს ყველა ერთგვაროვანი და მსგავსი ურთიერთობების მიმართ. თუმცა ნიშანდობლივია მომდევნო მსჯელობა, რომლის თანახმად, გაითვალისწინებულ უნდა იქნეს ინდივიდუალური შემთხვევები. ზოგადი ნორმის საფუძველზე უნდა გადანყდეს კონკრეტული შემთხვევა, რომელსაც ახასიათებს ინდივიდუალური თავისებურებები. ინდივიდუალური ნიშნავს გამორჩეულს, განსხვავებულს, არაიგივეობრივს, სამართალი აბსტრაქტირებულია ამ ინდივიდუალურისაგან - სამართალი „ვერ ხედავს მას“.<sup>163</sup> სწორედ, ამ განსხვავების გათვალისწინება და მისი წინ წამოწევა არის ის, რაზეც წინამდებარე ნაშრომი ამახვილებს ყურადღებას.

მაშინ, როდესაც ქვეყანაში განიხილება სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, შშმ პირები არ შეიძლება იყვნენ გამონაკლისი, არამედ კანონის ლიბერალიზაციის არსი სწორედ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ყველა მოქალაქეს თანაბარი შესაძლებლობები მიეცეს - ასე განმარტავს სახელმწიფოს როლს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში პოლიტიკის ბრიტანელი მკვლევარი ანდრიუ ჰეივუდი ნაშრომ „პოლიტიკა“-ში.<sup>164</sup>

მნიშვნელოვანია ადგილი დავუთმოთ სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებებს, სადაც კანონი განიხილავს მხოლოდ შეზღუდულ ნუსხას, როგორცაა: შეურაცხადობა ასაკის გამო, შეურაცხადობა ფსიქიკური დაავადების გამო, შეზღუდული შერაცხადობა და სხვა. თუმცა აქაც პირის ფიზიკური მდგომარეობა არ განიხილება შემამსუბუქებელ გარემოებად, მიუხედავად იმისა, რამდენად

<sup>163</sup> იხ. ხუბუა გ., სამართლის თეორია, 2004, 75.

<sup>164</sup> იხ. ჰეივუდი ა., პოლიტიკური იდეოლოგიები, მესამე გამოცემა, N.Y. 2003. 134.

გამანადგურებელი შეიძლება იყოს სასჯელის მოხდის ადგილას პირის განთავსება, შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხიდან გამომდინარე. მოქმედი სსკ ცალ-ცალკე კონკრეტულად არ იძლევა დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებების, სანიმუშო ან დამამძიმებელი გარემოებების ამომწურავ ჩამონათვალს. პროფესორ დვალაძის განმარტებით, ამგვარი მიდგომა მოსამართლის მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს... მან თვითონ უნდა გამოიჩინოს უდიდესი ძალისხმევა საქმის ფაქტობრივი გარემოებების დაწვრილებით შესასწავლად და შემდეგ ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ რა გარემოება მოახდენს სასჯელის სიმკაცრეზე გავლენას.<sup>165</sup> მოცემული მიდგომა პრაქტიკაში განსაკუთრებული კატეგორიის ბრალდებულების საქმის განხილვისას სავალდებულო უნდა იყოს, განსაკუთრებით კი, შშმ პირების მიმართ მათი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის, ასევე სასჯელის მოხდის ადგილებში არსებული შეუსაბამო პირობების გათვალისწინებით.

საყურადღებოა ალტერნატიული სასჯელების დანიშვნა, როდესაც კანონი არათუ ალტერნატიული სასჯელების გამოყენების საფუძვლად განიხილავს შეზღუდულ შესაძლებლობას, არამედ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებისას სწორედ შეზღუდული შესაძლებლობა წარმოადგენს შემაფერხებელ ფაქტორს. სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს. თუ გავითვალისწინებთ იმ მიდგომას, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი და მეცნიერული აზრი თანდათან არა სასჯელის სიმკაცრის, არამედ მისი სამარგებლიანობისაკენ, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, უფრო იხრება, ამ მხრივ, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ერთობ მნიშვნელოვანი სასჯელია.<sup>166</sup> ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვა არ შეიძლება მიჩნეულ

---

<sup>165</sup> იხ. დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013, 73.

<sup>166</sup> იქვე, გვ. 48.

იქნეს მართებულიად.

ცალსახაა, რომ სასჯელის შეფარდებაზე უარის თქმა მხოლოდ მათი შეზღუდული შესაძლებლობის გამო საკამათო შეიძლება იყოს. მოცემული საკითხის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, თუ რა შესაძლებლობები აქვს შეზღუდული მსჯავრდებულს და რამდენად გამორიცხავს იგი ამ სახის სასჯელის მისთვის შეფარდებას, თუმცა კანონი ამ საკითხის რეგულირებას, ზემოაღნიშნულ მსჯელობაზე დაყრდნობით, მოცემულ ეტაპზე გამორიცხავს. *„გამართლებულია საკითხის გადაწყვეტა მსჯავრდებულის მდგომარეობის და შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, მაგრამ ეს მოქმედი კანონმდებლობის პირობებში ჯერჯერობით შეუძლებელია.“*<sup>167</sup> თუმცა, თუ მოსამართლე შშმ პირის მდგომარეობას უფრო დეტალურად განიხილავს, შესაძლებელია გამოიკვეთოს პირის მდგომარეობა, შესასრულებელი სამუშაოს ტიპი და სხვა გარემოებები, რაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას უფრო ეფექტიანად წარმოაჩენს, ვიდრე სხვა სასჯელს. თუმცა, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული ამკრძალავი გარემოებებისა, სასამართლო პრაქტიკის ანალიზით, ასევე დადგინდა, რომ მოსამართლეები საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს, შეიძლება ითქვას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სასჯელის სახით გამოყენებისას ყურადღებით არ იკვლევენ დამნაშავის პროცენების ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და რამდენად შეძლებს ის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულებას.<sup>168</sup>

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების პოზიტიური მნიშვნელობის გარდა, უნდა განვიხილოთ ასევე მისი ნეგატიური მხარეებიც. თუ არ იქნება სწორად განსაზღვრული მისი პროპორციულობა. მაგალითად, სამუშაო ადგილისა და სამუშაოს ტიპის

<sup>167</sup> იხ. თოდუა ნ., ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., ცქიტიშვილი თ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, 550.

<sup>168</sup> იხ. გეთიაშვილი გ., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსი, სამართლის ჟურნალი, №2, 2016, 235.

არასწორად განსაზღვრამ შესაძლებელია უფრო უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს, ვიდრე დადებითი. უპირველესად, ის არ უნდა იყოს გამოყენებული განსაკუთრებით ხანგრძლივად, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს სასჯელის არაპროპორციულობა.<sup>169</sup> ასევე, სასჯელის შესრულების ადგილი და სახე არ უნდა იყოს შშმ პირის სტიგმატიზების დამატებით ხელშემწყობი ფაქტორი.

აქვე ნიშნდობლივია, რომ შშმ პირის მიმართ სასჯელის სახით ჯარიმის შეფარდება კანონით არ იკრძალება. თუმცა მის გამოყენებას შესაძლებელია გამანადგურებელი ეფექტი ჰქონდეს შშმ პირისა თუ მისი ოჯახისათვის, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ეკონომიკურად მონყვლად ჯგუფებად გვევლინებიან. სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენებისას აუცილებელია შშმ პირის ეკონომიკური შესაძლებლობები და გადახდისუნარიანობა კონკრეტულად იყოს მითითებული გადანყვეტილებაში. *„წინააღმდეგ შემთხვევაში, ალტერნატიულ სასჯელს ვერ ექნება მოსალოდნელი ეფექტი, ვერც სასჯელის მიზნებიდან და ვერც სხვა დატვირთვიდან გამომდინარე.“*<sup>170</sup>

ზემოაღნიშნული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები და შიდა ეროვნული კანონმდებლობა ნებისმიერ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვისა და ყველა ადამიანის თანაბარი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფის უმთავრესი გარანტიაა. შშმ პირებთან მიმართებით ასეთი სტანდარტებისა და ხარისხიანი კანონმდებლობის არსებობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა, რამდენადაც საუბარი გვაქვს მონყვლად ჯგუფებზე, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში არ ძალუძთ, დაიცვან ან აარიდონ თავი დაბრკოლებებს, ჯგუფებზე, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ვერ სარგებლობენ სხვა ადამიანებთან თანაბარი საცხოვრებელი გარემოთი და მოპყრობით.

<sup>169</sup> იხ. *გეთიაშვილი გ.*, საზოგადებისათვის სასარგებლო შრომის არსი, სამართლის ჟურნალი, №2, 2016, 240.

<sup>170</sup> იხ. *თოდუა ნ., ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., ცქიტიშვილი თ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, 332.

ამასთან, საზოგადოების უმეტესი ნაწილი, მათ შორის, ისიც, ვისაც ეს ევალება, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, არ გამოირჩევა ტოლერანტული დამოკიდებულებით აღნიშნული პირების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ სამართლის პოლიტიკა უნდა განსაზღვრავდეს ნორმატიული რეგულირების შესაძლებლობებს, ანალიზებდეს შეფასების ისეთ არაიურიდიულ მასშტაბებს, როგორიცაა: მორალი, სოციალური სარგებლიანობა, საჯარო და კერძო ინტერესი და სხვა.<sup>171</sup>

საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობით რეგულირებული, როგორც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფერო არ იძლევა იმის გარანტიას, რომ შშმ პირი იყოს დაცული საოჯახო და სათემო ცხოვრებაში თუ სასჯელის მოხდის ადგილებში. შესაბამისი კანონმდებლობის არქონა პირდაპირ-პროპორციულად აისახება, ერთი მხრივ, ხელმისაწვდომი გარემოს შექმნაზე და, მეორე მხრივ, საზოგადოების ინფორმირებულობასა და იმ პირების მომზადების ხარისხზე, რომლებსაც პროფესიულად შეხება აქვთ შშმ პირებთან. ცნობიერების დაბალი დონე ერთ-ერთი უმთავრესი დამაბრკოლებელი ფაქტორია იმისა, რომ, შესაბამისმა უწყებებმა გაიაზრონ პრობლემის მასშტაბი და გადადგან რეალური ნაბიჯები მის აღმოსაფხვრელად.

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან არის ის საწყისი საფეხური, რომელმაც საზოგადოებაში უნდა შექმნას ყველა ადამიანისთვის თანაბარი გარემო, უნდა შეცვალოს სახელმწიფო სისტემებში ჯერ კიდევ შემორჩენილი საბჭოური დამოკიდებულების ელემენტები შშმ პირების მიმართ. აღნიშნული შესაბამისობა უნდა გახდეს საფუძველი, რომ სახელმწიფოში შეიქმნას ხელმისაწვდომი და თანაბარი გარემო შშმ პირებისთვის, განურჩევლად იმისა, სად იმყოფებიან ისინი: თავისუფლებაში თუ სასჯელის მოხდის ადგილებში. თანასწორობის უფლების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად, დისკრიმი-

<sup>171</sup> იხ. ხუბუა გ., სამართლის თეორია, 2004, 22.

ნაციის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია სახელმწიფოში არსებობდეს ისეთი სისტემა და მექანიზმები, რომლებიც ეფექტიანად უზრუნველყოფენ დისკრიმინაციის პრევენციას, გამოვლენას, სათანადო პასუხისმგებლობის დაკისრებას და დარღვეული უფლების აღდგენას.<sup>172</sup> საკითხის გადანყვეტას უნდა ჰქონდეს კომპლექსური ხასიათი, იგი უნდა დარეგულირდეს სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე. კონკრეტულად გადასადგმელ ნაბიჯებად უნდა განვიხილოთ: შიდა კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზება; გონივრული მისადაგების ცნების დამკვიდრება; ინდივიდუალური მიდგომის განხორციელება ყველა შშმ პირის მიმართ; ინფორმაციის ალტერნატიული, გამარტივებული ფორმატით მიწოდება ფსიქიკური პრობლემების ან განვითარების გარკვეული შეფერხების მქონე თუ სხვა პირთათვის, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ; ცნობიერების ამაღლება შესაძლებლობის შეზღუდვის შესახებ; სტიგმის შემცირება; საზოგადოების მიმღებლობის გაზრდა, რათა ეს პირები გახდნენ არა დახმარების ობიექტები, არამედ უფლებების მატარებელი.

წინამდებარე ნაშრომში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისა და მოცემულ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასჯელალსრულების სისტემა არ შეიძლება განხილულ იქნეს ცალკე, როგორც დამოუკიდებელი ელემენტი. ცნობიერების დაბალი ხარისხი, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, მართლმსაჯულების სისტემაში შშმ პირების მდგომარეობის სათანადო დონეზე გაუთვალისწინებლობა და სხვა მსგავსი არის იმის საფუძველი, რომ შშმ პირები ხვდებიან სასჯელის მოხდის ადგილებში, იმ შემთხვევებშიც კი, როცა შეიძლება დავუშვათ, რომ მისი თავიდან აცილება შესაძლებელი იყო პროცესში შშმ პირის ჩართულობის, ადეკვატური დაცვის ხელმისაწვდომობისა თუ შშმ პირებთან მუშაობისათვის მომზადებული მაღალკვალიფიციური პერსონალის არსებობის შემ-

---

<sup>172</sup> იხ. *ძამაშვილი ბ.*, დისკრიმინაციასთან ეფექტური ბრძოლის მიზნით სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, სამართლის ჟურნალი, №1, 2016, 252.

თხვევაში. თუმცა ეს მიდგომები ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. ამდენად, გარანტი იმისა, რომ შშმ პირები ან არ მოხვდნენ სასჯელის მოხდის ადგილებში ან მოიხადონ სასჯელი სხვა პატიმრებთან თანაბარ, არადისკრიმინაციულ გარემოში, უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბებული კანონმდებლობა და პროცედურები.<sup>173</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში აღწერილი დაცვის ხელმისაწვდომობის არქონა და დისკრიმინაციული გარემო იწვევს შშმ პირებთან მიმართებით როგორც საქართველოს კონსტიტუციით,<sup>174</sup> ისე საერთაშორისო სტანდარტებით დაცული უფლებების<sup>175</sup> დარღვევას.

### **2.3.3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოკლე მიმოხილვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით**

შეზღუდული შესაძლებლობა, შეზღუდულობის ტიპისა და ხარისხის მიხედვით, პირს უზღუდავს სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში თავისუფალ ჩართულობას. შშმ პირის პროცესში ჩართულობის დაბალი ხარისხი კი უნდა ვივარაუდოთ, რომ მეტწილად უარყოფით ზეგავლენას მოახდენს როგორც გამოძიების, ისე სასამართლო პროცესზე და შესაბამისად, საბოლოოდ, სასამართ-

---

<sup>173</sup> მოცემული საკითხის გადაჭრის პირველ ნაბიჯებად უნდა ჩაითვალოს 2019 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი, პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ. კანონპროექტი ინიცირებულია საქართველოს მთავრობის მიერ. მიმდინარეობს კანონპროექტის განხილვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი შემდგომი დამტკიცების მიზნით.

<sup>174</sup> საქართველოს კონსტიტუცია, „თანასწორობის უფლება“, საქართველოს პარლამენტის უწყებები, თავი II, მუხლი 11, ნაწილი 3, 24/08/1995.

<sup>175</sup> ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, „დისკრიმინაციის აკრძალვა“, მუხლი 14, 4 ნოემბერი 1950; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 16/12/1966, მუხლი 2.



ლო შედეგზეც. სსსკ კომენტარებში, სამართლიანი სასამართლოს უფლების განმარტებისას, საუბარია იმ მინიმალურ სტანდარტზე, რომელსაც უნდა მოიცავდეს სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელშიც მოიაზრება ბრალდებულის აქტიური მონაწილეობა, ხოლო ასეთი უფლებების შეზღუდვა იწვევს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით დაცული ადამიანის საპროცესო უფლების დარღვევას.<sup>176</sup>

სამართლიანი სასამართლოს უფლება უნდა წარმოადგენდეს შემდეგი უფლებების ერთობლიობას: პირის უფლება, მიმართოს სასამართლოს; მოითხოვოს თავისი საქმის სამართლიანი საჯარო განხილვა; გამოთქვას მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში; დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით; ასევე, სასამართლო განხილვა გონივრულ ვადებში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.<sup>177</sup> რაც შეეხება საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობას, რაც სრულფასოვანი დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტს წარმოადგენს, ეხება კვლევა, რომელიც განმარტავს საქმის გაცნობის ფიზიკური გარემოს არსებობას და აღნიშნავს, რომ საქმის გაცნობის ოთახები არ აკმაყოფილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მისაწვდომობის სტანდარტს.<sup>178</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლის სამართლის საპროცესო

---

<sup>176</sup> „დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით“, საქართველოს კონსტიტუცია, საპროცესო უფლებები, საქართველოს პარლამენტის უწყებები, თავი II, მუხლი 31, ნაწილი 3, 24 აგვისტო, 1995.

<sup>177</sup> იხ. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზერიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი, 2015, 78.

<sup>178</sup> იხ. ნადირაძე კ., არგანაშვილი ა., აბაშიძე ა., გოჩიაშვილი ნ., ლორდიჯ., სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, 2019, 14.

კანონმდებლობის განხილვისას ნაშრომში რამდენიმე ძირითად ასპექტს დაეთმოება ყურადღება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომში - სსსკ) ტერმინს - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ - ცვლილებებამდე საერთოდ არ მოიხსენიებდა. 2020 წელს კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა ფაქტობრივად დანერგეს ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“, რაც ცალსახად წინგადადგმული ნაბიჯია. თუმცა, მიუხედავად ამ მიმართულებით განხორციელებული ნიშანდობლივი ცვლილებებისა, აღნიშნულ ტერმინს არ ვხვდებით სსსკ ტერმინთა განმარტების ნაწილში (სსსკ, მუხლი 3, 2009). აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსში მოცემული ტერმინის განმარტებით შესაძლებელია მოხდეს არაერთი თანმდევი ხარვეზის თავიდან აცილება, რადგანაც პროცესის მონაწილე მხარეთა მხრიდან მისი არასწორი გაგება შესაძლებელია ხშირად იყოს დარღვევის გამომწვევი მიზეზი.

შემდეგი ცნება არის „საპატიო მიზეზი“ და ჩამონათვალი, რომელშიც სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად არ გვხვდება პირის შეზღუდული შესაძლებლობა და აღსანიშნავია, რომ ამ საკითხს არ შეეხება საკანონმდებლო ცვლილებები. მსჯელობის საგანია ის ფაქტორი, რომ კანონმდებლობა პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად განიხილავს პირის ავადმყოფობას, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით. შეუძლებელია იმის მტკიცება, მოიაზრებს თუ არა ეს ავადმყოფობა პირის შეზღუდულ შესაძლებლობას. თუ კი, რა ტიპის, რა ხარისხის შეზღუდვას გულისხმობს, რადგანაც, როგორც ცნობილია, შეზღუდული შესაძლებლობა არ არის მოკლევადიანი, რაც ერთჯერადი გამოუცხადებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს. ის ქრონიკული პროცესია, რაც იმას განაპირობებს, რომ ადამიანი შესაძლებელია მთელი ცხოვრება ამ მდგომარეობაში იყოს. აღნიშნულ ნაწილს - შეზღუდული შესაძლებლობის შესაძლო

მოაზრებას ავადმყოფობაში - აქვს საპირისპირო მხარეც: როგორც ზემოთ აღინიშნა, შეზღუდული შესაძლებლობა არ არის მხოლოდ სამედიცინო მოდელი, ის განიხილება, როგორც სოციალური მდგომარეობა. ამდენად, თუ შეზღუდულ შესაძლებლობას არ განვიხილავთ, როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამ შემთხვაში იგი სსსკ-ის მე-3 მუხლში<sup>179</sup> შეიძლება მოხვდეს, მაგრამ, თუ მას განვიხილავთ, როგორც სოციალურ მოდელს, ამ შემთხვევაში, ის ვერ მოხვდება ამ მუხლის ჩარჩოში. აქვე ყურადღებას იპყრობს შემდეგი განმარტება: საპატიო მიზეზი შეიძლება იყოს გამონვეული სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით, რომლებიც პირისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის მის პროცესზე გამოცხადებას. თუმცა აქაც გაურკვეველია, ეს განსაკუთრებული გარემოება მოიაზრებს შეზღუდულ შესაძლებლობას, თუ არა.

პროცესზე მხარეთა თანასწორობა აღიარებულია როგორც საერთაშორისო კონვენციებით, ისე ეროვნული კანონმდებლობით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არცერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. თუმცა, აქვე, თუ რეალურად განვიხილავთ ხელშემშლელ ფაქტორებს, რომლებიც შეიძლება ახლდეს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, ადვილი მისახვედრია, რომ შშმ პირების პროცესში მონაწილეობის შემთხვევაში უპირატესობა ავტომატურად ენიჭება მეორე მხარეს. შშმ რესპოდენტი განმარტავს, რომ სასამართლოში პანდუსებიც კი

---

<sup>179</sup> „სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა, რაც გამონვეულია მისი ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით, სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დანესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამონმებული დოკუმენტით, დაუყოვნებლივ ამ ფაქტის დადგენიდან ბრალდებულის გამოჯანმრთელებაზე“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3, 09/10/2009.

არ აქვთ. შშმ პირები თავს არიდებენ სასამართლო დავის დაწყებას იმიტომ, რომ ვერ შედიან სასამართლოში, ის საუბრობს იმაზე, რომ „ერთ-ერთ ადამიანს, რომელიც დისკრიმინაციის მსხვერპლი იყო, ვკითხე, თუ რატომ არ იწყებდა სასამართლოში დავას და მითხრა, რომ სასამართლო შენობაში ნორმალური პანდუსები არ აქვთ და, შესაბამისად, ის სასამართლოში ვერ შედის“.<sup>180</sup>

გარდა ფიზიკური ხელმისაწვდომობისა, შშმ პირს არ აქვს ყველა იმ რესურსის თანაბარი მოძიების საშუალება, რომლებიც მას შეიძლება დაეხმაროს, მაგალითად, როგორცაა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა. „ექსპერტიზის ბიუროები ხელმისაწვდომი არ არის შშმ პირებისათვის, რაც ადამიანებს თავის მართლების საშუალებას არ აძლევს.“<sup>181</sup> თუმცა საპროცესო კოდექსის კომენტარები განმარტავენ ბრალდებულის უფლებას, რომ ჯეროვანი დაცვის უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებელი მას აძლევს შესაძლებლობას, ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად მოიპოვოს და წარადგინოს სასამართლოში დამატებითი მტკიცებულებები, ასევე განსაზღვრავენ მტკიცებულებათა მნიშვნელობას, რომელიც განაპირობებს ბრალდებულის დაცვას დაუსაბუთებელი ბრალდებისა და მსჯავრდებისაგან.<sup>182</sup>

ასევე, ხშირ შემთხვევაში ხელშემშლელი პირობაა შშმ პირის მდგომარეობა, რომლის გამოც ამ უკანასკნელს არ შესწევს უნარი, გამოვიდეს სასამართლოზე და გამოთქვას აზრი. როგორც კომენტარები მიუთითებენ, ბრალდებულს უნდა მიეცეს ბრალდების მხარის მიერ ცალკეულ საკითხებზე გაკეთებული განმარტებებისა და

---

<sup>180</sup> შშმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლეს-ტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

<sup>181</sup> იქვე.

<sup>182</sup> იხ. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზერიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი, 2015, 112, 184.

ნარმოდგენილი საჩივრების გაცნობის, ასევე მათზე მოსაზრებების გამოთქმის უფლება, ვიდრე სასამართლო იმსჯელებს და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.<sup>183</sup>

ჩვენი შეფასებით, ასეთი უფლების რეალიზების ხელის შეშლელი ფაქტორები შესაძლებელია იყოს: ფიზიკური უნარის დაქვეითება ან/და არქონა; მდგომარეობიდან გამომდინარე, განათლების შეუსაბამო დონე; შესაბამისი ხარისხის დამცველის აყვანის შესაძლებლობის არქონა, როდესაც მას ფიზიკურად ან ეკონომიკურად არ შესწევს უნარი, მოიძიოს იმ ხარისხის დამცველი, რომელიც მას მიაჩნია საჭიროდ ან/და აანაზღაუროს მისი მომსახურების ხარჯები და სხვ. ბოლოს კი, რაც ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ თემად შეიძლება განვიხილოთ, არის საზოგადოების დამოკიდებულება, რომელსაც ხშირად ვხვდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ზემოაღნიშნული მსჯელობა ანალოგიის კონტექსტში შესაძლებელია გაფუთანაბროთ შემთხვევებსა და მიდგომებს, რომელთაც საქართველოს პრაქტიკაში ვხვდებით. მათ შორისაა არაერთი საქმე საქართველოს წინააღმდეგ, რომლებშიც სწორედ მართლმსაჯულების სისტემის ხარვეზზეა აქცენტი გაკეთებული. მაგალითად, მზექალიშვილის საქმე, როდესაც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას, ძირითადად, საფუძვლად დაედო ეროვნული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2009 წლის 23 ოქტომბერს დადებული განმცხადებლის ფსიქიკური ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნა განმარტავს, რომ განმცხადებელი, რომელიც 2007 წლიდან სასჯელს იხდიდა ყაჩაღობისათვის, დაავადებული იყო შიზოფრენიით (კლასიფიკაცია ჰ2), რომელიც გამოხატული იყო სხვა დაავადებებთან ერთად, როგორცაა: პარანოია, ჰალუცინაცია, აზროვნებისა და საუბრის უნარის დაქვეითება და სხვა.

ევროპული სასამართლო მოცემულ საქმეში განმარტავს: „საბოლოო დასკვნა იყო, რომ განმცხადებელს არ შეეძლო ანგარიში

<sup>183</sup> იხ. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზერიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი, 2015, 188.

გაენია თავისი ქმედებისთვის და იგი უნდა განთავსებულიყო სპეციალურ კლინიკაში. მიუხედავად აღნიშნულისა, ის მაინც იმყოფებოდა სასჯელის მოხდის ადგილას წლების განმავლობაში“.<sup>184</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გარკვეულ პოზიტიურ მიდგომებსაც ვხვდებით, რომლებიც კიდევ უფრო გამყარდა 2020 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, როგორცაა: ბრალდებულის უფლება, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე დაკითხვისა და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს. მოცემულ მუხლში, გარდა სისხლის სამართლის პროცესის ენის არცოდნისა, მნიშვნელოვანია დაკონკრეტებული დათქმა, რომლის მიხედვით, შშმ პირს, რომელთანაც შესტური ენის გარეშე კომუნიკაცია შეუძლებელია, აქვს თარჯიმნის გამოყენების უფლება. უპირველეს ყოვლისა, ნიშანდობლივია, რომ მოცემულ მუხლში დაკონკრეტდა სურდოთ-არჯიმნის<sup>185</sup> გამოყენების უფლება. ამასთან, კვლავ ყურადღების მიღმა რჩება იმ ადამიანებისათვის მომსახურების განევა, რომლებსაც აქვთ, მაგალითად, მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემა და არ შეუძლიათ გაეცნონ სისხლის სამართლის საქმეს ან პირები, რომლებსაც აქვთ აღქმითი შეზღუდვა და იმისათვის, რომ სრულყოფილად ჩაერთონ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში საჭიროებენ სპეციალისტის დახმარებას.

კანონით გარანტირებული დაცვის უფლება, ანუ დამცველის მომსახურებით სარგებლობის თანაბარი უფლება, შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას, თავისი ფიზიკური ან სხვა მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შესწევს უნარი დაესწროს საქმის განხილვას ან სრულფასოვნად დაიცვას თავი. თუმცა გამოკითხული რესპოდენ-

<sup>184</sup> იხ. ევროპის სასამართლო საქმეები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, ევროპის სასამართლო (Persons with disabilities and the European Convention on Human Rights), 35, 2014. ასევე იხ. მსგავსი საქმეები საქართველოს წინააღმდეგ (Case of Mikiashvili V Georgia, 9 October 2012; Mzekalishvili V Georgia, 5 March 2015), [24.07.2017].

<sup>185</sup> შესტური ენის თარჯიმანი სმენადაქვეითებული პირებისათვის.

ტების უმეტესობა პრაქტიკას კანონის მოთხოვნათა შეუთავსებელ რეალობად განიხილავს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დამცველი სრულფასოვნად მონაწილეობს პროცესში, ის არ ცვლის თვითონ პირს, ასევე არ უნდა გამორიცხავდეს პირის ფიზიკურ მონაწილეობას და მისთვის სასურველი არგუმენტების პირადად წარმოდგენის შესაძლებლობას. „*დამოკიდებულება შშმ პირთა მიმართ – სამართალდამცავი ნებისმიერი სახის შეზღუდვის მქონე პირის უკან ეძებს პირს, ვისაც გაესაუბრება და აუხსნის მდგომარეობას, რადგან თვლის, რომ თავად შშმ პირთან კონტაქტის დამყარებას აზრი არ აქვს.*“<sup>186</sup> თუმცა, გარდა კონვენციის მოთხოვნებისა, არაერთი პრაქტიკული მაგალითი ასევე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თვითონ შშმ პირის მონაწილეობა ყოველ ეტაპზე ბევრად უფრო ხელსაყრელ გარემოს ქმნის როგორც შშმ პირის, ასევე საქმის მწარმოებელი ორგანოებისთვისაც, მაგალითად, სწორედ ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი საქმეში „*მეგიერი (Megyeri) გერმანიის წინააღმდეგ*“, როცა განმცხადებელი იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში. კომისიამ მას დართო ნება, დასწრებოდა განხილვას, სიტყვითაც გამოსულიყო და დარწმუნდა, რომ ნამდვილად სჭირდებოდა დახმარება.<sup>187</sup>

აღნიშნულ ქვეთავში მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა შშმ პირებთან მიმართებით. შშმ პირთა სისხლის სამართლის საქმისწარმოების ყველა ეტაპზე აქტიური ჩართულობის წინაშე მდგარი პრობლემების ანალიზი გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ კანონმდებლობაში უფრო ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული მიდგომები შშმ პირებთან

---

<sup>186</sup> რესპოდენტი, სახალხო დამცველის შშმ პირთა უფლებათა დაცვის დეპარტამენტიდან, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლესტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

<sup>187</sup> იხ. *ტრექსელი შ.*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 268.

მიმართებით. ნაშრომში სსსკ-სთან მიმართებით მოცემული მსჯელობის მნიშვნელობას და საჭიროებას ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ 2020 წელს სსსკ-ში შშმ პირებთან დაკავშირებით შევიდა არაერთი ცვლილება, რომლებიც მიზნად ისახავს კოდექსის წინა ვერსიაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.<sup>188</sup>

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, საჭიროა გაგრძელდეს კანონის დახვეწა. პირველ რიგში, კოდექსის მე-3 მუხლში „ტერმინთა განმარტებას“ უნდა დაემატოს შშმ პირის განმარტება. ასევე, კანონმა სავალდებულო უნდა გახადოს შშმ პირის ჩართულობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. ასეთი ტიპის საკანონმდებლო რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს შშმ პირის კანონის წინაშე თანასწორობა სხვა პირებთან თანაბარ პირობებში და მათი დაცულობა სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში, რადგანაც ასეთი თანასწორობისა და დაცვის სათანადო გარანტიების არქონას მივყავართ შშმ პირების მიმართ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული დაცვის უფლების<sup>189</sup> დარღვევამდე. მყარი საკანონმდებლო რეგულირება კი თავიდან აიცილებს შშმ პირთა უფლებების დარღვევის ალბათობას და ხელს შეუწყობს შშმ პირთა მიმართ პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების, გამოყენებას.

---

<sup>188</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 2020 წლის 14 ივლისი.

<sup>189</sup> საქართველოს კონსტიტუცია, საპროცესო უფლებები, საქართველოს პარლამენტის უწყებები, თავი II, მუხლი 31, 24/08/1995.



### პარი III. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მოპყრობა თავისუფლების აღკვეთის აღვიღებში

#### თავი 1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მოპყრობის თავისებურებანი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

საერთაშორისო დოკუმენტების პარალელურად, რომლებიც არეგულირებენ, ზოგადად, შშმ პირებთან მოპყრობის სტანდარტებს, ასევე არსებობს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები, რომლებიც ადგენენ შშმ პირებთან მოპყრობის სტანდარტებს პენიტენციურ სისტემაში და განსაზღვრავენ მონყვლად ჯგუფებთან მუშაობის თავისებურებებს.

წინამდებარე ნაშრომში ძირითადად განხილულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (შემდგომში - მსწ). წესების განახლებულმა ვერსიამ (მოიხსენიება, როგორც „მანდელას წესები“)<sup>190</sup> მნიშვნელოვნად შეცვალა ძირითადი დოკუმენტის შშმ პირებთან მოპყრობის ნაწილი, იმის გათვალისწინებით, რომ დოკუმენტში ჩაიწერა დათქმები, რომლებიც ადგენენ შშმ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებებს. თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების საკითხებში IACHR-ის მომხსენებელმა, ჯეიმს კავალარომ მანდელას წესები შეაფასა შემდეგნაირად: *„ეს წესები მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია მონყვლადი ჯგუფების დაცვის საკითხში, კონკრეტულად კი თავისუფლებააღკვეთილ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მიმართებით.“*<sup>191</sup> ავტორი საუბრობს იმაზე, რომ წესები

<sup>190</sup> იხ. გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმართა მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები“) გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 2015 წლის დეკემბერში. მასში ასახულია ციხის ეფექტიანი მართვის, მათ შორის პატიმართა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მინიმალური სტანდარტები.

<sup>191</sup> იხ. *Cavallaro J.*, Leading human rights experts call for speedy implementation of the Nelson Mandela Rules on Nelson Mandela International Day, 18.07.2016, 2, 5.

ადგენს ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებას, შექმნას ადეკვატური საცხოვრებელი პირობები იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულებისთვის უზრუნველყოფილი იყოს ციხის პირობებისა და რესურსების სრული და ეფექტიანი ხელმისაწვდომობა.<sup>192</sup>

გარდა იმისა, რომ მინიმალურმა სტანდარტულმა წესებმა ადგილი დაუთმო შშმ პირებთან მოპყრობის საკითხებს. ამ დოკუმენტში ყველაზე ნათლად აისახა სასჯელის მოხდისადმი არსებული თანამედროვე, ადამიანის უფლებებზე დაყრდნობილი ზოგადი მიდგომები. სწორედ ასეთი ტიპის ცვლილებების საჭიროება გახდა საფუძველი იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიზანშეწონილად მიიჩნია 1957 წელს მიღებულ სტანდარტებში ცვლილებების შეტანა. „გაეროს წევრი სახელმწიფოები აღიარებდნენ, რომ მინიმალური სტანდარტული წესები მოძველდა და არ ასახავდა ადამიანის უფლებებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში ბოლო 60 წლის მანძილზე მომხდარ ძირითად მოვლენებს.“<sup>193</sup>

კერძოდ, ცვლილებები, რომლებმაც შშმ პირებთან მოპყრობის ახალი მიდგომები შემოიტანა, აისახა მსწ-ის ძირითად ნაწილში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შშმ პაციმართა საჭიროებების განსაზღვრას და ამ საჭიროებებზე ორიენტირებული, სასჯელის მოხდის რელევანტური გარემოს შექმნას. პირს პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისთანავე უნდა ჩაუტარდეს სამედიცინო შემოწმება. მოცემულმა შემოწმებამ უნდა გამოავლინოს არა მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემები, არამედ პირის შეზღუდული შესაძლებლობაც. წესები განმარტავენ, რომ შემოწმება ასევე უნდა ემსახუროდეს ფსიქოლოგიური ან სხვა ტიპის სტრესის, ან არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი ნიშნის გამოვლენას. იქვე განმარტებულია მიზანი, თუ რატომ უნდა გამახვილდეს აღნიშნულ ფაქტორებზე ყურადღება და მითითებულია, რომ აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია მათი

<sup>192</sup> იხ. *Cavallaro J.*, Leading human rights experts call for speedy implementation of the Nelson Mandela Rules on Nelson Mandela International Day, 18.07.2016, 2, 5.

<sup>193</sup> იხ. ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI), პაციმართან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები („ნელსონ მანდელას წესები“), 2015, 4.

დაფიქსირება და შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინება.<sup>194</sup>

შემდეგი ცვლილება, რომელიც ეხება პატიმართა კლასიფიკაციას, გულისხმობს იმ საჭიროებების ინდივიდუალურ შეფასებას, რომელთა გათვალისწინებითაც შემდგომში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პატიმართა სასჯელის მოხდის ადეკვატური გარემო. მომსახურების სწორად შერჩევასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ცვლილების მიხედვით, დაკონკრეტებულია, რომ ინდივიდუალურმა შეფასებამ უნდა გამოავლინოს ის საფრთხეები, რომელთა წინაშეც პატიმარი აყენებს საკუთარ თავს, ციხის თანამშრომლებს ან სხვა პატიმრებს, ასევე ნებისმიერი რისკი, რომლის წინაშეც შეიძლება ისინი თავად დადგნენ. „უნდა დადგინდეს მათი ინდივიდუალური საჭიროებები და სარეაბილიტაციო ზომები. კლასიფიკაციის სისტემა უნდა იყოს მოქნილი და მიდგომის ინდივიდუალური ზაციის საშუალების მომცემი.“<sup>195</sup>

მანდელას წესები განმარტავს, რომ პატიმრებს უნდა მიეწოდებოდეთ სათანადო კვებითი ღირებულებისა და ხარისხის საკვები. სპეციფიკური კვების საჭიროება შესაძლებელია არ გამომდინარეობდეს შშმ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან, მაგრამ მის შეზღუდულ შესაძლებლობებთან შეუსაბამო ხარისხისა და კვებითი ღირებულების საკვების მიწოდებამ შესაძლებელია გამოიწვიოს შემდგომი გართულება (მაგალითად, ეტლით მოსარგებლე პირისათვის ხანგრძლივი დროით მყარი საკვების მიწოდება და სხვ.). წამების სანინალმდეგო კომიტეტი განმარტავს, რომ შშმ პირთა საკვების ორგანიზებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული შშმ პირების სპეციალური საჭიროებები.<sup>196</sup> ამგვარი მიდგომა სწორედ ამართლებს ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საჭიროებები ამ შემთხვევაში გულისხმობს არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ

<sup>194</sup> იხ. პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები („ნელსონ მანდელას წესები“), 2015, წესი 30.

<sup>195</sup> იქვე, წესი 89.

<sup>196</sup> იხ. CPT standards, European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), Strasbourg, December 2010, 40.

ნებისმიერ სპეციფიკურ საჭიროებას.

იქიდან გამომდინარე, რომ ხშირად, ნებისმიერი მიზეზით, პრიორიტეტების მინიჭება აღიქმება, როგორც სხვათა უფლებების შეზღუდვა ან დარღვევა, მსნ მოუწოდებს ციხის ადმინისტრაციას, გარემო მოარგოს პატიმართა განსაკუთრებულ საჭიროებებს. შესაბამისად, ასეთი საჭიროებების თანხვედრა არ მიიჩნევა დისკრიმინაციად იმ პირების მიმართ, რომლებსაც მსგავსი საჭიროებები არ გააჩნიათ. მანდელას წესები ადგენს ასევე ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებას ციხის პირობები მოარგოს ფიზიკური, ფსიქიკური ან სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, რათა უზრუნველყოს მათთვის მომსახურებისა და პროგრამების თანაბარი ხელმისაწვდომობა. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ მიდგომას, რომ წესები ყურადღების მიღმა არ ტოვებს სხვა პატიმრებს, რომლებმაც უნდა იცოდნენ, რომ დამატებითი ზრუნვა გამომდინარეობს მათი საჭიროებებიდან და რომ „სპეციალური საჭიროებების ხელშეწყობის მიზნით მიღებული ზომები არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციულად.“<sup>197</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სასჯელალსრულების სისტემაში საჭიროა დაინერგოს ახალი მიდგომები, რომლებიც ეფუძნება ზემოაღნიშნულ სტანდარტებს, კერძოდ: რისკისა და საჭიროებების შეფასების ზოგადი სტანდარტების პარალელურად, სავალდებულო ხასიათი უნდა მიეცეს შუამ პირთა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მიღებისას მათი საჭიროებების შესწავლისა და ამ საჭიროებებზე მორგებული სასჯელის მოხდის პროცესის დაგეგმვას. აღნიშნული პროცედურა უნდა ეყრდნობოდეს სასჯელალსრულების ნებისმიერ დაწესებულებაში მიღებულ შუამ პირთან ინტერვიუს (გასაუბრების) ჩატარებას პროფესიონალი ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების მიერ, რაც სისტემას საშუალებას მისცემს, გამოავლინოს მიღებულ პირთა შეზღუდული შესაძლებლობების სახე და ხარისხი სტატუსის დადგე-

<sup>197</sup> იხ. გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები“), 2015, წესი 2.

ნის გარეშე (მისი არქონის შემთხვევაში). ინტერვიუება ასევე უნდა ემსახურობდეს საჭიროებებზე მორგებული სასჯელის მოხდის პროცესის დაგეგმვას. ეს მიდგომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობები არ არის ვიზუალურად გამოკვეთილი და ასევე პირს არა აქვს დადგენილის შშმ პირის სტატუსი.

ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს სასჯელალსრულების სისტემას თავიდან აიცილოს შშმ პირთა უფლებების დარღვევის რისკი და გაამყაროს შშმ პირთა დაცულობის ხარისხი. თუ სასჯელის მოხდის გეგმის შემუშავება მოხდება საპრობილემო, ამ შემთხვევაში გეგმა თან უნდა ახლდეს პირს ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში გადაყვანის დროს ან სხვა შემთხვევაში მისი მოცემული საპრობილიდან გადაყვანის დროს. გეგმა უნდა იყოს მოქნილი და მასში ცვლილებების შეტანა სასჯელის მოხდის ნებისმიერ ეტაპზე უნდა მოხდეს უფლებამოსილი პირის მიერ. გეგმის მოქმედება უნდა გაგრძელდეს სასჯელის საბოლოო მოხდამდე, მათ შორის, პრობაციის ბიუროებში შშმ პირის პრობაციის დაქვემდებარებაში გადასვლის შემთხვევაში. აღნიშნული ფორმით სასჯელის გეგმის შემუშავება და მისი განხორციელება ხელს შეუწყობს პირის საჭიროებებზე მორგებული პრობების შექმნას სასჯელის მოხდის ნებისმიერ ეტაპზე, განამტკიცებს პირის დაცულობას და გაზრდის პერსონალის მუშაობის ეფექტიანობას ყოველდღიურ საქმიანობაში.

აღნიშნული დარღვევების თავიდან აცილებისა და რისკის შეფასების მყარი ინსტიტუტის შესაქმნელად უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები და პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის 41 ნაწილს უნდა დაემატოს განმარტება შშმ პირთა რისკისა და საჭიროების სავალდებულო შეფასების შესახებ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის შესაბამის ბრძანებაში,<sup>198</sup> რომელშიც საერ-

<sup>198</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, №395 (დანართი 1, 2), 08 მაისი, 2019, მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის,

თოდ არ არის ნახსენები შშმ პირი, დეტალურად უნდა გაინეროს შშმ პირთა რისკისა და საჭიროების შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები, ასევე უნდა მოხდეს პერსონალის მომზადება შშმ პირებთან ინტერვიუს განსახორციელებლად, სასჯელის მოხდის რელევანტური გეგმის შემუშავება და მისი შესრულება.

---

გადაყვანის პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ.

**თავი 2. შიზოიდური პირობების მქონე  
პაციენტთან მოპყრობის თავისებურებანი  
სასჯელალსრულების სისტემაში. შიდაეროვნული  
კანონმდებლობის მიმოხილვა**

საქართველოს პატიმრობის კოდექსის ერთ ნაწილში საუბარია შშმ პირებთან მოპყრობის სტანდარტების შესახებ, თუმცა იგი არ ასახავს პენიტენციურ დაწესებულებაში ცხოვრების ყველა სფეროს და მის მხოლოდ მცირე ნაწილს არეგულირებს, როგორცაა საცხოვრებელი პირობები, კვება და მიმოწერა. კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ შშმ პაციენტებს ისევე როგორც სხვა განსაკუთრებული კატეგორიის პირებს, როგორცაა მაგალითად, ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვნებს, ავადმყოფებსა და ხანდაზმულებს (ქალებს — 60, ხოლო მამაკაცებს — 65 წლიდან), უნდა ჰქონდეთ სხვა ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან შედარებით უკეთესი კვება და საცხოვრებელი პირობები. აღსანიშნავია მოცემულ ნაწილში გადადგმული პოზიტიური ნაბიჯი იმასთან დაკავშირებით, რომ 2020 წლის ცვლილებით<sup>199</sup> კანონმდებლობიდან ამოღებულ იქნა ტერმინი „*მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შიზოიდური შესაძლებლობის მქონე პირი*“, რომელიც ფაქტობრივად დახმარებისა და მომსახურების გარეშე ტოვებდა სხვა შშმ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, რომლებსაც არ ჰქონდათ ასეთი გამოხატული მახასიათებლები.<sup>200</sup> თუმცა ვერ ვიტყვით, რომ პრობლემა ამ ცვლილებით სრულად აღმოიფხვრა, რადგანაც არ ყოფილა შეტანილი სათანადო ცვლილება კანონქვემდებარე აქტებში, ასევე არ შემუშავებულა ახალი დოკუმენტი, რომელიც განმარტავდა, თუ როგორ უნდა მოახდინოს იმ შშმ პირის იდენტიფიცირება პენიტენციურმა სისტემამ, რომელსაც არ აქვს მკვეთრად და

<sup>199</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 14 ივლისი, 2020.

<sup>200</sup> იხ. საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსი, მუხლი 15, საცხოვრებელი პირობები, მუხლი 23, ბრალდებულის/მსჯავრდებულის კვება, სსმ, 24/03/2010 (ძველი რედაქცია).

მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობა, ასევე არ აქვს დადგენილი სტატუსი. ამდენად, რთულია იმის მტკიცება, ეს ცვლილება გაართულებს შშმ პირებთან მუშაობის პროცესს თუ გახდის მას უფრო ეფექტიანს.

როგორც აღინიშნა, მიუხედავად გარკვეული მცდელობისა, საქართველოს პენიტენციური სისტემის მარეგულირებელ კანონმდებლობაში არ არის აღწერილი, თუ ვინ უნდა მიიჩნიოს სასჯელალსრულების სისტემის ადმინისტრაციამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირად, სასჯელალსრულების დაწესებულებაში მიღებისას შშმ პირის სტატუსის არქონის შემთხვევაში ან ასეთი სტატუსის დადგენამდე. ასევე კანონით ან კანონქვემდებარე აქტებით არ არის დადგენილი, თუ როგორ უნდა გამოავლინოს ადმინისტრაციამ პირის განსაკუთრებული საჭიროებები და დაგეგმოს სასჯელის მოხდა ისე, რომ შშმ პირს შეუქმნას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ადეკვატური პირობები, ღირსების დაცვით. ამ მხრივ არაერთ ქვეყანაში არსებობს წარმატებული პრაქტიკა, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში კანონი განმარტავს, რომ შშმ პირად მოიაზრება „პირი, რომელსაც აქვს ფიზიკური, სენსორული და მენტალური დაქვეითება, რომელიც ზეგავლენას ახდენს მის შესაძლებლობაზე ნორმალურად განახორციელოს ყოველდღიური საქმიანობა“.<sup>201</sup>

საერთაშორისო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია შშმ პირის მდგომარეობა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მიღების/ყოფნის დროს ვერ ან არ იქნეს აღქმული შეზღუდულ შესაძლებლობად, რაც, უპირველესად, მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე აყენებს თავად მას და შემდგომ სისტემის ადმინისტრაციას, რომელიც ვალდებულია შექმნას ადეკვატური პირობები შშმ პატიმრებისათვის.

აღნიშნულ სფეროში არსებული გამოცდილების ბაზაზე სხვადასხვა ორგანიზაცია იძლევა შესაბამის განმარტებას (რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნეს ერთ-ერთ სახელმძღვანელო

---

<sup>201</sup> იხ. Prison service Order, PSO 2855 - The Management of Prisoners with Physical disabilities, p. 2.3. Date of Initial Issue 20/12/99, Date of Update: 13/10/03.



განმარტებად) სტატუსის დადგენამდე. ის სვამს კითხვას, თუ რა არის შეზღუდული შესაძლებლობა და განმარტავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების უმეტესი ნაწილის ვიზუალურად ნახვა შეუძლებელია და რომ ციხეში შეზღუდული შესაძლებლობა ბევრს აქვს. ის განმარტავს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ალბათობა იმისა, რომ პატიმრებს ჰქონდეთ შეზღუდული შესაძლებლობა: „თუ თქვენ გაქვთ: ხანგრძლივი დაავადება (მაგალითად, ასთმა), რომელიც ზოგჯერ ხელს გიშლით რაღაცის გაკეთებაში; შემეცნებითი უნარის შეზღუდვა ან სირთულე (როგორცაა დისლექსია) ან აუტიზმი, რის გამოც თქვენ ზოგჯერ გიჭირთ რამის აღქმა ან გაგება; სერიოზული მენტალური ჯანმრთელობის პრობლემა (მაგალითად, როგორცაა დეპრესია), რომელიც უკვე დიდი ხანია გრძელდება; მხედველობის, სმენის, საუბრის ან გადაადგილების პრობლემა“.<sup>202</sup>

აღნიშნული განმარტება, პოსტსაბჭოთა ქვეყნების პრაქტიკისაგან განსხვავებით, შედარებით მარტივად წარმოაჩენს შშმ პირებთან მოპყრობის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს. განმარტების სისწორე და მართებულობა ბევრი სპეციალისტისთვის შესაძლებელია დავის საგანი იყოს, თუმცა ასეთი ტიპის პირველადი განმარტების ქონას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ქვეყნების პრაქტიკაში, რომლებშიც არსებობს სტატუსის დადგენის პრობლემა (მათ შორის საქართველოში). სახალხო დამცველის განმარტებით, საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში სტატუსის დადგენა ხანგრძლივ და პრობლემურ საკითხთა ნუსხაში განიხილება და ის მოცემულ საკითხს მოუგვარებელ პრობლემად მიიჩნევს, რაც შემდგომში აისახება შშმ პირთა სასჯელის მოხდის ადეკვატური პირობების შექმნაზე, „როცა შეუძლებელი ხდება შშმ პირების საჭიროებებითა და შესაბამისი სპეციალური მომსახურებით უზრუნველყოფა.“<sup>203</sup>

<sup>202</sup> იხ. Information book for prisoners with a disability, Offender Health and Prison Reform Trust 2009, Prison Reform Trust office (020 7251 5070 or PRT, Freepost, ND6125, London EC1B 1PN).

<sup>203</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი

ხშირად სწორედ სტატუსის არქონა ხდება იმის მიზეზი, რომ შშმ პატიმრებს არ აქვთ შესაბამისი გარემო და მომსახურება და დგანან უფლებათა დარღვევისა და ძალადობის მაღალი რისკის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის გამოვლენა არ იყოს რთული, სტატუსის დადგენის გარეშე, იმისათვის რომ პირობები პირის რეალური მდგომარეობის შესატყვისი იყოს და არა მისი სტატუსისა, რომელიც შესაძლებელია დადგინდეს უკვე შემდგომ, პროცედურით დადგენილ ვადებში, ყოველგვარი ზიანის თავიდან აცილებით.

ნათელია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სასჯელის მოხდის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა დამოკიდებულია მრავალ გარე ფაქტორზე, თუმცა, უპირველესად, ეს არის სასჯელალსრულების სისტემის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები,<sup>204</sup> რომლებმაც უნდა დაარეგულირონ შშმ პირებისათვის ღირსების დაცვაზე ორიენტირებული სასჯელის მოხდის პირობების უზრუნველყოფა. გარდა სტატუსის დადგენისა, საკანონმდებლო რეგულირების მიღმა რჩება ასევე შშმ პირების საჭიროებებზე ორიენტირებული ბიუჯეტი, ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი გარემო;

---

მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, არანებაყოფლობითი და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში - რეკომენდაციების შესრულების ანალიზი, 2014, 4-5 (მოცემული ანგარიში ბოლო გამოქვეყნებული სპეციალური ანგარიშია სასჯელალსრულების სისტემაში შშმ პირთა მდგომარეობის შესახებ), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://www.ombudsman.ge/geo/190307075330spetsialuri-angarishebi>>, [15.11.2019].

<sup>204</sup> მოცემულ შემთხვევაში კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების ქვეშ მოიაზრება საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის №366 ბრძანება სპეციალური პენიტენციური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, 2018; საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებები №107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 115, 116, 117, 118, 119, 120 და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №418 სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაციარეაბილიტაციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, 2019.

მომვლელისა და მომსახურების ინსტიტუტი; სათანადოდ მომზადებული პერსონალის ყოლის ვალდებულება, რომელიც, გარდა იმისა, რომ პრობლემას უქმნის შუამ პატიმრებს თავისი ცუდი მომზადებისა და არასაკმარისი პროფესიული უნარების გამო, თვითონაც ხვდება არაკომფორტულ სამუშაო გარემოში, რადგანაც დგება პრობლემების წინაშე, რომელთა გადაჭრაც მას არ ძალუძს იმ ცოდნისა და მომზადების ფარგლებში, რომელიც აქვს.

საკანონმდებლო რეგულირებასთან მიმართებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი, ნაშრომში აღნიშნული პრობლემის გადაჭრა უნდა ეფუძნებოდეს საკანონმდებლო გარანტიებს, რისთვისაც სასჯელაღსრულების სისტემამ კვლავ უნდა გააგრძელოს საქმიანობის მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობის ოპტიმიზაცია შუამ პატიმრებთან მიმართებით. ასევე, უნდა შეიმუშაოს და დანერგოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც დეტალურ განმარტებას მისცემენ კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს და ხელს შეუწყობენ კანონის ეფექტიან განხორციელებას პრაქტიკაში. სამართლებრივი ბაზის ოპტიმიზაცია უნდა უზრუნველყოფდეს შუამ პირთათვის სასჯელის მოხდის გონივრულ გარემოს, რომელიც უნდა მოიცავდეს სასჯელის მოხდის პროცესთან დაკავშირებულ ყველა სფეროს და არა მხოლოდ იმ კონკრეტულ მიმართულებას, რომელსაც საკანონმდებლო ცვლილება შეეხო, როგორცაა საცხოვრებელი პირობები, კვება და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმოწერა, რადგანაც შუამ პირებთან მიმართებით სათანადო რეგულირების მიღმა რჩება ისეთი სფეროები, როგორცაა: მიღების პროცედურები, შუამ პირების რეგისტრაცია, შემოწმება, განთავსება და განაწილება შუამ პირთა ღირსების სრული დაცვით; ასევე, განთავსების შემდგომ სასჯელის მოხდის პერიოდის დაგეგმვის, სარეაბილიტაციო პროგრამებში თანაბარი ჩართულობისა და გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის უზრუნველყოფა. ზემოაღნიშნული საკითხების საკანონმდებლო რეგულირება, უპირველეს ყოვლისა, ხელს შეუწყობს სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებების ეფექტიან ფუნქციონირებას, ასევე უზრუნვე-

ლყოფს შშმ პირების საჭიროებებზე ორიენტირებულ ბიუჯეტს და გაამყარებს პერსონალის ვალდებულებებს შშმ პირებთან მოპყრობისას.

ასეთი საკანონმდებლო პაკეტის შესაქმნელად და საკანონმდებლო ცვლილებების მოსამზადებლად იუსტიციის სამინისტრომ უნდა მოახდინოს იმ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მობილიზება, რომლებსაც აქვთ გამოცდილება შშმ პირებთან მუშაობის სფეროში, რათა ასეთი კანონპროექტების მომზადებისას გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო წარმატებული პრაქტიკა და გამოწვევები, რომლებიც სხვა ქვეყნებს აქვთ ამ მიმართულებით.

**თავი 3. შავლული შესაქმნელობის მქონე  
პატიმართან მოპყრობაზე ორიენტირებული  
სასჯელაღსრულების სისტემის დანახაზულება  
მენაჯმენტი**

სასჯელაღსრულების სისტემის ეფექტიანი მართვა დამოკიდებულია იმ კანონმდებლობისა და რეგულირების მექანიზმის არსებობაზე, რომელიც ნათლად და ცალსახად ადგენს სასჯელაღსრულების სისტემის ფუნქციონირების ყველა სფეროს, მათ შორის ისეთებს, როგორცაა: უსაფრთხოება და უსაფრთხოების ზომები; დისციპლინური ღონისძიებები და მისი გამოყენების სტანდარტები, დანესებულების პერსონალი, სარეაბილიტაციო პროგრამები და მისი გამოყენება და სხვ., რათა ციხეებში სასჯელის აღსრულება განხორციელდეს სხვა სოციალურ მიზნებთან ერთობლიობაში, პატიმართა უფლებების დაცვის გათვალისწინებით.

იმისათვის, რომ შშმ პირებმა სასჯელი მოიხადონ სხვა პატიმრებთან თანაბარ პირობებში, ციხის მართვა და ადმინისტრაციის მიდგომები მიმართული უნდა იყოს ყველა იმ დაბრკოლების აღმოფხვრისკენ, რომელიც შესაძლებელია შშმ პირებს აყენებდეს სხვა პატიმრებისგან განსხვავებულ პირობებში. ციხის ადმინისტრაციას აქვს გადამწყვეტი როლი, რათა შეიმუშაოს შშმ პატიმრებთან დაკავშირებული შესაფერისი პოლიტიკა, რომელიც გამყარებული იქნება, მინიმუმ, ციხის შიდა რეგულაციებით. შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობის შემთხვევაში რეგულაციები შესაძლებელია ეყრდნობოდეს შშმ პირთა უფლებათა კონვენციას და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს. აღნიშნული პოლიტიკა უნდა იყოს ნათელი, გასაგები და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისათვის, როგორცაა: პერსონალი, პატიმრები, მათი კანონიერი წარმომადგენლები თუ სხვა დაინტერესებული პირები.

ციხის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული პოლიტიკა მკაფიოდ უნდა კრძალავდეს შშმ პატიმრების დისკრიმინაციას და უნდა ემსახურებოდეს ნებისმიერი სახის უთანასწორო მოპყრობის აღმოფხვრას. ექსპერტები განიხილავენ, თუ როგორ უნდა მიაღწიოს

სასჯელალსრულების სისტემამ ისეთ მდგომარეობას, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი მოპყრობა შშმ პირების მიმართ და მათი უფლებების დაცვა. ექსპერტების აზრით, ციხის ადმინისტრაციას სჭირდება შეიმუშაოს პოლიტიკა და სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შშმ პატიმართა საჭიროებები ციხეში. იგი უნდა ეყრდნობოდეს კონვენციას და ეროვნულ კანონმდებლობას. ასეთი სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: „პერსონალის ტრენინგი, პატიმართა კლასიფიკაცია, საცხოვრებელი პირობები, სამედიცინო მომსახურება, პროგრამებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოება, გათავისუფლები-სათვის მომზადება, ვადამდე ადრე გათავისუფლება.“<sup>205</sup>

ფაქტია, რომ ბევრ ქვეყანას და, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობას, არა აქვს არც გამოცდილება და არც მატერიალური თუ ფიზიკური რესურსები, რომ ყველა შშმ პირს შესთავაზოს სათანადო მომსახურება და პროგრამები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი მდგომარეობის შესაძლო გართულება. გარდა იმისა, რომ ასეთი მომსახურება უნდა იყოს ციხის ადმინისტრაციის პოლიტიკის ნაწილი, ასევე მას უნდა ჰქონდეს შემუშავებული იმ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სტრატეგია, რომლებიც ასეთ მომსახურებას აწვდიან მოქალაქეებს საზოგადოებაში. ხშირად ამგვარ ორგანიზაციებს შესაძლებელია ხელმძღვანელობდნენ ან იქ დასაქმებული იყვნენ შშმ პირები, რაც მათ ეფექტიანობას დახურულ ინსტიტუციებში კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს.

გარდა პოლიტიკის შემუშავებისა, მენეჯმენტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ასევე მონაცემების შეგროვება და ანალიზი, რასაც ციხის ადმინისტრაცია რეგულარულად უნდა ახორციელებდეს. დღეისათვის კი საქართველოში არ არსებობს სტატისტიკის წარმოების გამართული სისტემა არცერთ სტრუქტურაში და მათ შორის პენიტენციურ სისტემაში. IDF-ის ანალიზის მიხედვით, სახელმწიფო ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს

---

<sup>205</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 43.

შშმ პირთა შესახებ სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების წარმოებას, რის ვალდებულებაც ქვეყანას ალბულის აქვს გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის მიხედვით.<sup>206</sup> თუმცა ყველასთვის ნათელია, რომ მონაცემების ანალიზი და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი სტატისტიკის წარმოდგენა უნდა იყოს ციხეების ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი, თუმცა მას განსაკუთრებული როლი ენიჭება შშმ პატიმრებთან მიმართებით, მათთან დაკავშირებული მწირი ინფორმაციისა და ჩანაწერების არსებობის გათვალისწინებით. სტატისტიკის ანალიზი და წარმოება უნდა ითვალისწინებდეს არა ინფორმაციის გავრცელებას, არამედ არსებული ხარვეზების გამოვლენასა და შშმ პატიმრებთან მუშაობის ეფექტიან დაგეგმვას, როდესაც ციხის ადმინისტრაციამ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა არ მოხდეს შშმ პატიმართა სტიგმატიზაციის ხელშეწყობა, როგორც სასჯელის მოხდის ეტაპზე, ასევე გათავისუფლების შემდეგ.

მოცემული მსჯელობა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შშმ პირებთან მიმართებით არსებული პრობლემების გადაჭრა ხშირად შესაძლებელია ადგილობრივ დონეზე, სწორი დაგეგმვისა და პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში. ამდენად, სასჯელალსრულების სისტემის ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს სასჯელალსრულების სისტემის მართვის პოლიტიკა და განახორციელოს დანერგულების მართვა ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული შშმ პატიმართა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, რისთვისაც სისტემამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიმუშაოს შესაბამისი სტატისტიკა შეზღუდვების კატეგორიებისა და ხარისხის მიხედვით.

სტატისტიკა, პერსონალური მონაცემების გარეშე, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც აღნიშნულ საკითხებზე მუშაობენ და აქვთ როგორც საჭიროებების შეფასების,

---

<sup>206</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემის ანალიზი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2018, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <[https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2017/idfi\\_general/statistics\\_on\\_pwdws\\_in\\_georgia\\_ge\\_idfi.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/idfi_general/statistics_on_pwdws_in_georgia_ge_idfi.pdf)>, [15.11.2019].

ისე, ზოგადად, შშმ პირებთან მუშაობის ფართო, მრავალწლიანი გამოცდილება, რათა სასჯელალსრულების სისტემამ მიიღოს აღნიშნული ორგანიზაციების მხარდაჭერა და პროფესიული დახმარება. ამ ორგანიზაციების ჩართულობა სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებაში ხელს შეუწყობს სისტემის მოქნილობის ხარისხის ამაღლებას შშმ პირებთან მუშაობისა და სასჯელის მართვის ნაწილში.

შშმ პირებთან მუშაობის სპეციფიკა და მათი საჭიროებები შეტანილ უნდა იქნეს როგორც სისტემის ხანგრძლივი განვითარების სტრატეგიაში, ისე ყოველწლიურ გეგმებში, რაც აამაღლებს პასუხისმგებლობის ხარისხსა და ანგარიშვალდებულებას სისტემის მენეჯმენტის მხრიდან.



## **თავი 4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრის სასჯელალსრულების დანახვულაზე მიღება**

პენიტენციური სისტემა არის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ამ სფეროში არსებული მიდგომები და პროცედურები, ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემის განვითარებაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს. სწორედ სასჯელალსრულების დანახვულაში მიღების პროცესში გამოყენებული მიდგომები და დამოკიდებულება უნდა დაეხმაროს შშმ პირს, გადალახოს პენიტენციური სტრესი, რომელიც მას, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბევრად უფრო გამძაფრებული აქვს. მიღების სტანდარტებმა უნდა დაარეგულიროს შშმ პირის ინფორმირება პირველივე წუთებიდან იმის თაობაზე, რომ მას შეუძლია მიიღოს თავისი მდგომარეობის შესაბამისი დახმარება და რომ ის არ დაექვემდებარება დისკრიმინაციულ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას.

მიღების პროცედურების შესახებ აღნიშნულია არაერთ ნაშრომსა და ანგარიშში, რომლებშიც, გარდა იმისა, რომ საუბარია მიღების პროცესში არსებული წესებისა და პროცედურების მნიშვნელობის შესახებ, ასევე ვხვდებით არაერთ რეკომენდაციულ ჩანაწერს. მაგალითად, ანგარიშში „შეზღუდული შესაძლებლობა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა“ ვხვდებით განმარტებას, რომლის თანახმად, ზოგადად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი საფუძველი სწორედ შშმ პირის ციხეში მიღების პროცედურებშია. ავტორი ამ პროცედურებს სამ ნაწილად ყოფს და აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფერო ვერ იქნება წარმატებული თუ შეზღუდული შესაძლებლობები არ განიხილება შემდეგ სამ ეტაპზე, როგორცაა შშმ პირთა ციხეში მიღება, მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზები და ეფექტიანი გათავისუფლების სიტემა. ციხეში მიღებასთან დაკავშირებით ანგარიშში განმარტებულია, რომ ციხეში მიღების დროს შშმ პირები უფრო მაღალი რისკის წინაშე დგანან, ვიდრე სხვა პირები. იგი იძლ-

ევა რეკომენდაციას, თუ რა გზით უნდა გადაიჭრას პრობლემა. „ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა სტიგმისა და უცოდინრობის წინააღმდეგ ბრძოლა“. რაც შეეხება მართლმსაჯულების სისტემას, ანგარიშში საუბარია პრობლემებზე, რომლებსაც შშმ პირები მოცემულ სფეროში ხვდებიან, როგორიცაა: „ადვოკატზე ხელმისაწვდომობის არქონა, არასათანადო საცხოვრებელი პირობები, კომპლექსური ნესების არარსებობა, სისტემატური შეურაცხყოფა და განმარტოებით პატიმრობა.“<sup>207</sup> ანგარიშში იქვე განმარტებულია, თუ რა გზებსა და საშუალებებს უნდა მიმართოს სახელმწიფომ, რომ შექმნას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უკეთესი სისტემა, რომლისთვისაც საჭიროა ჩამოყალიბდეს: „ეფექტიანი გათავისუფლების, საზოგადოებაში დაბრუნებისა და რეინტეგრაციის მექანიზმის ჩამოყალიბება. რეფორმა მიმართული უნდა იყოს განათლების, პოტენციალის განვითარების, მონაცემთა ბაზის გაუმჯობესების, დამსაქმებელთა მოზიდვისა და ინოვაციური დაფინანსების წყაროების გაფართოებისაკენ“.<sup>208</sup>

თუ განვიხილავთ შშმ პირების პენიტენციურ დაწესებულებაში მიღების პროცედურებთან დაკავშირებით ქართულ კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს, უპირველესად, ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ კანონმდებლობაში დეტალურად არ არის განხილული მიღების დროს შშმ პირთა საჭიროების შესწავლა. კანონი (საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსი, მუხლი 24) პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას ითვალისწინებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების ვალდებულებას.

კანონის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებისას სამედიცინო შემოწმების შესახებ დგება ცნობა, რომელიც მის პირად საქმეში ინახება. ცნობაში საუბარი არ არის კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობის გამოვლენასა და მისი ხარისხის დად-

---

<sup>207</sup> იხ. Disability and Criminal Justice Reform: Keys to Success, Report from June 2016, by the organization “Respect Ability”, 2.

<sup>208</sup> იქვე.

გენაზე. ამდენად, თუ შეზღუდულ შესაძლებლობას სოციალურ მოდელში განვიხილავთ, ამ შემთხვევაში უნდა დავასკვნათ, რომ ასეთ დათქმას ქართული კანონმდებლობა საერთოდ არ მოიაზრებს. პატიმრობის კოდექსის 75-ე მუხლი განმარტავს ასეთი შემომწმების მიზანს, რომელიც გულისხმობს ბრალდებულის სხეულზე დაზიანების გამოვლენასა და ადმინისტრაციისა და პროკურორის სავალდებულო ინფორმირებულობის უზრუნველყოფას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ამ მნიშვნელოვანი მიზნის პარალელურად, რომელსაც განმარტებაში ვხვდებით, არ მოიაზრება პატიმრობის საჭიროებების განსაზღვრა. პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს ჩანაწერი ამავე მუხლში დაწესებულებაში მიღებისას უფლებების გაცნობისა და წერა-კითხვის უცოდინარი ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის გასაგები ფორმით ინფორმაციის მიწოდების შესახებ. ნათელია, რომ მიღების დროს უფლებების გაცნობა უმნიშვნელოვანესი საკითხია და მისი კანონმდებლობის მოთხოვნებში ასახვა ასევე მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს, თუმცა აქვე ვერ ვხვდებით პროცედურებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ უფლებების გაცნობა შშმ პირებისთვის, რომლებსაც დაქვეითებული აქვთ სმენა, მხედველობითი უნარი, შემეცნებითი უნარი და ა. შ. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პატიმრებს, რომლებსაც უჭირთ პატიმრების შესახებ საინფორმაციო დოკუმენტის გაგება, ინფორმაცია მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ უნდა მიეწოდოთ მათთვის გასაგები ფორმებით, რომელიც განსხვავდება სხვა პატიმრებისათვის ინფორმაციის მიწოდების წესებისაგან. მათთვის განსაკუთრებით გასაგები ფორმებითა და მეთოდებით უნდა იქნეს ახსნილი ციხის წესები და რეგულაციები. მაგალითად, მხედველობის სერიოზული დარღვევის მქონე პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ბრაილის შრიფტით ან აუდიოჩანაწერის მეშვეობით, სმენადაქვეითებული პირებისათვის კი - სურდოთარჯიმნის მეშვეობით, თუ მას არა აქვს უნარი ან ცოდნა, რომ ეს ინფორმაცია წაიკითხოს და ა. შ.

გარდა იმ სტანდარტებისა, რომლებიც ადგენენ, თუ რას უნდა

აკეთებდეს ან რა დადგენილი წესები უნდა ჰქონდეს სასჯელალ-სრულების დაწესებულებას პატიმრის მიღების დროს, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ფაქტი, რომ შშმ პირს მიღებისას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, განაცხადოს შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ, რაც ბევრად გააადვილებს მისთვის შესაბამისი პირობების შექმნას და მასთან მუშაობას. „შშმ პატიმრებს ციხეში მიღების დროს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა განაცხადონ ნებისმიერი შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ და წარმოადგინონ ინფორმაცია განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ.“<sup>209</sup>

შეზღუდული შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესახებ პატიმრის მხრიდან განცხადების გაკეთების შემთხვევაში ციხის ადმინისტრაცია მისი მდგომარეობის შემოწმებამდე ან/და დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენამდე მიიჩნევს, რომ ეს განაცხადი არის პატიმრის მხრიდან მცდელობა, მოხვდეს გაუმჯობესებულ პირობებში, რაც ცალსახად მანკიერი პრაქტიკაა. შეზღუდული შესაძლებლობის განცხადების შემთხვევაში პირს უნდა შეექმნას საჭიროების შესაბამისი პირობები. მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის დაუდასტურებლობის შემთხვევაში უნდა იქნეს ის გადაყვანილი სხვა პატიმრებთან თანაბარ პირობებში, თუმცა პრაქტიკა საპირისპიროს გვიჩვენებს. პატიმრებს ფაქტის დადგენის შემთხვევაში ეძლევათ საჭიროების შესაბამისი პირობები (თუ ასეთი შესაძლებელია), ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი იმყოფებიან სხვა პატიმრებთან ერთად ადმინისტრაციის მხრიდან ფაქტის დადასტურებამდე, რაც შესაძლებელია დროში გაინელოს და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს შშმ პირთა ფიზიკურ მდგომარეობასა და ჯანმრთელობას.

აქ მოყვანილი მსჯელობა არ უნდა გავიგოთ ისე, რომ პატიმრების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობებისა და საჭიროების შესახებ ადმინისტრაციისათვის ინფორმაციის მიწოდება გამორიცხავს შემდგომ კვალიფიციური შემოწმებისა და სასჯელის მოხდის

<sup>209</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 50.

სპეციალური საჭიროების საფუძველზე დაგეგმვის ვალდებულება. ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს პატიმრის სამედიცინო შემოწმება, შეზღუდული შესაძლებლობების ტიპისა და ხარისხის დადგენა და საჭიროების განსაზღვრა შესაბამისი პერსონალის მხრიდან, რაც უნდა გახდეს შშმ პირის საკნებში (საცხოვრებელ სადგომში) განთავსებისა და სასჯელის ადეკვატურ პირობებსა და გარემოებებში მოხდის დაგეგმვის საფუძველი. საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმძღვანელო მითითებებში განმარტავენ იმის აუცილებლობას, რომ ციხეში მიღებისას შშმ პატიმრებმა უნდა გაიარონ მათი საჭიროებების შესაბამისი საორიენტაციო პროგრამა, რომელიც გამოავლენს მათ შესაძლებლობებსა და განსაკუთრებულ საჭიროებებს *„ჯანდაცვისა და განათლების თვალსაზრისით და განსაზღვრავს იმ მხარდაჭერის ტიპსა და ხარისხს, რომელიც მათ ესაჭიროებათ“*.<sup>210</sup>

პატიმრის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მიღების პროცედურებთან დაკავშირებით შესაძლებელია განვიხილოთ არაერთი ქვეყნის წარმატებული პრაქტიკა, როდესაც ციხის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა ან კანონქვემდებარე აქტი არ აძლევს ციხის ადმინისტრაციას შესაძლებლობას, იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ და მიიღოს ზომები შშმ პირებთან მიმართებით მხოლოდ მაშინ, როცა ის ამას ვიზუალურად ხედავს ან/და საჭიროდ მიიჩნევს. ეს მიდგომები დადგენილია კანონმდებლობით და ციხის ადმინისტრაცია და ის პირები თუ სამსახურები, რომლებიც პატიმრის მიღებას ახორციელებენ, ვალდებული არიან იმოქმედონ კანონით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად. მოცემული რეგულაციები ადგენენ, თუ რა ზომები უნდა იყოს მიღებული, რათა მიღების დროს შეფასდეს პატიმრის საჭიროებები. *„ჩანაწერი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ყველა შშმ პატიმრის კომუნიკაციისა და მობილობის საჭიროების შესახებ, რაც აუცილებლად უნდა გა-*

---

<sup>210</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 50.

დაიხედოს ხანგრძლივი პატიმრობის შემთხვევაში.<sup>211</sup> რეგულაციები განმარტავენ, რომ პატიმრის ციხეში მიღება არის პირველი შესაძლებლობა, გამოვლინდეს პატიმრის სპეციალური საჭიროება. შესაბამისად, მოცემული პროცესი უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული ყურადღებით, განსაკუთრებით გასაგები/ნათელი კომუნიკაციის საშუალებით და პატიმრის რეაქციის შესახებ წინასწარი დასკვნების გაკეთების გარეშე. აღსანიშნავია მარეგულირებელი დოკუმენტის მიდგომა, თუ როგორ უნდა გახდეს ეს სისტემა მოქნილი და მოქმედი, რომელიც უმთავრეს საშუალებად მიიჩნევა სწორედ პერსონალის ცოდნასა და მომზადებას. „უნდა მოხდეს იმ პერსონალის ინფორმირება, რომელსაც რეგულარული ურთიერთობა აქვს პატიმრებთან მათ სპეციალურ საჭიროებებთან დაკავშირებით.“<sup>212</sup>

ზემოაღნიშნული მიდგომების განსაზღვრა გამოწვეულია იმ საფუძვლით, რომ პატიმრის მიღება უკავშირდება მის პირველ შეხებას სასჯელაღსრულების სისტემასთან. ამდენად, შესაბამის დოკუმენტში უნდა გაკეთდეს ჩანაწერი მისი მდგომარეობის შესახებ, რაც ხელმისაწვდომი იქნება ყველა იმ პერსონალისათვის, რომლებიც შემდგომ ამ პირთან იმუშავენ, რათა თავიდან იქნეს აცილებული სიტუაციის გარკვევის მიზნით სხვადასხვა პერსონალის მხრიდან ერთი და იმავე შეკითხვების დასმა და ისედაც სტრესული სიტუაციის უფრო გართულება. ასევე, აღნიშნული ჩანაწერი პერსონალს დაეხმარება შშმ პირთან პირველი კომუნიკაციის დამყარებასა და შემდგომ მუშაობაში მასთან დისკრიმინაციისა და სხვა სახის უფლებათა დარღვევის თავიდან აცილებისა თუ საჭიროებებზე ორიენტირებული მოპყრობის უზრუნველყოფის მიზნით.

დაბოლოს, მიღების პროცედურების ნაწილში ერთ-ერთი მთავარი აქცენტი უნდა კეთდებოდეს პირველად შეხებაზე იმ ადამიანებთან, რომლებიც მათ ამ უცხო გარემოში ხვდებან და მოცემულ ეტაპზე არსებულ მოპყრობაზე, რადგან პატიმრის მიღება და მასთან

<sup>211</sup> იხ. Prison Service Order, Order Number 2855, HM Prison Service, Prisoners with physical, sensory and mental disabilities, Date of Initial Issue 20/12/99, Date of Update: 13/10/03, 8.

<sup>212</sup> იქვე.

პირველი გასაუბრება არის მისი განსაკუთრებული საჭიროებების გამოვლენის პირველი შესაძლებლობა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ნებისმიერი სახის დარღვევის ან დაბრკოლების თავიდან აცილებას. ამდენად, „ეს პროცესი უნდა წარიმართოს სენსიტიურად, განსაკუთრებით კი, პატიმართან მკვეთრი კომუნიკაციის გზით და მისი რეაქციების შესახებ ვარაუდების გაკეთების გარეშე.“<sup>213</sup>

მიღების პროცედურების შემადგენელი ნაწილია ასევე ინფორმირებულობა, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია მიღების პროცედურებში. ნებისმიერ შშმ პირს და განსაკუთრებით მათ, რომლებიც პირველად მოხვდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გარდა მისი ზოგადი უფლებებისა, დეტალურად, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა განემარტოს ციხის პირობები, საცხოვრებელი გარემო და კომუნიკაციის გზები და საშუალებები, რათა მოახდინონ მოცემულ გარემოსთან ადაპტირება. კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა შშმ რესპოდენტმა განმარტა, თუ რისი ცოდნა შეიძლება დასჭირდეს შშმ პირს მიღების პირველ ეტაპზე, სადაც ის ხაზს უსვამს ეტლით მოსარგებლე ადამიანებისათვის თვითმოვლის, ციხის ტერიტორიაზე გადაადგილების, სივრცესთან და ასევე სხვა პატიმრებთან შეგუების, მათთან კომუნიკაციის დამყარების უნარების სწავლებას. რესპოდენტის აზრით, „ციხეში უნდა ჩატარდეს ტრენინგები ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: პიროვნული განვითარება, სტრესის მართვა, კომუნიკაციის უნარების გამომუშავება. ადამიანმა უნდა გაიგოს, რომ დანაშაულის ჩადენის მიუხედავად, ის უნდა იყოს ღირსეულ პირობებში“.<sup>214</sup>

პატიმართა მიღებისა და მისი პატიმრობის პირველ ეტაპზე დაშ-

---

<sup>213</sup> იხ. Prison Service Order, Order Number 2855, HM Prison Service, Prisoners with physical, sensory and mental disabilities, Date of Initial Issue 20/12/99, Date of Update: 13/10/03, 8.

<sup>214</sup> შშმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლეს-ტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

ვებულ დარღვევებთან დაკავშირებით შესაძლებელია განვიხილოთ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელიც ნათლად წარმოაჩენს მიღების დროს დარღვევის არსსა და მის მნიშვნელობას. მაგალითად, პირი, რომელსაც ჰქონდა ოთხივე კიდურის ტალიდომიდის დეფექტი (thalidomide defects) და ასევე აწუხებდა თირკმელები, მოთავსებულ იქნა ციხეში. მას ერთი ღამის განმავლობაში პოლიციის განყოფილების საკანში მოუნია ყოფნა, სადაც იმის გამო, რომ საკანი არ იყო სპეციალურად ადაპტირებული შშმ პირისათვის, ეძინა სიცივეში თავის ეტლში. პოლიციის განყოფილებაში ზემოაღნიშნულ შეუსაბამო პირობებში ყოფნის შემდეგ ის ორი დღით გადაყვანილ იქნა ჩვეულებრივ ციხეში, სადაც განმცხადებელ ქალბატონს დახმარებას უწევდა მამრობითი სქესის დაცვის თანამშრომელი, იმისათვის რომ ესარგებლა ტუალეტით. საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი. კონკრეტულად, სასამართლომ განმარტა, რომ „*მძიმე ფორმის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მოთავსება ისეთ პირობებში, სადაც არის ძლიერი სიცივე, არსებობს ნაწილების გაჩენის რისკი, იმიტომ რომ მისი სანოლი არის ძალიან მაგარი ან სანოლი არ არის ხელმისაწვდომი, არ შეუძლია ისარგებლოს ტუალეტით ან დაიცვას სისუფთავე დიდი სირთულის გარეშე, წარმოადგენს ღირსების შემლახავ მოპყრობას და ხვდება მე-3 მუხლის ქვეშ*“.<sup>215</sup> აღნიშნული საქმე ცალსახად მიუთითებს იმ ზიანზე, რომელიც შესაძლებელია გამოიწვიოს მიღების დროს პირის მდგომარეობის გაუთვალისწინებლობამ და შეუსაბამო პირობებში მისმა განთავსებამ.

როგორც მსჯელობიდან ჩანს, მიღების პროცედურები და ამ

<sup>215</sup> იხ. *Price v., the United Kingdom* (ფრაიისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), 10 July 2001, Persons with disabilities and the European Convention on Human Rights, 3 (The case originated in an application (no. 33394/96) against the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland lodged with the European Commission of Human Rights under former Article 25 of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (“the Convention”) by a United Kingdom national, Ms Adele Ursula Price (“the applicant”), on 23 July 1996. Court decision: there has been a violation of Article 3 of the Convention).



დროს დაშვებული ნებისმიერი გადაცდომა საწყისშივე განსაზღვრავს არაერთი თანმდევი დარღვევის არსებობას შშმ პირის სასჯელის მოხდის პროცესსა და ამ პროცესის დაგეგმვაში. ამდენად, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ნებისმიერი სახის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, უპირველეს ყოვლისა, სასჯელალსრულების სისტემის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ მორიგე ჯგუფში, რომელიც პატიმართა მიღებაზეა პასუხისმგებელი, ყოველთვის შედიოდეს, სულ ცოტა, ერთი თანამშრომელი, რომელსაც გავლილი ექნება კვალიფიციური მომზადება შშმ პირებთან მუშაობის კუთხით და შეძლებს მათ ინტერვიუებას წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით. პროცესი უნდა რეგულირდებოდეს სამართლებრივი აქტით.

ასევე ყველა დაწესებულებაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს სურდოთარჯიმნის მომსახურება, რათა შესაძლებელი იყოს შშმ პირისათვის უფლებებისა და რეგულირების მექანიზმების გაცნობა. უნდა არსებობდეს უფლებებისა და რეგულაციების ბრაილის შრიფტით შესრულებული დოკუმენტები, რომელთაც გაეცნობიან მხედველობადაქვეითებული პირები.

## **თავი 5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრის შემონებვა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მიღების დროს**

შშმ პირთა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მიღებისას ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა მსჯავრდებულთა შემონებვა, რომლის მიმართ უფრო მგრძობიარე არიან შშმ პირები, როდესაც მათ არ შეუძლიათ მიიღონ (მათ არ აწვდიან ინფორმაციას), თუ რა ხდება პროცედურულად, როცა მას ეხებიან ფიზიკურად. ეს თავისთავად განსაკუთრებულად ამაფრებს პენიტენციურ სტრესს. გარდა ინფორმაციის მიწოდების ან აღქმის პრობლემისა, ასევე მნიშვნელოვანია ფიზიკური მდგომარეობა, როდესაც პირს არ შესწევს უნარი, გადაადგილდეს თავისუფლად ან/და დაექვემდებაროს ადმინისტრაციის მოთხოვნებს, მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

მიღების დროს პირის შემონებვა, უპირველეს ყოვლისა, არის პროცედურა, როდესაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შშმ პირი შეიძლება დაექვემდებაროს დისკრიმინაციულ, ღირსების შემლახავ ან არაადამიანურ მოპყრობას ორი უმნიშვნელოვანესი გარემოების გამო, კერძოდ, მისი ფიზიკური მდგომარეობის, რომელიც არ აძლევს შშმ პირს იმის შესაძლებლობას, რომ სრულად დაექვემდებაროს იმ მოთხოვნებს, რომელთაც შესაძლებელია ციხის ადმინისტრაცია უყენებდეს მას და, მეორე, ციხის პერსონალის გამო, რომელმაც შესაძლოა არ იცოდეს, თუ როგორ უნდა შეამონმოს პირი მიღების დროს ან არ ჰქონდეს ინფორმაცია შშმ პირთა შემონებვის თავისებურებების შესახებ.

პრაქტიკაში პირის ჩხრეკა შესაძლოა სხვადასხვაგვარად განიმარტოს. მაგალითად, პროფესორ შ. ფაფიაშვილის განმარტებით, პირადი ჩხრეკის სწორად წარმართვის მიზნით რეკომენდებულია, დაკავებულ, გასაჩხრეკ პირს განემარტოს, რომ მან კედელზე ან სხვა რაიმე დიდი მოცულობის საგანზე სახით მიყრდნობილმა ხელები უნდა ასწიოს მაღლა და შემოიხწყოს თავზე, რის შემდეგაც მიზანშეწონილია გაიჩხრიკოს პირი, მიმართულებით ზემოდან ქვემოთ, განი-

არალების მიზნით.<sup>216</sup> ფაქტია, რომ აქ ავტორი გულისხმობს ჩხრეკას დაკავების დროს, თუმცა ე. წ. შემონმება, რომელიც ხორციელდება სასჯელალსრულების დაწესებულებაში მიღების დროს<sup>217</sup> და ყველა სხვა შემთხვევაშიც მიღების შემდგომ, მეტ-ნაკლებად ანალოგიური პროცედურაა. ამდენად, კითხვის ნიშანი ჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იკვლევს, არის თუ არა შშმ პირი მზად, ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად, დაემორჩილოს აღნიშნულ მოთხოვნებს და რამდენად შეესაბამება მისი ფიზიკური მდგომარეობა მოცემული მითითებების შესრულებას. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სახელმწიფო მოხელეს ჩხრეკის პროცედურის განხორციელება ევალება კანონმდებლობით. ამდენად, ამ სიტუაციაში გამოსავალი შესაძლოა იყოს შშმ პირებზე მორგებული გამჭვირვალე პროცედურები და სპეციალურად მომზადებული პერსონალი, რათა არ მოხდეს შშმ პირის ღირსების შელახვა შემონმების დროს. თუმცა ეს მიდგომები ნაკლებად დანერგული და მოქმედია პენიტენციური სისტემის პრაქტიკაში.

პირადი შემონმების (ჩხრეკის) დროს ასევე ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ იმას, თუ რისი გაკეთება მოუწევთ მათ ფიზიკურად, არამედ იმას, თუ რას გულისხმობს თვითონ პირადი ჩხრეკა, რისი შემონმება ხორციელდება და რამდენად მოქნილი და მისაღები შეიძლება იყოს ეს პროცესი შშმ პირისთვის. „*პირადი ჩხრეკა გულისხმობს არა მარტო დაკავებული პირის ტანსაცმლისა და ჯიბეების გაჩხრეკას, არამედ დაკავების მომენტში მასთან არსებული ყოველგვარი სახის ხელბარგის, ხელჩანთის შემონმება-გამოკვლევა*საც.“<sup>218</sup> ასეთ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს არაერთი დეტალი, მაგალითად, როგორიცაა პროთეზის შემონმება,

<sup>216</sup> იხ. *ფაფიაშვილი შ.*, კრიმინალისტიკა, დანაშაულის გახსნის ტექნიკა, თბილისი, 2011, 279.

<sup>217</sup> სასჯელალსრულებაში პირის მიღების დროს ხდება პირის სრული და არასრული შემონმება, რომელიც მხოლოდ ტერმინოლოგიურად განსხვავდება იმ ჩხრეკის პროცედურებისაგან, რომლებიც სსსკ-ით არის გათვალისწინებული, პროცედურულად კი იმავე პროცესს წარმოადგენს.

<sup>218</sup> იხ. *ფაფიაშვილი შ.*, კრიმინალისტიკა, დანაშაულის გახსნის ტექნიკა, თბილისი, 2011, 279.

იმ შემთხვევაში, როდესაც პირი გადაადგილდება მისი საშუალებით, ყავარჯნების შემონმება და ა. შ. მსგავსი შემონმების პროცედურები ასევე უნდა იყოს სასჯელალსრულების სისტემის შიდა რეგულაციების ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს სასჯელალსრულების დაწესებულებაში პატიმრის მიღებისას მისი შემონმების ვალდებულებას, იგი დეტალურად არ განიხილავს შემონმების პროცედურებს. პენიტენციური დაწესებულების დებულება,<sup>219</sup> რომელმაც უნდა აღწეროს ასეთი პროცედურები, საერთოდ არ განიხილავს სპეციფიკური მიდგომის საჭიროებას, შემთხვევას, როდესაც შემონმება უტარდება შშმ პირს. კანონმდებლობაში შემონმებასთან დაკავშირებით გვხვდება მხოლოდ ერთი დათქმა, რომელიც, შესაძლებელია ითქვას, ითვალისწინებს პატიმართა სპეციფიკურ საჭიროებებს. „ბრალდებულის შემონმებას ახორციელებს პატიმრობის დაწესებულების იმავე სქესის თანამშრომელი“ (საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსი, მუხლი 75, ნაწილი 4, 09/03/2010). თუმცა ეს არის საერთო სტანდარტი, რომელიც არ განიხილავს ამა თუ იმ პატიმრის მდგომარეობას და მის შეზღუდულ შესაძლებლობებს.

კვლევებში, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდა, ყურადღება ეთმობა შშმ პატიმრის ციხეში მიღებისას მისი შემონმების პროცედურებსა და სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ ასეთი შემონმებისათვის განერილი იყოს ქვეყნის შიდა პროცედურები. კვლევის ანგარიშში განმარტებულია, რომ პატიმრებს, რომლებსაც ჰქონდათ შეზღუდული შესაძლებლობა, შეიძლება ითქვას, რომ მიღების დროს შემონმებისას (ჩხრეკისას) ნაკლები პატივისცემით

---

<sup>219</sup> იხ. საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებები №107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 115, 116, 117, 118, 119, 120 და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №418 სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, 2019.

ეპყრობოდნენ. მეიდსტოუნის (Maidstone) შემონმების ანგარიში ასევე ხაზს უსვამს იმას, რომ უნდა არსებობდეს დამტკიცებულ სახელმძღვანელო პრინციპები იმ თანამშრომლებისათვის, რომლებიც ამონმებენ შშმ პირებს,<sup>220</sup> რადგანაც ხშირად არა რომელიმე თანამშრომლის პირადი დამოკიდებულება, არამედ სწორედ ასეთი ნესებისა და პროცედურების არარსებობა შეუქცევად პროცესად აქცევს დარღვევებს.

არაერთ რეკომენდაციასა და მოსაზრებას ვხვდებით კვლევებსა და ანგარიშებში, რომლებშიც, გარდა პერსონალის მომზადებისა, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ასევე პატიმართა ინფორმირებულობას იმ გზებისა და მეთოდების შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ შშმ პირები ციხეში მიღების დროს, რომ არ მოხდეს მათი მდგომარეობის იგნორირება. მაგალითად, საინფორმაციო წიგნში, იმ შშმ პირებისათვის, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ხვდებიან, განმარტებულია, რომ ციხეში მიღების დროს ყველა ექვემდებარება სხეულის სრულ შემონმებას და ახსნილია, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში: თუ პირს აქვს შეზღუდული შესაძლებლობა ან ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც ართულებს მის მდგომარეობას, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს ციხის პერსონალს. აქვე განმარტებულია, რომ მიუხედავად პერსონალის ინფორმირებისა, პირმა აუცილებლად უნდა გაიაროს შემონმება. აღსანიშნავია ის მტკიცება, რომელსაც სახელმძღვანელოში ვხვდებით: შემონმების შემთხვევაში „ექიმმა ან მედდამ უნდა უთხრას ციხის ოფიცერს, როგორ უნდა განახორციელოს შემონმება ყველაზე ოპტიმალური გზით“.<sup>221</sup>

სწორ პროცედურულ ელემენტებთან ერთად მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იმ დამხმარე საშუალებებს, რომლებიც შშმ

<sup>220</sup> იხ. Thematic report by HM Inspectorate of Prisons, Disabled prisoners: A short thematic review on the care and support of prisoners with a disability, March 2009, 29.

<sup>221</sup> იხ. Information book for prisoners with a disability, Offender Health and Prison Reform Trust 2009, Prison Reform Trust office (020 7251 5070 or PRT, Freepost, ND6125, London EC1B 1PN).

პირს შეიძლება თან ჰქონდეს ციხეში მიღების დროს, როგორცაა: ეტლი, ხელჯოხი, სმენისა და მხედველობისათვის საჭირო საშუალებები და სხვ. ისინი ასევე მონაშენებლები, თუმცა ადმინისტრაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს ასეთი საშუალებების საჭიროების მაღალი ხარისხი და მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი მათ ჩამორთმევას, თუ ეს არ იქნება უკიდურესად აუცილებელი. „პატიმრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა დაიტოვონ მათ ხელთ არსებული და მათ შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული დამხმარე საშუალებები, როგორცაა ეტლი და ყავარჯენი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეალური მიზეზ(ებ)ი.“<sup>222</sup>

შემონმება შუამდობისათვის განსაკუთრებულად მგრძობიარე პროცედურაა. ამდენად, შემონმების პროცედურების შუამდობისათვის საჭიროებებზე მორგების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყველა სასჯელსრულების დაწესებულებაში მოეწყოს შესაბამისი ოთახი ფიზიკური შეზღუდულობის მქონე პირის შესამონმებლად. ასეთი ოთახის დაგეგმვისა და მოწყობის შემთხვევაში უნდა იყოს გათვალისწინებული როგორც თავისუფლებააღკვეთილი პირის, ისე იმ შუამდობის შემონმება, რომლებიც მოდიან დაწესებულებაში პატიმართან შეხვედრის ან სხვა მიზნით. სპეციალური ოთახი უნდა იყოს ადაპტირებული და აღჭურვილი დამხმარე მოწყობილობებით, რომელთა შორის პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს შემონმების ელექტრონულ საშუალებებს.

გარდა ამისა, შუამდობისათვის და ვიზიტორთა შემონმების უფლებამოსილება უნდა მიენიჭოს მხოლოდ სპეციალურად მომზადებულ პერსონალს, რომელსაც გავლილი ექნება სწავლება როგორც, ზოგადად, შემონმების სტანდარტების, ისე შუამდობის მოპყრობის საკითხებში. შუამდობისათვის შემონმებამდე, შესამონმებელი პირის შეზღუდულობის ხარისხისა და ტიპის გათვალისწინებით, პერსონალმა უნდა გაიაროს კონსულტაცია სამედიცინო პერსონალთან. თუ

<sup>222</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 50.

შემონმება უტარდება მძიმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს, პერსონალის ვალდებულება უნდა იყოს, მოითხოვოს ექიმის მონაწილეობა.

ასევე მსჯელობას მიყვავართ ინ დასკვნამდე, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა გაიაროს ოპტიმიზაცია, რომელიც დაადგენს ნორმებს სხვა პირობებში შემონმების აკრძალვასთან დაკავშირებით. ასევე კანონქვემდებარე აქტებში უნდა გაიწეროს შშმ პირთა (როგორც თავისუფლებააღკვეთილის, ისე დაწესებულებაში ვიზიტორი შშმ პირების, განსაკუთრებით, შშმ არასრულწლოვანი პირების) შემონმების (ჩხრეკის) დეტალური წესები და სტანდარტები, რომლებიც ითვალისწინებენ ნებისმიერი ტიპის შეზღუდულობის მქონე პირთა ინფორმირებას შემონმების მიზეზების, მიზნებისა და წესების შესახებ, როგორც შემონმების დაწყებამდე, ისე მის შემდეგ.

## თავი 6. შიდა სასაქონლო ურთიერთობების მართვის პრინციპების სასაქონლო ურთიერთობების მართვის პრინციპების დაცვა

შემ პირების სასაქონლო ურთიერთობების ადგილებში განთავსება გარდაუვალი პროცესია იმ შემთხვევაში, როცა მათ მიერ ჩადენილია დანაშაული. სასამართლოს გადაწყვეტილება გამომდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, პირის მიერ ჩადენილი ქმედებიდან. ამდენად, შესაბამისი პროცედურების დაცვით, შემ პირების სასაქონლო ურთიერთობების დანესებულებაში მიღების შემდეგ უნდა შემუშავდეს სასაქონლო ურთიერთობების გეგმა და შეფასდეს რისკი და საფრთხეობა. ასეთი გეგმა რეგულირებული უნდა იყოს კანონმდებლობით ან კანონქვემდებარე აქტით.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასაქონლო ურთიერთობების გეგმის შემუშავებასა და რისკის შეფასებას სასაქონლო ურთიერთობების დანესებულებაში, თუმცა ამ პროცედურას არეგულირებს მინისტრის ბრძანება.<sup>223</sup> ცალსახაა, რომ ასეთი მექანიზმის არსებობა უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა საკანონმდებლო რეგულირების არარსებობა სავალდებულოდ აღსრულების ხარისხს მნიშვნელოვნად ამცირებს. აქვე უნდა ითქვას, რომ მსჯავრდებულებისთვის შეთავაზებულ უნდა იქნეს სასაქონლო ურთიერთობების გეგმა, რომლის საფუძველზეც მათ მიეცემა შესაძლებლობა დაანახონ ციხის ადმინისტრაციასა და სხვა დაინტერესებულ მხარეს, რომ მათ შეამცირეს რისკ-ფაქტორი, რომელიც უკავშირდებოდა მათ ქმედებას, ჩადენილ დანაშაულს. სასაქონლო ურთიერთობების გეგმის დანიშნულ-

---

<sup>223</sup> საქართველოს სასაქონლო ურთიერთობებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №70, მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავ ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე, 9 ივლისი, 2015, საქართველოს სასაქონლო ურთიერთობებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №39, მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასაქონლო ურთიერთობების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ, 5 ივნისი, 2015.



ბა ნიშანდობლივია, როდესაც განიხილება სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და პირის საზოგადოებაში დაბრუნების საკითხი. აღნიშნულ გეგმას ასევე განსაკუთრებული როლი ენიჭება, როდესაც განიხილება პირის კატეგორიის შეცვლის საკითხი, მაგალითად, მაღალი უსაფრთხოების დანესებულებიდან საშუალო უსაფრთხოების დანესებულებაში გადაყვანა და სხვ.

რისკის შეფასება და სასჯელის მოხდის გეგმის შემუშავება უკიდურესად მნიშვნელოვანია პირის დანესებულებაში მიღებისა და მისი საცხოვრებელ საკანში (სადგომში) განთავსების დროს. ციხის ადმინისტრაციას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ განსხვავებული საჭიროებების მქონე პატიმრებთან მიმართებით ნებისმიერ გადანყვეტილებას, რომელიც უკავშირდება მის შემონმებას, განთავსებას, პროგრამების შერჩევასა და პატიმრობის პირობებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, ზოგჯერ შეიძლება სასიცოცხლო მნიშვნელობაც ჰქონდეს იმისათვის, რომ პირმა სასჯელის მოხდა დაიწყოს არადისკრიმინაციულ პირობებში, მისი ღირსების დაცვით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ბრძანებებიდან არცერთში არ იხსენიება შშმ პირთა განსაკუთრებული საჭიროება.

კითხვაზე, თუ რა არის სასჯელის მოხდის გეგმა, არაერთი პროფესიონალური პასუხი არსებობს. კერძოდ, სტატიაში „სასჯელის დაგეგმვა-პროგრესი“ განმარტებულია, რომ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის გეგმა უნდა მოიცავდეს მიზანს, რომელიც ასახავს პოზიტიურ ცვლილებას ქცევაში, აზროვნებასა და დამოკიდებულებებში. გეგმა უნდა იყოს რეალური და შესრულებადი, პატიმრისთვის მისაღები, მის საჭიროებებზე მორგებული. თუ შემუშავებული გეგმა და მასში მოცემული მიმართულებები კარგავს აქტუალობას, გეგმა უნდა შეიცვალოს სხვა რაიმე უფრო შესაბამისით,<sup>224</sup> Prison Reform Trust-ის განმარტებით, სასჯელის გეგმა არის ღონისძიებების გეგმა, რომელიც უნდა შეასრულონ მხარეებმა, მაგალითად: პატიმარი და

<sup>224</sup> იხ. *Davies E. and Green S. Article, Sentence Planning – Progress: It is all in the planning, InsideTime, the National Newspaper for Prisons & detainees, 2013* <<https://insidetime.org/sentence-planning-progress-it-is-all-in-the-planning/>>, [15.11.2019].

თანამშრომელი. ამავე განმარტებით, გეგმა მიზნად უნდა ისახავდეს, ერთი მხრივ, განმეორებითი დანაშაულის რისკისა და ზიანის შემცირებას და მეორე მხრივ, პირისთვის საზოგადოებაში დაბრუნებაში დახმარებას.<sup>225</sup>

მხოლოდ გეგმის არსებობა, თავისთავად, არ წარმოადგენს მთავარ მიზანს. მთავარია მისი შესრულებით მიღებული შედეგები. ამდენად, სასჯელის მოხდის გეგმა, განსაკუთრებით შშმ პირებთან მიმართებით, უნდა იყოს რეალური და შესრულებადი, გარდა იმ ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია რისკის შეფასება და მისი შემცირება, იგი უნდა ითვალისწინებდეს პატიმართა საჭიროებებს.

არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი და სახელმძღვანელო მითითება განიხილავს საჭიროებებს, რომელთაც უნდა მოიცავდეს სასჯელის მოხდის გეგმა. იმ ქვეყნების პრაქტიკაში,<sup>226</sup> რომლებშიც ადაპტირებულია ასეთი გეგმის არსებობა, საჭიროებები შეიძლება იყოს გამოწვეული შემდეგი ფაქტორებით: ინდივიდუალური ფაქტორი, რომელიც ითვალისწინებს, მაგალითად, პირის დამოკიდებულებებს (ნარკოტიკებზე, ალკოჰოლზე ან სხვა სახის დამოკიდებულება, ასევე, პრობლემის გადაჭრის უნარის არქონა და სხვ.) და სოციალური ფაქტორები, როგორცაა: საცხოვრებელი, დასაქმება, ურთიერთობების გამყარება, საზოგადოებასთან ინტეგრირება და სხვ. აღნიშნული ფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შშმ პირებთან მიმართებით, რადგანაც ისინი განხილულ უნდა იქნეს კომპლექსურად, იმის გათვალისწინებით, რომ ინდივიდუალურ ფაქტორებს ემატება მისი შეზღუდული შესაძლებლობა, ფიზიკურად განახორციელოს ესა თუ ის ქმედება. ხოლო, რაც შეეხება სოციალურ ფაქტორებს, როგორც უკვე აღინიშნა, შშმ პირები ხშირად არიან სოციალურად დაუცველი, პრობლემური ოჯახებიდან და ხანგრძლივი

<sup>225</sup> იხ. Offender Management end sentence planning, Prison reform Trust, UK, 2018, <<http://www.prisonreformtrust.org.uk/ForPrisonersFamilies/PrisonerInformationPages/OffenderManagementandsentenceplanning>>, [15.11.2019].

<sup>226</sup> იხ. Sentence Planning, portal, Prison reform trust, 2012, 2, <<http://www.prisonreformtrust.org.uk/Portals/0/Documents/Sentence%20planning%20%20info%20sheet%20final.pdf>>, [15.11.2019].

პატიმრობის შემთხვევაში ისინი ხშირად კარგავენ ასეთ კავშირებს.

შშმ პირთა მიმართ სასჯელის მოხდის დაგეგმვისა და მისი განხორციელების დროს ადმინისტრაციამ და განმახორციელებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ და პირველ რიგში, იმსჯელონ იმის თაობაზე, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს პირის შეზღუდულ შესაძლებლობას მოცემული გეგმის შესრულებაზე. ამდენად, ის დათქმა, რომ სასჯელის მოხდის გეგმა უნდა იყოს შესრულებადი, ნიშნავს, რომ ის არ უნდა იყოს გამოყენებული, თუ არ შეესაბამება პატიმრის მდგომარეობას და თუ ის ვერ მიიღებს სარგებელს გეგმის განხორციელებით. სარგებელში, რომელიც პატიმარმა უნდა მიიღოს, შეიძლება ვიგულისხმოთ: ცვლილება ქცევაში, აზროვნებასა და დამოკიდებულებაში.<sup>227</sup> იმ დაწესებულებაში, რომელშიც სასჯელის მოხდის გეგმა არ არის ხელმისაწვდომი, ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს სხვა ალტერნატიული ღონისძიებები, რომლებიც შეესაბამება პატიმრის საჭიროებებს. „მიზნების დასახვის დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს შშმ პატიმრების განსაკუთრებული საჭიროებები. შესაძლოა არსებობდეს პროგრამები ან აქტივობები, რომლებიც შშმ პირებისთვის ძნელად ხელმისაწვდომია. დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ გონივრული ცვლილებები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ამ აქტივობებთან მიმართებით ან ამ პროგრამებით სარგებლობა უზრუნველყონ ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით.“<sup>228</sup>

სასჯელის მოხდის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მის პერიოდულ გადახედვას, იმის გათვალისწინებით, თუ რა მიზნები იქნა მიღწეული ან რა ახალი საჭიროებები გამოიკვეთა მუშაობის პროცესში. ასევე სასჯელის მოხდის გეგმა უნდა გადაიხედოს ყველა შემთხვევაში, როდესაც ხდება გარემოების ცვლილება. ეტაპობრივი განხილვა არის საშუალება, რომლის დროსაც შეიძლება ამოღებულ

<sup>227</sup> იხ. Sentence Planning, National Offender Management Service (NOMS), UK, 2014, 7.

<sup>228</sup> იხ. Prison service Order, PSO 2855 - The Management of Prisoners with Physical disabilities, chapter 4, sentence planning 3.4.2, Date of Initial Issue 20/12/99, Date of Update: 13/10/03.

იქნეს ის ინტერვენციები, რომლებიც აღარ არიან რელევანტური მოცემული პირისათვის.

წარმატებულ პრაქტიკად უნდა შეფასდეს ასევე სპეციალური საჭიროებების შეფასებისა და სათანადო პირობების უზრუნველყოფის პროცესში გარე ინსტიტუტების ჩართულობა. ზემოაღნიშნული დოკუმენტი მოუწოდებს ციხის ადმინისტრაციას, ითანამშრომლოს ადგილობრივ ორგანიზაციებსა და სოციალურ სამსახურებთან, რესურსების გამოყენების მიზნით.

აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ პენიტენციური სისტემის საქმიანობაში უნდა შემუშავდეს და დაინერგოს სასჯელის ინდივიდუალური დადგენის პრაქტიკა. სასჯელის მოხდის დაგეგმვის პარალელურად საჭიროა სასჯელაღსრულების სისტემის ყველა დანესებულებაში შეიქმნას საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელშიც შევა შესაბამისი რეგიონალური პრობაციის ოფიცერი. ჯგუფში პრობაციის ოფიცრის ჩართულობა ხელს შეუწყობს პირის პრობაციის დაქვემდებარებაში გადასვლის შემდგომ სასჯელის მოხდის გეგმის უწყვეტ განხორციელებას სასჯელის სრულ მოხდამდე. გარდა პრობაციის ოფიცრისა, შშმ პირების შემთხვევაში სავალდებულო უნდა იყოს სასჯელის დაგეგმვის ჯგუფში სამედიცინო პერსონალის მონაწილეობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული, შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაართულება ან შეზღუდულობის ხარისხის დამძიმება არაპროფესიონალური გადანყვეტილების საფუძველზე. სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის ჯგუფი უფლებამოსილი უნდა იყოს, პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე, მოინვიოს ნებისმიერი პირი საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე, დამოუკიდებლად, სპეციალური ნებართვის გარეშე.

## თავი 7. შავლული შესაქვლოჯის მქონე პირების სასჯელაღსრულების დანესაჯულეჯი განთავსეჯა და საცხოვრეჯი განანილეჯა

სასჯელაღსრულების დანესეხულეჯაში მილეხის დროს საჭიროე-  
ბეხის გამოვლენა არის ნინაპირობა იმისა, რომ პატიმრეხი გან-  
თავსდენ მათი საჭიროეხისა და რისკის შესაბამის პირობეხსა და  
გარემოში. შშმ პირეხის შემთხვევაში, აღნიშნული პროცესი მიზნად  
უნდა ისახედეს შშმ პირის განთავსეხას მისი მდგომარეოხისათვის  
შესაბამის საცხოვრეხელ გარემოში, სადაც მისთვის ხელმისაწვდომი  
იქნეხა ყველა ის მომსახურეხა და პროგრამა, რომლეხიც არსეოხს  
მოცემულ დანესეხულეჯაში ნეხისმიერი სხვა მსჯავრდებულისათვის.  
შშმ პირთა სასჯელის მოხდის ადგილეხში განთავსეხის მნიშვნელო-  
ბაზე ყურადლესას ამახვილეხს წამეხის საკითხეხში სპეციალური  
მომხსენეხელი, რომელიც განმარტავს, რომ „სასჯელის მოხდის  
ადგილეხში გონივრული განთავსეხის არარსეოხბამ შეიძლეხა გაზ-  
არდოს უგულეხებლყოფის, ძალადოხის, წამეხისა და უხეხი მოპყ-  
რობის რისკი.“<sup>229</sup>

შშმ პატიმრეხის საპატიმრო დანესეხულეჯაში განთავსეხა გუ-  
ლისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ დანესეხულეჯაში უნდა იყოს  
შექმნილი შესაბამისი პირობეხი განსაკუთრეხული საჭიროეხეხის  
მქონე პირეხისათვის ადეკვატური გარემოს შესაქმნელად, არამედ  
იმ ვალდებულეხასაც, რომ, ასეთი პირობეხის არარსეოხბის შემ-  
თხვევაში დაუყოვნებლივ იქნეს მილეხული ზომეხი განთავსეხის  
ადგილის პატიმრის საჭიროეხებთან შესაბამისოხბაში მოსაყვანად,  
„მაგალითად, დამონტაჟდეს მოაჯირეხი საკანში, კიბის საფეხურე-  
ხი შეილეხოს სხვადასხვაფრად მხედველოხის პრობლემის მქონე  
პატიმრეხისთვის, მოძრავი პანდუსეხი კი დამონტაჟდეს ეტლით მო-  
სარგებლეხ პირეხისთვის.“<sup>230</sup> თუ კონკრეტულ დანესეხულეჯაში პი-  
რობეხის უზრუნველყოფა შეუძლეხელია სხვადასხვა გარემოეხიდან

<sup>229</sup> იხ. Nowak M., Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, Summary, 2008, 2.

<sup>230</sup> იხ. Atabay T., Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 51.

გამომდინარე (შენობების არქიტექტურა, ბუნებრივი პირობები და სხვ.), პირი გადაყვანილ უნდა იქნეს სხვა ადაპტირებულ დაწესებულებაში, თუ სისტემას აქვს ასეთი ალტერნატივა. გარდა სასჯელის მოხდის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფისა, სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია მომზადებული უნდა იყოს იმისათვის, რომ განახორციელოს მხარდამჭერი სამუშაოები, კონსულტაციისა და ფსიქოლოგიური დახმარების ჩათვლით, რათა შშმ პირებმა სასჯელის მოხდის გარემოსთან შეგუება შეძლონ მაქსიმალურად უმტკივნეულოდ.

გარდა იმისა, რომ დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა შექმნას შესატყვისი გარემო, ამასთან მნიშვნელოვანია სისტემის საქმიანობაში შემოიღოს და დანერგოს ახალი მიდგომები, მაგალითად, როგორცაა გონივრული მისადაგება. იგი შემოიღო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენციამ და ხელს უწყობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რომლებიც არ იწვევენ დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს. გონივრული მისადაგება „*უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას*“.<sup>231</sup>

თუ თვალს გადავაავლებთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების პრაქტიკას, ნათლად ჩანს სასჯელალსრულების სისტემის ადმინისტრაციის მიდგომა, რომ პრიორიტეტი არის პატიმრების განთავსება უსაფრთხოების საკითხებზე დაყრდნობით. თუმცა მოცემულ შემთხვევაშიც პრიორიტეტი უნდა ენიჭებოდეს არა მხოლოდ ზოგადად დაწესებულების უსაფრთხოების საკითხებს, არამედ შშმ პირების პირად უსაფრთხოებას, რადგანაც შშმ პირები განიხილებიან განსაკუთრებით მონყვლად ჯგუფებად, სწორედ მათი დაუცველობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე. სახელმძღვანელო იძლევა განმარტებას, თუ რა რისკები უნდა იქნეს გათვალისწინებული შშმ პატიმრების უსაფრთხოე-

---

<sup>231</sup> იხ. Prison service Order, PSO 2855 - The Management of Prisoners with Physical disabilities, chapter 3, 3.3.5, Date of Initial Issue 20/12/99, Date of Update: 13/10/03.

ბის უზრუნველყოფის მიზნით მათი განთავსების დროს, როგორცაა „სხვა პატიმრების მხრიდან შესაძლო ძალადობის ან დაჩაგვრის რისკი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი პატიმრები არიან ძალადობის მომეტებული რისკის ქვეშ. დაცვის განსაკუთრებული საჭიროება გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი განთავსებისას.“<sup>232</sup>

მრავალი ქვეყნის პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ზემოაღნიშნული საკითხი დარეგულირებულია სამართლებრივი მექანიზმებით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ციხის სისტემის ბრძანება იძლევა შშმ პირებთან მუშაობის პროცესების მართვის დეტალურ განმარტებას და შშმ მსჯავრდებულების პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების სტანდარტებს. ის ადგენს იმ გარემოებებს, რაც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში შშმ პირის საცხოვრებელში განთავსების დროს, მაგალითად, როგორცაა შშმ პირის მობილობის დონე, ყოველდღიური ცხოვრების უნარები და გარემოსთან ადაპტირების შესაძლებლობა და სხვა. ბრძანება განმარტავს, რომ „ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს პატიმრის ნორმალურ საცხოვრებელში განთავსება მობილობის უმნიშვნელო დარღვევის შემთხვევაშიც კი.“<sup>233</sup>

პენიტენციურ დაწესებულებაში შშმ პირთა განთავსების დროს არსებული ხარვეზები და გარემო პირობების შეუსაბამობა თავისთავად ხდება შშმ პატიმართა უფლებების დარღვევის საფუძველი, მიუხედავად იმისა, ეს გარემოებები გამოწვეულია სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით, რისი ნათელი მაგალითია ევროპის სასამართლო პრაქტიკა. მაგალითად, საქმეში „ზ. კ. უნგრეთის წინააღმდეგ“ განმცხადებელი, რომელიც იყო ყრუ-მუნჯი, არ შეეძლო ფესტების ენის გამოყენება, კითხვა, წერა და ჰქონდა შემეცნებითი უნარის დარღვევა, ასაჩივრებდა იმას, რომ მისი მოთავსება ციხეში სამ თვეზე მეტი ვადით წარმოადგენდა არაადამიანურ მოპყრობას. სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-3 მუხ-

<sup>232</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 51.

<sup>233</sup> იხ. Prison service Order, PSO 2855 - The Management of Prisoners with Physical disabilities, p. 11. 3.3.5. Date of Initial Issue 20/12/99, Date of Update: 13/10/03.

ლის დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მიესალმება ხელისუფლების მხრიდან განმცხადებლის პრობლემის გადასაჭრელად გადადგმულ ნაბიჯებს, ეს ძალისხმევა ჩაითვალა დაგვიანებულად. სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემული პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენებამ, გონივრულ ვადაში აუცილებელი ზომების მიღების გარეშე, გამოიწვია არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა.<sup>234</sup>

იქიდან გამომდინარე, რომ შშმ პირთა განთავსება შესაძლებელია სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელი იყოს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- საკანონმდებლო დონეზე აიკრძალოს შშმ პირთა საცხოვრებელ სადგომში განაწილება/განთავსება რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის დაგეგმვის ჯგუფის დასკვნის გარეშე;
- შშმ პირის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება განხორციელდეს მხოლოდ აღნიშნული ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით;
- სასჯელალსრულების სისტემის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს შშმ პირის სამართო საკანში განთავსება ან მისი იზოლირება სხვა პატიმრებისაგან მხოლოდ მისი მდგომარეობის საფუძველზე;
- დაგეგმვისა და დიზაინის შემუშავებისას სავალდებულო მოთხოვნათა სიაში შეტანილ იქნეს ადაპტირებული საკნებისა და სხვა დამხმარე სათავსოების აშენება, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა განთავსებული დაწესებულებებში ეტლით მოსარგებლე და სხვა გადაადგილების პრობლემის მქონე პირები.

---

<sup>234</sup> Persons with disabilities and the European Convention on Human Rights, Z.H. v. Hungary - 28973/11, 4 (The case originated in an application (no. 28973/11) against the Republic of Hungary lodged with the Court under Article 34 of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (“the Convention”) by a Hungarian national, Mr Z.H. (“the applicant”), on 19 November 2011. Court decision: there has been a violation of Article 3 of the Convention and Article 5 § 2 of the Convention).



**თავი 8. შავლუდული შესაქლებლობის მქონე პირების  
საცხოვრებელი პირობები სასჯელაღსრულების  
სისტემაში**

შშმ პირთათვის მათი მდგომარეობის შესატყვისი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პენიტენციური სისტემის ერთ-ერთი ყველაზე რთული და პრობლემური საკითხია, რომელსაც იწვევს არაერთი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი. თუ განვიხილავთ აღნიშნულ ფაქტორებს, ისინი შეიძლება განსხვავებული იყოს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. თუმცა არსობრივად, უმეტეს შემთხვევაში, ისინი ერთმანეთის ანალოგიურია მრავალი ქვეყნის სისტემისათვის და განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, კერძოდ:

**სუბიექტურ ფაქტორებად შეიძლება განვიხილოთ:**

ა. პერსონალის ინფორმირებულობის/მომზადების დაბალი დონე შშმ პირებთან მოპყრობის თავისებურებებისა და საჭიროებების შესახებ;

ბ. დაბალი პროფესიონალიზმი;

გ. რეგულირების მექანიზმების არარსებობა ან მათი საერთაშორისო სტანდარტებთან და შშმ პირთა საჭიროებებთან შესაბამისობის დაბალი ხარისხი, ან ასეთი შესაბამისობის არქონა;

დ. სასჯელის მოხდის გეგმის არარსებობა სასჯელაღსრულების სისტემის პრაქტიკაში;

ე. პერსონალის გულგრილი დამოკიდებულება და სხვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შშმ პირთა უფლებების კომიტეტმა ერთ-ერთ თავის ანგარიშში ხაზი გაუსვა სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტორების მნიშვნელობას და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით მოუწოდა ნევრ სახელმწიფოებს, შეიმუშაონ სამართლებრივი ჩარჩო შშმ პირთა უფლებების ასპექტში და განმარტა, თუ რა დადებითი თანმდევი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ასეთი ტიპის სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებამ, რომელიც „უზრუნველყოფს გონივრულ მისადაგებას, შშმ პირებს შეუნარჩუნებს ღირსე-

ბას და უზრუნველყოფს ამ უფლების დაცვას ციხეებში განთავსებული პირებისთვის“.<sup>235</sup>

**ობიექტურ ფაქტორებად შეიძლება მოვიანზროთ:**

ა. შშმ პირებთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა;

ბ. სასჯელალსრულების დაწესებულებების გადატვირთულობა;

გ. მოძველებული ან/და ახალი ინფრასტრუქტურა, სადაც არ არის გათვალისწინებული შშმ პირთა საჭიროებები;

დ. ადაპტირებული პროგრამების არქონა შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებად დაყოფა პირობითია, რადგანაც მათი დამოუკიდებლად განხილვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რამდენადაც ისინი ხშირად ერთმანეთისგან გამომდინარეობენ ან/და თვისობრივად ერთმანეთთან არიან დაკავშირებული.

თუ საქართველოს პრაქტიკას განვიხილავთ, შშმ პირების საცხოვრებელ გარემოსთან დაკავშირებით არაერთი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე, როგორც კანონმდებლობის, ასევე სისტემის ფარგლებში. თუმცა ეს პრობლემის საბოლოო გადაჭრის მხოლოდ მცდელობას წარმოადგენს, რადგანაც შშმ პირთათვის შესაბამისი გარემოს შექმნა რთული და ხანგრძლივი პროცესია.

პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს 2016-2017, შემდგომ კი უფრო გაუმჯობესებული ფორმით 2018-2020 წლების ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომელიც თავის ერთ-ერთ ამოცანად სახავეს შშმ პირთა ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და მათი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული ჩართულობის უზრუნველყოფას.<sup>236</sup> სამოქმედო

<sup>235</sup> იხ. CRPD/C/COK/CO/ Concluding observations on the initial report of Australia, adopted by the Committee at its tenth session (2-13 September 2013), 1, §28, §25, §26, §32, §29, §34, §31.

<sup>236</sup> იხ. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმ-

გეგმამ განსაზღვრა სასჯელალსრულების სისტემის ვალდებულება შშმ პირთა სასჯელის მოხდის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი აქტივობების განხორციელების შესახებ და დაადგინა, რომ უნდა მოხდეს სასჯელალსრულების დაწესებულებების შშმ პირების საჭიროების გათვალისწინებით კომპაქტურად განთავსების ადგილებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა და პენიტენციურ დაწესებულებებში დადგენილი წესებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა.<sup>237</sup>

მოცემული ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებით სასჯელალსრულების სისტემამ მოამზადა ანგარიში, რომელშიც მოცემულია პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში გატარებული ღონისძიებები, მაგალითად, №16 და №18 დაწესებულებების ადაპტირება გონივრული მისადაგების ფარგლებში. ასევე ანგარიშში განიმარტა, რომ „პანდუსების გარდა, არსებობს სპეციალიზებული საცხოვრებელი ოთახები შესაბამისი მოწყობით. ფიზიკურად შეზღუდული პირებისთვის სპეციალიზებული საცხოვრებელი ოთახი ასევე არსებობს №5 ქალთა დაწესებულებაში“.<sup>238</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალიზებული საცხოვრებელი ოთახების არსებობა არ მიესადაგება ყველა იმ ობიექტისა და აქტივობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რომლებიც დაწესებულებაში არსებობს, თუმცა ის ტენდენცია, რომ ადაპტირება მიმდინარეობს, უკვე პოზიტიურ ნაბიჯად უნდა შეფასდეს. გარდა ამისა, ანგარიშში აღნიშნულია ქვეყანაში მოქმედი დაწესებულებების მხოლოდ მცირე ნაწილი და იგი არ მოიცავს დაწესებულებებს, რომლებშიც შშმ პირები უნდა განთავსდნენ დაპატიმრების პირველ ეტაპზე (წინასწარი დაკავების

---

ედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის, 2018, 19.1 (საქართველოს 2016-2017 წწ. ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმა, 4.6.9.1, 22).

<sup>237</sup> იხ. იქვე, 4.2, 4.3.

<sup>238</sup> ინფორმაცია მიღებულია საქართველოს სასჯელალსრულების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტიდან, 2018 წ. (აღნიშნული სამინისტრო გაუქმდა 2018 წლის 14 ივლისს)

იზოლატორები და წინასწარი პატიმრობის დანესებულებები), განაჩენის დადგომამდე.

მოცემული საკითხის გადაწვეტისკენ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს სამოქმედო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი, პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც პირველად ქართულ პრაქტიკაში აქცენტს აკეთებს შშმ პირთა სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებულ საყოფაცხოვრებო პირობებზე, „ორსულ ქალს, მეძუძურ დედას, ავადმყოფს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს და ხანდაზმულს (ქალს-60 წლიდან, მამაკაცს - 65 წლიდან) უნდა ქონდეთ მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული საყოფაცხოვრებო პირობები.“<sup>239</sup>

დადებითი მხარეების მიუხედავად, გამოკითხული რესპოდენტების დამოკიდებულება შშმ პირთა ციხეში ცხოვრების პირობებთან დაკავშირებით საკმაოდ ნეგატიურია. ისინი აღნიშნავენ, რომ „ციხეებში ძალიან დიდი პრობლემების წინაშე დგებიან შშმ პირები, მათ შორის ეტლით მოსარგებლები, რადგანაც მათ არა აქვთ ელემენტარული გადაადგილების საშუალება“.<sup>240</sup> ანალოგიური დამოკიდებულება აქვთ სხვა გამოკითხულ რესპოდენტებს როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ისე სახალხო დამცველის აპარატიდან.

გარდა საცხოვრებელი შენობებისა, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში პრობლემურ საკითხად უნდა განვიხილოთ შშმ პირებისათვის სხვადასხვა მომსახურების ხელმისაწვდომობა სხვა პატიმრების თანაბრად, რაც ასევე დროულ და ადეკვატურ რეგულირებას მოითხოვს. ასეთი მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები ნეგატიურადაა აღწერილი სახალხო

---

<sup>239</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, მუხლი 1, ნაწილი 3, 14 ივლისი, 2020.

<sup>240</sup> შშმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლესტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

დამცველის ანგარიშში. სახალხო დამცველმა დეტალურად აღწერა ის ელემენტარული პრობლემური ასპექტები, რომელთა გადაჭრაც, გარდა ობიექტური ფაქტორებისა, დამოკიდებულია სწორედ პერსონალის სუბიექტურ დამოკიდებულებასა და პრობლემის აღქმაზე, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პრობლემების გადაჭრა არ საჭიროებს რეგულირებას სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე და ის შესაძლებელია მოგვარდეს სისტემის მიერ, შშმ პირების უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სწორი დაგეგმვით. „სასჯელალსრულების დეპარტამენტის №3 დაწესებულებაში ტელეფონი დამონტაჟებულია იატაკიდან 150 სმ სიმაღლეზე, რის გამოც ეტლით მოსარგებლეს გაუჭირდება<sup>241</sup> დამოუკიდებლად ნომრის აკრეფა. საჩივრების ყუთი დამონტაჟებულია სასეირნო ეზოების შესასვლელთან, რომლის ზედაპირის სიმაღლე იატაკიდან 155 სმ-ია. სასეირნო ეზოებამდე მისასვლელი დერეფანი არაადაპტირებული ეტლით მოსარგებლე პირებისთვის - სამი ზღურბლი, სიმაღლით 4 სმ, და კიბის სამი საფეხური. სასჯელალსრულების დეპარტამენტის №2 დაწესებულების სასეირნო ეზოები განლაგებულია მე-5 სართულზე, ხოლო სამედიცინო ნაწილი - მე-3 სართულზე, კიბეები კი არ არის ადაპტირებული.“<sup>242</sup> ანგარიში განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, დამოკითხული შშმ პატიმრების გადმოცემით, ისინი უარს აცხადებდნენ სასეირნოდ გასვლაზე და მაგალითად მოჰყავს ერთ-ერთი პოლინიეროპათიით დაავადებული შშმ პირი, რომლის თქმითაც, იგი 1 წლისა და 7 თვის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ იყო სასეირნოდ გასული. გარდა სასეირნო ეზოებისა, სახალხო დამცველი ადგილს უთმობს ინფორმირებულობის

<sup>241</sup> ფრაზაში „გაუჭირდება ნომრის აკრეფა“ ანგარიშში იგულისხმება ეტლით მოსარგებლე პირის ფიზიკური მისაწვდომობა ტელეფონთან.

<sup>242</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, არანებაყოფლობითი და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში - რეკომენდაციების შესრულების ანალიზი, 2014, 11.

საკითხს და საუბრობს დაწესებულებებზე,<sup>243</sup> სადაც ან არ არის საინფორმაციო ბუკლეტები გამოკრული, ან თუ გამოკრულია, მისი წაკითხვა ეტლით მოსარგებლე პირს არ შეუძლია. ანგარიშში ასევე ადგილი ეთმობა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორცაა სურდოთარჯიმნის მომსახურება. აღნიშნულია, რომ „არცერთ დაწესებულებაში არ არის ხელმისაწვდომი სურდოთარჯიმანი და არ აქვთ უფლება-მოვალეობების ნუსხა ბრაილის შრიფტით, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შესაბამისი შეზღუდვის შშმ პირების ინფორმირების მხრივ.“<sup>244</sup>

შშმ პირების მიერ ციხეში შესაბამისი მომსახურების არახელმისაწვდომობა პრობლემათა ბევრად უფრო ფართო სპექტრს მოიცავს, ვიდრე რომელიმე კონკრეტული პრობლემის ერთჯერადად მოგვარებაა. პრობლემები უკავშირდება შშმ პირთა საჭიროებებს, მათი შეზღუდული შესაძლებლობების ხარისხისა და ფორმის გათვალისწინებით, თუმცა აქვე უნდა იქნეს განხილული კომპლექსური საჭიროებანი, რომლებიც შესაძლოა ერთ შშმ პირს ჰქონდეს და მისი მოგვარება თავისთავად კომპლექსურ მიდგომას მოითხოვდეს. ხშირ შემთხვევაში პრობლემა შეიძლება მარტივად გადასაჭრელი იყოს, მაგრამ სწორედ დროული და ადეკვატური ზომების მიუღებლობა კომპლექსური საჭიროებების წინაშე აყენებს თვითონ შშმ პირს და სასჯელალსრულების სისტემას ან/და ინვევს სავალალო შედეგს. მაგალითად, „როდესაც კოგნიტური (შემეცნებითი) პრობლემების მქონე პირებს არ აქვთ შესაბამისი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, იმიტომ რომ მათ არ შეუძლიათ შეაჯ-

---

<sup>243</sup> საინფორმაციო დაფა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გამოკრული არ არის, ხოლო სასჯელალსრულების დეპარტამენტის №2 და №3 დაწესებულებებში გამოკრულია ისეთ სიმაღლეზე, რომ ეტლით მოსარგებლე შშმ პირს ამ დაფებიდან ინფორმაციის წაკითხვა არ შეუძლია.

<sup>244</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, არანებაყოფლობითი და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში - რეკომენდაციების შესრულების ანალიზი, 2014, 11.

სონ განაცხადის ფორმები; ყრუ ან სმენადაქვეითებული პირები ვერ იღებენ სათანადო მედიკამენტებს შესაბამისი პირობების არარსებობის გამო; პატიმრები, რომლებმაც მიიღეს სხეულის დაზიანება, იმიტომ რომ არ ჰქონდათ შესაბამისი საპირფარეშო ან სააბაზანო და სხვა“.<sup>245</sup>

კვლევებზე და ევროპის სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ცალსახად იმის მტკიცება, რომ როგორც არ უნდა იყოს პრობლემის ობიექტური გამომწვევი მიზეზი, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში უზრუნველყოს შშმ პირების მიმართ არადისკრიმინაციული (როგორც პირდაპირი, ისე ირიბი) მოპყრობა ან პირობები, რამაც შემდგომში შესაძლებელია მიიღოს წამების კვალიფიკაცია, რადგანაც არაადეკვატურ პირობებში შშმ პირის ყოფნა, როცა მას ხელი არ მიუწვდება საკვებზე, ჰიგიენურ ობიექტებსა და მომსახურებაზე, უთანაბრდება წამებას ან სხვა ფორმის არაადამიანურ მოპყრობას, როგორც ეს დაფიქსირდა ევროპის ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილულ საქმეში - *გამილტონი იამაიკის წინააღმდეგ*.<sup>246</sup>

საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსი, საცხოვრებელი პირობების ნაწილში განიხილავს მხოლოდ საკნის ფართობს, სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს

---

<sup>245</sup> იხ. Making Hard Time Harder Programmatic Accommodations for Inmates with Disabilities Under the Americans with Disabilities Act, Amplifying Voices of Inmates with Disabilities (AVID), Prison Project of Disability Rights, 2016, 5.

<sup>246</sup> იხ. *Hamilton v. Jamaica*, Communication No. 616/1995, 7 July 1997, CCPR/C/60/D/616/1995\*, საქმეში *გამილტონი იამაიკის წინააღმდეგ (Hamilton v. Jamaica)*, „ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა შეისწავლა საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 და მე-10 მუხლების დარღვევას, სავარაუდოდ, ციხის ადმინისტრაციის სურვილის არქონა, გაეთვალისწინებინათ განმცხადებლის ინვალიდობა და შესაბამისი ზომები მიეღოთ იმისთვის, რომ მას დაეტოვებინა საკანი ნაგვის ურნის გასატანად. კომიტეტმა დაადგინა, რომ განმცხადებელს, რომელსაც ორივე ფეხი პარალიზებული ჰქონდა, არ ეპყრობოდნენ ჰუმანურად და ადამიანის თანდაყოლილი პირადი ღირსების უფლების პატივისცემით, რაც წარმოადგენს საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას“.

შესაბამის ბრძანებას<sup>247</sup> და ფანჯარას, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს განათებას და ვენტილაციას. თუმცა საცხოვრებელი პირობები ბევრად უფრო ფართოდ უნდა იყოს განხილული, რადგანაც, გარდა არსებული ჩამონათვალისა, კანონით განსაზღვრული უნდა იყოს ყველა ის საჭიროება, რომლებიც უკავშირდება პირის ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებელ გარემოებებს. განსაკუთრებით კი შშმ პირების შემთხვევაში, რომლებსაც სწორედ საკანონმდებლო რეგულირების არარსებობის გამო ეზღუდებათ საკვების, სამედიცინო მომსახურების, პროგრამების და სხვ. ხელმისაწვდომობა. იმის გათვალისწინებით, რომ კანონი საცხოვრებელი პირობების ნაწილში ამ საკითხებს არ განსაზღვრავს, ხშირად ადმინისტრაცია ვალდებულია ნუსხაში არ აქცევს. თუმცა, თუ ყურადღებას მივაქცევთ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ნათელია, რომ განხილვის საგანი ხშირად ხდება შშმ პირთა უფლებების დარღვევა სწორედ საცხოვრებელი პირობების ნაწილში. ერთ-ერთი ასეთი საქმე, რომელიც შესაძლებელია მაგალითის სახით განვიხილოთ, არის „სემიხვოსტოვი რუსეთის წინააღმდეგ“, სადაც განმცხადებელი, რომელიც პარალიზებული იყო ნელს ქვემოთ და მიჯაჭვული იყო ეტლს, ამტკიცებდა, რომ „პირობები სასჯელალსრულების დანესებულებაში, სადაც ის თითქმის სამი წელი იყო განთავსებული, არ იყო მისი მდგომარეობის შესაბამისი. ის ასევე ამტკიცებდა, რომ მას ამ განცხადებების განხილვისათვის არ ჰქონდა დაცვის სამართლებრივი მექანიზმები ეროვნულ დონეზე“.<sup>248</sup> მოცემულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის

---

<sup>247</sup> იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №388 — №01-18/ნ, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ, 2019.

<sup>248</sup> იხ. *Persons with disabilities and the European Convention on Human Rights, Semikhvostov v. Russia*, 2689/12, Judgment 6.2.2014, 5 (The case originated in an application (no. 2689/12) against the Russian Federation lodged with the Court under Article 34 of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (“the Convention”) by a Russian national, Mr Aleksandr



მე-3 მუხლის დარღვევა, რადგანაც განმცხადებლის პატიმრობის პირობებს, კერძოდ, კი მის მიერ გარკვეული ობიექტების დამოუკიდებლად ხელმისაწვდომობის არქონას, სასადილოსა და სანიტარიული ობიექტების ჩათვლით, ასევე მისი გადაადგილებისათვის ნებისმიერი სახის ორგანიზებული დახმარების არარსებობას უნდა გამოენვიო არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობის შესატყვისი, არა-აუცილებელი და თავიდან აცილებადი ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემები. სასამართლომ ამ შემთხვევაში ასევე დაადგინა, რომ დარღვეულ იქნა კონვენციის მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება). ევროპის სასამართლომ ნათლად განმარტა, რომ საცხოვრებელ პირობებში იგულისხმება არა მხოლოდ ადაპტირებული შენობა-ნაგებობები, არამედ სმენის აპარატებით, მხედველობისა და სხვა დამხმარე საშუალებებით, ასევე პერსონალით უზრუნველყოფილი გარემო, რაც მთლიანობაში შშმ პირისთვის ქმნის ნორმალურ პირობებს სასჯელის მოსახდელად.

საცხოვრებელი გარემო პირობების უზრუნველყოფის განმარტებისათვის კონვენციის ფაკულტატიური ოქმის ფარგლებში კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ კონვენციის მე-14 (2) მუხლის თანახმად, თავისუფლებააღკვეთილ შშმ პირებს აქვთ უფლება, დაექვემდებარონ კონვენციით განერილი მიზნებისა და პრინციპების შესაბამის მოპყრობას, ხელმისაწვდომობისა და გონივრული მისადაგების ჩათვლით. კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა უზრუნველყონ დაკავებული შშმ პირების დამოუკიდებლად ცხოვრებისა და დაკავების ადგილზე აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა, მათ შორის, სხვებთან თანაბარ პირობებში, ფიზიკური ხელმისაწვდომობა. კომიტეტმა განსაზღვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტერიტორიებისა და მომსახურების ნუსხა, როგორც

---

Yuryevich Semikhvostov (“the applicant”), on 28 December 2011, court decision: there has been a violation of Article 13 of the Convention on account of the absence of an effective domestic remedy with which to raise claims of inadequate conditions of detention; Article 3 of the Convention on account of the inhuman and degrading conditions of the applicant’s detention).

ცაა: აბაზანა, ეზო, ბიბლიოთეკა, სასწავლო სივრცეები, სახელოსნოები, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური და იურიდიული მომსახურება. ბოლოს კი, კომიტეტმა შემაჯამებელი მსჯელობით ხაზი გაუსვა, რომ „ხელმისაწვდომობისა და გონივრული მისადაგების არარსებობა ან ნაკლებობა შშმ პირებს აყენებს ქვესტანდარტულ პირობებში, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-17 მუხლს და შესაძლოა ჩაითვალოს მე-15 (2) მუხლის დარღვევად“.<sup>249</sup>

შშმ პირებისათვის ადეკვატური საცხოვრებელი გარემო პირობების შექმნა არ უნდა განვიხილოთ როგორც მოკლევადიანი პროცესი, რომელიც მოიცავს პერიოდს პირის დაკავებიდან მის გათავისუფლებამდე. მას გაცილებით ხანგრძლივი შედეგები აქვს და ზეგავლენას ახდენს პირის გათავისუფლების შემდგომ ცხოვრებასა და საზოგადოებაში ინტეგრირების პროცესზე. გამოცემაში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გისოსებს მიღმა“ განმარტებულია, რომ ადეკვატურ, უსაფრთხო გარემოს, მის ხელმისაწვდომობასა და პროგრამირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა საჭიროებების უზრუნველყოფისათვის ციხესა და საკანში, ისე გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებაში მათი ეფექტიანი რეინტეგრაციისათვის.<sup>250</sup>

პირის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ შშმ პირთათვის სასჯელის მოხდის ადეკვატური, გონივრულად მისადაგებული გარემოს შექმნა უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი და უნდა რეგულირდებოდეს კანონმდებლობით, რომელიც სავალდებულო იქნება ნებისმიერ იმ დანესებულებაში, რომელშიც შესაძლებელია პირს ალკვეთილი ჰქონდეს თავისუფლება.

<sup>249</sup> იხ. Committee on the Rights of Persons with Disabilities, Guidelines on article 14 of the Convention on the Rights of Persons with Disabilities, The right to liberty and security of persons with disabilities, Adopted during the Committee’s 14th session, held in September 2015, 5.

<sup>250</sup> იხ. *Vallas R.*, Disabled Behind Bars, The Mass Incarceration of People With Disabilities in America’s Jails and Prisons, July, 2016, 10.

საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა უნდა მოიცავდეს ადაპტირებულ საკანს, რომელშიც შშმ პირი იქნება განთავსებული. ასევე საკანონმდებლო და დაწესებულებების შიდა რეგულაციებით საცხოვრებელი პირობების ნუსხაში განსაზღვრული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები:

- საცხოვრებელი შენობები და საკნები, შეხვედრის ოთახები (როგორც შშმ პაციმრებისათვის, ისე ვიზიტორებისათვის);
- ფიზიოლოგიური და ჰიგიენური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი ნაგებობები: საპირფარეშო, აბანო (საშხაპე), სადაც პირს შეეძლება მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დამოუკიდებლად, მისი ფიზიკური მდგომარეობის შეზამისად;
- სასეირნო ეზო, რომელიც იქნება იმ პირობების შესატყვისი, რომლებიც სხვა პაციმრებისათვისაა განკუთვნილი; ასევე, უნდა განისაზღვროს სუფთა ჰაერზე ყოფნის დრო, სულ ცოტა, 2 საათით, რომლის განმავლობაშიც პირს ექნება შესაძლებლობა დაკავდეს ფიზიკური აქტივობებით, მისი ფიზიკური მდგომარეობის შესაზამისად;
- საცხოვრებელ გარემოსთან და ციხის ინფრასტრუქტურასთან პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული განხილული სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა. პროგრამები ისე უნდა იყოს შემუშავებული და განთავსებული, რომ შშმ პირებმა თანაბარ პირობებში შეძლონ მასში მონაწილეობა; ასევე განხილული უნდა იყოს დასაქმების ობიექტების ფიზიკური ხელმისაწვდომობა; დასაქმების საკითხის გადაწყვეტისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს მხოლოდ ექიმის დასკვნას იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო პირობებმა ან სამუშაოს სახეობამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს შშმ პირის მდგომარეობას;
- უნდა შემუშავდეს ციხეში მიღების დროს შშმ პირის ინფორმირებულობის წესები და მეთოდები, შშმ პირის შეზღუდულობის ტიპის გათვალისწინებით, იმისათვის რომ პირს ინფორმაცია მიენოლოს მისთვის გასაგები ფორმითა და მეთოდებით.

## თავი 9. შიშველული შესაქლებლობის მქონე პირების კონტაქტი ოჯახსა და გარე სამყაროსთან

ოჯახთან და, ზოგადად, გარე სამყაროსთან კონტაქტი მგრძნობიარე თემა ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი, განსაკუთრებით კი შშმ პირისათვის, რადგანაც ისინი ხშირად მოკლებული არიან თავისუფალი კომუნიკაციის უნარებს და საშუალებებს. ოჯახთან ურთიერთობა ყოველი ადამიანის უფლებაა და არ შეიძლება პირის შეზღუდული შესაძლებლობა რამენაირად აფერხებდეს მის ოჯახურ ცხოვრებას ან მოცემულ შემთხვევაში ოჯახთან ურთიერთობას. აღნიშნულ მიდგომას ამყარებს ქართველი მეცნიერების მსჯელობა იმის შესახებ, რომ „მართალია, პირს შეიძლება ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობები და სასამართლოს მიერ იყოს აღიარებული ქმედუნაროდ, მაგრამ მას მაინც აქვს ოჯახური ცხოვრების უფლება.“<sup>251</sup>

ოჯახთან და გარე სამყაროსთან კონტაქტისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება გამოწვეულია მრავალი ფაქტორით, მაგალითად, უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებით, რომ ოჯახის წევრებს, რომლებიც წლების განმავლობაში შშმ პირის გვერდით ცხოვრობენ, კარგად ესმით მათ წინაშე მდგარი პრობლემები და მათი გადაჭრის სავარაუდო საშუალებები და მეთოდები, ასევე იციან საჭიროებები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობებით არის გამოწვეული.

შშმ პირების დაკავება/დაპატიმრება, გარდა მოცემული პროცესით გამოწვეული სტრესისა, ასევე განსაკუთრებულად დაკავშირებულია ოჯახის წევრებთან დაშორებით გამოწვეულ სტრესთან, რაც მათ ყოველდღიურ ცხოვრებას მნიშვნელოვნად ართულებს, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში შშმ პირებს არა აქვთ ურთიერთობა პირთა ფართო წრესთან და ძირითადად მხოლოდ ოჯახის წევრებთან ურთიერთობენ. ამდენად, ახალ გარემოსთან შეგუება მათთვის

<sup>251</sup> იხ. *კორკელია კ.*, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, *თორია ა.*, ქმედუნაროდ აღიარებულ პირთა უფლებების დაცვა მათი შვილების გაშვილებისას, თბილისი, 2012, 96.

უფრო რთულია, ვიდრე სხვა პირებისათვის, რომლებიც სასჯელალსრულების დაწესებულებებში იმყოფებიან. „*კვლევამ აჩვენა, რომ კარგი ოჯახური ურთიერთობის არსებობა და შენარჩუნება ხელს უწყობს ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. გათავისუფლების შემთხვევაში კი ოჯახისა და მეგობრების მხარდაჭერა ხელს უწყობს საზოგადოებაში წარმატებულ რეინტეგრაციას.*“<sup>252</sup>

ოჯახთან და გარე სამყაროსთან კონტაქტი შესაძლებელია იყოს კარგად უზრუნველყოფილი სასჯელალსრულების დაწესებულებაში, თუმცა მისი ხელმისაწვდომობა შეზღუდული იყოს შპმ პირებისათვის მხოლოდ იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ოთახები და ავეჯი არ იყოს ადაპტირებული ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. კვლევის ფარგლებში გამოკითხული შპმ რესპოდენტის აზრით, „*ეტლით მოსარგებლებს უნდა ჰქონდეთ ცალკე შესაბამისად მოწყობილი (ადაპტირებული) საკანი, აბაზანა, რომ ადამიანურ პირობებში შეძლონ მოსვენება და ჰიგიენის დაცვა.*“<sup>253</sup>

ოჯახთან ეფექტიანი კომუნიკაციის ხელშემწყობი პრობლემების ნუსხაში, გარდა შენობების ადაპტირებისა, უნდა მოიაზრებოდეს ასევე, მაგალითად, ოთახების განლაგება და ხელმისაწვდომობა ეტლით მოსარგებლე პირებისათვის, კარის ზომა და მისი შესატყვისობა ეტლის ზომასთან, ოთახის ზომა და მასში ავეჯის განლაგება ეტლით ან ყავარჯნით მოსარგებლე პირებისათვის, ოთახის განლაგება და ოთახის სივრცე მხედველობადაქვეითებულ პირებისათვის და ა. შ. „*შესაძლოა საჭირო გახდეს გარკვეული ავეჯის ადაპტირება პაემნების ოთახში ან, გამონაკლის შემთხვევებში,*

<sup>252</sup> იხ. *Crétenot M.*, From National Practises to European Guidelines: Interesting Initiatives in Prisons Management, European Prison Observatory. Detention conditions in the European Union, Rome, December 2013, 20.

<sup>253</sup> შპმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლეს-ტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

სმენის აპარატების უზრუნველყოფა სმენადაქვეითებული პატიმრებისთვის, განსაკუთრებით პაემნების დიდ და ხმაურიან ოთახში შეხვედრისთვის.“<sup>254</sup>

თუ განვიხილავთ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ გარანტიებს შშმ პირების გარე სამყაროსთან კომუნიკაციის კონტექსტში, ასეთ დათქმას კანონში საერთოდ არ ვხვდებით. აქვე აღსანიშნავია, რომ ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები, რომლებშიც ზოგადად, ციხის სისტემის საქმიანობის სტანდარტებს ადგენენ, ცალსახად მიუთითებენ სახელმწიფოს ვალდებულებაზე, ხელი შეუწყონ თავისუფლებააღკვეთილ პირებს, იქონიონ კონტაქტი ოჯახის წევრებთან, რაც მათი რეაბილიტაციის პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორია. „დაკავებულ თუ დაპატიმრებულ პირს აქვს უფლება, მოინახულონ ოჯახის წევრებმა და იქონიოს მათთან მიმოწერა. მას უნდა მიეცეს სათანადო საშუალება, იკონტაქტოს გარე სამყაროსთან. აღნიშნული უფლება უნდა განხორციელდეს გონივრულ პირობებში და დაექვემდებაროს კანონით განსაზღვრულ შეზღუდვებს.“<sup>255</sup>

გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტი, რომ საქართველო კანონმდებლობა კრძალავს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრულ იზოლაციას და დეტალურად განსაზღვრავს გარე სამყაროსთან ურთიერთობის სხვადასხვა ფორმას, როგორცაა: ახლო ნათესავეებთან შეხვედრა (პაემანი), დამცველთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან, საკონსულო დაწესებულებისა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან (უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის) შეხვედრა; სატელეფონო საუბრები და მიმოწერა<sup>256</sup>; ამანათებისა და

<sup>254</sup> იხ. Prison service Order, PSO 2855 - The Management of Prisoners with Physical disabilities, 3. 3.9.2. Date of Initial Issue 20/12/99, Date of Update: 13/10/03.

<sup>255</sup> იხ. Body of Principles for the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment, Adopted by General Assembly resolution 43/173 of 9 December 1988, principle 19.

<sup>256</sup> „პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს იგი სანერი საშუალებითა და ქალაქით, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბრალდებული/მს-

ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნა, რომელიც აღწერს შეხვედრების ფორმებსა და მეთოდებს, ასევე მისი გამოყენების წესს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპმ პირებთან მიმართებით რაიმე ტიპის სპეციალურ საჭიროებებსა და მის უზრუნველყოფაზე არ საუბრობს არც კანონი და არც რაიმე სახის კანონქვემდებარე აქტები.

იმის გათვალისწინებით, რომ გარე სამყაროსთან ურთიერთობის ნაწილში სასჯელის მოხდის ადგილებში იკვეთება მრავალმხრივი პრობლემები. ამასთან, იმ თავისებურებიდან გამომდინარე, რომ ქართულ პრაქტიკაში შპმ პირების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობს ოჯახთან ერთად და მიჯაჭვული არიან მათზე, ხოლო ოჯახის წევრები ხანგრძლივად ეხმარებიან შპმ პირებს და იცნობენ მათ პრობლემებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სასჯელალსრულების სისტემამ შექმნას შესაბამისი გარემო ოჯახის წევრთა ჩართულობისათვის სასჯელის მოხდის პროცესში.

დანესებულებებში უნდა შეიქმნას საკოორდინაციო ჯგუფი, რომელსაც სისტემატური კონტაქტი ექნება ოჯახის წევრებთან და დააფიქსირებს მათ ხედვასა და რეკომენდაციებს მოპყრობისა და მოვლის ნაწილში. მეორე მხრივ, ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, ოჯახის წევრებს მისცეს დამატებითი შეხვედრების საშუალება პირის შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხისა და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით.

ოჯახის წევრებს (მსჯავრდებულისა და ოჯახის წევრის სურვილის შემთხვევაში) უნდა მიეცეთ საშუალება მომვლელის სტატუსით ყოველდღიურად გაატარონ განსაზღვრული დრო იმ შპმ პირებთან, რომლებიც, თავიანთი მდგომარეობიდან გამომდინარე, განთავსებული არიან სამედიცინო დანესებულებაში, განსაკუთრებით იქ, სადაც არ არსებობს მომვლელის ინსტიტუტი. დროის განსაზღვრის ვალდებულება შესაძლებელია დაეკისროს ექიმს, პაციენტის მდგო-

---

ჯავრდებული - მიმონერის საჭირო შესაბამისი საშუალებით“, საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, მუხლი 1, ნაწილი 2, 14 ივლისი, 2020.

მარეობიდან გამომდინარე, რაც უნდა დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე.

ციხეების ადმინისტრაცია განსაკუთრებით ყურადღებას უნდა აქცევდეს მრავალმხრივი საჭიროების მქონე პატიმრებს (LGBT, ხანდაზმული პატიმრები, ქალები, არასრულწლოვნები, უცხოელები და ა. შ.) და მათ ურთიერთობას ოჯახსა და მეგობრებთან, რადგანაც ეს არის ჯგუფი, რომელსაც ხშირად დაკარგული აქვს ოჯახთან ურთიერთობა ხანგრძლივი პატიმრობის, ჩადენილი დანაშაულის ხასიათის ან სხვა მიზეზის გამო. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციისა და ციხის სოციალური და სხვა შესაბამისი სამსახურების ზრუნვა უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ აღნიშნული პირების ციხეში ყოფნის, და განსაკუთრებით კი გათავისუფლებისათვის მომზადების, პროცესში აღდგენილ იქნეს ოჯახური კავშირები, რათა გათავისუფლების შემდგომ შუამდობა პირებს ჰქონდეთ ოჯახის მხარდაჭერა საზოგადოებაში დაბრუნების შემდეგ.



## თავი 10. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კვება სასჯელაღსრულების დანაშაულებათაში

სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ხშირად საკვები პროდუქტები ან მომზადებული კერძი დაბალი ხარისხისაა, შეუსაბამოა კვების რაციონი და ა. შ., რაც გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, როგორცაა: დაფინანსების ნაკლებობა, ციხის გადატვირთულობა, პროფესიონალი პერსონალის არარსებობა, როდესაც მზარეულების ნაცვლად, საკვებს მსჯავრდებულები ამზადებენ, რომლებიც შეიძლება გადამზადებული იყვნენ ამ საქმიანობის განსახორციელებლად ან საერთოდ არც ჰქონდეთ გავლილი სპეციალური მომზადება.

საკვების მიწოდების არასტანდარტული პერიოდულობა (გათვალისწინებული უნდა იყოს სამჯერადი კვება გონივრული ინტერვალებით)<sup>257</sup> და არასათანადო პირობები, საკვების დაბალი ხარისხი და შეუსაბამო რაციონი, ასევე სხვა მსგავსი დარღვევები ქმნიან გარემოს, რომელიც ზიანს აყენებს ნებისმიერი პატიმრის ჯანმრთელობას და ინვესტს პატიმართა სხვადასხვა დაავადების გამწვავებას ან დაავადებების შექმნას. იმის გათვალისწინებით, რომ არასათანადო კვების პირობები უარყოფით ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელ ადამიანზე, რომელიც დახურულ სივრცეშია განთავსებული, მისი უარყოფითი მაჩვენებელი ბევრად მწვავეა შშმ პირისთვის, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს არსებული ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის გართულება, შეზღუდული შესაძლებლობების გართულება ან/და ისეთი პრობლემების წარმოქმნა, რომელიც მანამდე არ ჰქონია პირს.

ერთ-ერთ გამოცემაში პატიმართა კვების შესახებ ავტორებს მაგალითად მოჰყავთ კვლევა, რომელიც გამოქვეყნდა ამერიკულ ჟურნალში საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ. კვლევის თანახმად, იმ პატიმართა რაოდენობა, რომლებსაც განუვითარდათ საკვებით გამოწვეული დაავადება, შეადგენს 45%-ს 100 000 სულზე, მაშინ

<sup>257</sup> იხ. ევროპული პენიტენციური წესები, ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2, 2006 წლის 11 იანვარი, წესი 22.4.

როდესაც ეს მაჩვენებელი მოსახლეობაში 100 000 სულზე შეადგენს 7%-ს.<sup>258</sup>

გარდა სტანდარტული კვების ხარისხისა და რაციონისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სპეციალური კვების რაციონის შემუშავება და მისი გამოყენება სხვადასხვა ტიპის საჭიროების მქონე პირებისათვის, რაზეც ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია მათი სიცოცხლე და ჯანმრთელობა. „პატიმრები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით.“<sup>259</sup>

საქართველოს კანონმდებლობაში შშმ პატიმრებთან მიმართებით ვხვდებით კვების საკითხის ნაწილობრივ დარეგულირების მცდელობას. კერძოდ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი სამართლებრივი აქტი<sup>260</sup> ავალდებულებს პენიტენციური სისტემის ადმინისტრაციას, უზრუნველყოს სპეციალური/დიეტური კვება იმ პატიმრებისათვის, რომლებსაც სამედიცინო თვალსაზრისით ამის საჭიროება აქვთ. პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ასეთი რეგულირების მექანიზმი არსებობს, თუმცა აქაც ვხვდებით შეზღუდული შესაძლებლობების სამედიცინო და სოციალური მოდელისადმი მიდგომის საკითხებს, რადგანაც სპეციალური კვების საჭიროება შესაძლებელია არ იყოს გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობით, არამედ ის დაკავშირებული იყოს პირის ფიზიკურ პრობლემასთან. მაგალითად, ეტლით მოსარგებლე პირი, რომელსაც სამედიცინო ნოზოლო-

<sup>258</sup> იხ. *Fassler J. and Brown G.*, *Prison Food Is Making U.S. Inmates Disproportionately Sick*, 2017 .

<sup>259</sup> იხ. ევროპული პენიტენციური წესები, ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ღეც(2006)2, 2006 წლის 11 იანვარი, წესი 22.1.

<sup>260</sup> იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №388 — №01-18/ნ, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ, 2019.

გით არ გააჩნია დაავადება, რომელიც საჭიროებს სპეციალურ კვებას, ნათელია, რომ მოცემული სამართლებრივი აქტის რეგულირების ფარგლებში ვერ მოხვდება, თუმცა ასევე ცალსახაა ის, რომ ეტლით მოსარგებლე ადამიანი, რომელსაც თავისუფალი გადაადგილება და ფიზიკურ აქტივობებში ჩართვა არ შეუძლია, საჭიროებს სპეციალურ კვებას, მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი გართულებები.

არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შშმ პატიმრებს მიეცეთ სწორი და მათთვის გასაგები განმარტებები, თუ როგორ უნდა შეძლონ ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარება პირადად, დანესებულებაში მოხვედრისთანავე: თუ მათ, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ესაჭიროებათ სპეციალური საკვების მიღება, ამის შესახებ უნდა აცნობონ სამედიცინო პერსონალს. სახელმძღვანელოში შშმ პირებისთვის განმარტებულია, რომ მათთვის ციხეში სპეციალურ საკვებს მოამზადებენ, თუ ამას სამედიცინო სამსახური მოითხოვს, საკვების არჩევის საშუალება კი ყველას უნდა ეძლეოდეს. აღნიშნული მსჯელობა, გარდა შშმ პირების ინფორმირებისა, ასევე მიზნად ისხავს მიუთითოს ადმინისტრაციის ვალდებულების თაობაზე, რომ მან უზრუნველყოს პატიმართათვის საკვების არჩევის უფლება და შესაძლებლობა. განმარტებულია ასევე პროცედურები, თუ როგორ რეგულირდება ეს საკითხი ციხეში, რათა შშმ პირი გაურკვეველობაში არ აღმოჩნდეს: *„თქვენ შეიძლება მოგთხოვონ ფორმის შევსება, რომელშიც უნდა მიუთითოთ, თუ რისი მიღება გსურთ. მენიუ შეიძლება იყოს დასურათებული, რომ თქვენ იცოდეთ რა საკვების არჩევანი გაქვთ. თუ თქვენ შეგექმნებათ პრობლემა ფორმის შევსებასთან დაკავშირებით, სთხოვეთ დახმარება ციხის ოფიცერს.“*<sup>261</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, კვებასთან დაკავშირებული პრობლემა შეიძლება უკავშირდებოდეს არა საკვების ხარისხს, არამედ

<sup>261</sup> იხ. Information book for prisoners with a disability, Offender Health and Prison Reform Trust 2009, Prison Reform Trust office (020 7251 5070 or PRT, Freepost, ND6125, London EC1B 1PN).

თვითონ პირის ფიზიკურ მდგომარეობას. კერძოდ, პირმა შესაძლოა ვერ მიიღოს საკვები იმიტომ, რომ ეტლით მოსარგებლე ან მხედველობადაქვეითებულია და გადაადგილების პრობლემის გამო ვერ შეძლო დაწესებულების ტერიტორიაზე სამზარეულომდე ან სასადილო ბლოკამდე მიღწევა ან დროულად მისვლა. ასევე, არაადაპტირებული ინფრასტრუქტურის გამო, შესაძლოა, პირმა ამ ობიექტებამდე მიღწევა საერთოდ ვერ შეძლოს და დაწესებულებაში არ არსებობს ადამიანი, რომელიც ვალდებული იქნება საკვების მიწოდებაზე. რუსი ექსპერტი აღწერს 2010/11 წლებში რუსეთის ერთ-ერთ ციხეში მომხდარ შემთხვევას, როცა აღნიშნულ პერიოდში მსჯავრდებულ ც-ს არაერთხელ წაერთვა ცხელი საკვების მიღების შესაძლებლობა იმ მიზეზით, რომ არ ჰყავდა დამხმარე, რომელიც შეძლებდა მიეწოდებინა მისთვის საკვები. ის აღწერს, რომ „რაზმეულში“ (ინვალიდის ეტლით შეუძლებელია სასადილომდე მიღწევა). მსჯავრდებულს ზოგჯერ 7 დღის განმავლობაში არ მიუღია საკვები. რეგულარულად ცხელი საკვების არქონა, რასაც ემატებოდა უსუფთაო ქურჭლიდან კვება, დამღუპველად მოქმედებდა მძიმედ დაავადებული ც-ს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე - მას ეწყებოდა სისხლდენა, უსიგდებოდა კიდურები, უმწვავდებოდა შინაგანი ორგანოების ტკივილი და სხვა.“<sup>262</sup>

კვების საკითხებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების განხილვის შედეგად მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ პრობლემების გადაჭრის უზრუნველსაყოფად, პირველ რიგში, სასჯელალსრულების სისტემის დაწესებულებებში უნდა დაინერგოს ახალი მიდგომები, კერძოდ, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისათვის ექიმის რეკომენდაციით შედგენილი დიეტური კვების მენიუს პარალელურად სავალდებულო გახდეს სპეციალური მენიუს შემუშავება შშმ პირებისათვის. განსაკუთრებით, იმ შშმ პირებს, რომლებსაც აქვთ გადაადგილების ან თავისუფალი მოძრაობისა და ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობის შეზღუდვა, უნდა მიენოდოთ საკვები, რომელიც არ გამოიწვევს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გარ-

<sup>262</sup> იხ. *Раднаева Н.*, эксперт Фонда, В защиту прав заключенных, статья - Инвалид-колясочник в колонии: наказание или пытка? 16 январь, 2012.

თულებას. შშმ პირების კვების რაციონი უნდა შემუშავდეს მათი აქტივობის ხარისხისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე, ინდივიდუალურად. საქართველოს პრაქტიკის განხილვისას პრობლემა არის ის, რომ შშმ პირთა სპეციალური კვებით უზრუნველყოფის საკითხი არ არის დარეგულირებული იმ ბრძანებით, რომელიც, ზოგადად, პატიმართა კვებას განიხილავს. აქ მონოდებული კვების რაციონი სრულწლოვანმა პირმა შესაძლებელია მიიღოს მხოლოდ სამედიცინო მაჩვენებლებზე დაყრდნობით.<sup>263</sup>

აღნიშულიდან გამომდინარე, მართალია, პატიმრობის კოდექსში შშმ პირთა კვებასთან დაკავშირებით 2020 წელს განხორციელებულმა პოზიტიურმა ცვლილებამ<sup>264</sup> აღმოფხვრა ხარვეზი, რომელიც გულისხმობდა განსაკუთრებული კვების საჭიროების მქონე შშმ პირთა მხოლოდ ვინრო წრეს, თუმცა ვერც ამან შეძლო პრობლემის სრული გადაჭრა შშმ პირების სათანადო კვებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში, უპირველეს ყოვლისა, სავალდებულო უნდა გახდეს შშმ პირებისათვის სპეციალური მენიუს შემუშავება, რომელიც დაადგენს კვების ზოგად სტანდარტებს. დოკუმენტი უნდა მომზადდეს, როგორც სამედიცინო პერსონალის, ისე შესაბამისი ექსპერტების მონაწილეობით. ასევე, სასჯელაღსრულების სისტემაში უნდა შეიქმნას შესაბამისი სამტაგო ერთეული სპეციალისტისათვის, რომელიც ვალდებული იქნება შეიმუშაოს სპეციალური, შშმ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული კვების რაციონი შშმ პირთან ინტერვიუებისა და სამედიცინო პერსონალთან კოორდინაციის საფუძველზე. ამავე თანამშრომლის ვალდებულებაში უნდა შევიდეს შშმ პირის ინფორმირებულობა საჭირო კვების რაციონის შესახებ.

---

<sup>263</sup> იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №388 — №01-18/ნ, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ, 2019.

<sup>264</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 14 ივლისი, 2020,

## თავი 11. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში

ეროვნული კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული სპეციალური ვალდებულება, სასჯელაღსრულების დაწესებულების მშენებლობისას გათვალისწინებული იყოს ცალკე ან/და ადაპტირებული სანიტარიულ-ჰიგიენური ობიექტები შპმ პირებისათვის. კანონი ასევე არ მოიცავს შემდგომი ადაპტირების ვალდებულებას. საქართველოს კანონმდებლობა პირადი ჰიგიენის ნაწილში განმარტავს, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა ღირსების შეუღახავად. ასევე, კანონმდებლობის მიხედვით, ნებისმიერი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს კვირაში ორჯერ შხაპის მიღებით და საპარაკმახერო მომსახურებით. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა არ ადგენს სტანდარტებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღნიშნული მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს მათთვის, ვისაც ხელი არ მიუწვდება მოცემულ ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

შპმ პირებისათვის ტანსაცმლისა და თეთრეულის გამოცვლის პერიოდულობა შეიძლება იყოს სასჯელის მოხდის პირობების დარღვევის საფუძველი. როგორც ნამების პრევენციის ასოციაცია განმარტავს, სუფთა, კლიმატის შესაფერისი თეთრეულისა და ტანსაცმლის მიწოდება უმნიშვნელოვანესი ელემენტია ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველსაყოფად ციხეებში.<sup>265</sup> იმ დაწესებულებებში, რომლებისთვისაც დამახასიათებელია გადატვირთულობა ან/და რომლებსაც არ აქვთ სამრეცხაო მომსახურება, შპმ პატიმრებს, ზედა კიდურების პრობლემით ან მხედველობის დარღვევით, შესაძლებელია მოუწიოთ ჭუჭყიან თეთრეულში დაძინება ან გაურეცხავი ტანსაცმლის ჩაცმა. ამის გამო ისინი ხშირად აგრე-

<sup>265</sup> იხ. Material conditions of detention, Clothing and bedding, Association for the Prevention of Torture (APT), <<https://apt.ch/detention-focus/en/themes/4/?vg=-1>>, [15.11.2019].

სიისა და ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან სხვა პატიმრების მხრიდან. ამასთან, აღნიშნული პირებისათვის ეს პირობები წარმოადგენს ღირსების შემლახავ მოპყრობას.

ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების მხრივ ურთულეს პრობლემად უნდა იქნეს განხილული საპირფარეშოს ხელმისაწვდომობა. ბევრი შშმ პირისათვის ეს ერთ-ერთი უმთავრესი დაბრკოლებაა. დანესებულებებში ხშირად საპირფარეშომდე ერთი ან ორი კიბეა ასასვლელი ან საერთო საკნებში საპირფარეშო იმდენად ვიწროა, რომ ეტლით შესვლა შეუძლებელია და სხვ. შექმნილი ვითარება აიძულებს შშმ პატიმრებს დამოკიდებული იყვნენ სხვა პატიმრებზე. ამ შემთხვევაში ყველაზე მაღალია ძალადობისა და დამცირების ან დაცინვის რისკი. შესაძლოა პირმა ვერ მიაღწიოს საპირფარეშომდე და ამის გამო ადგილზევე დაიკმაყოფილოს ფიზიოლოგიური მოთხოვნისა. შექმნილი ანტისანიტარიული გარემოს გამო საკანში მყოფმა სხვა პატიმრებმა შესაძლებელია მოითხოვონ ასეთი პირის საკნიდან გაყვანა, რის გამოც შესაძლოა შშმ პირი სამარტოო საკანში აღმოჩნდეს.

თუ განვიხილავთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების პრაქტიკას, სადაც ციხეების არქიტექტურა და დიზაინი თითქმის სტანდარტულად ერთნაირი იყო, შესაძლებელია რუსი ექსპერტის განმარტებაში აღწერილი შემთხვევა დამახასიათებელი იყოს ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის. ექსპერტი, რუსეთის ერთ-ერთი ციხის მაგალითზე, იძლევა არაადაპტირებული შენობის სურათს და აღნიშნავს, რომ ИК-11-ში საპირფარეშო ოთახები რაზმეულებში არ არის მონყობილი ეტლით მოსარგებლე ინვალიდებისათვის (არ არსებობს რელსები, რომლებზეც შესაძლებელია დაყრდნობა; უნიტაზი განთავსებულია იატაკის დონეზე) და ამ პირობების ფონზე აღწერს, თუ რა პრობლემებს ხვდებოდა მოცემულ დანესებულებაში განთავსებული ერთ-ერთი შშმ პირი. „ს. ყოველი ტუალეტის სარგებლობის დროს იძულებულია დახმარება სთხოვოს უცხო პირს. ასეთი დახმარების აღმოჩენაზე ყოველთვის ყველა არ თანხმდება, რაც იწვევს უსიამოვნო და დამამცირებელ მოპყრობას ს.-ს მიმართ. რამდენა-

დაც ის განიცდის მცირე და დიდი მენჯის ორგანოების შეუკავებლობას, აღნიშნული გარემოება უპირობოდ ლახავს მსჯავრდებულის ღირსებას.“<sup>266</sup>

საპირფარეშოთი სარგებლობის არახელმისაწვდომობა, გარდა იმისა, რომ იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას, ასევე დიდი ალბათობით შესაძლებელია გახდეს ღირსების შემლახავი მოპყრობის ტოლფასი, რაც ციხის ადმინისტრაციამ არ უნდა დაუშვას და უნდა მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული შეზღუდული შესაძლებლობის გამო პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება და მისი დამამცირებელ მდგომარეობაში ჩაყენება. ეს ყოველივე უნდა მოექცეს კანონმდებლობის რეგულირების სფეროში და გახდეს პერსონალის მომზადების შემადგენელი ნაწილი.

სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა უნდა იყოს ერთ-ერთი პრიორიტეტული რეგულირების სფერო, რადგანაც შშმ პირებს, რომლებიც მიჯაჭვული არიან ეტლს, პირებს, რომლებსაც აქვთ კიდურების (როგორც ქვედა, ისე ზედა) ამპუტაცია, ყავარჯნით მოსარგებლებს, მხედველობადაქვეითებულებსა და მათ, რომლებიც მიჯაჭვული არიან სანოლს, უპირველეს პრობლემად ხვდებათ სწორედ ჰიგიენის ხელმისაწვდომობის არქონა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოხვედრისას, განსაკუთრებით საკნებში, რომლებშიც ღია საპირფარეშოებია.

სასჯელალსრულების სისტემაში შშმ პირთა სასჯელის მოხდის ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებით გათვალისწინებული პირობების უზრუნველსაყოფად სავალდებულო უნდა იყოს სასჯელალსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციის მხრიდან ადაპტირებული სანიტარიული ობიექტების მოწყობა. მიუხედავად დაწესებულებების გადაჭვირთულობისა თუ სხვა გარემოებებისა, შეუზღუდავად, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჰიგიენური ობიექტები. საპირფარეშოსა და საშხაპის დაგეგმარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი ადგილმდებარეობა,

---

266 იხ. *Раднаева Н.*, эксперт Фонда, В защиту прав заключенных, статья - Инвалид-колясочник в колонии: наказание или пытка? 16 январь, 2012.



ოთახის მოცულობა, დამხმარე საშუალებები ისე, რომ შშმ პირს დაბრკოლების გარეშე შეეძლოს მათი გამოყენება. ასევე საკანონმდებლო რეგულირებით უნდა დაინერგოს შშმ პირებისათვის მომვლელის ინსტიტუტი, რომელიც მძიმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს გაუწევს ადეკვატურ, მისი საჭიროების შესაბამის დახმარებას ნებისმიერ დროს.

## **თავი 12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოპყრობა სასჯელაღსრულების დანესჯულებაში**

მესამე კარში განხილული ნებისმიერი საკითხი, როგორცაა: ინფრასტრუქტურა, განთავსების პირობები, კვება, მოვლა თუ სხვა, წარმოადგენს სასჯელაღსრულების დანესჯულებებში განთავსებულ პირთა მოპყრობის შემადგენელ ელემენტებს, თუმცა მოცემული თავი განიხილავს ადამიანურ ფაქტორს, ანუ შშმ პირებთან მოპყრობას დანესჯულების პერსონალის მხრიდან.

პატიმრებთან მოპყრობა განსხვავდება სასჯელაღსრულების სისტემის სპეციფიკის, დანესჯულებების ტიპის (მაღალი, საშუალო და დაბალი უსაფრთხოების დანესჯულებები) და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებული ციხის რეჟიმების მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც არ არის დანერგილი პატიმრებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები, პატიმრებს ეპყრობიან მკაცრად, არაჰუმანურად. იმ ქვეყნებში, სადაც პატიმრების რეაბილიტაცია და საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია პრიორიტეტია, მოპყრობა ჰუმანური და კანონმდებლობის მოთხოვნებზე ორიენტირებულია.

გარდა დანესჯულებების ტიპისა, პატიმრებთან მოპყრობა დამოკიდებულია დანესჯულების რეგულაციებსა და კანონმდებლობაზე, რომლებიც ამ დანესჯულებების საქმიანობას აწესრიგებენ. აღსანიშნავია, რომ, რაც ნაკლებია კანონმდებლობაში ინფორმაცია თანამშრომლების საქმიანობის განმსაზღვრელი ჩარჩოდათქმების თაობაზე, მით მეტი საშუალება ეძლევა ციხის პერსონალს, საქმიანობის ფარგლებში განახორციელოს შინაგანი ბუნების რეალიზება, მაგალითად, აგრესიის რეალიზება, რომელიც ხშირად აქვთ ადამიანებს დანაშაულის (ზოგადად, ან კონკრეტულად რომელიმე სახის დანაშაულის) ჩამდენი პირების მიმართ. რეგულაციების არარსებობა განსაკუთრებით მძიმედ აისახება შშმ პატიმრებთან მოპყრობაზე, რადგანაც თუ კანონმდებლობა პირდაპირ არ განმარტავს, თუ როგორ უნდა მოექცეს პერსონალი სხვადასხვა სახის შეზღუდულობის მქონე პირებს მისი საჭიროებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში

პერსონალის უბრალოდ კარგი ქცევა ვერ იქნება არაადამიანური მოპყრობის თავიდან აცილებისათვის საკმარისი საფუძველი, თუმცა მოპყრობა უნდა იყოს თავისუფალი ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან. პატიმართა მოპყრობა უნდა ეფუძნებოდეს მათ საჭიროებებს, დისკრიმინაციის გარეშე.<sup>267</sup>

შემდეგ ასპექტს პატიმრებთან მოპყრობის ნაწილში წარმოადგენს პერსონალის მომზადება და მათი ფსიქოლოგიური მზაობა იმისათვის, რომ იმუშაონ პატიმრებთან და განსაკუთრებით შშმ პირებთან. პერსონალმა უნდა იცოდეს, რომ „*აუცილებელია პატიმართა მიმართ პატივისცემით მოპყრობა, მათი, როგორც ადამიანების, თანდაყოლილი ღირსებისა და ფასეულობების გათვალისწინებით/პატივისცემით*“.<sup>268</sup> ისინი მზად უნდა იყვნენ იმისათვის, რომ განახორციელონ თავიანთი საქმიანობა სწორედ ამ პრინციპების დაცვით.

ევროპის სასამართლო პრაქტიკის ანალიზიც გვიჩვენებს, რომ შშმ პირთა მიმართ არასათანადოდ მოპყრობის მნიშვნელოვანი წილი სწორედ პერსონალზე მოდის. არასათანადო და შეუსაბამო მოპყრობა გამოწვეულია, პირველ რიგში, პერსონალის არაინფორმირებულობითა და არაკვალიფიციურობით, შესაბამისად, შესატყვისი რეგულირების მექანიზმების არქონით და სხვა ფაქტორებით.

პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრებს უნდა ჰქონდეთ სასჯელის მოხდის ადეკვატური და უსაფრთხო გარემო, უფრო მეტიც, შშმ პირი, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს. მართებულია ექსპერტების მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ სასჯელალსრულების სისტემა უნდა ზრუნავდეს, შექმნას არა მხოლოდ უსაფრთხო, არამედ ისეთი თანასწორუფლებიანი გარემო, სადაც შშმ პატიმრები იგრძნობენ, რომ მათი ფსიქიკური კეთილდღეობა ისევე დაცულია, როგორც სხვა პატიმრებისა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიდგომის

<sup>267</sup> იხ. *Раднаева Н.*, эксперт Фонда, В защиту прав заключенных, статья - Инвалид-колясочник в колонии: наказание или пытка? 16 январь, 2012.

<sup>268</sup> იხ. გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმართა მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები“), 2015, წესი 2.

დანერგვა შეიძლება მოითხოვდეს გარკვეულ დამატებით ღონისძიებებს, როგორცაა: „შშმ პირთა ჩხრეკის/შემომნების დროს განსაკუთრებული თანაგრძნობის გამოხატვა ან მხედველობადაქვეითებულ პირთა ინფორმირება მიახლოების დროს და სხვ., იმ მიზნით, რომ არ შეიქმნას დაძაბული სიტუაცია ან სტრესული გარემო.“<sup>269</sup>

ჩვენი აზრით, სასჯელალსრულების სისტემაში შშმ პირებისათვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შესაქმნელად მთავარი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პერსონალის მომზადებას და მათთვის შესაბამისი პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობას, რათა ისინი იყვნენ მზად, როგორც სასჯელალსრულების სისტემისთვის დამახასიათებელ სტრესულ გარემოში სამუშაოდ, ასევე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატიმრებთან და ვიზიტორებთან სამუშაოდ ადამიანის ღირსების დაცვით.

გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა, პატიმრებთან მოპყრობაზე ხშირად ზეგავლენას ახდენს ციხის გადატვირთულობა და სხვა გარემოებები. მაგალითად, კვლევების<sup>270</sup> მიხედვით, პერსონალს იმაზე მეტ ადამიანთან უნევს მუშაობა, ვიდრე ევალეზა. პერსონალის არასათანადო სამუშაო პირობები; დაბალი ანაზღაურება, რომელიც მრავალ ქვეყანაში, უმეტეს შემთხვევაში, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან შედარებით დაბალია; დაბალი სოციალური სტატუსი; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მაღალი რისკი; სათანადო დასვენების დროის უქონლობა; გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო დარღვეული სოციალური კონტაქტები, რაც პირის პროფესიულ „გადანვას“ ინვევს და სხვა ფაქტორები განსაკუთრებით ამძაფრებს პერსონალის უარყოფით განწყობას პატიმრების ან, ზოგადად, სამსახურებრივი საქმიანობის მიმართ, რაც უარყოფითად აისახება პატიმრებთან მოპყრობაზე.

არსებული კვლევების და ინფორმაციის თანახმად, რომელსაც საზოგადოება საინფორმაციო საშუალებებით იღებს პატიმართა

<sup>269</sup> იხ. გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმართა მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები“), 2015, წესი 5.

<sup>270</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 81.

უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, ციხეში პატიმრების და განსაკუთრებით შშმ პატიმრების მიმართ მოპყრობა ბევრ ქვეყანაში საჭიროებს გაუმჯობესებას. მოცემულ მდგომარეობას ხშირად მივყავართ დასკვნამდე, რომ, სინამდვილეში, თავისუფლების აღკვეთა უფრო საზიანოა განსაკუთრებით შშმ პირებისა და სხვა მონყვლადი ჯგუფებისთვის, ვიდრე რეაბილიტაციის პერიოდი. პერსონალის დამოკიდებულებიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი მომსახურების არქონის გამო შშმ პირები სხვა პატიმრებზე ხდებიან დამოკიდებული, იზრდება მათ მიმართ ძალადობის რისკი. ასევე ხშირად შშმ მსჯავრდებულები არ მიიჩნევიან რეაბილიტაციისთვის შესაფერისად და ამის გამო მათ ხშირად არ ეძლევათ მსგავს პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა, ან ხშირად „მასხრად იგდებენ“ მათ. „მათ შესაძლოა არ მიეცეთ პროგრამებში, გათავისუფლებისთვის მოსამზადებელ ტრენინგებში ან საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის უფლება, რადგან მათ აქვთ დარღვეული ათვისების უნარი, უჭირთ გადაადგილება ან განთავსებულნი არიან სამედიცინო ან ფსიქიატრიულ განყოფილებაში.“<sup>271</sup>

შშმ პირები არა მხოლოდ ციხეში, არამედ მის გარეთაც არ არიან სათანადოდ ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში შშმ პატიმრებს აქვთ მრავალმხრივი პრობლემები, როგორცაა: ცუდი განათლება, პროფესიისა და კომუნიკაციის უნარის არქონა, გამომდინარე იქიდან, რომ მათ ძირითადად მხოლოდ ოჯახის წევრების გარემოცვაში უნევთ ცხოვრება, რაც ისედაც შეზღუდულ შესაძლებლობებს კიდევ უფრო ზღუდავს.

თუ სასჯელაღსრულების სისტემამ არ იცის შშმ პატიმრებთან მოპყრობის წესი ან გააზრებულად ეპყრობა მათ ცუდად, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონენი, ასევე ადმინისტრაცია არ ახდენს რეაგირებას პერსონალის

---

<sup>271</sup> იხ. *Wilmar J. Schaufely and Maria C.W. Peeters*, Job Stress and Bournout among Correctional Officers: Literature review, *International Journal of Stress Management*, Vol 7, 2000, 32-34.

ქცევაზე ან/და იმ პრობლემის აღმოფხვრაზე, რომელიც ამ ტიპის მოპყრობას იწვევს, არასათანადო მოპყრობა გრძელდება. ეს მდგომარეობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს შშმ პირებზე არა მხოლოდ სასჯელის მოხდის პერიოდში, არამედ მისგან გათავისუფლების შემდეგაც, რაც მას უმძაფრებს შეგრძნებას, რომ ის განსხვავებულია სხვა ადამიანებისგან, ხდება მისი სტიგმატიზება და შედეგად, ეს ადამიანები კვლავ ხვდებიან ციხეში.

სასჯელალსრულების სისტემის დაწესებულებებში პატიმრებთან მოპყრობის კანონმდებლობით დადგენილი წესების არსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს პატიმრებთან უხეში მოპყრობის რისკს, თუმცა არსებობს არაერთი გარემოება, რომლებსაც ხშირად პენიტენციური სისტემის ადმინისტრაცია იყენებს თავის მართლების საფუძვლად, მაგალითად, როგორიცაა: გადატვირთულობა, პერსონალის სიმცირე, პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია და ა. შ.

პერსონალის მხრიდან შშმ პირებთან ჰუმანური და მაღალპროფესიონალურ დონეზე დარეგულირებული მოპყრობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს სასჯელალსრულების სისტემის საქმიანობის ფარგლებში მონყველად ჯგუფებთან და განსაკუთრებით შშმ პირებთან მოპყრობის ეროვნული სტანდარტების შემუშავება, რომელიც გამოყენებული იქნება ასევე პენიტენციური სისტემის დაწესებულების პერსონალის მოსამზადებლად და სამაგიდო წიგნად იქცევა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც პირდაპირი კონტაქტი აქვთ შშმ პირებთან.

შშმ პატიმრებისათვის სხვადასხვა ენაზე, ასევე ბრაილის შრიფტით, უნდა მომზადდეს საინფორმაციო ბუკლეტები მათი უფლებებისა და იმ პირობების შესახებ, რომლებიც მათ უნდა ჰქონდეთ სასჯელალსრულების დაწესებულებებში. ასევე უნდა შემუშავდეს ინფორმაციის მიწოდების შესახებ ცნობარი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს პერსონალს, მიაწოდოს შშმ პირს საჭირო ინფორმაცია დაწესებულებაში მიღებისას.

კანონმდებლობით ან კანონქვემდებარე აქტით უნდა დადგინდეს, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებაში დღე-ღამის

ნებისმიერ მონაკვეთში უნდა იყოს ერთი თანამშრომელი მაინც, რომელსაც გავლილი ექნება სპეციალური მომზადება შშმ პირებთან მუშაობის საკითხებში.

შშმ პირს ნებისმიერ, მისთვის საჭირო დროს, უნდა ჰქონდეს ციხის ადმინისტრაციასთან შეხვედრის შესაძლებლობა ან საშუალება, მიმართოს მას წერილობით, თუ მას ეს ფიზიკურად შეუძლია.

### თავი 13. სასჯელალსრულების სისტემის პერსონალი და მათი მომზადება

მოპყრობის კონტექსტში განხილული მიდგომებიდან ნათლად ჩანს, რომ სასჯელალსრულების სისტემის პერსონალი არის უმთავრესი რგოლი, რომელსაც სასჯელალსრულების სისტემის დაწესებულებაში მოხვედრის პირველივე დღიდან აქვს შეხება შშმ პატიმართან. პერსონალის როლი არ შეიძლება იყოს განსხვავებული მათი სტატუსის, რანგის ან პროფესიის მიხედვით იმ ქვეყნებში, რომლებშიც შეზღუდული შესაძლებლობა განიხილება როგორც მხოლოდ სამედიცინო პრობლემა. სასჯელალსრულების სისტემაში პრიორიტეტი ენიჭება სამედიცინო პერსონალს. თუმცა ნებისმიერი თანამშრომელი, რომელსაც რაიმე ფორმით შეხება აქვს შშმ პირთან, უნდა იყოს სათანადოდ მომზადებული. გამოკითხულმა შშმ რესპოდენტმა განმარტა, რომ „სასჯელალსრულების სისტემას უნდა ჰყავდეს სპეციალურად მომზადებული პერსონალი, რომელსაც ექნება მეტი ცოდნა, თუ როგორ უნდა იმუშაოს შშმ პატიმრებთან, ასევე უნდა ჰყავდეს სპეციალურად გადამზადებული ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები“.<sup>272</sup>

პერსონალი, რომელიც ახორციელებს მიღების პროცედურებს, უპირველეს ყოვლისა, არის პირი, რომელმაც პროფესიონალური, სწორი ქცევით შესაძლებელია შშმ პირს გაუადვილოს იმ სტრესის გადალახვა, რომელსაც იგი განიცდის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხვედრის გამო. თუმცა პერსონალს ასევე შეუძლია პირიქით, გაუძლიეროს მიღებული სტრესი შშმ პირს ან/და ჩაუნერგოს სასჯელალსრულების სისტემის შიში, რომელიც ზემოქმედებას იქონიებს არა მხოლოდ სასჯელის მოხდის პროცესზე, არამედ მის რეინტეგრაციაზე საზოგადოებაში გათავისუფლების შემდეგ. „თანამშრომლების დამოკიდებულება არის შშმ პირების უფლებების

<sup>272</sup> იხ. *Greifinger R. B.*, Disabled prisoners and reasonable accommodation, *Criminal Justice Ethics*, 25, 253-55, 2006, in Shunk C., *The Treatment of Criminals with Disabilities: An Ongoing Debate*, Submitted as partial fulfillment of the Requirements for The Master of Liberal Studies, The University of Toledo, 2008, 14.



დაცვისა და ციხეში დისკრიმინაციის შემცირების უზრუნველყოფის მთავარი კომპონენტი.“<sup>273</sup>

საქართველოში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, გარდა იმისა, რომ არ არსებობს სპეციალური სასწავლო პროგრამები სასჯელალსრულების სისტემის პერსონალის გადასამზადებლად, რათა მათ შეძლონ კვალიფიციურად წარმართონ თავიანთი საქმიანობა შშმ პატიმრებთან, სასჯელალსრულების დაწესებულებებს არ ჰყავთ თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შშმ პირების მიღებასა და მათთან მუშაობის წარმართვაზე,<sup>274</sup> რაც ეროვნული კანონმდებლობით ციხეების ადმინისტრაციების პირდაპირ ვალდებულებას არ წარმოადგენს, თუმცა ასეთი თანამშრომლის ყოლა ბევრად გაუადვილებს მდგომარეობას შშმ პირებს, ასევე ხელს შეუწყობს ადმინისტრაციისათვის მრავალი პრობლემის თავიდან აცილებას.

მნიშვნელოვანია თანამშრომელთა მომზადების ხარისხი და ცნობიერების ამაღლება, რამაც უნდა გამორიცხოვს შშმ პირებისადმი ღირსების შემლახავი, დამამცირებელი მოპყრობა. სახელმძღვანელოში შშმ პატიმრებისათვის განმარტებულია, თუ რა საკითხებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება თანამშრომელთა გადასამზადების დროს, „რომ შშმ პატიმრებს აქვთ ისეთივე უფლებები, რაც დანარჩენ პატიმრებს და რომ მათ მიმართ მოპყრობა არ უნდა იყოს უფრო მკაცრი, განმაცალკევებელი ან დამცინავი მათი შეზღუდული შესაძლებლობის ან მათი მდგომარეობით გამოწვეული სირთულეების გამო. თანამშრომელთა გადამზადება ასევე უნდა მოიცავდეს რთულ სიტუაციებში შშმ პატიმრებთან მოპყრობის მეთოდებსა და

---

<sup>273</sup> შშმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლესტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

<sup>274</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 77.

ტექნიკებს.<sup>275</sup>

გამომდინარე იქიდან, რომ შშმ პირები განეკუთვნებიან პატიმართა ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ მონაცვლად ჯგუფს, თანამშრომელთა შერჩევა და მათი გადამზადება მიზნად უნდა ისახავდეს არა მხოლოდ იმას, რომ მათ არ ჩაიდინონ რაიმე სახის დარღვევა, არამედ ისეთი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას, რომ მათ შეძლონ ყველა შესაძლო რისკის გამოვლენა და შეფასება, თავიანთი საქმიანობის ისე წარმართვა, რომ გამორიცხონ სხვა პატიმართა მხრიდან შშმ პატიმრების მიმართ ძალადობა და არასათანადო მოპყრობა.

რესპოდენტმა, რომელმაც შეფასება მისცა საქართველოში არსებულ პრაქტიკას, განმარტა პრობლემების ნუსხა, რომელიც პერსონალთან არის დაკავშირებული: „თემის პრიორიტეტულობის დაბალი ხარისხი, გადამზადების შესაბამისი პროგრამების/კურსების არარსებობა როგორც უფლებრივ საკითხებში, ისე კომუნიკაციის უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით“.<sup>276</sup>

პერსონალის მომზადების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი უნარი, იმუშაოს კოორდინირებულად სხვა თანამშრომლებთან, რადგანაც შშმ პირებთან მუშაობა არა მხოლოდ ერთი რომელიმე სამსახურის პრეროგატივაა, არამედ ეს უნდა იყოს ციხის ყველა სამსახურის მიერ ერთობლივად დაგეგმილი კომპლექსური ღონისძიება, რაზეც პასუხისმგებლობა დაეკისრება ყველა თანამშრომელს.

პერსონალის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლ-

---

<sup>275</sup> იხ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 21 ივნისის ბრძანება № 150, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 12 იანვარის ბრძანება №6 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

<sup>276</sup> იხ. *Atabay T., Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 77.*

იდან გამომდინარე, სასჯელალსრულების სისტემამ უნდა დანერგოს სიახლეები პერსონალის შერჩევის პროცედურებში. კერძოდ, პირველ რიგში, ზოგადი კრიტერიუმებით კანდიდატთა შერჩევის შემდეგ მეორე ეტაპს უნდა წარმოადგენდეს ანკეტირება, სადაც გამოყენებულ უნდა იქნეს წინასწარ მომზადებული და დამტკიცებული კითხვარები, რომელმაც უნდა გამოავლინოს რესპოდენტის დამოკიდებულება, ზოგადად, დანაშაულის ჩამდენი პირების, და მათ შორის შშმ პირების მიმართ. დისკრიმინაციული ან სტიგმატიზებული დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ უნდა იყოს კანდიდატის დასაქმებაზე უარის თქმის არგუმენტირებული საფუძველი, რომელიც დადგენილი იქნება შიდა რეგულაციებით.

სასჯელალსრულების სისტემამ პრაქტიკაში უნდა დანერგოს მომვლელის ინსტიტუტი და შემოიღოს ახალი ვაკანსიები, მომვლელი პირებისათვის, რომლებიც იმუშავებენ მძიმე შეზღუდულობის მქონე პირებთან და გაუწევენ მათ დახმარებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნეს სპეციალურად მომზადებული პერსონალი ან მომზადდეს მანამდე, ვიდრე დაიშვება სამუშაოზე. ასევე კანონმდებლობით უნდა დაინერგოს მსჯავრდებულის დასაქმება მომვლელის ანაზღაურებად სამუშაოზე, ორივე მხარის - შშმ მსჯავრდებულისა და მომვლელი მსჯავრდებულის - თანხმობის შემთხვევაში, წინასწარ შემუშავებული სამუშაო აღწერილობის საფუძველზე.

## თავი 14. შეზღუდული შესაძლებლობების შექმნა და ძალადობის მაღალი რისკი ციხეში

ყოველი ადამიანი, რომელიც ხვდება დახურულ ინსტიტუციაში, მეტ-ნაკლებად, წარმოადგენს წამების, ძალადობის, ღირსების შემლახავი მოპყრობის მაღალ რისკჯგუფს, გამომდინარე ქვეყანაში და მოცემულ ინსტიტუციებში არსებული სტანდარტებიდან თუ პრაქტიკიდან. ასევე, რისკი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ისინი იმყოფებიან სახელმწიფო მოხელეების ხელში და მათ არ შესწევთ უნარი, სრულყოფილად დაიცვან თავი დამოუკიდებლად, ხოლო სხვა პირებთან ურთიერთობა შეზღუდული აქვთ მათი სტატუსიდან გამომდინარე. ევროპის საბჭოს მომხსენებელი ანგარიშში<sup>277</sup> განმარტავს, რომ შესაძლებელია წინასწარ პატიმრობისა და სასჯელის მოხდის ადგილებში მყოფ პირებს შეზღუდული შესაძლებლობა ჰქონდეთ არა დაპატიმრებამდე, არამედ შეიძინონ იგი ციხეში რაიმე შემთხვევის ან ავადმყოფობის გამო.

პრაქტიკაში არაერთ მაგალითს ვხვდებით, როდესაც ადამიანები გახდნენ ძალადობის მსხვერპლი პოლიციის განყოფილებებში, პენიტენციურ დაწესებულებებში და ა. შ., რაც არაერთ საერთაშორისო თუ შიდა ანგარიშშია ასახული. მაგალითად, პირი, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსდა ფიზიკური თუ ფსიქიკური პრობლემების გარეშე, დაწესებულებაში ყოფნის დროს გახდა შშმ პირი. ასეთი მაგალითის მოყვანა შესაძლებელია საქართველოს პენიტენციური სისტემის ისტორიიდან: ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა აღწერილია სახალხო დამცველის ანგარიშში, სადაც აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულ გ. კ.-ს ჯანმრთელობის პრობლემები დაეწყო 2010 წლის 2 სექტემბრიდან, როცა იგი გადაიყვანეს №16 დაწესებულებაში. აქ იგი მიღების დროს, როდესაც ეტაპი მოვიდა, იყო

---

<sup>277</sup> სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლესტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

ნაცემი განსაკუთრებული სისასტიკით, ჯგუფურად. მოცემული ფაქტის შემდეგ გ. კ.-ს დაენყო ხერხემლის ძლიერი ტკივილი, ასევე სათესლე ჯირკვლის ტკივილი. მიუხედავად მისი მდგომარეობისა და მოთხოვნისა (2010 წლის სექტემბრიდან 2012 წლამდე), გადაეყვანათ ციხის საავადმყოფოში გამოკვლევისა და მკურნალობის მიზნით, მას აძლევდნენ მხოლოდ ტკივილგამაყუჩებლებს და შესაბამისად, მისთვის ავადობის დიაგნოზი უცნობი იყო. ასეთი დამოკიდებულების შედეგად, როდესაც გ. კ. 2012 წლის ნოემბერში გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში და დაუყოვნებლივ გაუკეთეს ოპერაცია, შედეგი მაინც ლოგიკური დადგა: „ის თანდათან კარგავდა ქვედა კიდურებში მგრძობელობას. 22 იანვარს გაუკეთეს მეორე ოპერაცია, რამაც სრულიად შეუზღუდა მას ქვედა კიდურების მოძრაობა, დაენყო უნებლიე დეფეკაცია და შარდვა“.<sup>278</sup>

პრაქტიკა მსგავსი მოპყრობის მაგალითებს გვიჩვენებს სხვა ქვეყნებშიც. განვიხილავთ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის კალიფ ბროვდერის შემთხვევას. იგი დაკავებულ იქნა ბრონქსში, ნიუ იორკში, ზურგჩანთის მოპარვის ბრალდებით 2010 წლის მაისში. შემდეგ გადაგზავნილ იქნა არასრულწლოვან მამაკაცთა დაწესებულებაში, სადაც ის განიცდიდა ძალადობას როგორც ოფიცრების, ისე სხვა მსჯავრდებულების მხრიდან. გარდა ფიზიკური ძალადობისა, საქმეში აღწერილია, რომ დროის გარკვეულ პერიოდში მას ასევე არ ეძლეოდა საკვები, ეკრძალებოდა შხაპის მიღება, საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. უფრო მეტიც, სამი წლიდან ორი წელი მან სამართო საკანში გაატარა, სადაც რამდენჯერმე სცადა თვითმკვლელობა. 2013 წლის მაისში იგი გათავისუფლებულ იქნა სასჯელის მოხდის ადგილიდან, რის შემდეგაც, გათავისუფლებიდან 6 თვის შემდეგ, მან

---

<sup>278</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის საპეციალური ანგარიში: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლაცორებსა და არანებაყოფლობით ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში, 2014, 12.

2015 წლის 5 ივნისს სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით“.<sup>279</sup>

ასეთი სახის ძალადობის მსხვერპლი შესაძლებელია გახდეს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც დახურულ ინსტიტუციებში ხვდება, თუმცა განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ შშმ პირები, რომელთა დაუცველობის ხარისხი გაცილებით მაღალია, მათი ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ, ნებისმიერი საერთაშორისო სტანდარტისა თუ ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, წამების აკრძალვა აბსოლუტური უფლებაა, ის კვლავ მოითხოვს ყველაზე მეტ კონტროლსა და ყურადღებას სახელმწიფოს მხრიდან, სწორედ მაღალი რისკის გამო, რაც გამომწვეულია მრავალი ფაქტორით, როგორებიცაა: პერსონალის მოუმზადებლობა, როგორც პროფესიულად, ისე ფსიქოლოგიურად, დაპატიმრებულ/დაკავებულ პირთა დაუცველობა, კონტროლის დაბალი ხარისხი, არსებული რეგულაციების სისუსტე ან მისი შეუსაბამობა ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან, შშმ პირთა საჭიროებების შეფასების სტანდარტების არარსებობა ან/და მისი რეალიზაციისადმი სუსტი ვალდებულება და ა. შ. რომელიმე ამ მიზეზის არსებობა ან/და მათი ერთობლიობა შემდგომში ხდება შშმ პირთა მიმართ წამების ან/და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სხვა სახის ძალადობის საფუძველი.

სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში თავის ანგარიშში<sup>280</sup> განმარტავს, რომ ამ უფლების უზრუნველყოფისაგან გადახვევა დაუშვებელია. იგი აქცენტს აკეთებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის კონვენციის მე-15 მუხლზე, სადაც საუბარია ისეთ უფლებებზე, როგორიცაა: ნებაყოფლობითი

---

<sup>279</sup> იხ. *Gonnerman J.*, Before the Law, The New Yorker, October 6, 2014, „2010 წლის მაისში 16 წლის კალიფორნიელი ბროკდერი დაკავებულ იქნა ბრონქსში, ნიუ იორკში, ზურგჩანთის მოპარვის ბრალდებით. მის ოჯახს არ ჰქონდა შესაძლებლობა დაეფარა 3000 USD გირაო, რის გამოც ის გადაგზავნილ იქნა არასრულწლოვან მამაკაცთა დანესებულებაში.“

<sup>280</sup> იხ. *Juan E. Méndez*, Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, summary, 1 February, 2013, 1.

თანხმობის გარეშე „სამედიცინო და მეცნიერული ექსპერიმენტის-გან“ დაცვა, ასევე მოცემული მუხლის დათქმაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ნევრმა სახელმწიფოებმა „უნდა მიიღონ ყველა ეფექტიანი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, იურიდიული და სხვა ზომები“,<sup>281</sup> რათა უზრუნველყონ შშმ პირთა დაცვა ძალადობისგან.

ციხეების მართვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ნამებისაგან დაცვა. სპეციალურმა მომხსენებელმა, რომელიც თავისი მანდატის განხორციელების ფარგლებში იღებდა ინფორმაციას შშმ პირთა (ქალები, მამაკაცები, ბავშვები) მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმისა და უხეში მოპყრობის შესახებ, განმარტა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების გამო ასეთი პირები ხშირად არიან შეურაცხყოფისა და უხეში მოპყრობის სამიზნეები. სპეციალური მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ შშმ პირების მდგომარეობას, რომლებსაც ხანგრძლივად ჩამორთმეული აქვთ თავისუფლება და განთავსებული არიან სხვადასხვა ინსტიტუტში, საზოგადოებისაგან იზოლირებულად, როგორცაა ციხე, სოციალური მოვლის ცენტრები, ბავშვთა სახლებსა და ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ინსტიტუციებში. სპეციალური მომხსენებელი ხედავს რისკს, რომ ასეთი მდგომარეობა შესაძლებელია გაგრძელდეს მთელი ცხოვრების განმავლობაშიც ან მათი ნების სანინაალმდეგოდ ან მათი თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე. „*მოცემულ ინსტიტუციებში შშმ პირები ხშირად ექვემდებარებიან ენით აღუწერელ დამცირებას, უყურადღებობას, მძიმე ფორმის შეზღუდვებსა და იზოლირებას, ასევე ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ძალადობას.*“<sup>282</sup>

<sup>281</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მუხლი 15, 2006 წლის 13 დეკემბერი.

<sup>282</sup> იხ. *Nowak M.*, Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, summary (e.g. Mental Disability Rights International (MDRI) reports on Argentina (2007), Serbia (2007), Turkey (2005), Peru (2004), Uruguay (2004), Kosovo (2002), Mexico (2000), the Russian Federation (1999) and Hungary (1997), International Disability Rights Monitor regional report of Asia (2005); Mental Disability Advocacy Centre report on cage beds in Hungary,

სპეციალური მომხსენებელი თავის ანგარიშში გამოთქვამდა შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები, როცა იგი ჩადენილია შშმ პირების მიმართ, რჩება შეუმჩნეველი ან არის „გამართლებული“ და არ მიიჩნევა როგორც წამება ან არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობა ან სასჯელი. ის იმედს გამოთქვამდა, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია“ და მისი ფაკულტატიური ოქმი იძლევა დროულ შესაძლებლობას გადაიხედოს წამების პრევენციის ჩარჩოები შშმ პირებთან მიმართებით.

შშმ პირთა მიმართ დამამცირებელი მოპყრობა შესაძლებელია არ უკავშირდებოდეს ფიზიკურად გამოხატულ რაიმე ტიპის ძალადობას. ეს შესაძლებელია იყოს მის მიმართ ციხის ადმინისტრაციის მიერ გამოხატული ისეთი ქმედება, როგორიცაა, მაგალითად, რაიმე საჭირო ატრიბუტის (ეტლი, ყავარჯენი, სმენის აპარატი და ა. შ.) ჩამორთმევა ან და იმ ადამიანის დახმარების გარეშე დატოვება, რომელსაც არ შეუძლია დახმარების გარეშე ჰიგიენური დანიშნულების ან კვების ობიექტებამდე გადაადგილება ან ტანსაცმლის დამოუკიდებლად გამოცვლა ან შხაპის მიღება და ა. შ. ასეთ შემთხვევებს ვხვდებით არაერთ ქვეყანაში. მოცემულ შემთხვევაში ნაშრომში განხილულია რუსეთის მაგალითი. პატიმართა უფლებების დაცვის ფონდის ექსპერტის განმარტებით, „2012 წლის 6 იანვარს ИК-11-ის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა ე.-მ უხეში ფორმით მიაწოდა ს.-ს პირადი ჰიგიენის ნივთები და ინვალიდის ეტლი და დაემუქრა მას, რომ გაუსწორდებოდა, თუ ის ისევ გააგრძელებდა ჩვილს კოლონიის თანამშრომლების წინააღმდეგ. რამდენადაც ს.-სთვის, ქვედა კიდურებით პარალიზებული სთვის,

---

the Czech Republic, Slovakia and Slovenia (2003); Amnesty International reports on Bulgaria (2002) and Romania (2005; and Human Rights Watch, *Ill-Equipped: U.S. Prisons and Offenders with Mental Illness* (2003); Committee on the Rights of the Child, concluding observations on the initial report of the Democratic Republic of the Congo (CRC/C/15/Add.153, para. 50), on the initial report of Serbia (CRC/C/SRB/CO/1, paras. 35 and 36) and on the third periodic report of Colombia, (CRC/C/COL/CO/3, para. 50).



ეტლი წარმოადგენს მისი გადაადგილების ერთადერთ საშუალებას, მისი ჩამორთმევით ს.-ს წაერთვა ელემენტარულად საპირფარეშოთი სარგებლობის უფლება, რაც ცალსახად უტოლდება წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი პირობების შექმნას“.

ასევე დამამცირებელი მოპყრობის საპირნონედ უნდა ჩაითვალოს ეტლით მოსარგებლე პირის არაადაპტირებულ ციხეში მოთავსება, სადაც მას, მიუხედავად სახელმინიფო მოხელეების მხრიდან გამიზნული ქმედების არარსებობისა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში არა აქვს შესაძლებლობა გადაადგილდეს დაწესებულების ტერიტორიაზე და ხელი მიუწვდებოდეს მისთვის საჭირო მომსახურებაზე. მსგავსი შეთხვევები გვხვდება იმ ქვეყნებში, რომლებშიც კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოიხადონ თავისუფლების აღკვეთით სასჯელი შშმ მსჯავრდებულებმა, ასევე არ მოიცავს მითითებებს სასჯელალსრულების დაწესებულებების ტექნიკური აღჭურვის შესახებ ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მოსათავსებლად.

ძალადობის ნაწილში გამოქვეყნებული სხვადასხვა ანგარიშის თანახმად, ერთ-ერთ მტკივნეულ თემას წარმოადგენს სექსუალური ძალადობა, რომელიც შშმ პირების, განსაკუთრებით კი შშმ ქალების მიმართ ხშირად გამოიყენება მათი პოლიციაში ან ციხეში მოხვედრის შემთხვევაში. „*რთულია სექსუალური ძალადობის ზუსტი რაოდენობის დადგენა, რაც ციხეში ხდება, მაგრამ მრავალი პატიმრის გამოცდილება და ემპირიული ანგარიში მიუთითებს, რომ ეს სერიოზული პრობლემაა.*“<sup>283</sup>

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ვხვდებით კვლევებს, რომლებიც ადასტურებენ ასეთი ტიპის ინსტიტუციებში შშმ პირთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტებს. მაგალითად, კვლევის თანახმად, რომელიც გამოქვეყნებულია SAGE-ს მიერ, გამოიკითხა 441 ციხის დირექტორი. იკვლევდნენ „შეთანხმებით“ (consensually) სექსის იძულების ინციდენტებს. დირექტორებს დაუსვეს სამი კითხ-

<sup>283</sup> იხ. *Раднаева Н.*, эксперт Фонда, В защиту прав заключенных, статья - Инвалид-колясочник в колонии: наказание или пытка? 16 январь, 2012.

ვა: 1. პირადად იცოდნენ თუ არა, რამდენი იყო პატიმართა სექსუალური ძალადობის პროცენტული მაჩვენებელი; 2. იცოდნენ თუ არა, რამდენი იყო პროცენტული მაჩვენებელი იმ პირებისა, რომლებიც ბოლო 12 თვის განმავლობაში მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებაში ჩართული იყვნენ სექსუალურ აქტივობებში სხვა პატიმრებთან ზენოლით ან/და ძალადობით; 3. იცოდნენ თუ არა, რამდენი იყო პატიმართა პროცენტული მაჩვენებელი მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებაში შეთანხმებით (consensually). კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ „ციხის დირექტორები არ არიან დარწმუნებული, რომ მათ დაწესებულებებში პატიმართა მალალი პროცენტია ჩართული სექსუალურ აქტივობებში და დარწმუნებული არიან, რომ გაუპატიურების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა.“<sup>284</sup>

წამება, არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვა არის ადამიანის უნივერსალური უფლება. წამება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ყველაზე უხეშ დარღვევას, მათი პირადი ხელშეუხებლობისა და ღირსების შელახვას და გულისხმობს ადამიანის უძღურებას, როცა მსხვერპლი იმყოფება სხვა პირების კონტროლის ქვეშ. შშმ პირები ხშირად ხვდებიან ასეთ სიტუაციებში, როდესაც მათ აღკვეთილი აქვთ თავისუფლება და იმყოფებიან ციხეში. მოცემულ კონტექსტში ინდივიდის კონკრეტულმა შეზღუდულმა შესაძლებლობამ შეიძლება ის გახადოს უფრო დამოკიდებული და უფრო ადვილი სამიზნე სასტიკი მოპყრობისათვის.

სასჯელალსრულების სისტემაში შშმ პატიმართა მიმართ წამების ან ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილების მიზნით, შშმ პირთა მოწყვლადობის მალალი ხარისხიდან გამომდინარე, სისტემამ უნდა შეიმუშაოს შშმ პირთა წამების, ძალადობისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვის სამოქმედო გეგმა, რომლის ნაწილი უნდა იყოს შშმ პირთა მიღება, განთავსება, განაწილება, საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, კვება, პროგრამებში მონაწილეობა და გათავისუფლებისათვის მომზადება. განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს სხვა პატიმრების ინფორმირებულობას შშმ პირებთან

<sup>284</sup> იხ. Prisoners life and life after prison, SAGE publication, 2015, 307.

ან მოპყრობისა და კომუნიკაციის საკითხებში.

აქვე უნდა დავასკვნათ, რომ მოცემულ სფეროში მთავარი პრიორიტეტი ენიჭება პერსონალის მომზადებას. ამდენად, არსებულ სტანდარტებს უნდა დაემატოს ახალი, შშმ პატიმრებთან მუშაობისა და მათთან მოპყრობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მიდგომები, რისთვისაც სასჯელალსრულების სისტემის პერსონალის მომზადების პროგრამაში ცალკე თავი უნდა დაეთმოს შშმ პირებთან მოპყრობისა და მათთან მუშაობის სპეციფიკას. პროგრამას ნებისმიერი რანგის თანამშრომელი უნდა გადიოდეს, რათა მას გარკვეული ცოდნა ჰქონდეს, ზოგადად, ნებისმიერი სახის შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ და ასევე იმ უნარების შესახებ, რომლებსაც ის უნდა ფლობდეს შშმ პირებთან მუშაობისას.

შემდეგი და უმთავრესი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს რისკისა და საჭიროების შეფასების სისტემის ეფექტიან დანერგვას ყველა სასჯელალსრულების დანესებულებაში. შესაბამისად, სასწავლო ცენტრში უნდა შემუშავდეს სპეციალური ტრენინგმოდულები სასჯელალსრულების სისტემის იმ თანამშრომლებისათვის, რომლებიც უშუალოდ შშმ პირებთან მუშაობენ და მონაწილეობენ პირის დანესებულებაში მიღებისას რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის დაგეგმვაზე. ტრენინგპროგრამა უნდა მოიცავდეს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე სპეციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სპეციალური სასწავლო პროგრამები უნდა შემუშავდეს მომვლელ-დამხმარებლისათვის, რომლებიც იმუშავებენ მძიმე ფორმის შშმ პირებთან. პროგრამა, ფიზიკური უნარ-ჩვევების გამომუშავების გარდა, უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებებისა და ფსიქოლოგიური უნარ-ჩვევების სწავლებას.

ბოლოს კი, პრიორიტეტების ნუსხაში უნდა იყოს განხილული სასჯელალსრულების სისტემის ყველა ობიექტის ადაპტირება, შშმ პირთათვის ნებისმიერი მომსახურების სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რათა ასეთი ხელმისაწვდომობის არქონამ არ გამოიწვიოს რაიმე სახის არაჰუმანური, ღირსების შემლახავი მოპყრობა.

## **თავი 15. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სამედიცინო მომსახურება და მოვლა სასჯელაღსრულების დანახვებზე**

შშმ პატიმრებისათვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურება ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე საკითხია, რადგან ისინი აღნიშნულ მომსახურებას, რომელიც განსხვავებულია შეზღუდულობის ტიპისა და ხარისხის მიხედვით, სხვა პატიმრებთან შედარებით უფრო მეტად საჭიროებენ. ამ თავისებურებიდან გამომდინარე, შშმ პატიმრებს სხვა პატიმრებთან თანაბარ პირობებში უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ყველა სამედიცინო მომსახურებაზე. გარდა ხელმისაწვდომობისა, შშმ პირების სამედიცინო მომსახურება ასევე საჭიროებს უფრო მეტი სპეციალისტის ჩართულობას, ვიდრე ეს შესაძლებელია იყოს ციხის სამედიცინო მომსახურების ფარგლებში.

შშმ პირების სამედიცინო მომსახურება შეიძლება მოიცავდეს ისეთ მომსახურებას, როგორცაა: ფიზიოთერაპია, მეტყველებისა და ოკუპაციური თერაპია, სენსორული შეზღუდული შესაძლებლობების მკურნალობა, ასევე სმენის აპარატების, ეტლების, ყავარჯნებისა და ა. შ. ხელმისაწვდომობა. ასეთი მომსახურების ხარისხი ციხეებში ხშირად არ შეესაბამება სამოქალაქო საზოგადოებისთვის განკუთვნილ სამედიცინო მომსახურებას, რაც საფრთხეს უქმნის შშმ პირთა მდგომარეობას. ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურება ეს არის პრინციპი, რომელიც ვრცელდება ყველა პატიმარზე, რომლებსაც აქვთ უფლება მიიღონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.<sup>285</sup> თუმცა ნაკლებად ხდება ამ უფლების რეალიზება ციხეში, სადაც, როგორც წესი, სამედიცინო მომსახურება და განსაკუთრებით ფსიქიატრიული დახმარება, არის უკიდურესად არასაკმარისი.

ქართულ პრაქტიკაში პენიტენციურ სისტემაში შშმ პირების სამედიცინო მომსახურების საკითხს შეეხო თითქმის ყველა გამოკითხული რესპოდენტი, რომლებიც მიუთითებდნენ ისეთ პრობლემე-

---

<sup>285</sup> იხ. Prison Life and Life After Prison, SAGE publication, 2015, 307.

ბზე, როგორცაა: „არაადაპტირებული გარემო, მათ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო და სარეაბილიტაციო მომსახურების ნაკლებობა“.<sup>286</sup>

შშმ პირთა სამედიცინო მომსახურების არასათანადო ხელმისაწვდომობას უკავშირდება სხვადასხვა უარყოფითი გარე ფაქტორი, რომლებიც არაპირდაპირ უკავშირდება მათ ჯანმრთელობის მდგომარეობას, მაგალითად, როგორცაა: ძალადობისა და უხეში მოპყრობის რისკი, მაშინ როდესაც შშმ პირი დამოკიდებულია სხვა პატიმარზე ან ციხის თანამშრომელზე მისი მდგომარეობიდან გამომდინარე. „შშმ პირები სწორედ სამედიცინო კონტექსტში ექვემდებარებიან სერიოზულ ძალადობასა და მათი ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის უფლებების უხეშ დარღვევას, განსაკუთრებით ექსპერიმენტებთან ან მკურნალობასთან მიმართებით, რომლებიც მიმართულია ზიანის გამოსწორების ან მისი შემცირებისკენ.“<sup>287</sup>

სამედიცინო მომსახურების საკითხთან მჭიდრო კავშირშია ასევე მომვლელის ინსტიტუტის არარსებობა. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად, იგი არც საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის პრაქტიკაში არსებობს, გარდა სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებებისა. საქართველოს მაგალითის განხილვისას შეგვიძლია მოვიყვანოთ სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში, სადაც ხაზგასმულია მომვლელისა და დამხმარის არარსებობის პრობლემა. ანგარიშის მიხედვით, ასეთი მომსახურების არქონა, ერთი მხრივ, შშმ პატიმართა ყოველდღიური ცხოვრებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და, მეორე მხრივ, უფლებების შელახვისა და ხშირ შემთხვევაში ღირსების შემლახავი

---

<sup>286</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 51.

<sup>287</sup> სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიაშ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლესტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

მოპყრობის ტოლფასია იმ პირებისათვის, რომლებსაც მათი სურვილის საწინააღმდეგოდ უწევთ შშმ თანამოსაკენების მოვლა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს ვალდებულება არ გააჩნიათ. ანგარიში აღნიშნავს, რომ დაწესებულებების უმრავლესობაში არ ჰყავთ მომვლელები და არ არის დადგენილი, თუ ვინ და როგორ უნდა დაეხმაროს ამ პირებს. იგი განმარტავს, რომ მწოლიარე პატიმრებს ეხმარებიან მხოლოდ თანამესაკენები. აღნიშნული მანკიერი პრაქტიკა ანგარიშში შეფასებულია როგორც პრობლემის არარაციონალური გადაწყვეტა. ცალსახაა, რომ ანგარიშში აღწერილი პრაქტიკა იწვევს შშმ პატიმრების დამოკიდებულებას იმ თანამესაკენთა ნებაზე, რომლებიც მათ ეხმარებიან ფიზიოლოგიური და სხვა სახის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. ანგარიში განმარტავს, რომ „მსგავსი დამოკიდებულება არასასურველ სუბორდინაციაში აყენებს მათ და წარმოშობს დამოკიდებულებით მანიპულირების რისკს, რომელიც ადვილად შეიძლება გადაიზარდოს ჩაგვრასა და ძალადობაში.“<sup>288</sup>

წამების საწინააღმდეგო კომიტეტს თავის ანგარიშში, რომელშიც განხილულია იტალიის ერთ-ერთი ციხის მონიტორინგის შედეგები, მოჰყავს მსგავსი შემთხვევა და განმარტავს, რომ დაწესებულების სპეციალურ განყოფილებაში, რომელშიც შშმ პირია მოთავსებული, ასევე იმყოფება სხვა მსჯავრდებული, რომელიც ადმინისტრაციის მიერ არის შერჩეული მისი მომვლელის ფუნქციის შესასრულებლად. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მომვლელი პირი იღებს შესაბამის ანაზღაურებას აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად. კომიტეტი დადებითად აფასებს მსგავს პრაქტიკას, თუმცა აქვე კრიტიკულად ეკიდება იმ საკითხს, რომ ეს პატიმრები არ არიან მომზადებული ამ საქმიანობის შესასრულებლად და განმარტავს, რომ ასეთ შემთხვევაში განსაზღვრული უნდა იყოს, თუ რა ტიპის დახმარება სჭირდება პირს, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგანაც შესაძლე-

---

<sup>288</sup> იხ. *Nowak M.*, Special Rapporteur of the Human Rights Council on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, Interim report on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, submitted in accordance with Assembly resolution 62/148, 2008, 13.

ბელია მას ესაჭიროებოდა სპეციალიზებული მოვლა.<sup>289</sup> აღნიშნული პრაქტიკის, როგორც ერთ-ერთი ალტერნატიული ფორმის, გამოყენების აუცილებლობას ადასტურებს სახალხო დამცველის ანგარიშში გადმოცემული კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ დაწესებულებაში ადმინისტრაციას არ ჰყავდა გამოყოფილი მომვლელი პირისათვის, რომელსაც, საკნის პატიმრების გადმოცემით, აღნიშნებოდა საკმაოდ მძიმე ფორმის შეუკავებლობა (დეფეკაციისა და შარდის). იგი დამოუკიდებლად ვერ ახერხებდა ვერც დაბანას და ვერც სხვა ტიპის ჰიგიენური ნორმების დაცვას.<sup>290</sup>

მომვლელის ინსტიტუტს ფართოდ შეეხო რესპოდენტი, რომელმაც განმარტა ციხის ადმინისტრაციის ვალდებულება შშმ პირთა მოვლასა და მოპყრობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მან გამოთქვა მოსაზრება თუ როგორ შეიძლება იქნეს გადაჭრილი მომვლელის პრობლემა: „ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია ასეთი ადამიანებისთვის გამოყოს ასისტენტი. ეს სამუშაო უნდა იყოს ანაზღაურებადი, რომელიც შეიძლება შეასრულოს სხვა პატიმარმა, სურვილისამებრ. სხვა შემთხვევაში თანამესაქნე ან სხვა პატიმარი არ უნდა იყოს ვალდებული დაეხმაროს და აყვედრიდეს შშმ პირს დახმარებას“.<sup>291</sup> აქ რესპოდენტი ყურადღებას ამახვილებს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის თავიდან აცილების გზებზე, როგორიცაა დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობების გამო, რამდენადაც

---

<sup>289</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლაციორებსა და არანებაყოფლობით ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში, 2014, 17.

<sup>290</sup> იხ. Report to the Italian Government on the visit to Italy carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 13 to 25 May 2012, 50/51.

<sup>291</sup> საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლაციორებსა და არანებაყოფლობით ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში, 2014, 17

შშმ პირები აუცილებლად საჭიროებენ დამხმარე პირის არსებობას ყოველდღიური ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მომსახურების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან ვერ ხდება, შშმ პაციმრები ხდებიან დამოკიდებული თანამესაკნეებზე ან, უკიდურეს შემთხვევაში, ციხის თანამშრომელზე, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა ბოროტად, თავის სასარგებლოდ გამოიყენონ ეს დამოკიდებულება.

არასათანადო სამედიცინო მომსახურების, არაადეკვატური სამკურნალო გარემოსა და შეუსაბამო საცხოვრებელი პირობების, ასევე მომვლელის ინსტიტუტის არარსებობის ნათელი მაგალითია ევროპის სასამართლოს საქმე - არუთინიანი რუსეთის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც, არსებული ყოველდღიური პრობლემები გახდა იმის მიზეზი, რომ მსჯავრდებულს უარი ეთქვა მკურნალობასა თუ სხვა მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, რაც მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უკიდურესად მძიმე ზიანის მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო. თუმცა ზემოაღნიშნულ გარე ფაქტორებს ასევე ემატება ის, რომ სწორი და რაციონალური გადანყვებილების მიღებისას მსგავს შემთხვევებში შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული ანალოგიური შედეგები. სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან სახელმწიფო ორგანოებმა არ უზრუნველყვეს განმცხადებლის უსაფრთხო და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი მოპყრობა.<sup>292</sup>

შშმ პაციმართათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში აღწერილია ის სამედიცინო საჭიროებები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში შშმ პირს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სჭირდება. ასევე განმარტებულია, რომ ციხის ადმინისტრაციამ უნდა შექმნას პირობები ფსიქიკური ჯანდაცვის საკითხების მოსაწესრიგებლად, რადგანაც, სახელმძღვანელო

---

<sup>292</sup> შშმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლეს-ტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].



მიხედვით, შშმ პირებს სასჯელალსრულების დაწესებულებებში შესაძლოა დასჭირდეთ ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურება. აქვე მითითებულია გარკვეული ტიპის შეზღუდვების მქონე პირების შესახებ, რომლებიც ხშირად საჭიროებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით დახმარებას, „სენსორული შეზღუდვის მქონე პირები (უსინათლო, ყრუ, სმენადაქვეითებული და სხვ.) ან კომუნიკაციის პრობლემის მქონე პატიმრები მათი იზოლირების ან მათზე ძალადობისა და ბულინგის შემთხვევებში. სამედიცინო მომსახურების საჭიროება ასევე მძაფრდება ფსიქოლოგის საკონსულტაციო მომსახურების არქონის შემთხვევაში.“<sup>293</sup>

საქართველოს მაგალითის განხილვისას ფსიქიკური ჯანდაცვის საკითხი პრობლემების ნუსხაში უნდა განვიხილოთ, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ყველა ციხეს, გარდა სამედიცინო და რიგი დაწესებულებებისა, არ ჰყავს პროფესიონალი ფსიქიატრი და მეორე მხრივ, ამ პრობლემაზე ყურადღებას ამახვილებდა არაერთი გამოკითხული რესპოდენტი, რომელიც აღნიშნავდა, რომ „აღამიანები ციხიდან გამოდიან ფსიქოლოგიური ტრავმებით, რომლებსაც ფსიქიკური აშლილობაც კი შეიძლება დაემართოთ. მაგალითად, ერთი ბიჭი, რომელიც მეტროში ჩხუბის გამო დაიჭირეს, ციხიდან გამოვიდა ფსიქიკური აშლილობით.“<sup>294</sup>

არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში და რეკომენდაციაში ვხვდებით მოთხოვნას, რომ პენიტენციურ სისტემას უნდა ჰქონდეს ისეთივე სამედიცინო სამსახურები, როგორც აქვს სამოქალაქო სექტორს, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება შშმ პატიმართა

---

<sup>293</sup> იხ. *Arutyunyan v. Russia*, 10 January 2012 „The case originated in an application (no. 48977/09) against the Russian Federation lodged with the Court under Article 34 of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (“the Convention”) by a Russian national, Mr Armen Vladimirovich Arutyunyan (“the applicant”), on 6 August 2009. Court decision: there has been a violation of Article 3 of the Convention on account of the conditions of the applicant’s detention and Article 5 § 1 of the Convention on account of the applicant’s detention from 24 to 28 January 2010“.

<sup>294</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 50.

არასათანადო მდგომარეობის თავიდან აცილება. ასევე, სისტემა ეფექტიანად უნდა თანამშრომლობდეს მომსახურებების მიმწოდებლებთან, სამოქალაქო სამედიცინო სამსახურებთან, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოს შშმ პირთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შესაფერისი მომსახურება.

შშმ პაციმრებისათვის მათი საჭიროების შესაბამისი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- უპირველეს ყოვლისა, შეზღუდული შესაძლებლობა განხილულ იქნეს არა როგორც სამედიცინო, არამედ როგორც სოციალური მოდელი.<sup>295</sup> აქედან გამომდინარე, უნდა აიკრძალოს შშმ პირის სამედიცინო განყოფილებაში მოთავსება ან მისი სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა და შშმ პირთა ერთ დაწესებულებაში მობილიზება სამედიცინო მაჩვენებლების არსებობის გარეშე, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი არიან შშმ პირები.
- შესაბამისად, სამედიცინო პერსონალს დაევალოს შშმ პირის მონახულება, სულ ცოტა, დღეში ერთხელ, ნებისმიერი, იქნება ეს სამედიცინო თუ სხვა, ტიპის დაწესებულებაში.
- სამედიცინო პერსონალი ჩაერთოს შშმ პირთა საჭიროებების შეფასების ჯგუფში მუდმივი წევრის სტატუსით.
- უზრუნველყოფილ იქნეს შშმ პირებისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ სხვა მსჯავრდებულთან მსგავსად, თანაბარ პირობებში. ამდენად, უნდა აიკრძალოს სამედიცინო ობიექტების განლაგება არაადაპტირებულ, რთულად მისადგომ ადგილებში. იმ შშმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ ეტლით, არიან მწოლიარე ან უჭირთ გადაადგ-

---

<sup>295</sup> იხ. *იონათამიშვილი რ.*, „დღეს შესაძლებლობათა შეზღუდვის ორი მდგომა არსებობს მსოფლიოში - ტრადიციული (სამედიცინო) და თანამედროვე (სოციალური) მდგომები. პირველი მოდელი ძირითადად ეფუძნება იმ ტრადიციებს, რომელიც ინვალიდობისა და ინვალიდობის მქონე პირების მიმართ გააჩნდა საზოგადოებას უძველესი დროიდან, ხოლო თანამედროვე ხედვა მნიშვნელოვნად მიჯნავს დიაგნოზს ინვალიდობისგან და აქცენტს გარემოსა და საზოგადოებრივი აზრის შეცვლაზე აკეთებს“, შესაძლებლობათა შეზღუდვის ისტორია, 2007, 14.

ილება, ხელმისაწვდომ ადგილზე უნდა დამონტაჟდეს გამო-  
დახების ღილაკები, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ და-  
მოუკიდებლად გამოიძახონ სამედიცინო პერსონალი.

## თავი 16. ციხის რაჟიმი და დისციპლინური ღონისძიებები

### 16.1 დისციპლინური ღონისძიების გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ

იმის გათვალისწინებით, რომ ციხეში მყოფი შშმ პირები ვერ სარგებლობენ იმ ყოველდღიური მომსახურებით, რომელიც გათვალისწინებულია დანესებულებაში სხვა პატიმრებისათვის, სათანადო სამედიცინო მომსახურების არქონამ, პენიტენციურმა სტრესმა, რასაც განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდის შშმ პირი, შესაძლებელია გამოიწვიოს მისი მხრიდან ციხის რეჟიმის დარღვევა, რაც, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელია პროვოცირებული იყოს მისი მდგომარეობით და სულაც არ ისახავდეს მიზნად რეჟიმის დარღვევას და მეორე მხრივ, ეს შეიძლება იყოს აგრესიის გამოხატულება, მისი დისკრიმინაციული მდგომარეობიდან გამომდინარე.

სასჯელალსრულების დანესებულებებში არსებობს რეგულირების მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება პატიმრების მიერ დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში. ეს წესები თავისთავად ვრცელდება ყველა იმ შშმ პირზე, რომლებიც მოცემულ დანესებულებაში არიან განთავსებული. იმის გათვალისწინებით, რომ რეგულირების მექანიზმები ყველა პატიმარზე ერთნაირად ვრცელდება, დისციპლინის დამრღვევი შშმ პირი ვერ იქნება გამონაკლისი მხოლოდ მისი მდგომარეობიდან გამომდინარე. დაუსჯელობის სინდრომმა შესაძლებელია უფრო გაართულოს დანესებულებაში არსებული მდგომარეობა და პატიმართა ქცევა. ამდენად, კანონმდებლობით გათვალისწინებული მიდგომები უნდა გავრცელდეს თანაბრად. თუმცა შშმ პირების შემთხვევაში უნდა არსებობდეს განსაკუთრებული განხილვის მექანიზმები, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პროფესიონალების ჩართვას. დისციპლინური ღონისძიების გამოყენება შშმ პატიმართა მიმართ განხილული უნდა იყოს განსაკუთრებული სიფრთხილით, რადგანაც ყოველდღიური საცხოვრებელი პირობების შეცვლა და უფრო მეტიც მისი გაუა-

რეგება უარყოფითად მოქმედებს ნებისმიერ ადამიანზე, ხოლო შშმ პატიმრებზე კი შესაძლებელია გამანადგურებელი ზეგავლენა იქონიოს. არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ტიპის შეზღუდულობა აქვს პატიმარს, დისციპლინური სანქციების გამოყენება, განსაკუთრებით, როდესაც იგი უკავშირდება ყოველდღიური ცხოვრების პირობების შეცვლას, უარყოფითად მოქმედებს შშმ პირის როგორც ფსიქიკურ, ასევე ფიზიკურ მდგომარეობაზე. ამდენად, გადაწყვეტილების მიღება მოცემულ საკითხზე უნდა ხდებოდეს კომისიური წესით, სპეციალისტების მონაწილეობით.

წამების საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის, ხუან მენდესის ანგარიშის თანახმად, უნდა აიკრძალოს პატიმრის სამართლო საკანში მოთავსება 15 დღეზე მეტი ვადით. ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ხანგრძლივი და გაურკვეველი ვადით სამართლო პატიმრობა აყენებს ფსიქოლოგიური ხასიათის ტკივილს და ტანჯვას, რომელიც მკაცრად აკრძალულია წამების საწინააღმდეგო კონვენციით“.<sup>296</sup>

იმ შემთხვევაში, როდესაც ციხის ადმინისტრაცია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური ღონისძიების გამოყენებისა და მისი სახეების შერჩევის შესახებ, მან ზუსტად უნდა იცოდეს, თუ რა სახის ზიანი შეიძლება მიაყენოს ამ შეზღუდვამ შშმ პირის მდგომარეობას. ადმინისტრაცია, კომისია თუ კონკრეტული პირი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს პროფესიონალურად მომზადებული იმისათვის, რომ წინასწარ განსაზღვროს სავარაუდო ზიანის ხარისხი, რომელიც, მაგალითად, შშმ პირის დისციპლინურმა სახდელმა ან სამართლო საკანში მოთავსებამ და საცხოვრებელი პირობების შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს, ხოლო ასეთი ცოდნის არქონის შემთხვევაში, ციხის ადმინისტრაციამ უნდა დაადგინოს სპეციალისტის სავალდებულო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პროფესორი მარდოკი განმარტავს, რომ შეზღუდვები შშმ პირების მიმართ გამოყ-

---

<sup>296</sup> იხ. *Juan E. Méndez*, Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, A/HRC/22/53, 1 February, 2013.

ენებულ უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როცა ასეთი შეზღუდვები დასაშვებად ითვლება, მაგალითად, „მსჯავრდებულის მხრიდან სხვისი ან საკუთარი თავის დაზიანების ან გადაყვანის დროს გაქცევის მცდელობის აღსაკვეთად. როდესაც შეზღუდვების გამოყენება კანონიერია.“<sup>297</sup> თუმცა ხაზს უსვამს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომლებიც არსებობს ასეთი შეზღუდვების გამოყენებისას. პირველ რიგში, გამოყენების მეთოდები არ უნდა იყოს დამამცირებელი ან მტკივნეული (მაგალითად, ხელბორკილების გამოყენება იმაზე მეტად, ვიდრე აუცილებელია) და მეორე მხრივ, შეზღუდვების გამოყენების შესახებ ჩანაწერების გაკეთება უნდა იყოს სავალდებულო, რაც იქნება გარანტი შეზღუდვების გონივრულობის უზრუნველსაყოფად.

ნებისმიერი ქვეყნის ციხეების საქმიანობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში შევხვდებით განმარტებას იმის შესახებ, რომ პატიმრის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი მის მიერ ჩადენილი დარღვევის თანაზომიერი უნდა იყოს. აღნიშნული დათქმა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შშმ პირებთან მიმართებით. აქვე, თუ გამოვიყენებთ მორდოკის განმარტებას, პირველ რიგში, აუცილებელია გათვალისწინებული იყოს პირის მონყვლადობა, მაგალითად, ავადმყოფი ან დაჭრილი პატიმრების, ასევე მოხუცი და შშმ პირების შემთხვევაში. გარდა ამისა, იგი განმარტავს შემდეგ მნიშვნელოვან მიდგომებს შშმ პირებთან მიმართებით, რომ 1. შეზღუდვის შერჩეული მეთოდები უნდა იყოს სიტუაციის პროპორციული; 2. შეზღუდვის საშუალებები არასდროს არ უნდა იყოს გამოყენებული დისკრიმინაციული საფუძვლით. ...მიუხედავად დადგენილი ნათელი სტანდარტებისა.<sup>298</sup>

დისციპლინური პროცესის დროს შშმ პატიმრებს, როგორც ყველა სხვა პატიმარს, გარდა იმისა, რომ, უნდა მიეცეთ თავის

<sup>297</sup> იხ. *Murdoch J.*, Professor of Public Law, University of Glasgow, School of Law, United Kingdom, *Jiricka V.*, Head Psychologist, Prison Service, Czech Republic, A handbook for prison staff with focus on the prevention of ill-treatment in prison, Council of Europe, April, 2016, 68.

<sup>298</sup> იქვე.

დაცვის შესაძლებლობა, უნდა გაენიოთ საჭირო დახმარება, რათა მათ ამ პროცესში სრულყოფილი მონაწილეობა შეძლონ. კერძოდ, დანესებულებების ადმინისტრაციამ სმენადაქვეითებული და მეტყველებადაქვეითებული პირებისთვის უნდა უზრუნველყოს სურდოთარჯიმნის დახმარება და ა. შ.

დისციპლინურ ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვანია ასევე საგანგებო სიტუაციაში მოქმედების პროცედურებისა და შესაბამისი სპეციალური გეგმის არსებობა, რომ უმტკივნეულოდ და სიცოცხლისათვის უსაფრთხო პირობებში მოხდეს შშმ პატიმრების ევაკუაცია და უსაფრთხო ადგილას გადაყვანა. ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია ნეგატიური პრაქტიკის მაგალითად მოვიყვანოთ საქართველო და ყირგიზეთი, როცა კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციალური გეგმების არსებობას შშმ პირების უსაფრთხოებისა და ევაკუაციის შესახებ. კერძოდ, დოკუმენტში განმარტებულია, რომ *„უნდა შემუშავდეს საგანგებო შემთხვევაში შშმ პირთა სპეციალური ევაკუაციის გეგმა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც აქვს სმენის ან სწრაფი გადაადგილების პრობლემა. ის უნდა იყოს ადაპტირებული კონკრეტული პატიმრების საჭიროებებთან და დაყვანილი შესაბამისი პერსონალის ცნობიერებამდე“*<sup>299</sup>

ჩემი აზრით, შეზღუდული შესაძლებლობა არ აძლევს პირს უფლებას, არ დაემორჩილოს დანესებულების შინაგანანესს, თუ მას, ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლია დანესებულებაში დადგენილი წესების დაცვა. ასევე შშმ პირს ვერ მიენიჭება პრიორიტეტი მისი მდგომარეობის გამო, რომ მის მიმართ არ იყოს გამოყენებული დისციპლინური ღონისძიება იმ დარღვევისათვის, რომლის გამოც სხვა პატიმრები არიან ან შეიძლება იყვნენ დასჯილი.

გარდა სასჯელალსრულების დანესებულებისა სასამართლო სისტემაში ევაკუაციის გეგმაზე საუბრობს საქართველოში 2019

---

<sup>299</sup> იხ. Prison service Order, PSO 2855 - The Management of Prisoners with Physical disabilities, article 11. 3.2.4. Date of Initial Issue 20/12/99, Date of Update: 13/10/03.

ნელს ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმადაც, სასამართლო შენობებში არსებული სიგნალიზაციის სისტემა და უსაფრთხოების ნორმები არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს. სასამართლოს თანამშრომლებს არ აქვთ ევაკუაციის სპეციალური ტექნიკა და ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ევაკუაციისთვის.<sup>300</sup> ევაკუაციის სპეციალური გეგმის არსებობა მაღალი მნიშვნელობის მატარებელია ყველა იმ დაწესებულების პრაქტიკაში, სადაც შესაძლებელია შშმ პირი მოხვდეს ნებისმიერი ვადით. ასეთი გეგმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხაზს უსმევს სწორედ შშმ პირის ფიზიკური მდგომარეობა, როცა მას არ შეწევს უნარი განახორციელოს ის ქმედებები, რაც მისი უსაფრთხოებისთვის აუცილებელი იქნებოდა.

ამ და სხვა სახის გაურკვეველობის თავიდან აცილებისა და სასჯელალსრულების სისტემაში დისციპლინური წესების გამოყენების სისტემის ეფექტიანობის შენარჩუნების მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია დაინერგოს ახალი, უფრო მოქნილი მიდგომები. კერძოდ, ადმინისტრაციამ უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

- შეიმუშაოს შეზღუდვები, რომლებიც გამოყენებული იქნება შშმ პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენებისას, მისი შეზღუდული შესაძლებლობების სახისა და სირთულის გათვალისწინებით.
- შშმ პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიების სახით საცხოვრებელი პირობების ცვლილება, როგორცაა: დისციპლინურ სადგომში ან საკნის ტიპის სადგომში გადაყვანა უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება. ამ ტიპის ღონისძიების გამოყენებამ არ უნდა მიაყენოს შშმ პირს რაიმე სახის, ფიზიკური ან ფსიქიკური, ზიანი.
- კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს შშმ პირის დისციპლინურ ან სამართლო საკანში მოთავსების შემთხვევაში სამედ-იკინო პერსონალის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის

---

<sup>300</sup> იხ. ნადირაძე კ., არგანაშვილი ა., აბაშიძე ა., გოჩიაშვილი ნ., ლორდიჯ., სასამართლო შენობების მისანვლომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, 2019, 13-14.



მიერ მისი მონახულების პერიოდულობა.

- შშმ პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ თანამშრომლის მონაწილეობით, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება.
- სასჯელალსრულების დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ საგანგებო სიტუაციებში შშმ პირებთან მუშაობისა და მათი ევაკუირების გეგმა, რაც მაქსიმალურად შეამცირებს შშმ პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკს მსგავს შემთხვევებში.

## 16.2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სამართლო საკანში მოთავსება

რა არის სამართლო პატიმრობა? ეს არის, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილება პატიმრის მოთავსების შესახებ სხვა პატიმრებისაგან განცალკევებით. იგი სხვადასხვა საფუძველით შეიძლება იქნეს გამოყენებული, მაგალითად, CPT-ს ერთ-ერთი ანგარიშის თანახმად, ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს „სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც დისციპლინური, ისე პრევენციული ადმინისტრაციული ღონისძიება ან აღნიშნული პატიმრის დასაცავად მიმართული ღონისძიება“.<sup>301</sup>

ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არის შემთხვევები, როდესაც სასჯელალსრულების დაწესებულებების ადმინისტრაცია იღებს გადაწყვეტილებას შშმ პირის განცალკევებულად ან/და სამართლო საკანში მოთავსების შესახებ და ამას უკავშირებს პატიმრის უსაფრთხოებას ან სხვა საჭიროებას. სამართლო საკანში მოთავსებას განსაკუთრებით ხშირად იყენებენ ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების მიმართ, რომელთა სხვა პატიმრებთან განთავსება, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, დაკავშირებულია სირთულესთან, თუმცა სამართლო

<sup>301</sup> იხ. Solitary confinement of prisoners, European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), 21st General Report of the CPT, published in 2011, 1.

საკანში ათავსებენ ასევე პატიმრებს, რომლებსაც აქვთ გადაადგილების ან ფიზიკური შეზღუდვა, მაგალითად, როდესაც სათანადო საცხოვრებელი პირობების არქონის გამო, ადმინისტრაცია მათ ათავსებს ცალკე სამარტოო საკნებში, რასაც ხშირად ამართლებენ ამავე პატიმრების ინტერესებით, უსაფრთხოების აუცილებელი ზომებით და სხვ.

შშმ პირის სამარტოო საკანში განთავსების პრაქტიკას ვხვდებით საქართველოშიც. სახალხო დამცველის ეროვნული პრევენციის მექანიზმის 2014 წლის ანგარიში არაერთ ასეთ ფაქტს ასახავს, მაგალითად, როდესაც N3 დაწესებულებაში 2014 წლის 17 სექტემბერს შესული შშმ პირი შესახლების დღიდან 3-ჯერ იქნა მოთავსებული სამარტოო საკანში (ერთხელ - 4 დღით, მეორედ - 15 დღით და მესამედ - ვიზიტის დროს, ბრძანებაში 10 დღე იყო მითითებული). ანგარიშში განმარტებულია, თუ რატომ არის დაუშვებელი სამარტოო პატიმრობა შშმ პირებისთვის, რომელიც უთითებს, რომ გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარის თანახმად (CCPR, General Comment 20/44, April 3, 1992), „პირის განთავსება სამარტოო საკანში გახანგრძლივებულად შესაძლებელია გაუტოლდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას.“<sup>302</sup> სახალხო დამცველი ასევე ყურადღებას ამახვილებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების პრევენციის ქვეკომიტეტის დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, ის გამორიცხავს სამარტოო საკანში მოთავსების პრაქტიკის გამოყენებას არასრულწლოვნებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირების მიმართ.

სამარტოო საკანში განთავსება დამორგუწველად მოქმედებს ნებისმიერ პატიმარზე, მიუხედავად მისი მდგომარეობისა, ხოლო

---

<sup>302</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, არანებაყოფლობითი და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში, რეკომენდაციების შესრულების ანალიზი, 2014, 12 (2014 წლის შემდგომ მსგავსი ტიპის სპეციალური ანგარიში არ გამოქვეყნებულა).

როდესაც საუბარია შშმ პირზე, რომლის შეზღუდულ ფიზიკურ მდგომარეობას ემატება ასევე დაკავებით გამოწვეული სტრესი და დაუცველობის განცდა, სამართლო პატიმრობა განსაკუთრებით მძიმე შედეგებით ხასიათდება.

ხშირად სასჯელალსრულების დანესებულების ადმინისტრაციის მხრიდან წარმოდგენილია არაერთი არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ამა თუ იმ პირის სამართლო საკანში მოთავსება იყო გამართლებული, მაგალითად, იზოლირება მისი უსაფრთხოების მიზნით, ჯანმრთელობის მდგომარეობით ან სხვა პატიმრების ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნული ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია გამართლებულიც კი იყოს, თუ ეს ხდება გონივრული, უმოკლესი ვადით და ამასთან არა ნებისმიერი პირის მიმართ, თუმცა ეს არგუმენტები ცალსახად გამამართლებელ ფაქტორად არ შეიძლება იქნეს მიღებული. წამების საკითხებში სპეციალური მომხსენებელი სწორედ ასეთ არგუმენტებს მოიაზრებს, როდესაც აღნიშნავს, რომ „შშმ პირები ხშირად ექვემდებარებიან იზოლირებას ან იმყოფებიან სამართლო საკანებში, კონტროლის ფორმით ან მკურნალობის საფუძვლით. თუმცა ეს არ შეიძლება გამართლებული იყოს თერაპევტული თვალსაზრისით ან დასჯის ფორმით.“<sup>303</sup>

სამართლო პატიმრობასთან ან იზოლირებასთან დაკავშირებით ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა (CPT) განმარტა ის პრინციპები,<sup>304</sup> რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს ასეთი ტიპის ღონისძიებების გამოყენება, კერძოდ:

ა. **პროპორციულობა** (სამართლო პატიმრობა ხანგრძლივია ან განგრძობადი, დაკავშირებულია ფიზიკურ ან პოტენციურ ზიანთან, რომელიც იქნა გამოწვეული ამ დროს და რაც უფრო მყარია მიზეზი, მით ხანგრძლივი შეიძლება იყოს სამართლო პატიმრობა);

ბ. **კანონიერება** (ასეთი ღონისძიების გამოყენების საფუძველი ნათლად და ადეკვატურად უნდა იყოს დარეგულირებული ეროვნუ-

<sup>303</sup> იხ. Human Rights Committee, concluding observations on the second periodic report of Slovakia (CCPR/CO/78/SVK), para 13.

<sup>304</sup> იხ. CPT standards, European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), 2011, 30-31.

ლი კანონმდებლობით);

გ. **ანგარიშვალდებულება** (უნდა არსებობდეს სრული და დეტალური ჩანაწერი, სადაც მითითებული იქნება გადანყვეტილების მიღება, საფუძველი და შემდგომი მიმოხილვა);

დ. **აუცილებლობა** (გამოყენებული სახდელი უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება, რომელიც აუცილებელია კონკრეტული შედეგის მისაღებად და დასაბუთებული უნდა იყოს, რომ ეს შედეგი შეიძლება იქნეს მიღწეული მხოლოდ ასეთი ღონისძიების გამოყენებით);

ე. **დისკრიმინაციის დაუშვებლობა** (სამართლო პატიმრობის დაკისრების დროს გადანყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს და სხვა რაიმე სახის არარელევანტური გარემოებები არ უნდა იყოს მიღებული მხედველობაში).

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი მიიჩნევს, რომ სამართლო საკანში განთავსების მაქსიმალური ვადა შეიძლება იყოს 14 დღე, ხოლო რაც შეეხება არასრულწლოვნებს, კომიტეტის ხედვით, სასურველია იყოს უფრო ნაკლები მათთვის. კომიტეტი ამტკიცებს, რომ „*სამართლო პატიმრობა, როგორც დისციპლინური სახდელი, უნდა იყოს გამოყენებული, როგორც უკიდურესი ღონისძიება და მხოლოდ უმოკლესი ვადით. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს შეზღუდვა თანმიმდევრული დისციპლინური სახდელის გამოყენებაზე, რომელიც იწვევს უწყვეტი ვადით სამართლო პატიმრობას.*“<sup>305</sup>

სამართლო პატიმრობის უარყოფითი ზემოქმედება პატიმრის ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე, გარდა მისი იზოლირებისა, ასევე გამონვეულია იმ პირობებით, რომლებშიც ისინი თავსდებიან. სამართლო საკნები ხშირად განთავსებულია სრულად ან ნაწილობრივ მინისქვეშა სათავსოებში და მათი მოცულობა, სხვა საკნებთან შედარებით, გაცილებით მცირეა. შესაბამისად, საკნის ზომიდან და ტერიტორიული მდებარეობიდან გამომდინარე, იქ ხშირად საერთოდ,

<sup>305</sup> იხ. *Murdoch J.*, Professor of Public Law, University of Glasgow, School of Law, United Kingdom, *Jiricka V.*, Head Psychologist, Prison Service, Czech Republic, A handbook for prison staff with focus on the prevention of ill-treatment in prison, Council of Europe, April, 2016, 70.

ან ნაწილობრივ ვერ აღწევს დღის შუქი და ჰაერი. ასეთ საკნებს ფანჯარა ან საერთოდ არ აქვთ ან ის ძალიან მცირე ზომისაა. ამდენად, ასეთ პირობებში ყოფნა გამანადგურებელ ზეგავლენას ახდენს ნებისმიერ პაციმარზე და მათ შორის, შშმ პირებზე. ვენტილაციისა და გამათბობლის არქონა ან მისი არასათანადო ხარისხი, სეზონის მიხედვით, ამძიმებს შშმ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას და ამწვავებს შეზღუდულობის ხარისხს.

სამართლო პატიმრობას უკავშირდება შშმ პირის ფიზიკური უმოქმედობა, რადგან საკნის სიმცირიდან და პირობებიდან გამომდინარე, ის საკანში ვერ გადაადგილდება, ხოლო საკნის გარეთ მას მხოლოდ ერთი საათი უწევს ყოფნა (საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი, მუხლი 88), ისიც იმ შემთხვევაში, თუ ეტლით მოსარგებლე პირისთვის შენობა ადაპტირებულია, ან მხედველობის არმქონე პირისთვის თუ დამხმარის ინსტიტუტი არსებობს. მოცემულ შემთხვევებში პირი მოკლებულია სხვა პატიმრების მხრიდან დახმარებას. ასეთი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში პაციმარი შესაძლებელია ჩაკეტილი იყოს საკანში სამართლო პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში.

სამართლო პატიმრობის გამოყენების პროცედურებთან დაკავშირებით წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს იმ საკნებში არსებულ პირობებზე, რომლებშიც პირები უნდა მოთავსდნენ სამართლო პატიმრობის პერიოდში. კომიტეტის განმარტებით, სამართლო პატიმრობაში მყოფ პირებს შექმნილი უნდა ჰქონდეთ სასჯელის მოხდის ადეკვატური პირობები. მისივე განმარტებით, შეზღუდვები უნდა იყოს მინიმალური და უნდა გამომდინარეობდეს გამოყენებული ღონისძიების მიზნებიდან და პატიმრის ქცევიდან. იგი ასევე აქცენტს აკეთებს პერსონალის როლზე, რომლის ძალისხმევა მაქსიმალურად უნდა იყოს მიმართული იმ დარღვევის გამომწვევი ფაქტორების აღმოსაფხვრელად, რის გამოც პირს განესაზღვრა სამართლო პატიმრობა. ამდენად, უნდა დავასკვნათ, რომ, თავისთავად, ასეთი ტიპის სასჯელის გამოყენება არ უნდა ნიშნავდეს პრობლემის მოგვარებას, არამედ ის გამოყენებულ უნდა

იქნეს როგორც ღონისძიება პრობლემის მოსაგვარებლად. მოცემული მიზნის მისაღწევად კი კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ „სამართლო საკნის რეჟიმი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად პოზიტიური და მიმართული იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებმაც აუცილებელი გახადა ასეთი ღონისძიების გამოყენება. გარდა ამისა, სამართლებრივი და პრაქტიკული დაცვის მექანიზმები გადანყვეტილების მიღების პროცესში უნდა იყოს მიმართული სამართლო პატიმრობის გამოყენების საკითხის დარეგულირებისა და მისი შემდგომი გადახედვისკენ.“<sup>306</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შშმ პირებისათვის სამართლო პატიმრობით გამონვეული შედეგების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილი იქნება კანონმდებლობით აიკრძალოს შშმ პატიმართა იზოლირება მათი ფსიქიკური ან ფიზიკური მდგომარეობის საფუძველზე. აღნიშნული აკრძალვა ციხის ადმინისტრაციის წინაშე იქნება ბარიერი, რომ შშმ პირის იზოლირება არ მოახდინონ შენობების არაადაპტირებულობის გამო ან „სხვა პატიმართა ინტერესებიდან“ გამომდინარე. რადგანაც იზოლირება ართულებს შშმ პირთა მდგომარეობას როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად, ამდენად, უნდა შემუშავდეს საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც აკრძალავს შშმ პირთა საერთო მასისგან იზოლირებას.

იზოლირების დაშვება შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ უმოკლესი ვადით, ექიმის კონტროლის ქვეშ, პირის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაწესებულების ხელმძღვანელი პირის გადანყვეტილებით, ყველა კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით და თვითონ შშმ პირის სრული ჩართულობით გადანყვეტილების მიღების პროცესში.

შშმ პირის იზოლირების ალტერნატივად საჭირო შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს პირის გადაყვანა ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში, მათ შორის, უსაფრთხოების მიზეზებიდან გამომდინარე.

---

<sup>306</sup> იხ. Solitary confinement of prisoners, European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), 21st General Report of the CPT, published in 2011, 8.

## თავი 17. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის რეაბილიტაციის პროგრამებისა და ფსიქოლოგიის მომსახურების ხელმისაწვდომობა

მსჯავრდებულ პირთა რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და მათი საზოგადოებაში დაბრუნების ხელშეწყობა სასჯელალსრულების სისტემის მთავარი დანიშნულებაა, რასაც უნდა ემსახურობდეს სისტემის საქმიანობა მსჯავრდებულის დაწესებულებაში მიღებიდან მათ გათავისუფლებამდე, რომელსაც შემდგომში პრობაციის სამსახური უნდა უწევდეს კოორდინაციას. რესპოდენტებმა ინტერვიუს დროს ყურადღება ასევე გაამახვილეს რეაბილიტაციის როლზე. ერთ-ერთმა რესპოდენტმა განმარტა, რომ „ძირითად პრობლემად რჩება სარეაბილიტაციო პროგრამების და უსინათლო პირებისათვის ინფორმაციის არახელმისაწვდომობა. ფსიქოსოციალური შეზღუდვის მქონე პირი ციხეში ყოფნის დროს რემისიის პროცესში რისკის წინაშე აყენებს როგორც საკუთარ თავს, ისე სხვა პირებსაც“.<sup>307</sup> რესპოდენტი ასევე შეეხო რეაბილიტაციის პროგრამების არარსებობის საკითხს, რაც ართულებს შშმ პირის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ მდგომარეობას.

რატომ არის სასჯელალსრულების სისტემაში დანაშაულის განმეორებით ჩადენისთვის გასამართლებულ პირთა რაოდენობა მაღალი? კითხვაზე შეიძლება არსებობდეს მრავალი არაერთგვაროვანი პასუხი, თუმცა ცალსახაა, რომ აღნიშნული შედეგი მეტწილად დამოკიდებულია ციხეში არსებულ სარეაბილიტაციო პროგრამებსა და ყველა მსჯავრდებულისათვის მათ ხელმისაწვდომობაზე. განსაკუთრებით ეს ეხება შშმ პირებს, რომელთათვისაც ასეთი პროგრამები ხშირად უპერსპექტივოა მონაწილეობის თვალსაზრისით, რადგანაც ისინი ძირითადად შემუშავებულია ციხეში მყოფი უმრავ-

---

<sup>307</sup> შშმ პირი, ინტერვიუ და ანკეტირება კვლევის ფარგლებში ჩაატარა ზ. ხასიამ, თბილისი, აპრილი, 2017 (ნაშრომში ინტერვიუ გამოყენებულია ლესტერის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>>, [15.11.2019].

ლესობისათვის, მაგალითად, ახალგაზრდა მსჯავრდებულებისთვის, რომლებსაც რაიმე სახის დამატებითი საჭიროება არ აქვთ. რაც შეეხება შშმ პირებს, მათ ხშირად სწორედ ფიზიკური დაბრკოლების გამო არ შეუძლიათ პროგრამებში მონაწილეობა ან მონაწილეობენ მხოლოდ მათთვის შექმნილ პროგრამებში, რომლებიც საჭირო პროგრამების მხოლოდ მცირე ნაწილია.

შშმ პირების შემთხვევაში სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას განაპირობებს ის ფაქტორი, რომ შშმ პირების დაკავებით/დაპატიმრებით გამოწვეულ სტრესს, რომელიც ყველა დაკავებული თუ დაპატიმრებული პირისათვის - განსაკუთრებით იმ პირებისათვის, რომლებიც პირველად არიან განთავსებული დახურულ დაწესებულებებში - თანაბრად დამახასიათებელია, ემატება ფსიქიკური ან/და ფიზიკური მდგომარეობითა და შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული სტრესი. სწორედ ამ სტრესის დაძლევის ერთ-ერთ საშუალებად მოიაზრება სხვადასხვა პროგრამაში მათი მონაწილეობა.

ზოგადად, პროგრამების მიმართულებით უნდა აღინიშნოს ბოლო წლებში გადადგმული ნაბიჯები საქართველოში. მაგალითად, საქართველოს 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ყურადღება გამახვილებულია შშმ პირების საჭიროებებზე მორგებულ ჰაბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვაზე, რის ინდიკატორადაც მიიჩნევა შშმ პირებზე ადაპტირებული ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამებისა და სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილე შშმ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მზარდი რაოდენობა.<sup>308</sup> იგივე მიდგომები უფრო მყარდება საქართველოს 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში, სადაც ყურადღება ეთმობა რისკისა და საჭიროებების შეფასებას, პერსონალის სწავლებას შშმ პირებთან მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, გათავისუფლების მომზადებასა და გათავისუფლების შემდგომ საზოგადოე-

---

<sup>308</sup> იხ. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისთვის, 4.6.10.1, შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა, 2016.



ბაში რეინტეგრაციის ხელშეწყობას.<sup>309</sup>

გეგმის შესრულების ანგარიშში პენიტენციური სისტემა განმარტავს, რომ: სპეციალური საჭიროების მქონე ბენეფიციართა ჰაბილიტაცია/რეაბილიტაცია ამ ეტაპზე ინდივიდუალური მიდგომის ფარგლებში მიმდინარეობს. ინდივიდუალური მიდგომა არასრულწლოვანთა მიმართ 2009 წლიდან დაინერგა, ხოლო ზრდასრულთა მიმართ კი ეს პროცესი 2015 წლიდან დაიწყო. იმის გათვალისწინებით, რომ ჩართვა ეტაპობრივად განხორციელდება, უპირატესობა თავდაპირველად გარკვეული ნიშნით გამორჩეულ პირებს მიენიჭებათ, მათ შორის, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებსაც, თუნდაც ისინი არ იყვნენ შშმ პირის სტატუსის მქონენი. მაგალითად, არასრულწლოვანთა დაწესებულებაში პირი ჩართულ იქნა ინკლუზიური მიდგომით და მისი ჰაბილიტაცია სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგის მხრიდან სპეციალური პროგრამით მიმდინარეობდა. ერთ-ერთ დაწესებულებაში, სადაც მიდგომა მოცემულ ეტაპზე ინერგებოდა, უპირატესობა სენსორული შეზღუდვის ადამიანს მიენიჭა. გეგმის ფარგლებში განერილ იქნა მისი განვითარების პროგრამები და სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერი აქტივობები. ყველა დაწესებულებისთვის 2015 წელს შექმნილ იქნა აუდიონიგნები შშმ ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის.<sup>310</sup>

იმის გამო, რომ ვერ ხდება შშმ მსჯავრდებულთა იდენტიფიცირება,<sup>311</sup> ამ ეტაპზე არც სპეციალურ მოთხოვნათა ნუსხა არსებობს და შესაბამისად, არც პენიტენციურ სისტემაში არსებული სარეაბილიტაციო პროგრამებია ადაპტირებული მათთვის. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა გამორჩევა არ ხდება სარე-

<sup>309</sup> იხ. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის, ამოცანა 4.4, ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციაციზაცია, 2018.

<sup>310</sup> ინფორმაცია მიღებულია სასჯელალსრულების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის მეშვეობით 2017 წლის სექტემბერში.

<sup>311</sup> იხ. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისთვის, საქმიანობა 4.6.8.2.

აბილიტაციო პროგრამებში ჩართულობისას. ისინი ადაპტირებული არიან გარემოში და სპეციალისტთა მიერ ადგილზევე ხდება მათ საჭიროებებზე მორგება.

შემდეგი ასპექტი, სარეაბილიტაციო პროგრამებთან მიმართებით, რაზეც სამოქმედო გეგმაში ყურადღებაა გამახვილებული, არის „შშმ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ სოციალური მოდელის<sup>312</sup> შემუშავება და ფსიქოსოციალურ მოდელზე დაფუძნებული, შშმ მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა ზრუნვის სტანდარტის დამტკიცება“. პენიტენციური სისტემის ანგარიში განმარტავს, რომ: სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოსა და გარე ექსპერტების ჩართულობით შემუშავებულია პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ მოპყრობის სტანდარტები, რომელიც მოიცავს შემდეგს: 1. სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა; 2. ინდივიდუალური მიდგომა. 3. სოციალური ინკლუზია; 4. ჯანმრთელობაზე ზრუნვა; 5. ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია; 6. რისკის კლასიფიკაცია, დაწესებულებაში განთავსება; 7. ძალადობისგან დაცვა და უსაფრთხოება; 8. კონფიდენციალობის დაცვა; 9. კომპეტენცია და ადამიანური რესურსები; 10. მომზადება გათავისუფლებისთვის.

მაგალითისთვის, თუ ვისაუბრებთ საქართველოში არსებულ პრაქტიკაზე, ვარჯიშის, სპორტისა და სხვა აქტივობებში პატიმართა ჩართულობისა და მისი შედეგების კუთხით, რაც პენიტენციური სისტემის საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში კარგადაა განერილი, საერთაშორისო ორგანიზაციები მიუთითებენ სახელმწიფოს მხრიდან შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინების მიზანშეწონილობაზე, რაზეც კანონმდებლობაში ყურადღება გამახვილებული არ არის. ნამების საწინააღმდეგო კომიტეტი თავის ანგარიშში მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, გადადგას გადაწყვეტი ნაბიჯები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა

---

<sup>312</sup> იხ. სახელმძღვანელო პოლიტიკის განმსაზღვრელთათვის ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებაზე, ბრიტანეთის საბჭო, 2014, 10.

სახის პროგრამები ყველა კატეგორიის პატიმრისათვის<sup>313</sup> და განსაზღვრავს იმ მიზნებს, თუ რატომ უნდა დაინერგოს ასეთი პროგრამები. „შეიმუშაოს პროგრამები იმ მიზნით, რომ პატიმრებმა დღის განმავლობაში შეძლონ საკნის გარეთ გონივრული დროის (8 საათი ან მეტი) გატარება, რათა მიზანმიმართულად ჩაერთონ სხვადასხვა სახის აქტივობაში (სამუშაო, განათლება, სპორტი და სხვ.), ყველა კატეგორიის პატიმართა საჭიროებების გათვალისწინებით (ხანდაზმული, არასრულწლოვანი, ქალი და სხვ.)“<sup>314</sup>

თუ საერთაშორისო პრაქტიკას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ, პენიტენციური სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად, პატიმართა მონაწილეობა სარეაბილიტაციო პროგრამებში და მათი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად დაბრუნების ხელშეწყობა ნებისმიერი ქვეყნის პენიტენციური სისტემის მთავარი მიზანია.

ჩვენი აზრით, პრაქტიკაში მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროგრამების იმპლემენტაციის კუთხით ქვეყნები შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად:

პირველი - ქვეყნები, რომლებშიც მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია და სარეაბილიტაციო პროგრამები მხოლოდ საკანონმდებლო რეგულირების ნაწილია და პრაქტიკაში არ იწერება. სისტემის მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მსჯავრდებულები იყვნენ ჩაკეტილი (არ მოხდეს გაქცევა, მასობრივი აქციები და ა. შ.) და რაიმე სახის ინციდენტის გარეშე მიიყვანონ ისინი გათავისუფლებამდე. პოსტსაბჭოთა ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მთავარია „რეჟიმის დაცვა“. საბჭოთა პრაქტიკის მქონე სისტემებისათვის დამახასიათებელია ე. წ. ოპერატიული სამსახური, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პენიტენციურ სისტემას ამარაგებს ინფორმაციით.

<sup>313</sup> „ყველა კატეგორიის პატიმრებში“ ანგარიში გულისხმობს როგორც მისჯილ, ასევე მიუსჯულ, წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს.

<sup>314</sup> იხ. Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 19 to 23 November, 2012, 18.

მეორე ტიპის ქვეყნებს გააზრებული აქვთ სარეაბილიტაციო პროგრამების როლი და მნიშვნელობა და ქმნიან კიდევ ამგვარ პროგრამებს, თუმცა ეს ყოველივე ფასადურია და რეალურ მიზანს - მსჯავრდებულთა რეაბილიტაციას - ნაკლებად ემსახურება. ამ ქვეყნების სისტემათა მთავარი მიზანი სწორედ წინა პარაგრაფში (რეაბილიტაციის პროგრამებისა და ფსიქოლოგის მომსახურების ხელმისაწვდომობა) აღნიშნული პრიორიტეტებია, თუმცა ასეთ პროგრამებს პიარკამპანიის სახე აქვს, რათა სისტემის ავტორიტეტის აწვეითა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიზნით მოხდეს იმ რეალური სახის დაფარვა, რომელიც სისტემას აქვს.

მესამე ტიპის ქვეყნებში ზემოაღნიშნული პროგრამები დანერგულია, მაგრამ ისინი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე, განსაკუთრებით კი შშმ პირებისათვის, ნაკლებად არის განკუთვნილი და ხელმისაწვდომი.

დაბოლოს, ქვეყნები, რომლებშიც პატიმართა რეაბილიტაცია სისტემის პრიორიტეტია და შესაბამისად, ორიენტირებული არიან, რომ შშმ პირებმა მონაწილეობა მიიღონ პროგრამებში, სადაც შესაბამისი სამართლებრივი აქტი განმარტავს, რომ უნდა მოხდეს პროგრამების გონივრული კორექტირება, რომ შშმ პირებმა შეძლონ მასში მონაწილეობა. მნიშვნელოვანია, კომუნიკაციური საჭიროებების გათვალისწინება.<sup>315</sup> აქვე მოყვანილია შემთხვევათა ნათელი მაგალითები, მაგალითად, სმენადაქვეითებულ პატიმრებს შესაძლებელია დასჭირდეთ სურდოთარჯიმნის დახმარება, იმისათვის რომ განხილვებში მიიღონ ეფექტიანი მონაწილეობა.

ზოგადად, პროგრამების შექმნის გარდა, შშმ პირთა ასეთ პროგრამებში ჩართულობა დაკავშირებულია სირთულეებთან, რადგან პენიტენციური სისტემის მხრიდან იგი მოქნილობასა და მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს. კერძოდ, უნდა განვიხილოთ გან-

---

<sup>315</sup> იხ. Prison service Order, PSO 2855 - The Management of Prisoners with Physical disabilities, article 11, 3.2.4, Date of Initial Issue 20/12/99, Date of Update: 13/10/03.

საკუთრებული შემთხვევები, როცა პროგრამების მიმდინარეობის პროცესში შეიძლება აუცილებელი გახდეს გარკვეული აქტივობების შეცვლა, რომლებშიც კონკრეტული პირები ექიმის რეკომენდაციით იღებენ მონაწილეობას. სხვა შემთხვევაში შშმ პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სპორტული ინვენტარი და სპორტდარბაზი. ზოგიერთ ციხეს ასაკოვანი ან მენტალური პრობლემების მქონე პატიმრებისათვის აქვს სპეციალური სპორტული სესიები. აღსანიშნავია, რომ ციხის სპორტდარბაზებში უნდა იყოს მომზადებული პერსონალი, რომელსაც შეუძლია რჩევები მისცეს შშმ პირს, რათა პროგრამაში ჩართულობამ არ გაართულოს მისი მდგომარეობა.

ამ ტიპის აქტივობებში მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შშმ პირების როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური მდგომარეობის სტაბილურობისათვის. ბრიტანეთის პრაქტიკაზე დაყრდნობით ორგანიზაცია “Prison Reform Trust<sup>316</sup>“ განმარტავს, რომ „დანესებულებებმა (სასჯელალსრულების) უნდა მიიღონ გონივრული ზომები, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმარებისთვის ფიზიკური ვარჯიშის ობიექტების ხელმისაწვდომობა“.<sup>317</sup>

რეაბილიტაციის პროცესში მნიშვნელოვანია ასევე საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამებში მონაწილეობა. ერთი მხრივ, ხშირია შემთხვევები, როდესაც შშმ პირები მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველ ფენას და დაკავებამდე მათ ხელი არ მიუწვდებოდათ ნორმალურ საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების პროგრამებზე, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს ხდის მათ შესაბამის პროგრამებში ჩართულობას საჭიროების მიხედვით.

მეორე მხრივ, შშმ პირებს, რომლებსაც შემეცნებითი პრობლემები აქვთ, უნდა მიენოდოთ შესაბამისი სასწავლო პროგრამები, რათა შეძლონ დანესებულების სპეციფიკასთან და რეჟიმთან

<sup>316</sup> The Prison Reform Trust is an independent UK charity, working to create a just, humane and effective penal system.

<sup>317</sup> იხ. Information book for prisoners with a disability, Offender Health and Prison Reform Trust 2009, Prison Reform Trust office (020 7251 5070 or PRT, Freepost, ND6125, London EC1B 1PN), 3.3.3.

ადაპტირება და სხვ. იმისათვის, რომ სწორად შეირჩეს შესაბამისი პროგრამები, მისი გამოვლენა და დაგეგმვა უნდა იყოს შშმ პირთა სისტემაში მიღების განუყოფელი ნაწილი. „თითოეული პატიმრის სასწავლო საჭიროებები უნდა შეფასდეს მათი მიღების დროს, რათა მათთვის შესაძლებელი გახდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელშიც ხაზგასმული იქნება მათი განსაკუთრებული საჭიროებები.“<sup>318</sup> ადმინისტრაციამ უნდა შეაფასოს შშმ პატიმრებისათვის საგანმანათლებლო საშუალებებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობა სასწავლო კლასების მდებარეობის ან სწავლების მეთოდების შეცვლის საჭიროების მიზნით, იმისათვის, რომ შშმ პირებს მიეცეთ მათში მონაწილეობის შესაძლებლობა. სასწავლო მასალა უნდა შეესაბამებოდეს იმ პირებს, რომლებიც არიან სმენა- ან მხედველობა დაქვეითებულნი ან აქვთ შემეცნებითი პრობლემა. კომუნიკაციისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ადამიანური რესურსები, როგორცაა, მაგალითად, სურდოთარჯიმანი. „დანესებულებებმა უნდა გადაადგან დადებითი ნაბიჯები, რათა უზრუნველყონ შშმ პატიმართა მხრიდან საგანმანათლებლო სივრცეებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობა და გაითვალისწინონ მათი საკომუნიკაციო საჭიროებები.“<sup>319</sup>

ბიბლიოთეკა ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა პატიმრისთვის. თუ იგი ფიზიკურად მიუწვდომელია, ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს მომსახურების ალტერნატიული გზები.

სარეაბილიტაციო პროგრამებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უნდა დაეთმოს გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამებში შშმ პირთა მონაწილეობას. ასეთი შესაძლებლობების არქონამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაახანგრძლივოს პატიმრობის პერიოდი, რადგანაც გადანყვეტილების მიმღები ორგანოები ან/და პირები ყურადღებას მიაქცევენ იმ გარემოებას, რომ პირს არ აქვს გავლილი პროგრამები, რომლებმაც მათი გათავისუფლებისათვის

<sup>318</sup> იხ. Prison service Order, PSO 2855 - The Management of Prisoners with Physical disabilities, article 11, 3.3.1, Date of Initial Issue 20/12/99, Date of Update: 13/10/03.

<sup>319</sup> იქვე.

მზაობა უნდა აჩვენოს.<sup>320</sup>

შემდეგი და ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია დასაქმების პროგრამები და სამუშაო უნარების შესწავლა/გამომუშავება, სადაც შშმ პირების მიმართ არსებობს დისკრიმინაციული მიდგომა. შშმ პირებს სწორედ იმ მაჩვენებლით ეუბნებიან უარს, რომ მათ შეზღუდული აქვთ გარკვეული შესაძლებლობები, ან საერთოდ ვერ იღებენ მონაწილეობას ასეთ პროგრამებში, ან იმ პროგრამებში მონაწილეობენ, რომელთაც, მიუხედავად მათი სურვილისა, მათ ადმინისტრაცია აუარჩევს. „დანესებულებამ უნდა გადადგას გონივრული ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს შშმ პატიმრების ხელმისაწვდომობა დასაქმების ყველა არსებულ შესაძლებლობაზე.“<sup>321</sup> ხშირია შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაცია ცალმხრივად იღებს გადაწყვეტილებას, რომ ამა თუ იმ პატიმარს არ შეუძლია მუშაობა იმ მიზეზით, რომ არის შშმ პირი. „არ შეიძლება პატიმარს უარი ეთქვას დასაქმებაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.“<sup>322</sup> შშმ პატიმართა სახელმძღვანელოში განმარტებულია, რომ ციხეებში, სადაც შესაძლებელია, რომ პატიმრებმა იმუშაონ, შშმ პირები არ შეიძლება იმყოფებოდნენ სხვებისგან განსხვავებულ პირობებში, მათ უნდა ჰქონდეთ ამ შესაძლებლობაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა. თუ ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს, ადმინისტრაციამ უნდა განიხილოს მისი ან სხვა გონივრული ალტერნატიული საშუალებების დანერგვის შესაძლებლობა.

იმის გათვალისწინებით, რომ შშმ პატიმრები ხშირად არიან ეკონომიკურად პრობლემური ოჯახებიდან, ან მათ არ აქვთ კონტაქტი ოჯახებთან, ხოლო მათი საჭიროება ბევრად მეტია, ვიდრე სხვა,

---

<sup>320</sup> იხ. *Russell M. and Stewart J.*, Disablement, Prison and Historical Segregation, Monthly review, 15 July, 2001, <<https://monthlyreview.org/2001/07/01/disablement-prison-and-historical-segregation>>, [15.11.2019].

<sup>321</sup> იხ. Prison service Order, PSO 2855 - The Management of Prisoners with Physical disabilities, article 11, 3.3.2.

<sup>322</sup> იხ. Information book for prisoners with a disability, Offender Health and Prison Reform Trust 2009, Prison Reform Trust office (020 7251 5070 or PRT, Freepost, ND6125, London EC1B 1PN).

ჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფი, პატიმრებისა, დასაქმების პროგრამებში მათმა მონაწილეობამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. პირველ რიგში, უნდა აიკრძალოს შშმ პირებისათვის სამუშაოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ პირს აქვს შეზღუდული შესაძლებლობა. „თუ შესაფერისი სამუშაო არ არის თავისუფალი, დანესებულებამ უნდა განიხილოს სამუშაოს, ან ალტერნატივის სახით მიზნობრივი აქტივობის უზრუნველყოფა. ეს შეიძლება გულისხმობდეს სხვა, ტრადიციულისგან განსხვავებული ტიპის სამუშაოს.“<sup>323</sup>

მაღალი საჭიროებიდან გამომდინარე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სასჯელალსრულების სისტემაში უნდა შეიქმნას შშმ პატიმართა რეაბილიტაციის სისტემური და მდგრადი მიდგომები, რისთვისაც უნდა შემუშავდეს სარეაბილიტაციო პროგრამები ან მოხდეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეფექტიანად მოქმედი პროგრამების ადაპტირება. შშმ პირთათვის პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ პროგრამების დანერგვას, რომლებიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი სხვა პატიმრისათვის. იმ დანესებულებებში, რომლებშიც ასეთი პროგრამები არ არსებობს, პროგრამების დანერგვა უნდა იქნეს შეტანილი სისტემის განვითარების სტრატეგიაში.

სასჯელალსრულების სისტემამ, საერთო პროგრამების გარდა, უნდა შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი პროგრამები, რომლებიც მოიცავენ შშმ პირთა სასჯელის მოხდის სხვადასხვა ეტაპის რეგულირებას, მაგალითად:

- პირველადი პროგრამები დანესებულებაში ახლად მიღებული შშმ პატიმრებისათვის, რომლებიც მიმართული იქნება პირის სასჯელის მოხდის დანესებულებაში ადაპტირებისა და პენიტენციური სტრუქტურის დაძლევისკენ, რაც განსაკუთრებული სიმძაფრით ვლინდება შშმ პირებში;
- პროგრამები ეტლით მოსარგებლე და სხვა ფიზიკური შეზღუდულობის მქონე პირებისათვის, რომლებიც მოიცავენ მათ-

<sup>323</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 52.



ვის ისეთი უნარების განვითარებას, როგორცაა: თვითმოვლა, გადაადგილება ციხის ტერიტორიაზე, სივრცესთან შეგუება, პატიმრებთან და პერსონალთან შეგუება, მათთან კომუნიკაციის დამყარება.

- იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად შშმ პირები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან და მათთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა სათანადო განათლება, უნდა შემუშავდეს პროგრამები და ჩატარდეს ტრენინგები, როგორც ზოგადი და საშუალო განათლების ფარგლებში, ისე პიროვნული განვითარების, სტრესის მართვისა და კომუნიკაციის უნარებში. ამასთან, ყურადღება უნდა დაეთმოს იმ უნარებს, რომელიც მათ უკვე აქვთ და რომლებიც დაეხმარება მათ ახალი უნარების გამომუშავებაში გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში წარმატებული რეინტეგრაციისთვის.
- უნდა დაინერგოს უწყვეტი პროგრამის სტანდარტი, რათა პირს შეეძლოს მასში მონაწილეობის გაგრძელება პრობაციის დაქვემდებარებაში ყოფნისა და სასჯელიდან სრული გათავისუფლების შემდგომ.
- სასჯელალსრულების სისტემამ უნდა შექმნას საკოორდინაციო საბჭო შშმ პირთა პროგრამებში ჩართულობისა და მისი უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით. საბჭოში უნდა მონაწილეობდნენ სახელმწიფო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები და აკადემიური ინსტიტუტები, რომლებსაც აქვთ შშმ პირებთან მუშაობის გამოცდილება.

## თავი 18. სპეციალური გამოწვევები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის საჭიროებები

შეზღუდული შესაძლებლობა არის გარემოება, რომელიც პირს ციხეში ყოფნის დროს ანიჭებს მონყველადის სტატუსს, რის გამოც შშმ პირები დგანან მათი უფლებების დარღვევის მაღალი რისკის წინაშე როგორც ადმინისტრაციის, ასევე სხვა პატიმრების მხრიდან. თუმცა, გარდა ზოგიერთი ძირითადი პრობლემისა, რაც ყველა შშმ პირისათვის საერთოა, შშმ პატიმრებს აქვთ ასევე სპეციალური საჭიროებები, რომელიც დამოკიდებულია მათი შეზღუდვების ხასიათზე. „მათი დაუცველი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შშმ პატიმრები ადვილად ხდებიან სხვა პატიმრებისა და ციხის თანამშრომლების მხრიდან შეურაცხყოფისა და ძალადობის სამიზნე. მაგალითად, ციხის რეჟიმის თანამშრომლებმა შესაძლოა პატიმრებს ჩამოართვეან ეტლები, ყავარჯენები, ორთოპედიული კორსეტები, სმენის აპარატები, სათვალეები და წამლები.“<sup>324</sup>

იმ დაწესებულებებში, სადაც მომვლელის ინსტიტუტი არ არსებობს, ან მისი დანიშვნა დამოკიდებულია სტატუსის დადგენის ხანგრძლივ პროცედურაზე, შშმ პატიმრები დამოკიდებული არიან სხვა პატიმრების კეთილ ნებაზე, რომლებიც არ არიან ვალდებული დახმარება გაუწიონ ნებისმიერ სხვა პირს, მათ შორის, აიღონ პასუხისმგებლობა შშმ პირის მოვლაზე, რომელიც შესაძლებელია ძალიან მძიმე იყოს მისი შეზღუდულობის ხარისხიდან გამომდინარე. დიდია ალბათობა იმისა, რომ მოხდეს იმ პატიმრების უგულებელყოფა, რომელთაც სჭირდებათ დახმარება ყოველდღიურ აქტივობებში, როგორცაა: კვება, საპირფარეშოში გასვლა, ჩაცმა, ბანაობა და ა. შ. ამ უკანასკნელმა ასევე შესაძლებელია გამოიწვიოს უფრო მძიმე შედეგი - სხვა პატიმრების ინტერესებიდან გამომდინარე, გადაიყვანონ ისინი სამართლო საკანში, იზოლირებულად, რამაც შესაძლებელია თავისთავად გამოიწვიოს სავალალო შედეგი. ამ მიზეზით შშმ

<sup>324</sup> იხ. *Russell M. and Stewart J.*, *Disablement, Prison and Historical Segregation*, *Monthly review*, 15 July, 2001, <<https://monthlyreview.org/2001/07/01/disablement-prison-and-historical-segregation>>, [15.11.2019].

პატიმრების იზოლირების მაგალითებს ხშირად ვხვდებით პოსტსაბ-ჭოთა ქვეყნების პრაქტიკაში.

ზემოაღნიშნულ მდგომარეობაში შშმ პირის ჩაყენებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მისი უფლებების უხეში დარღვევა და მის დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ყოფნა. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, ისინი დამოკიდებული ხდებიან იმ პატიმრებზე, რომლებიც მას უვლიან და იძულებული არიან გადაუხადონ მათ ამის საფასური, თუ ამის რესურსი აქვთ. ასეთი რესურსის არქონის შემთხვევაში იძულებული არიან დახმარების სანაცვლოდ მოიქცნენ ისე, როგორც მომვლელი პირები უკარნახებენ, გააკეთონ ყველაფერი, რასაც ისინი მოსთხოვენ, მათ შორის, გამორიცხული არ არის სექსუალური ძალადობაც. მეორე მხრივ, ეს მდგომარეობა ხშირ შემთხვევაში იწვევს აშკარა დისკრიმინაციას, რადგანაც შშმ პატიმრები შესაძლოა დაექვემდებარონ ფსიქოლოგიურ შეურაცხყოფას, მაგალითად: სიტყვიერი შეურაცხყოფა, მასხრად აგდება და სხვ. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ამ შემთხვევაში ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობას, რომლებიც მათი დაუცველობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, შესაძლებელია გახდნენ მანიპულაციის, ძალადობის, სექსუალური შევიწროებისა და გაუპატიურების მსხვერპლნი,<sup>325</sup> ცალსახაა, რომ ეს რისკი განსაკუთრებით იზრდება შშმ ქალებისა და არასრულწლოვნების მიმართ რომელთა მონყვლადობა კიდევ უფრო იზრდება მათი მდგომარეობიდან გამომდინარე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების წინაშე მთელი ცხოვრების განმავლობაში დგას მაღალი რისკი, პირდაპირ ან ირიბად დაექვემდებარონ დისკრიმინაციას, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნების უმეტესობაში, კონსტიტუციით, დისკრიმინაცია დაუშვებელია, ბევრგან არსებობს ანტიდისკრიმინაციული კანონი და ა. შ. საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციული გარემო, რომელსაც შშმ პირები აწყდებიან, სრულიად არ მცირდება და შეიძლება ითქვას,

---

<sup>325</sup> იხ. Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, A/HRC/31/57, 5 January, 2016, paragraph 19. 6.

უფრო იზრდება კიდევ ციხის პირობებში. სტატიაში „შეზღუდული შესაძლებლობა, ციხეები და ისტორიული სეგრეგაცია“<sup>326</sup> განმარტებულია, თუ რა სფეროებში აწყდებიან შშმ პაციმრები დისკრიმინაციას ციხეებში, მაგალითად: სხვადასხვა მომსახურების ხელმისაწვდომობა, შინაგანაწესის დაცვა, ციხის აქტივობებში მონაწილეობა და სხვ. დისკრიმინაციული მიდგომები გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ არ არის გათვალისწინებული შშმ პირთა განსაკუთრებული საჭიროებები. სტატიაში მოყვანილია მაგალითები, როდესაც გადაადგილების შეზღუდვის მქონე პაციმრებს არქიტექტურული ბარიერების გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად შევიდნენ სასადილოში, ბიბლიოთეკაში, სანიტარიულ ოთახებში, სამუშაოზე, დასვენებისა და შეხვედრების ოთახში. შესაძლებელია რადიკალურად განსხვავებულ, მაგრამ უმნიშვნელოვანესი სირთულის წინაშე აღმოჩნდნენ მხედველობითი შეზღუდვის მქონე პაციმრები, რომლებიც დახმარების გარეშე ვერ გაეცნობიან საკუთარ წერილებს ან ციხის წესებსა და რეგულაციებს, თუ ის ბრაილის შრიფტით არ იქნება მიწოდებული მათთვის. ბოლოს კი სტატია ეხება უმნიშვნელოვანეს ეტაპს პაციმრების ცხოვრებაში, როდესაც მათ შესაძლებელია ვერ შეძლონ ინფორმაციის მოსმენა ვადაზე ადრე გათავისუფლების ან დისციპლინური ღონისძიების შესახებ, მაგალითად „სმენის ან მეტყველების შეზღუდვის მქონე პაციმრებს შესაძლოა უარი ეთქვას თარჯიმნის უზრუნველყოფაზე“.<sup>327</sup>

ზემოაღნიშნული თუ სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, სასჯელაღსრულების სისტემებმა უნდა გამოიყენონ სხვადასხვა საშუალება, რომ თავიდან იქნეს აცილებული დისკრიმინაციული მიდგომები, როგორცაა: ციხის ინფრასტრუქტურის მორგება შშმ პირების საჭიროებებზე (მაგალითად, შენობა-ნაგებობების ადაპტირება), პერსონალის მომზადება და სხვ., თუმცა ნებისმიერი მათგანი პრობლემის სრულად გადაჭრის გარანტიას მაინც ვერ იძლევა. ამდენად,

<sup>326</sup> იხ. *Russell M. and Stewart J.*, Disablement, Prison and Historical Segregation, Monthly review, 15 July, 2001, <<https://monthlyreview.org/2001/07/01/disablement-prison-and-historical-segregation>>, [15.11.2019].

<sup>327</sup> იქვე.

ბრძოლა ასეთი დისკრიმინაციული რისკების თავიდან ასაცილებლად უნდა იყოს უწყვეტი პროცესი. არსებობს სხვა მექანიზმებიც ასეთი გარანტიის უზრუნველსაყოფად. გარდა ციხის სისტემებისა, მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს გარე მონიტორინგის სისტემების არსებობას მსგავსი ტიპის დარღვევების გამოვლენისა თუ პრევენციის მიზნით. დამოუკიდებელმა მომხსენებელმა ადამიანის უფლებათა საკითხებში განმარტა, რომ დამოუკიდებელმა დამკვირვებლებმა (მაგ., ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები, ეროვნული ნამების სანინალმდეგო მექანიზმები, სამოქალაქო საზოგადოება) რეგულარულად უნდა განახორციელონ იმ ინსტიტუტების მონიტორინგი, რომლებშიც შესაძლოა იმყოფებოდნენ შშმ პირები, როგორცაა: ციხეები, სოციალური მომსახურების ცენტრები, ბავშვთა სახლები და ფსიქიატრიული დაწესებულებები.<sup>328</sup>

აღნიშნული მსჯელობა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ყველა პატიმრის და განსაკუთრებით შშმ პირთა დაცვა უნდა იყოს სასჯელალსრულების სისტემის უმთავრესი საქმიანობა. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასჯელალსრულების დაწესებულებებმა გადადგან კონკრეტული ნაბიჯები შშმ პირთა დაცვის უზრუნველსაყოფად.

შშმ პირთა სტიგმატიზაციის რისკისა და დისკრიმინაციული დამოკიდებულების თავიდან აცილების მიზნით უნდა იქნეს ამოღებული ისეთი ტერმინები, რომელთა გამოყენება შშმ პირების მიმართ, კონვენციით, დაუშვებელია.

არ უნდა იქნეს დაშვებული სხვა პატიმრების გამოყენება მომვლელებად ანაზღაურების გარეშე. პატიმრის მომვლელად აყვანა უნდა მოხდეს მხოლოდ ორივე მხარის სურვილით, რათა თავიდან იქნეს აცილებული შშმ პირის დამოკიდებულება პირზე, რომელსაც ამის ვალდებულება არ გააჩნია, რაც შშმ პირს აყენებს მისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მაღალი რისკს წინაშე.

<sup>328</sup> იხ. *Nowak M.*, Special Rapporteur of the Human Rights Council on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, Interim report on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, submitted in accordance with Assembly resolution 63/175, 2008, paragraph 75, 18.

დანესებულების ხელმძღვანელ პირთა სამუშაო აღწერილობაში უნდა მიეთითოს, რომ ისინი ვალდებული არიან სისტემატურად აწარმოონ შეხვედრები შშმ პირებთან რაიმე ტიპის საფრთხის, ძალადობის ან დისკრიმინაციული მიდგომის თავიდან აცილების მიზნით.

## თავი 19. მრავალმხრივი საჭიროებების მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრები

გარდა იმისა, რომ შშმ პატიმრები, თავიანთი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიეკუთვნებიან დაუცველ პირებს, რადგანაც მათი ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობები წინასწარ განსაზღვრავენ განსაკუთრებულ მონყვლადობას ისეთ სახიფათო და დახურულ გარემოში, როგორიცაა ციხე.<sup>329</sup> მათ შორის არსებობენ სხვა, განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრები, რომლებსაც სასჯელის მოხდის ადგილებში ენიჭებათ მრავალმხრივი საჭიროების მქონე პირთა სტატუსი.

მრავალმხრივი საჭიროების მქონე პირთა სტატუსის ცნებას ჩვენ არცერთი ქვეყნის კანონმდებლობაში არ ვხვდებით. თუმცა მრავალმხრივი საჭიროების მქონე შშმ პირთა კატეგორიებად შესაძლებელია განვიხილოთ ეროვნული, რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი უმცირესობები; უცხოელი პატიმრები; ქალები; არასრულწლოვნები; ლესბოსელი, ჰომოსექსუალი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პატიმრები,<sup>330</sup> რომლებიც ინტენსიური დისკრიმინაციის, სასტიკი მოპყრობის, სექსუალური და სხვა სახის ძალადობის განსაკუთრებულად მაღალი რისკის წინაშე დგანან ციხეში. იმისთვის, რომ შეფასდეს ამ კატეგორიის შშმ პატიმართა საჭიროებები და მათი დაკმაყოფილების გზები მთლიანობაში, მათი სპეციალური საჭიროებები განხილულ უნდა იქნეს შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ საჭიროებებთან ერთად.

---

<sup>329</sup> იხ. *Alejandro Forero Cuéllar, María Celeste Tortosa, Klaus Dreckmann, Dimitar Markov, Maria Doichinova*, A handbook on Vulnerable groups of prisoners (The compilation of this Handbook was coordinated by the research team of the Observatory on the Penal System and Human Rights of the University of Barcelona (Spain) and the Center for the Study of Democracy (Bulgaria) based on national reports elaborated by each country team), 2015, 55.

<sup>330</sup> მოცემულ ჯგუფს, როგორც სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა კატეგორიას განიხილავს გაერთიანებული ორგანიზაციის პუბლიკაცია - *Atabay T.*, Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009.

## 19.1 უცხოელი პატიმრები, ეთნიკური და რასობრივი უმცირესობები

საერთაშორისო ორგანიზაციები ციხეში განთავსებულ უცხოელ პატიმრებს შორის გამოყოფენ სამ ძირითად კატეგორიას: პირველი კატეგორია შედგება პირებისგან, რომლებიც მოგზაურობენ ერთი ქვეყნიდან მეორეში სპეციალური მიზნით, რომ ჩაიღინონ ისეთი დანაშაული, როგორცაა ნარკოტიკების კონტრაბანდა ან ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და სხვ. მეორე კატეგორიაში განიხილებიან პირები, რომლებიც ხანგრძლივად ცხოვრობენ უცხო ქვეყანაში ან რომლებიც შესაძლებელია იქ დაიბადნენ, მაგრამ მათ არ გააჩნიათ მოქალაქეობა სხვადასხვა მიზეზის გამო. მესამე კატეგორია ლეგალურად ცხოვრობს ქვეყანაში მოკლე პერიოდით (მაგალითად, დასაქმებული მიგრანტი). იკვეთება მეოთხე კატეგორიაც იმ ქვეყნებში, სადაც არალეგალური მიგრაცია ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად. ასეთი არალეგალური მიგრანტები შეიძლება დააპატიმრონ და განთავსონ იმ პატიმართა გვერდით, რომლებსაც ჩადენილი აქვთ საერთაშორისოდ აღიარებული სისხლის სამართლის დანაშაული.<sup>331</sup>

უცხოელი პატიმრებისათვის დამახასიათებელ დამატებითი საჭიროებების გამომწვევ ფაქტორებს შორის უპირველეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ ენობრივი ბარიერი, რომელიც არ აძლევს მათ საშუალებას, იქონიონ კონტაქტი ადმინისტრაციასთან ან სხვა პატიმრებთან. ხშირად ენობრივი ბარიერის გამო მათ არ აქვთ შესაძლებლობა ადმინისტრაციას მიაწოდონ ინფორმაცია მათი შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ და მოითხოვონ მათგან თავიანთი მდგომარეობის შესაბამისი მომსახურება.

განსაკუთრებით პრობლემურია შემთხვევა, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობა არ არის ამკარად გამოხატული და ადმინისტრაციას არ აქვს მისი დანახვის საშუალება. ასეთ შემთხვევაში სტატუსის დადგენამდე პირს უნევს ამტკიცოს მისი მდგომარეობა,

<sup>331</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 81.



რისი საშუალებაც მას მოცემულ მომენტში არ გააჩნია ენობრივი ბარიერის გამო. პრობლემა უფრო მძაფრად ვლინდება იმ სისტემებში, სადაც არ არის განვითარებული თარჯიმნის ინსტიტუტი ან უფრო მეტიც, როდესაც უცხოელი საუბრობს ენაზე, რომელიც მოცემულ ქვეყანაში არ არის ფართოდ გავრცელებული. ეს საჭიროებები შეიძლება იყოს ეთნიკური და რასობრივი უმცირესობების მსგავსი, მაგრამ რიგი მათგანი დამახასიათებელია სპეციფიკური სიტუაციისათვის.

რაც შეეხება ეთნიკურ და რასობრივ უმცირესობას, ენობრივი ბარიერი მათთვის ისე მძაფრი არ უნდა იყოს, რადგანაც მოცემულ ქვეყანაში ხანგრძლივი ცხოვრების გამო მათ შესაძლებელია იცოდნენ ან ესმოდეთ მანაც სახელმწიფო ენა. თუმცა მათი დამატებითი საჭიროებები შესაძლებელია უკავშირდებოდეს კულტურას, ტრადიციას, რელიგიასა და ეროვნებას, რომელთა დაკმაყოფილება ციხის სისტემებს ხშირ შემთხვევაში არ შეუძლიათ.

მაგალითად, ენობრივი ბარიერი ხდება დარღვევის ძირითადი მიზეზი, როდესაც შშმ პატიმრები, იმისათვის რომ მიიღონ სათანადო მომსახურება, შეხვდნენ ციხის დირექტორს ან ექიმს, ვალდებული არიან წარადგინონ წერილობითი მოთხოვნა, რაც მათ ან ეროვნულმა და ეთნიკურმა უმცირესობებმა შეიძლება ვერ შეძლონ დახმარების გარეშე, სახელმწიფო ენის არცოდნის ან შესაბამისი განათლების არქონის გამო. თუ ექიმის ან ფსიქოლოგის დახმარება ხელმისაწვდომია უცხოელი პატიმრებისთვის, ისინი დამოკიდებული არიან თარჯიმანზე, რომლის მომსახურებაც ხშირ შემთხვევაში არ არის ხელმისაწვდომი. თუ ადმინისტრაცია ან თვითონ პატიმრები მიმართავენ სხვა პატიმრებს დახმარებისთვის (თუ ამის შესაძლებლობა არსებობს), ირღვევა ის კონფიდენციალურობა, რომელიც აუცილებელია სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების განვიც-სას.<sup>332</sup>

---

<sup>332</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 59-60.

ენობრივ ბარიერს შესაძლებელია უკავშირდებოდეს დისციპლინური ღონისძიების გამოყენება და დარღვევები მოცემულ შემთხვევაში. „მაგალითად, შესაძლებელია ციხეში არ იყოს ციხის რეგულაციები და წესები მათთვის გასაგებ ენაზე, მათ შესაძლებელია არ შეეთავაზოთ შესაბამისი თარგმანი დისციპლინური განხილვის დროს“.<sup>333</sup> ამდენად, ასეთი ჯგუფის შშმ პატიმარმა შესაძლებელია საერთოდ არ იცოდეს, რომ ის ქმედება, რომელიც მან ჩაიდინა, იყო დისციპლინური გადაცდომა, მეორე მხრივ, მას არ ეძლევა შესაძლებლობა დაიცვას საკუთარი თავი საკითხის განხილვის დროს და წარადგინოს გამამართლებელი არგუმენტები თავისი თავის სასარგებლოდ.

ექსპერტთა განმარტებით რისკები, რომლებიც ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა შეიძლება გამოწვიოს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია დისკრიმინაციულ მიდგომებთან, როგორცაა განსხვავებული კულტურისა და რელიგიის გაუთვალისწინებლობა, რა შემთხვევაშიც უცხოელი პატიმრები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან ციხის თანამშრომლებისა და სხვა პატიმრების მხრიდან. დისკრიმინაციულ მიდგომას განაპირობებს ასევე შემონმების, განსახლებისა და დისციპლინური სანქციების გამოყენების დროს უცხოელი პატიმრების კულტურული და რელიგიური საჭიროებების გაუთვალისწინებლობა.<sup>334</sup> ქართულ პრაქტიკაში ასეთი დისკრიმინაციული მიდგომა შეიძლება გამოიხატოს კვების რაციონის გაუთვალისწინებლობაში, რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის არქონაში და სხვა.

---

<sup>333</sup> იხ. *Atabay T.*, Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 69.

<sup>334</sup> იხ. *Alejandro Forero Cuéllar, María Celeste Tortosa, Klaus Dreckmann, Dimitar Markov, Maria Doichinova*, A handbook on Vulnerable groups of prisoners (The compilation of this Handbook was coordinated by the research team of the Observatory on the Penal System and Human Rights of the University of Barcelona (Spain) and the Center for the Study of Democracy (Bulgaria) based on national reports elaborated by each country team), 2015, 14.

დისკრიმინაციული მიდგომა ასეთი პირების მიმართ შესაძლებელია მრავალმხრივ გამოიხატოს. ერთ-ერთი მათგანია განთავსება: იზოლაცია სხვა პატიმრებისაგან, როდესაც ზემოაღნიშნულ პატიმრებს ათავსებენ ცალკე, იზოლირებულად მათი ენობრივი ბარიერის ან/და რელიგიური კუთვნილების შესაბამისად და ადმინისტრაცია ამას განმარტავს, როგორც უსაფრთხოების ზომას და არ ხდება იმის გათვალისწინება, რომ აღნიშნულ პირებს უნევთ ჩაკეტილ გარემოში ყოფნა ელემენტარული ყოველდღიური კომუნიკაციის გარეშე. „*უცხოელი პატიმრები, რომლებიც არ ცხოვრობენ პატიმრობის ქვეყანაში, როგორც წესი, მონყვეტილი არიან თავიანთ ოჯახებს და საზოგადოებას, შესაბამისად, იმ კონტაქტსა და დახმარებას, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პატიმრობით გამონვეული სტრესის შემცირებისა და სოციალური რეინტეგრაციისთვის.*“<sup>335</sup>

როგორც საქართველოს კანონმდებლობა,<sup>336</sup> ისე მრავალი სხვა ქვეყნის ციხის რეგულაციები უცხოელ პატიმრებს აძლევს უფლებას, კონტაქტი ჰქონდეთ საკუთარ დიპლომატიურ წარმომადგენლებთან, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მათ ამის შესახებ არ იციან და ეს უფლება ჩამორთმეული აქვთ, რადგანაც ან არ მიუწვდებათ

<sup>335</sup> იხ. *Atabay T., Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 2.2, 90.*

<sup>336</sup> „ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, უფლება აქვს შეუზღუდავად შეხვდეს თავისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის დანესებულების ან საკონსულოს წარმომადგენელს ან იმ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომელიც საქართველოში ითავსებს მისი ქვეყნის ინტერესების დაცვას. უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს უფლება აქვთ ჰქონდეთ ურთიერთობები თავიანთი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და საკონსულო დანესებულებებთან. იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დანესებულებები არ აქვთ, უფლება აქვთ ჰქონდეთ ურთიერთობები იმ სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და საკონსულო დანესებულებებთან, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს მათი ინტერესების დაცვა, ან სახელმწიფოთაშორის ორგანოებთან, რომლებიც ამ პირთა ინტერესებს იცავენ,“ საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსი, მუხლი 14, 17, 24/03/2010.

ხელი ამ რეგულაციებზე ან მათ ეს უფლება არ განუმარტეს ენის არცოდნის ან სათანადო განათლების არქონის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პენიტენციურ სისტემაში უცხოელ პატიმრებთან მუშაობა მეტნაკლებად დარეგულირებულია, რადგანაც სამინისტროს მიერ სხვადასხვა სათარჯიმნო სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში ნებსმიერი პირი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სათანადო დახმარებით. მიუხედავად აღნიშნულისა საკითხი გადაჭრილად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც სამინისტრომდე მოთხოვნის გაგზავნასა და მის ადგილამდე მიღწევას დრო სჭირდება, რაც, თავისთავად, სირთულეს წარმოადგენს, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ უცხოელ პატიმართა რაოდენობას და იმ ქვეყნების რაოდენობას, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. ცხადია, რომ ვერცერთ სისტემას ვერ ეყოლება პერსონალი, რომელიც ამდენ ენას ფლობს. სიტუაციას ართულებს როგორც ენობრივი მრავალმხრივი საჭიროებები, ისე ეროვნული, რელიგიური, კულტურული და სხვა მათთან დაკავშირებული თავისებურებები.

უცხოელ პატიმართა სტატისტიკა და მისი თანაფარდობა საერთო რაოდენობასთან საქართველოს პენიტენციური სისტემის 2019 წლის 31 სექტემბრის მონაცემების მიხედვით: <sup>1</sup>	
პატიმართა საერთო რაოდენობა	9,869
უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთო რაოდენობა	701
არასრულწლოვანი	0
ქალი	86

უცხოელ პატიმართა სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით:<sup>337</sup>

აზერბაიჯანი - 108, ავღანეთი - 1, ავსტრალია - 1, არგენტინა

<sup>337</sup> იხ. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, საანგარიშო პერიოდი – სექტემბერი, 2019, 118-120.

- 1, აშშ - 5, ბანგლადეში -3, ბელარუსი - 1, ბულგარეთი - 1, ბრაზილია - 3, გერმანია - 3, ეკვადორი -1, ეგვიპტე - 4, ერაყი - 9, ესტონეთი - 1, თურქეთი - 136, თურქმენეთი - 2, ირლანდია - 1, ისრაელი - 7, ინდოეთი - 15, იორდანია - 5, ირანი - 158, კოლუმბია - 1, კამერუნი - 2, კვიპროსი -1, კორეა - 1, ლიბანი -1, მაროკო - 4, მექსიკა - 1, მოლდოვა - 2, ნიგერია - 9, ნიდერლანდების სამეფო - 1, პაკისტანი - 2, პალესტინა - 1, პოლონეთი - 1, პორტუგალია - 1, რუსეთი - 98, საბერძნეთი - 4, სამხრეთ აფრიკა - 7, საფრანგეთი - 1, სირია - 1, საუდის არაბეთი - 1, სომხეთი - 35, ტაჯიკეთი - 1, უგანდა - 1, უზბეკეთი - 8, უკრაინა - 36, ფინეთი - 1, ყაზახეთი - 6, ყირგიზეთი - 2, ჩინეთი - 1, მოქალაქეობის არმქონე - 8.

განთავსებასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული მიდგომა შეიძლება გამოიხატოს საცხოვრებლის ხარისხით. გარკვეული ეთნიკური ჯგუფების არაოფიციალური შერჩევითობით და მათი ნაკლებად ხელსაყრელი პირობების მქონე ოთახებში ან საკნებში განთავსებით. ხშირად ეთნიკურ უმცირესობებს ან უცხოელებს ათავსებენ ერთ საკანში იმ მიზეზით, რომ მათ შეუძლიათ ეკონტაქტონ ერთმანეთს, თუმცა ციხის ადმინისტრაცია ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებს მათი შეზღუდული შესაძლებლობების ხარისხს და საკანში არსებული გარემოს შესატყვისობას, პატიმრის სურვილს, საკნის საყოფაცხოვრებო პირობების შესაბამისობას პირის შეზღუდულ შესაძლებლობებთან და ა. შ. „განათლების, ჯანდაცვისა და ციხის პროგრამების ხელმისაწვდომობა შეიძლება დამოკიდებული იყოს მათ ეთნიკურ და რასობრივ კუთვნილებაზე, რამაც შეიძლება გამანადგურებელი გავლენა იქონიოს აღნიშნული ჯგუფების სოციალური რეინტეგრაციის საჭიროებებზე, რაც ზრდის განმეორებითი დანაშაულის რისკს.“<sup>338</sup>

ზემოაღნიშნული გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მოცემული კატეგორიის შშმ პატიმრებს შესაძლებელია ასევე არ შეს-

---

<sup>338</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, Chapter 4, 68.

თავაზონ განათლების, დასაქმების ან სხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა იმ მიზეზით, რომ ისინი არიან შშმ პირები ან არიან უცხოელები, ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და ადმინისტრაციას არ აქვს მათთვის შესატყვისი პროგრამები. შესაძლებელია აღნიშნულ ჯგუფებს შესთავაზონ ნაკლებად მიმზიდველი სამუშაო ან პროგრამები, რომლებშიც პირები იძულებული იქნებიან მიიღონ მონაწილეობა სხვა ალტერნატიული ვარიანტების არარსებობის გამო.

ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული, ასევე უცხოელი შშმ პატიმრები შეიძლება პრობლემის წინაშე დადგნენ რელიგიური მიკუთვნებულობის გამო, რადგანაც შესაძლებელია მათ ურთიერთგანსხვავებული სულიერი მოთხოვნილებები ჰქონდეთ, რომლის უზრუნველყოფა ციხის ადმინისტრაციამ არ ან ვერ შეძლოს.

სპეციალური კატეგორიის პატიმართა სახელმძღვანელოს მიხედვით, უცხოელი პატიმრები და ეროვნული თუ ეთნიკური უმცირესობები, სავარაუდოდ, არ იქნებიან სათანადოდ მომზადებული გათავისუფლებისათვის ენობრივი ბარიერის გამო,<sup>339</sup> იმის გათვალისწინებით, რომ მათ ხშირად ხელი არ მიუწვდებათ სოციალურ უზრუნველყოფასა და პრობაციაზე. ამავე სახელმძღვანელოს განმარტებით, თუ უცხოელი პატიმრები უნდა იყვნენ დეპორტირებული, ისინი ხშირად არ არიან შერჩეული გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. მათ, ვინც არიან დეპორტირებული, ხშირად ცოტა დრო ეძლევათ მოემზადონ და მიაწოდონ ინფორმაცია ნათესავებს თავიანთ ქვეყანაში. როგორც ნესი, არ ხორციელდება თანამშრომლობა პატიმრობისა და მშობლიური ქვეყნის მთავრობებს შორის გათავისუფლების შემდგომ დახმარების მიზნით.

საქართველო მიერთებულია საერთაშორისო კონვენციას

---

<sup>339</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, Chapter 4, 85.

უცხოელ პატიმართა ექსტრადიციის შესახებ, რაც გამყარებულია ეროვნული კანონმდებლობით. ამდენად, უცხოელი პატიმარი, თუ მას ამის სურვილი აქვს, შესაძლებელია პატიმრობის მოსახდელად გადაყვანილ იქნეს მშობლიურ ქვეყანაში. პატიმრის ექსტრადიცია შესაძლებელია მაშინ, როცა ორივე ქვეყანას აქვს ხელმოწერილი შესაბამისი ხელშეკრულება. იმისათვის, რომ ექსტრადიცია განხორციელდეს და ის მოემსახუროს პატიმართა საზოგადოებაში ეფექტიანი დაბრუნებისა და სოციალური რეინტეგრაციის მიზანს, პატიმარმა უნდა გამოთქვას დარჩენილი სასჯელის თავის სამშობლოში მოხდის სურვილი.<sup>340</sup> ექსტრადიციის გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენს ორმაგი გასამართლების რისკი. მიმღებ სახელმწიფოს არა აქვს უფლება დაამძიმოს ან გაახანგრძლივოს სასჯელი, თუმცა მას შეუძლია შეამციროს რამე ფორმით დადებული სასჯელი.

ექსტრადიცია აშკარად ამსუბუქებს ყველა დამატებით სირთულეს, რომლებიც უცხოელ პატიმრებს ხვდებათ ციხეში და ხელს უწყობს მათ სოციალურ რეინტეგრაციას. თუმცა ხელშეკრულება არ ითვალისწინებს შშმ პირთა საჭიროებებს და იმის შესწავლას, თუ რამდენად შეუძლია მიმღებ მხარეს უზრუნველყოს მისი შეზღუდული შესაძლებლობები.

## 19.2 ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი (LGBT) პატიმრები

LGBT პატიმრები ბევრ ქვეყანაში და მათ შორის, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სტატუსიდან გამომდინარე მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან. რადგანაც ციხეებში, სტერეოტიპები ხშირად უფრო ძლიერია, ვიდრე გარე სამყაროში, ამდენად LGBT პატიმრები განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფად რჩებიან რამდენიმე ასპექტში.<sup>341</sup>

<sup>340</sup> იხ. Council of Europe Convention on Transfer of Sentenced Persons (1983); General considerations.

<sup>341</sup> იხ. *Alejandro Forero Cuéllar, María Celeste Tortosa, Klaus Dreckmann, Dimitar Markov, Maria Doichinova, A handbook on Vulnerable groups of prisoners (The*

უპირველეს ყოვლისა, მათ აქვთ უმაღლესი დაცვის საჭიროებები, რომელ რისკსაც კიდევ უფრო ზრდის თანდართული შეზღუდული შესაძლებლობა. ამდენად, ამ კატეგორიის პატიმრებთან მიმართებით უმთავრესი ამოცანაა როგორც შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული მათი საჭიროებების დაკმაყოფილება, ისე მათი დაცვა სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურებისაგან როგორც სხვა პატიმრების, ასევე ზოგ შემთხვევაში ციხის პერსონალისგანაც.

Human Rights Watch-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქალები და გოგონები ხდებიან ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევის მსხვერპლები ციხეში. ხშირად ეს ძალადობა უკავშირდება მათ სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობასა და შეზღუდულ შესაძლებლობებს. კვლევამ აჩვენა, რომ ქალები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ სექსუალურ ძალადობას ციხეში, ხშირ შემთხვევაში იყვნენ ბისექსუალი ან ლესბოსელები.<sup>342</sup>

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ციხეების გამოცდილებიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ ციხეში ჰომოსექსუალი პატიმრები და ასევე ისინი, რომლებიც გახდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი და ითვლებიან „ჰომოსექსუალებად“, მიჩნეული არიან ყველაზე დაბალ ფენად ციხის იერარქიაში, როგორც პატიმრების, ისე პერსონალის მხრიდან.

ძალადობა არ გულისხმობს მხოლოდ სექსუალურ ურთიერთობას. ის მოიცავს ასევე იძულებით მორჩილებას, როდესაც აღნიშნული კატეგორიის პატიმრებს იმსახურებენ სხვა პატიმრები და ისინი იძულებული არიან შეასრულონ ყველაზე დამამცირებელი სამუშაო, პატიმრების ან/და ადმინისტრაციის დავალებით. თუ აღნიშნულ

---

compilation of this Handbook was coordinated by the research team of the Observatory on the Penal System and Human Rights of the University of Barcelona (Spain) and the Center for the Study of Democracy (Bulgaria) based on national reports elaborated by each country team), 2015, 31.

<sup>342</sup> იხ. Women and Girls Deprived of Liberty, Human Rights Watch Submission to the UN Working Group on Discrimination Against Women in Law and Practice, 2018, <<https://www.hrw.org/news/2018/10/01/human-rights-watch-submission-un-working-group-discrimination-against-women-law-and>>, [20.11.2019].



კატეგორიას მიკუთვნებულ შშმ პატიმარს არ შესწევს უნარი, შეასრულოს სამუშაო, შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე, ის ექცევა სრულ იზოლაციაში. „მაგალითად, აშშ-ში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პატიმარი მამაკაცების დაახლოებით მეხუთედი, ანუ 18,5%, რომლებიც იდენტიფიცირებული იყვნენ როგორც ჰომოსექსუალები და 9,8%, რომლებიც იდენტიფიცირებული იყვნენ როგორც ბისექსუალი ან „სხვა ორიენტაციისა“, განაცხადეს, რომ განიცდიდნენ სექსუალურ ძალადობას, ჰეტეროსექსუალ პატიმრებთან შედარებით, რომელიც იყო 2,7%.“<sup>343</sup>

ცხადია, რომ ამ ტიპის ძალადობა ხშირად შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პერსონალის ხელშეწყობით ან მათი მდუმარე თანხმობით, მაგალითად, სხვადასხვა კვლევები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია ციხის თანამშრომლები ქრთამის სანაცვლოდ ხელს უწყობდნენ სექსუალურ ძალადობას. არის შემთხვევები, როდესაც ციხის თანამშრომლები სცემენ LGBT პატიმრებს ან აძლევენ მათ უფლებას, სცემონ ან გააუპატიურონ სხვა პატიმრები. ასევე, თანამშრომლები მათ ათავსებენ იმ საკნებში, რომლებშიც ცნობილია, რომ იმყოფებიან მოძალადეები.<sup>344</sup>

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა არის სტიგმატიზაცია. აღნიშნული კატეგორიის შშმ პატიმარს სხვა პატიმრებმა ან ციხის თანამშრომლებმა შესაძლოა მიაკუთვნონ ქალის სახელი. ზოგიერთი ქვეყნის ციხეში მათთვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს სპეციალური იარღილი ან ნიშანი ციხის საქალაქებზე, სამედიცინო საქალაქებზე, ტანსაცმელზე, სასადილო მაგიდაზე, საკანზე ან სამკერდე ნიშანზე. შესაძლებელია ისინი მუდმივად იმყოფებოდნენ ცალკე სადგომში და

---

<sup>343</sup> იხ. National Prison Rape Elimination Commission Report, June 2009, 57 (The National Prison Rape Elimination Commission (NPREC) was established when President signed the Prison Rape Elimination Act of 2003 (PREA) on September 4 2003. The NPREC has authorization to conduct a broad based study of prison rape in the United States).

<sup>344</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 114.

საკვებს იღებდნენ ცალკე მაგიდაზე.<sup>345</sup>

### **19.2.1 ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი (LGBT) პატიმრების განაწილება, განსახლება და პროგრამები**

LGBT პატიმრების განთავსება შესაძლებელია იყოს ძირითადი ფაქტორი იმისა, რომ ისინი აღმოჩნდნენ დაუცველ სიტუაციაში.<sup>346</sup> ციხეების სისტემაში ხშირ შემთხვევაში მიღებულია პრაქტიკა, რომ LGBT პატიმრები შეიძლება განთავსდნენ იზოლირებულად, ყველაზე უარეს საცხოვრებელ პირობებში. განსაკუთრებით ეს ეხება იმ ციხეებს, რომლებშიც არის გადატვირთულობა. ციხეებში, რომლებშიც არ არის შესაბამისი კლასიფიკაციის სისტემა, LGBT პირები შეიძლება განთავსდნენ საერთო საცხოვრებლებში ან საკენებში, რომლებშიც იმყოფებიან მოძალადე პატიმრები, სექსუალური ძალადობის ჩათვლით, იმის მიუხედავად, რომ გაურკვეველია თუ რამდენად შეიძლება დაექვემდებარონ მოცემული შშმ პირები ძალადობას მოცემული პატიმრებისაგან.

პრობლემურია ტრანსგენდერი პატიმრების განთავსება, რომლებიც თავსდებიან დანესებულებებში დაბადების სქესის მიხედვით. ეს გზას უხსნის მათზე სექსუალურ ძალადობას. საქართველოს პრაქტიკაში რაიმე სახის სასჯელის დაგეგმვა, რაც აღნიშნულ პირებს ძალადობისაგან დაიცავდა, არ არსებობს. LGBT პატიმრები შეიძლება დაექვემდებარონ დისკრიმინაციას ციხის აქტივობებში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში, რისი უფლებაც მათ არ ეძლევათ ძალადობისაგან დაცვის მოტივით.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც LGBT პატიმრებს უკავშირდ-

<sup>345</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 114.

<sup>346</sup> იხ. *Alejandro Forero Cuéllar, María Celeste Tortosa, Klaus Dreckmann, Dimitar Markov, Maria Doichinova*, A handbook on Vulnerable groups of prisoners (The compilation of this Handbook was coordinated by the research team of the Observatory on the Penal System and Human Rights of the University of Barcelona (Spain) and the Center for the Study of Democracy (Bulgaria) based on national reports elaborated by each country team), 2015, 31.

ება, არის გასაჩივრების პროცედურები, ბევრ ციხის სისტემაში სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების შესახებ საჩივრები, განსაკუთრებით, თუ ეს უკავშირდება ძალადობას ციხის თანამშრომლების მხრიდან. როგორც წესი, ასეთი საჩივრები არ განიხილება ან მათზე რეაგირება მინიმალურია ადმინისტრაციის მხრიდან. ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით მძაფრდება იმ შემთხვევაში, როცა ასეთ განცხადებას აკეთებენ LGBT შშმ პატიმრები. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც გეი პატიმრის მიერ გაუპატიურებასთან დაკავშირებული საჩივრის შეტანის შემთხვევაში ადმინისტრაცია განმარტავს, რომ სექსუალური კავშირი მოხდა შეთანხმებით ან პროვოცირებული იყო გეი პატიმრის მიერ. გარდა საჩივრის განხილვისა, პირის გაუპატიურებას უკავშირდება სხვა მრავალი პრობლემა და პირის სტიგმატიზება, მაგალითად, „იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჩივარი იქნა მიღებული, პატიმარი განცალკევდა მოძალადისგან და მოძალადე დაისაჯა, გაუპატიურებული პირის სტიგმა მაინც რჩება და ეს ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება ციხეში. მსხვერპლი კვლავ რჩება ძალადობის მაღალი რისკის წინაშე თუ ის არ იქნება სათანადოდ დაცული.“<sup>347</sup>

გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში LGBT შშმ პატიმრებს წარმოექმნებათ განსაკუთრებული საჭიროება გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამებში მონაწილეობისას, პირველი, იმ მიზეზით, რომ სხვა პატიმრებს არ სურთ მათთან ერთად პროგრამაში მონაწილეობა, მეორე მიზეზი შეიძლება იყოს მათი შეზღუდული შესაძლებლობა. ამდენად, მათ ექმნებათ განცდა, რომ არ აქვთ გათავისუფლების შემდგომი მხარდაჭერა. ასევე, ხშირ შემთხვევაში LGBT შშმ პატიმრები განიცდიან ოჯახთან კონტაქტის დაკარგვას, რაც აძლიერებს შესაძლო ტრავმას ციხეში და ასეთი ჯგუფისათვის სათანადო დახმარების მექანიზმების არარსებობას საზოგადოებაში.

იმ ქვეყნებში, რომლებშიც პრობაციის სამსახური ეფექტი-

---

<sup>347</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 2.1, 105.

ანად მუშაობს, ამ უკანასკნელს შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა აღნიშნულ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციაზე. ასეთი სამსახურის არარსებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სოციალურ სამსახურს, რათა თავიდან იქნეს აცილებული LGBT შშმ პირების დისკრიმინაცია საზოგადოებაში საცხოვრებლის ან/და სამუშაოს მოძიების დროს.

### 19.3 ხანდაზმული პატიმრები

ხანდაზმული პატიმრები თავისთავად მონყვლადი ჯგუფია, ასაკიდან გამომდინარე, რამდენადაც ისინი, როგორც თავისუფალ საზოგადოებაში, ისე, შესაბამისად, სასჯელალსრულების სისტემაში, საჭიროებენ განსაკუთრებულ მოვლას, განთავსების პირობებს, სამედიცინო მომსახურებასა და პროგრამებს, რომლებიც მათ ასაკობრივ თავისებურებებს შეესატყვისება. დახურულ ინსტიტუციებში არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით კი კიდევ უფრო მაღალია ხანდაზმული შშმ პატიმრების მონყვლადობა და მათი საჭიროებანიც მეტია.

კვლევები განიხილავენ ხანდაზმული პატიმრების სამ კატეგორიას:<sup>348</sup>

ა. „პირველი ჯგუფი, რომელსაც ახალგაზრდობაში მიესაჯა ხანგრძლივი სასჯელი და ხანდაზმული გახდა ციხეში.“ მათი უმეტესობა ხშირად პირველად ნასამართლევა ძალადობრივი დანაშაულისათვის. თუმცა აქვე ყურადსაღებია ის თავისებურება, რომ, დანაშაულის სიმძიმედან გამომდინარე, ისინი ხანგრძლივი პერიოდით იმყოფებიან ციხეში, საზოგადებისა და ოჯახისაგან იზოლირებულად, აქვთ ხანმოკლე სამუშაო ისტორია, დაკარგული აქვთ საზოგადოებრივი კავშირები, რის გამოც ექმნებათ პრობლემა სოციალურ რეინტეგრაციისას გათავისუფლების შემდეგ.

ბ. მეორე ჯგუფი შედგება დამნაშავეებისაგან, რომლებიც ციხე-

<sup>348</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 2.1, 134.

ში ხვდებოდნენ პერიოდულად მთელი ცხოვრების განმავლობაში. ეს არის კატეგორია, რომელიც შედარებით კარგად არის ადაპტირებული ციხის გარემოსთან, თუმცა ასეთი შშმ პირები შეიძლება იყვნენ ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემებით, დამოკიდებული იყვნენ ფსიქოტროპულ საშუალებებზე და სხვ. ასეთი კატეგორიის ხანდაზმული შშმ პაციენტები კარგად იცნობენ ციხის გარემოს, იციან, რა უნდა მოითხოვონ ციხის ადმინისტრაციისაგან და როგორ მიიღონ დახმარება მათგან. თუმცა მათთვის შეიძლება პრობლემური იყოს ციხეში განთავსება მათი წარსული ნასამართლობისა და სასჯელის მოხდის დროს წარმოჩენილი სირთულეების გამო.

გ. მესამე ჯგუფს წარმოადგენენ პირები, რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ დანაშაულის ჩადენის გამო ხანდაზმულობისას. ასეთ პირებს უმეტეს შემთხვევაში ჩადენილი აქვთ მძიმე დანაშაული. ამ ჯგუფს განსაკუთრებულად უჭირს ციხის პირობებთან ადაპტირება მათი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის გამო. ისინი არიან პირები, რომლებსაც მთელი ცხოვრება, ხანდაზმულობამდე, სტაბილურად ჰქონდათ ოჯახისა თუ სახელმწიფო სამსახურების მხარდაჭერა და არ იყვნენ შერჩეული დამოუკიდებლად იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც მათ შეზღუდულ შესაძლებლობებს უკავშირდებოდა. ასეთი ადამიანები, დაუცველობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, შეიძლება იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც ხანდაზმულ პატიმრებს უკავშირდება, არის შესატყვისი საცხოვრებლის შერჩევა. მათი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ უჭირთ კიბეებზე ასვლა, სანიტარიულ ობიექტებთან დამოუკიდებლად მისვლა, შეუსაბამო სიცხე ან სიცივე, სხვადასხვა არქიტექტურული თავისებურებები,<sup>349</sup> რამაც

---

<sup>349</sup> იხ. *Alejandro Forero Cuéllar, María Celeste Tortosa, Klaus Dreckmann, Dimitar Markov, Maria Doichinova*, A handbook on Vulnerable groups of prisoners (The compilation of this Handbook was coordinated by the research team of the Observatory on the Penal System and Human Rights of the University of Barcelona (Spain) and the Center for the Study of Democracy (Bulgaria) based on national reports elaborated by each country team), 2015, 49.

შეიძლება იქამდე მიიყვანოს სიტუაცია, რომ თანამოსაკნე პატიმრებმა მოითხოვონ მისი სხვა საკანში გადაყვანა. თუ ციხის გადატვირთულობის გამო ეს შეუძლებელი აღმოჩნდება, დიდი ალბათობით შეიძლება პატიმარი გახდეს ძალადობის მსხვერპლი. შესაძლებელია მათზე უარყოფითად მოქმედებდეს გადაჭარბებული სითბო ან სიცივე, ასევე სხვა არქიტექტურული ხარვეზები, რაც ხელს უშლის შუშ პირებს, დაიკმაყოფილონ თავიანთი საბაზისო მოთხოვნილებები. „ზოგი ქვეყნის სისტემაში, მაგალითად, როგორცაა აშშ, ხანდაზმული პატიმრები განთავსებული არიან ცალკე, დაცულ ობიექტებზე (სპეციალური დანაყოფი), სადაც მათ საშუალება აქვთ დაიკმაყოფილონ თავიანთი საჭიროებები და მიიღონ სპეციალური მომსახურება.“<sup>350</sup>

საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსი, არა დეტალურად, მაგრამ მაინც განსაზღვრავს შუშ და ხანდაზმული პატიმრებისათვის შესაბამისი საცხოვრებელი უზრუნველყოფას (მუხლი 15, ნაწილი 5). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხანდაზმულ პატიმართა სტატისტიკა საქართველოს ციხეებში არცთუ ისე მცირეა და მათთვის ადეკვატური პირობების შექმნა მეტ ძალისხმევას მოითხოვს.

ხანდაზმულ პატიმართა სტატისტიკა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში 2019 წლის სექტემბრის მონაცემებით: <sup>2</sup>	
პატიმართა საერთო რაოდენობა	10 042
60 დან 64 წლამდე	197
65 დან 69 წლამდე	85
70 წელზე ზევით	50

სპეციალურ საცხოვრებელში განთავსებას შესაძლებელია ჰქონდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. კერძოდ, დადებითად შეიძლება განვიხილოთ სხვა ახალგაზრდა, ჯანმრთე-

<sup>350</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 127.

ლი პატიმრების ძალადობისაგან მათი დაცვა. ასეთი იზოლირება შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ დაწესებულების ადმინისტრაციამ შეიმუშაოს სპეციალური პროგრამები ხანდაზმული პატიმრებისათვის, პერსონალისა და რესურსების გამოყენებით. შემდეგი ფაქტორი შეიძლება იყოს: ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის დადებითი ატმოსფეროს შექმნა, რაც ხელს უწყობს ერთი ასაკის პატიმართა თვითიდენტიფიკაციის გააზრებას და სოციალურ ურთიერთობებს, ასევე მათთვის შესაფერისი მენიუს შემუშავება და ადეკვატური საკვების მიწოდება. საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსი, ასეთი სახის კვებას ითვალისწინებს ხანდაზმული პატიმრებისათვის (მუხლი 23, მე-4-ე ნაწილი).

ხანდაზმულ შშმ პატიმართა სხვა პატიმრებთან ერთად განთავსება ასევე ხასიათდება თავისი დადებითი მხარეებით, კერძოდ: უპირველეს ყოვლისა, ეს იძლევა შესაძლებლობას პატიმრებს ჰქონდეთ ურთიერთობა სხვა პატიმრებთან, რაც მათ უვსებს სიცარიელეს, რომელსაც ისინი განიცდიან ოჯახთან სიშორის ან ასეთი კონტაქტების საერთოდ დაკარგვის გამო. ხანდაზმული შშმ პატიმრების საერთო გარემოში განთავსების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება ელემენტარული რისკის შეფასებას და ეს არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას, რადგან, სავარაუდოდ, მათ ასაკისა და კომპლექსური შეზღუდული შესაძლებლობების გამო ნაკლებად შეუძლიათ ზიანი მიაყენონ სხვა პირებს ან შეაფერხონ ციხის ნორმალური ფუნქციონირება. ბოლოს კი, საერთო საცხოვრებლებში განთავსებამ შესაძლებელია გამორიცხოს შშმ ხანდაზმული პატიმრების მხოლოდ იმ პროგრამებში მონაწილეობა, რომლებიც მათთვის არის შემუშავებული და არა იმ პროგრამებში, რომელში მონაწილეობაც მათ სურთ.<sup>351</sup>

ხანდაზმული შშმ პატიმრების სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა ერთ-ერთი ურთულესი გამოწვევაა: ზოგ შემთხვევაში ეს პროგრამები არ შეესაბამება მათ ასაკს, რადგანაც ციხის პრო-

<sup>351</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 127.

გრამები, როგორც წესი, განკუთვნილია ახალგაზრდა პატიმართა საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის და ძირითადად, მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის რისკის შემცირებას, მათ განათლებასა და სამუშაო უნარების გამომუშავებას. მეორე მხრივ, პროგრამებში არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული საჭიროებები. ამასთან, ცხადია, რომ უმეტეს შემთხვევაში ხანდაზმულ შშმ პატიმრებს აქვთ საჭიროებები, რომლებიც განსხვავდება ახალგაზრდებისაგან.

მაგალითად შეიძლება ასევე მოვიყვანოთ დასაქმების პროგრამები. ხანდაზმულ შშმ პირებს უმეტეს შემთხვევაში ჩადენილი დანაშაულის ან ხანგრძლივი პატიმრობის გამო დაკარგული აქვთ კონტაქტი ოჯახთან და არ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ მათი დახმარება. ამდენად, მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ იყვნენ დასაქმებული, თუმცა დანესებულებებში არსებული პროგრამები არ არის გათვალისწინებული ასეთი კატეგორიის პატიმრებისათვის. ამდენად, თუ ციხის ადმინისტრაცია სამუშაო დავალებაში არ შეიტანს ცვლილებებს, რაც ხშირ შემთხვევაში სწორედ ასე ხდება, ცალსახაა, რომ ზემოაღნიშნული კატეგორიის პატიმრებს ასეთ პროგრამებში მონაწილეობა არ შეუძლიათ.

არის შემთხვევები, როდესაც მსგავს პროგრამებში მონაწილეობა თავის ზეგავლენას ახდენს პატიმართა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაზე. ამდენად თუ ხანდაზმულ შშმ პატიმრებს ასეთ პროგრამებში მონაწილეობა არ შეეთავაზებათ, ისინი ვერ იქნებიან გათავისუფლებული სასჯელის მოხდისაგან ვადამდე ადრე მიუხედავად, მათი ქცევისა თუ საჭიროებისა, რასაც დისკრიმინაციულ მიდგომებამდე მივყავართ.<sup>352</sup>

ხანდაზმულ შშმ პატიმრებს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების კონტექსტში აქვთ სპეციფიკური განსხვავებული საჭიროებები მათი ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, სასჯელის მოხდის ხანგრძლივობისა და სხვა სპეციფიკური მახასიათებლების

---

<sup>352</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 129.



გათვალისწინებით. საჭიროებები იცვლება მათი სოციალური, ეკონომიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, ამდენად, ინდივიდუალური წინასწარი გათავისუფლების პროგრამები ხანდაზმული პატიმრებისათვის აუცილებელია, რაც დამოკიდებულია ყველა ამ ფაქტორზე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ხანდაზმული პატიმრებისათვის და განსაკუთრებით მათთვის ვინც ხანგრძლივი დრო დაჰყო ციხეში, შესაძლებელია სოციალური უზრუნველყოფა წარმოადგენდეს საზოგადებაში დაბრუნების ერთადერთ საშუალებას.

#### **19.4 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალი პატიმრები**

ქალ პატიმართა რაოდენობა მამაკაც პატიმრებთან შედარებით დაბალია. კვლევები აჩვენებენ, რომ ქვეყნებისა და ციხეების მიხედვით, ქალ პატიმართა პროპორციული მაჩვენებელი 2%-დან 8%-მდე<sup>353</sup> მერყეობს. ცალსახაა, რომ ეს მაჩვენებელი დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, თუ იმავე კვლევებს განვიხილავთ, ციხეები არ შენდება ქალებისათვის, არამედ უმეტესწილად მონყობილია მამაკაცი პატიმრების საჭიროებების შესაბამისად. ეს ეხება როგორც არქიტექტურას, ისე უსაფრთხოებასა და სხვა დეტალებს. როგორც წესი, მამაკაცებისათვის განკუთვნილ ციხეებს ემატება ხოლმე ქალთა საჭიროების დეტალები და ასე იქმნება ქალთა დაწესებულებები.<sup>354</sup> ზემოაღნიშნული მიდგომა კი იმის მაჩვენებელია, რომ ხშირად ქალები განთავსებული არიან ისეთ დაწესებულებებში, სადაც მათი საჭიროებები ან საერთოდ არ არის გათვალისწინებული ან თუ არის, მხოლოდ იმ დოზით, რომელიც არ შეესაბამება რეალურ მოთხოვნებს.

---

353 World Female Imprisonment List, Institute for Criminal Policy research, 2017, p.2.

<sup>354</sup> იხ. კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის, პენიტენციურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2007, 139.

<b>ქალ პატიმართა სტატისტიკა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში: 3</b>	
პატიმართა საერთო რაოდენობა	10 042
აქედან ქალი	384
ბრალდებული ქალი	80
მსჯავრდებული ქალი	304
არასრულწლოვანი ქალი	1

ქალ პატიმართა სასჯელის მოხდის პროცესის მართვას და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ გაერიანებული ერების ორგანიზაციამ და ნევრმა სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ არსებული პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები არ ფარავდა ყველა იმ მოთხოვნას, რაც სასჯელის მოხდის ადგილებში ქალი პატიმრების წინაშე დგას და შემუშავებულ იქნა წესები,<sup>355</sup> რომლებიც არეგულირებენ ქალ პატიმრებთან მოპყრობის სტანდარტებს სასჯელის მოხდის ყველა სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ მასში დეტალურად არ არის განერილი ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებთან მოპყრობის სპეციფიკა, იგი მაინც მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს.

როგორც არაერთი ნაშრომი განიხილავს, ქალი პატიმრების სპეციალური საჭიროებები მოიცავს ფართო სპექტრს. კერძოდ: გამოწვევები, რომლებსაც ქალები ბევრ ქვეყანაში ხვდებიან, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან ხელმისაწვდომობის მხრივ მამაკაცებთან შედარებით არის სექსუალური და ფიზიკური ძალადობის მაღალი რისკი დაპატიმრებამდე და აქედან გამომდინარე ფსიქიკური ჯანდაცვის მაღალი საჭიროება; გენდერსპეციფი-

<sup>355</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), პუნქტი 1, 6, 2010.

კური<sup>356</sup> ჯანდაცვა; უსაფრთხოება; საცხოვრებელი და ოჯახთან კონტაქტი; ფეხმძიმე და ბავშვიანი ქალები; სექსუალური ძალადობის რისკი ციხეებში; მზრუნველობითი ვალდებულებების მაღალი ალბათობა შვილებისა და ოჯახის წევრების მიმართ და გათავისუფლების შემდგომი სტიგმატიზაცია და ა. შ.<sup>357</sup> ყოველივე აღნიშნული განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს, როდესაც ამ საჭიროებებს ემატება ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული საჭიროებები.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ციხეში ხვდებიან ფეხმძიმე ქალები, რომლებიც განსაკუთრებულ სტერესს განიცდიან მათი მდგომარეობიდან გამომდინარე. ხოლო, როდესაც ასეთი ქალი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მას უჭირს საკუთარი თავის ან ბავშვის დამოუკიდებლად მოვლა. ასეთ შემთხვევაში რისკის ქვეშ დგას არა მხოლოდ პატიმრის, არამედ ბავშვის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ამდენად, როდესაც ეს არ არის უკიდურესად აუცილებელი, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ასეთი ქალის პატიმრობა ან მისი საპატიმრო დაწესებულებაში დატოვება. თუმცა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, ფეხმძიმე ქალები ციხეში მაინც იგზავნიან, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები ცალსახად აღნიშნავენ, რომ პატიმრობა უნდა იყოს მხოლოდ უკიდურესი ღონისძიება. „თუმცა თუ ეს მაინც მოხდება, მათთვის უნდა შეიქმნას სპეციალური პირობები მთელი ფეხმძიმობისა და ბავშვის მოვლის პერიოდში. განსაკუთრებით სათუთია უსაფრთხოების ზომების მიღება უშუალოდ მშობიარობის დროს. ზოგადი პრეზუმფციის დონეზე უნდა იყოს დაშვებული, რომ ქალმა არ უნდა იმშობიაროს ციხეში.“<sup>358</sup>

<sup>356</sup> გენდერსპეციფიკური ნიშნავს ერთ კონკრეტულ სქესზე გამიზნულს (ქალზე ან მამაკაცზე), განმარტება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www.dictionary.com/browse/gender-specific>>, [15.11.2019].

<sup>357</sup> იხ, Handbook for Prison Managers and Policymakers on Women and Imprisonment, United Nations Office on Drugs and Crime, Vienna, 2008, 15.16.

<sup>358</sup> იხ. კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამ-

შშმ ქალებისათვის დისკრიმინაციის ერთ-ერთი უპირველესი მაგალითი გახლავთ საცხოვრებელი. როგორც წესი, საქართველოს და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პენიტენციურ სისტემაში ქალ პატიმართა მცირე რაოდენობიდან გამომდინარე არსებობს მხოლოდ ერთი ციხე, სადაც განთავსებულია ყველა მსჯავრდებული ქალი. აღნიშნული პირველ რიგში იწვევს მათი კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი უფლებების დარღვევას - იყვნენ განთავსებული საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, ხოლო მეორე მხრივ ქალები და მათ შორის შშმ ქალები განსაკუთრებულად საჭიროებენ ოჯახის დახმარებასა და მხარდაჭერას, ხოლო მათი საცხოვრებლიდან შორს განთავსება ამის საშუალებას არ იძლევა.

ყველა პატიმრობაში მყოფი პირისათვის და განსაკუთრებით ქალი პატიმრებისათვის, უფრო მეტიც შშმ ქალისათვის ოჯახური კონტაქტები განსაკუთრებით მგრძობიარე თემაა, რადგანაც ისინი მაღალი რისკის ქვეშ არიან, რომ ოჯახის წევრებმა მიატოვონ ან გაურთულდეთ ოჯახთან კონტაქტი. ეს საკითხი განსაკუთრებულად პრობლემატურია, თუ ქალი მარტოხელა დედაა ან გახლავთ შვილებსა თუ სხვა დამოკიდებულ პირებზე ძირითადი მზრუნველი.

ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს ქალ პატიმართა, განსაკუთრებით კი შშმ ქალთა, სათანადო სამედიცინო შემოწმების გავლა დაწესებულებაში მიღებისთანავე მათი სამედიცინო საჭიროების გამოვლენის მიზნით. მათ ასევე, აუცილებლობის წარმოშობისთანავე, უნდა ჩაუტარდეთ მსგავსი შემოწმება და ქალთა ფიზიოლოგიური საჭიროებებიდან გამომდინარე უფასო მკურნალობა. უნდა მიიღონ კონსულტაციები ქალთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში. კოილი თავის სახელმძღვანელოში განმარტავს, რომ ხშირად შვილებთან განშორება ქალ პატიმრებში მნიშვნელოვან სტრესსა და ფსიქოლოგიურ პრობლემას იწვევს. მოცემულ საკითხს ქალი პატიმრები და განსაკუთრებით შშმ პირები განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ. ამდენად ქალთა ჯანმრთელობის დაცვა

---

შრომლებისათვის, პენიტენციურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2007, 139.

უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნულ სტრესს და სთავაზობდეს მათ სათანადო დახმარებას<sup>359</sup>.

ქალთა განმასხვავებელი საჭიროებების გამომწვევ მიზეზებად მიიჩნევა და მათი მოწყვლადობის მაღალ ხარისხს განაპირობებს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ოჯახური ძალადობის ან გაუპატიურების გამოძიების პროცესი, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც; ალკო და ნარკო დამოკიდებულება; სექსუალური ძალადობა და სასტიკი მოპყრობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სადაც დასაქმებულნი არიან მამაკაცი თანამშრომლები; სპეციფიკური სამედიცინო საჭიროებები ფიზიოლოგიური სპეციფიკურობიდან გამომდინარე; ოჯახთან განშორება, როდესაც ქალებს სჭირდებათ იზრუნონ მათ ბავშვებზე, ოჯახზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ პატიმრობა ქალებზე მოქმედებს უკიდურესად დამთრგუნველად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური აშლილობის გამოვლენა, ან უკვე არსებული მდგომარეობის გამწვავება, რომელსაც გათავისუფლების შემდეგ უკავშირდება სტიგმატიზაციისა და საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების რისკი.

გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული კვლევის<sup>360</sup> თანახმად, პატიმარ ქალთა 80%-ს აქვს დიაგნოსტირებადი ფსიქიკური დაავადება; 66% ნარკოდამოკიდებული ან ჯანმრთელობისათვის საშიში რაოდენობის ალკოჰოლის მომხმარებელია; 50% ოჯახური, ხოლო 33% - სექსუალური ძალადობის მსხვერპლია; ქალების მესამედმა ციხეში მოხვედრის შემდეგ დაკარგა ოჯახი და ქონება; 37% კი აღიარებს, რომ ამა თუ იმ დროს ჰქონდა სუიციდის მცდელობა.

<sup>359</sup> იხ. კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის, პენიტენციურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2007, 135.

<sup>360</sup> იხ. Handbook for Prison Managers and Policymakers on Women and Imprisonment, Crimina Justice Handbook Series (The handbook was prepared for the United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) by Tomris Atabay, consultant on criminal justice issues, based in Turkey), United Nations, New York, 2009, 17.

შშმ ქალებს დაპატიმრების შემთხვევაში შესაძლებელია განუვითარდეს ზოგადი შიში, რამაც, დიდი ალბათობით, შესაძლოა მისი შეზღუდული შესაძლებლობების გამწვავება გამოიწვიოს. ამდენად, ბანგკოკის წესები მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, რომ მიიღონ კანონმდებლობა, რომელიც დანერგავს პატიმრობის ალტერნატიულ სასჯელებს, თუმცა საპატიმრო სასჯელების გამოყენების შემთხვევაში, დანესებულების ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს შესაბამისი გეგმა შშმ ქალთა სასჯელის მოხდის ადეკვატური პირობების შესაქმნელად, ასევე ჰყავდეს მომზადებული პერსონალი. „ქალთა ციხის თანამშრომლების გადამზადებამ საშუალება უნდა მისცეს მათ უპასუხონ პატიმარი ქალების განსაკუთრებულ სოციალური რეინტეგრაციის საჭიროებებს და მართონ უსაფრთხო და სარეაბილიტაციო დანესებულებები.“<sup>361</sup>

### 19.5 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანი პატიმრები

შშმ პირებთან დაკავშირებული ყველა უფლება ვრცელდება ნებისმიერ თავისუფლებააღკვეთილ პირზე, თუმცა ამ ჯგუფში არსებულ მრავალმხრივი საჭიროების მქონე შშმ პირებს შორის უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს შშმ არასრულწლოვან პატიმრებს. მოცემულ კატეგორიასთან მუშაობისას ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია გაითვალისწინოს ის დამატებითი გარემოებები, რომლებიც გამომდინარეობს მათი ასაკიდან, უპირველეს ყოვლისა, ის ასპექტი, რომ ის ჯერ კიდევ არის მოზარდი და მისი ჩამოუყალიბებელი ბუნებიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში მას ჩადენილი აქვს მძიმე, მაგრამ გაუაზრებელი დანაშაული. აქედან გამომდინარე, ეს კატეგორია არ შეიძლება შეფასდეს მალალ რისკ ჯგუფად და განთავსდეს მალალი რისკის დანესებულებაში ან ასეთი დანესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში მანამ, სანამ არასრულწლოვნებთან

<sup>361</sup> იხ. United Nations Rules for the Treatment of Women Prisoners and Non-custodial Measures for Women Offenders (the Bangkok Rules), rule 29, 2010.

მომუშავე კვალიფიციური პერსონალი არ შეაფასებს რისკს მაღალ-პროფესიონალურ დონეზე. არასარულწლოვნის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, ხანგრძლივი სასჯელის გამოყენება არ შეიძლება. მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვადამდე ადრე გათავისუფლების ფართო სპექტრი.<sup>362</sup>

<b>არასრულწლოვან პატიმართა რაოდენობა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში 2019 წლის სექტემბრის მონაცემებით:<sup>4</sup></b>	
პატიმართა საერთო რაოდენობა	10 042
არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა	52
არასრულწლოვანი მსჯავრდებული	26
არასრულწლოვანი ბრალდებული	26
რაოდენობა ასაკის მიხედვით	
14 - 15 წელი	5
16 - 17 წელი	47
18 -19 წელი <sup>5</sup>	138

საერთაშორისო სამართალი, ინსტიტუციურ მიდგომებთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებს არაინსტიტუციურ მიდგომებს, რაც გულისხმობს იმას, რომ „ბავშვებისთვის თავისუფლების აღკვეთა აკრძალული არ არის, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ უკიდურეს ღონისძიებად გამოიყენება“.<sup>363</sup> ამდენად, ნებისმიერ შემთხვევაში არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული სასჯელი უნდა იყოს უკიდურესი ზომა. შშმ არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილით,

<sup>362</sup> იხ. ხასია ზ., არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, ჟურნალი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხების ზოგადი მიმოხილვა №1, 2017.

<sup>363</sup> იხ. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, 2016, 83.

რადგანაც ზოგადად და განსაკუთრებით ქართულ პრაქტიკაში ისინი სრულად დამოკიდებული არიან ოჯახის წევრებზე ან სხვა პირებზე, რომლებიც მათ მოვლაზე არიან პასუხისმგებელი. მათ თითქმის არ აქვთ დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება და ამდენად, მათი დაუცველობის ხარისხი უკიდურესად მაღალია. ამდენად, თუ არასრულწლოვანი იქნება დაპატიმრებული, მთავარი პრიორიტეტი მათი გათავისუფლებისთვის მზადებაა და როგორც ექსპერტები მიუთითებენ, ციხეში მოთავსების შემთხვევაშიც კი, არასრულწლოვნები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უმოკლეს ვადაში უნდა გათავისუფლდნენ. „ისინი არასდროს არ უნდა განთავსდნენ ციხეში, არამედ მოთავსდნენ ისეთ დანესებულებაში, რომელიც აღჭურვილი იქნება მათი ასაკის შესაბამისი მონყობილობითა და პერსონალით. მათი საცხოვრებელი სრულწოვნებისაგან უნდა იყოს განცალკევებული.“<sup>364</sup>

არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს დანაშაულის პრევენციას. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არასრულწლოვნების და განსაკუთრებით კი, მოწყვლადი ჯგუფების მიმართ ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას, განრიდებასა და მედიაციას, რათა სასჯელმა უფრო მეტი ფიზიკური და ფსიქიკური ზიანი არ მიაყენოს მათ. ნაშრომში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება პრიორიტეტს ანიჭებს არა არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის გამოყენებას, არამედ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის ადრეულ ინტერვენციას, რისთვისაც შესაბამის საშუალებად მიიჩნევა ინდივიდუალურ, ჯგუფურ და ორგანიზაციულ ძალისხმევას, რომლის მიზანი იქნება არასრულწლოვნის მიერ კანონდარღვევის თავიდან აცილება. აღნიშნულ ნაშრომში საუბარია იმ განსხვავებულ მეთოდებზე, რომლებსაც სხვადასხვა სახელმწიფო იყენებს დელიკვენტური და დანაშაულებრივი ქმედების თავიდან ასაცილებლად და განმარტავს, რომ „ზოგიერთი ორიენტირებულია სადამსჯელო პოლიტიკაზე, რო-

<sup>364</sup> იხ. Handbook on European law relating to the rights of the child, European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe, 2015, 174.



მელიც მიზნად ისახავს პოტენციური დამნაშავეების დაშინებას იმ სავარაუდო მკაცრი სასჯელით, რომელიც მათ შესაძლო ქმედებას მოჰყვება. შესაძლებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც განმეორებითი დანაშაულის პრევენციას ემსახურება და მოიცავს უარყოფითი გავლენის ახსნას დამნაშავისთვის, რომელიც მისმა ქმედებამ გამოიწვია და მსხვერპლთან/დაზარალებულთან შერიგებას.<sup>365</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, თვითონ ციხეში მოხვედრა არასრულწლოვანი პირისთვის უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება, როდესაც არ არსებობს სხვა ალტერნატივა, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და საზოგადოებისთვის საშიში ხასიათიდან გამომდინარე. რიგი ქვეყნების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ადრეულ ასაკში ციხეში განთავსება არ ემსახურება არასრულწლოვნის გამოსწორებას, არამედ „რაც უფრო ადრე განთავსდება არასრულწლოვანი ციხეში, მით მეტია შანსი, ციხიდან გამოსვლის შემდეგ იგი სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებებში ჩაერთოს.“<sup>366</sup> ამასთან, როგორც ბავშვთა უფლებების კონვენცია განმარტავს, ყველა ქმედება, რომლებიც ბავშვის მიმართ გამოიყენება, უნდა გამომდინარეობდეს მთავარი მიზნიდან, როგორცაა ბავშვის „საუკეთესო ინტერესების დაცვა“.<sup>367</sup> ამდენად, როგორც მართლმსაჯულების სისტემის ორგანოები, ასევე ციხის ადმინისტრაცია უნდა იყოს სრულად მობი-

<sup>365</sup> იხ. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, 2016, 80.

<sup>366</sup> იხ. კოილი ე., პენიტენციარული სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის, პენიტენციურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2007, 133.

<sup>367</sup> იხ. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1989 წლის 20 ნოემბერი, მუხლი 3: „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას“.

ლიზებული იმისთვის, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ გამოიყენება, გამომდინარეობდეს სწორედ ასეთი ინტერესებიდან. აქვე აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იქნეს გამოყენებული იმისთვის, რომ სისტემაში, რომელშიც არასრულწლოვანია განთავსებული, გავლილი ჰქონდეთ სწავლება, იყვნენ სპეციალიზებული არასრულწლოვნებთან მუშაობის მიმართულებით და სწორად ესმოდეთ, თუ რას მოიაზრებს შშმ არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები და მისი დაცვის მნიშვნელობა. ასევე მოცემულ დანებს უნდა შეემატებოდეს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი პოლიტიკა და სტრატეგია თავისუფლებადაკვეთილ არასრულწლოვანთან და განსაკუთრებით კი შშმ პირებთან სამუშაოდ.

საქართველოში განხორციელებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა კანონის დამრღვევ არასრულწლოვნებთან მიმართებით ნიშანდობლივია, იმის გათვალისწინებით, რომ ახალმა კანონმა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა“ შემოიღო თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროცედურები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის დაწყებიდან პირის გათავისუფლებისა და პრობაციის ანუ გათავისუფლების შემდგომი მხარდაჭერის ჩათვლით, რამაც რეალურად არასრულწლოვნები ჩამოაშორა საერთო პროცედურებს, რომლებშიც არასრულწლოვნები მონაწილეობდნენ სრულწლოვნებთან თანაბარი წესებითა და პროცედურებით და დაადგინა სპეციალიზებული კადრების არსებობა ყველა ეტაპზე. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს აწარმოებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები.“<sup>368</sup>

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ახალმა კანონმა შშმ არასრულწლოვნების მიმართ დაადგინა გარკვეული რეგულაციები, რომლებიც მათ თანაბარ პირობებში ჩაყენებას ემსახურება. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი უფასოდ სარგებლობს

<sup>368</sup> იხ. საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 16, 12/06/2015.

ყველა იმ მომსახურებით, რომლებიც მას საქმის გასაცნობად და სამართალწარმოებაში მონაწილეობისათვის ესაჭიროება.<sup>369</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ზემოგანხილული თემა კვლევის საგანს არ წარმოადგენს, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონმა შეზღუდული შერაცხადობა დაადგინა როგორც არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

კოილის განმარტებით, თუკი აუცილებელია, რომ ახალგაზრდა პირი განთავსდეს ციხეში, საჭიროა იმის უზრუნველყოფაც, რომ ციხის იძულებითი მექანიზმები მის წინააღმდეგ მინიმალურად იქნეს გამოყენებული.<sup>370</sup> არასრულწლოვნისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასწავლო, სპორტული, სარეაბილიტაციო და პიროვნული განვითარების ხელშემწყობი პროგრამები, ხოლო მისი ასაკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ხელშეწყობაა საჭირო ოჯახის წევრებთან არასრულწლოვნის კონტაქტის შესანარჩუნებლად. ქართული კანონმდებლობა ამ მხრივ საკმაოდ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის მოხდის ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება არ ეთმობა არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის სტანდარტებსა და მათთვის ადეკვატური პირობების შექმნას. გამონაკლისია მხოლოდ სპორტული და რეკრეაციული აქტივობები, როცა კანონი ყურადღებას უთმობს შშმ არასრულწლოვანთა განსაკუთრებულ საჭიროებებს და განმარტავს, რომ „არასრულწლოვნისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, უნდა არსებობდეს შესაფერისი რეკრეაციული და ფიზიკური აღზრდის პროგრამები“.<sup>371</sup>

ასევე თუ განვიხილავთ კოილის შეხედულებას არასრულწ-

<sup>369</sup> იხ. კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის, პენიტენციურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2007, 126.

<sup>370</sup> იქვე.

<sup>371</sup> იხ. საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 86, 12/06/2015.

ლოვნებთან დაკავშირებით, მისი თქმით მიუხედავად მოქმედი პრინციპებისა, რეალობა გვაჩვენებს, რომ არსებობს სახელმწიფოები, რომლებშიც არასრულწლოვნები და ახალგაზრდები ხშირად თავსდებიან ციხეებში. ასეთ შემთხვევაში, ციხის ადმინისტრაციას ევალება იმგვარად იზრუნოს მათზე, რომ გაითვალისწინოს მათი ასაკი და საჭიროებები. ასეთ განსაკუთრებულ მოპყრობას ორგვარი გამართლება აქვს. პირველი, ბავშვები და ახალგაზრდები უფრო მონყვლადები არიან, ვიდრე ზრდასრული პირები და ამიტომ საჭიროებენ ზრდასრული პატიმრების ან თუნდაც ციხის პერსონალის მხრიდან ძალადობისა და უხეში მოპყრობისაგან განსაკუთრებულ დაცვას.<sup>372</sup> ასევე, ახალგაზრდები, როგორც წესი, უფრო ადვილად ექცევიან დადებითი ზეგავლენის ქვეშ და ამდენად, ნებისმიერი სახის ტრენინგებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, თუნდაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, შეიძლება გამოყენებული იყოს მისი ჭეშმარიტი ინტერესების განხორციელებისათვის და განმეორებითი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის არაერთი საერთაშორისო სტანდარტი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ქვეყნებმა, რომლებშიც არასრულწლოვანი პირები არიან პატიმრობაში, სასჯელის მოხდის სტანდარტები შეუსაბამონ არასრულწლოვნების საჭიროებებს. უპირველეს ყოვლისა, შეიძლება ყურადღება დაეთმოს პეკინის წესებს ინსტიტუციური მოპყრობის ნაწილში, სადაც განხილულია პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსების სტანდარტები და განმარტებულია, რომ „არასრულწლოვნები უნდა გამოცალკევდნენ სრულწლოვანთაგან და განთავსდნენ ცალკე დაწესებულებაში ან იმ დაწესებულების გამოყოფილ ნაწილში, რომელშიც სრულწლოვნებიც არიან“.<sup>373</sup>

<sup>372</sup> იხ. კოილი ე., პენიტენციული სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის, პენიტენციურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2007, 128.

<sup>373</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინის წესები“), 1985 წლის 29 ნოემბერი, წესი 26.3.

შემდეგი ფაქტორია პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვნებთან მოპყრობის სპეციფიკა. იგი განსხვავდება სრულწლოვანთათვის შექმნილი პირობებისაგან, რომელშიც მოიაზრება მომსახურების მიწოდება მათი, როგორც არასრულწლოვნის, საჭიროების გათვალისწინებით. ასეთი ტიპის დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვნები უნდა იღებდნენ მზრუნველობას, დაცვასა და საჭირო დახმარებას, როგორიცაა სოციალური, საგანმანათლებლო, პროფესიულ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და ფიზიკური და სხვა, „რაც შეიძლება აუცილებელი იყოს მათი ასაკის, სქესისა და პიროვნების გათვალისწინებით, აგრეთვე მათი სრულყოფილი განვითარების ინტერესების შესაბამისად.“<sup>374</sup>

შემდეგი უმთავრესი ასპექტი, რომელსაც წესებში ვხვდებით, არის პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების გამოყენება. წესები მოუწოდებს სახელმწიფოებს ვადამდე ადრე გათავისუფლების უფრო ხშირად და ეფექტიანად გამოყენებისკენ. თუმცა ის ყურადღების მიღმა არ ტოვებს გათავისუფლების შემდგომ ზედამხედველობას, მის ფორმებსა და მეთოდებს. „სათანადო ხელისუფლების ორგანო დახმარებასა და ზედამხედველობას გაუწევს დაწესებულებიდან პირობით გათავისუფლებულ არასრულწლოვანს, რომელმაც უნდა მიიღოს საზოგადოების სრული მხარდაჭერაც.“<sup>375</sup> აღსანიშნავია განსხვავებული მიდგომა, როცა წესებში საუბარია გათავისუფლების შემდგომ დახმარების ფარგლებში შერეული ტიპის დაწესებულების შექმნაზე, რომელიც მხარს დაუჭერს არასრულწლოვნის სრულ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

მიზანშეწონილი იქნება პეკინის წესებში ბოლო, შემავჯამებელ პუნქტად განვიხილოთ მისი დამოკიდებულება, კვლევის, დაგეგმვის, პოლიტიკის ფორმულირებისა და შეფასების მიმართ არასრულწლოვანთან მიმართებით. ასეთი მიდგომები ბევრ ქვეყანაში არ არის სასჯელის მოხდის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი. ამდენად,

<sup>374</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინის წესები“), 1985 წლის 29 ნოემბერი, წესი 26.2.

<sup>375</sup> იქვე, წესი 28.2.

სასჯელის მოხდის პროცესი არასრულწლოვანთა მიმართ ეფუძნება მხოლოდ ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას და ზოგჯერ მოძველებულ კანონმდებლობას, რაც ხშირად შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ შშმ არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით კანონმდებლობა და პრაქტიკა მოკლებულია რეალობას. მოცემულ ასპექტში პეკინის წესების მიზანია აუცილებელი გამოკვლევის ორგანიზება და ხელშეწყობა, რომელიც ეფექტიანი დაგეგმვისა და პოლიტიკის ფორმულირების საფუძველია. გარდა ამისა, წესების თანახმად, გამოკვლევა ორიენტირებული უნდა იყოს არასრულწლოვანთა გადაცდომებისა და დანაშაულის მიმართულებების, პრობლემებისა და მიზეზების შესწავლაზე, თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების განსხვავებული მოთხოვნების პერიოდულ შესწავლასა და შეფასებაზე.

პეკინის წესები მოუწოდებს სახელმწიფოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ადმინისტრირების ფარგლებში შექმნან მუდმივი შეფასების კვლევის მექანიზმი, რის საფუძველზეც შეგროვდება და გაანალიზდება სათანადო მონაცემები და ინფორმაცია, რაც გახდება ადმინისტრირების შეფასების საფუძველი, მომავალში მისი გაუმჯობესებისა და რეფორმირების მიზნით, რომელიც უნდა იგეგმებოდეს მუდმივად და ხორციელდებოდეს, როგორც ეროვნული განვითარების ღონისძიებების განუყოფელი ნაწილი.

რაც შეეხება ჰავანას წესებს, აქ ადგილი ეთმობა იმ სტანდარტების შემუშავებას, რომლებსაც უნდა პასუხობდეს სასჯელალსრულების დაწესებულება. უპირველეს ყოვლისა, წესები აყენებენ მოთხოვნას, რომ თავისუფლების აღკვეთის პირობები და გარემო უნდა უზრუნველყოფდნენ ადამიანის უფლებათა დაცვას. შემდეგი ასპექტი, რომელსაც წესები ითხოვენ პენიტენციური სისტემის ადმინისტრაციის მხრიდან, არის ეფექტიანი ღონისძიებები და პროგრამები, რომლებიც არასრულწლოვნის ინტერესების, მისი ჯანმრთელობისა და ღირსების შესაფერისი იქნება. აქვე განმარტებულია, თუ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს აღნიშნული პირობების უზრუნველყოფა: „ხელს შეუწყობენ პასუხისმგებლობის გრძობის

განვითარებას და ისეთი დამოკიდებულებებისა და უნარ-ჩვევების ფორმირებას, რომლებიც დაეხმარება მას მისი, როგორც საზოგადოების წევრის, პოტენციალის განვითარებას.<sup>376</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს ჰავანას წესების სპეციფიკური რეკომენდაცია დაწესებულების ზომებთან დაკავშირებით. წესები განსაზღვრავს, რომ დახურულ ინსტიტუციებში არ უნდა იყოს განთავსებული მსჯავრდებულთა დიდი რაოდენობა, რათა შესაძლებელი იყოს ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება.

წესებში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ პრიორიტეტი ენიჭება ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებას არასრულწლოვნებთან. განმარტებულია, რომ „შემოსვლიდან უმოკლეს დროში უნდა მოხდეს გასაუბრება არასრულწლოვანთან და უნდა მომზადდეს ფსიქოლოგიური და სოციალური ანგარიში“.<sup>377</sup> აღნიშნული გასაუბრების მიზანს წარმოადგენს მოპყრობის, მოვლისა და პროგრამების დაგეგმვა არასრულწლოვნის საჭიროებებზე დაყრდნობით. წესები ადგენს შეზღუდვებს, რომ არასრულწლოვანი უნდა მოთავსდეს მხოლოდ იმ დაწესებულებაში, სადაც გათვალისწინებული იქნება მისი სპეციფიკური საჭიროებები, რომლებიც შეესაბამება მათ ასაკს, სქესს, ინდივიდუალობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, რაც მაქსიმალურად დაიცავს მათ უარყოფითი ზემოქმედებისაგან. აქ, შეიძლება ითქვას, რომ ჰავანას წესების მოქმედება პირდაპირ ეხმიანება შშმ არასრულწლოვანთა საჭიროებებსა და მათი სასჯელის მოხდის დაგეგმვის ვალდებულებას სწორედ მოცემულ საჭიროებებზე დაყრდნობით. მაგალითად, სპორტთან მიმართებით წესები განმარტავს, რომ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს დრო და შესაბამისი აღჭურვილობა სრულყოფილი ფიზიკური ვარჯიშისათვის. წესები აქვე მიუთითებს ფიზიკური შესაძლებლობების

<sup>376</sup>იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებათა ლკვეთილი არასრულწლოვანი პირების დასაცავად: გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/45/113, დანართი 45, UN GAOR დამ. (N 49A) და 205, UN Doc. A/45/49 (1990) (შემდგომში „ჰავანის წესები“), პუნქტი 12.

<sup>377</sup> იქვე. პუნქტი 27.

გათვალისწინებისა და სამკურნალო ვარჯიშების ხელმისაწვდომობის აუცილებლობის თაობაზე, რასაც შშმ არასრულწლოვნებთან მიმართებით დიდი მნიშვნელობა აქვს. „ყველა არასრულწლოვანს ჰქონდეს ფიზიკური შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ფიზიკური მომზადების შემოთავაზებულ პროგრამაში. არასრულწლოვანს, რომელსაც ესაჭიროება სამკურნალო ფიზიკური ვარჯიში და თერაპია, შესაბამისი კურსი უნდა შესთავაზონ სამედიცინო ზედამხედველობის ფარგლებში.“<sup>378</sup>

წესებში განხილულია არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის სამედიცინო მომსახურება და მისი ხელმისაწვდომობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მათ ასაკს, სქესს, საჭიროებებს, ხაზგასმულია მომსახურების ხარისხი და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა. აქვე ვხვდებით განმარტებებს, რომლებიც არასრულწლოვნებთან მიმართებით გაცილებით მაღალ მოთხოვნებს აყენებს, მაგალითად: „სამედიცინო მომსახურება, რომელიც მიენიჭება არასრულწლოვნებს, უნდა ემსახურებოდეს მიზანს გამოავლინოს და განკურნოს ნებისმიერი ფიზიკური თუ ფსიქიკური დაავადება, ნარკომანია თუ სხვა გადახრა, რომელსაც შეუძლია შეაფერხოს არასრულწლოვნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა“.<sup>379</sup>

დისციპლინა და კონტროლი პენიტენციური სისტემის განუყოფელი ნაწილია, თუმცა მისი გამოყენება განსაკუთრებით დამთრგუნველად მოქმედებს თავისუფლებააღკვეთილ პირებზე და მით უმეტეს არასრულწლოვანზე, რომელიც ისედაც განიცდის სტრესს ოჯახისა და ყოველდღიური გარემოცვის მოცილების გამო. როდესაც ამ მდგომარეობას ემატება მკაცრი ზემოქმედების ღონისძიებები, ის განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს არას-

<sup>378</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი პირების დასაცავად: გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/45/113, დანართი 45, UN GAOR დამ. (N 49A) და 205, UN Doc. A/45/49 (1990) (შემდგომში „ჰავანის წესები“), პუნქტი 47.

<sup>379</sup> იქვე, პუნქტი 51.



რულწლოვანზე. წესებში ვხვდებით დისციპლინური ღონისძიებების სტანდარტების დეტალურ განხილვას, თუმცა მნიშვნელოვანია ზოგადი მოთხოვნა, რომელსაც წესები დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების ნაწილში აყენებს პენიტენციური ადმინისტრაციის წინაშე, რომ ყველა დისციპლინური ზომა და პროცედურა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი ემსახურება უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვას. შეესატყვისებოდეს არასრულწლოვანთა განუხრელი ღირსების დაცვას და თავისუფლების აღკვეთის მთავარ მიზანს, როგორცაა სამართლიანობის გრძნობა, თავმოყვარეობა და ყოველი ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა.<sup>380</sup>

არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის პროცესი უნდა ექვემდებარებოდეს სისტემატურ კონტროლს და ინსპექტირებას, რადგანაც ის უნდა შეესატყვისებოდეს არასრულწლოვანთა განვითარების საზოგადოებაში არსებულ სტანდარტებს, რათა, პირველ რიგში, ის იყოს მზად ადვილად ინტეგრირდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სასჯელის მოხდის შემდგომ და მეორე უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სტიგმატიზაციისაგან გათავისუფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა იყოს გარანტირებული ორი ძირითადი ასპექტით, ესენია: დამოუკიდებელი მონიტორინგის სისტემისა და გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმების არსებობა. ორივე კომპონენტთან მიმართებით წესებში ვხვდებით ეფექტიან მარეგულირებელ სტანდარტებს. სტანდარტებში ცალსახად წამოყენებულია დამოუკიდებელი ინსპექტირების მექანიზმის არსებობა და განმარტებულია, რომ კვალიფიციური ინსპექტორი, რომელიც განახორციელებს ინსპექტირებას, უნდა იყოს დამოუკიდებელი და არ უნდა იყოს სისტემის თანამშრომელი. აქვე ადგილი ეთმობა რეგულარული ინსპექტირების აუცილებლობას, როგორც გეგმიურს, ისე

<sup>380</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლება აღკვეთილი არასრულწლოვანი პირების დასაცავად: გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/45/113, დანართი 45, UN GAOR დამ. (N 49A) და 205, UN Doc. A/45/49 (1990) (შემდგომში „ჰავანის წესები“), პუნქტი 66.

ინსპექტორის შეხედულებისამებრ. ნიშანდობლივია წესების მიდგომა ინსპექტირების პროცესში ყველა საჭირო ხელმისაწვდომობის არსებობასთან დაკავშირებით. „ინსპექტორებს, რომლებიც მუშაობენ ნებისმიერ დანესებულებაში, სადაც არასრულწლოვნებს აღკვეთილი აქვთ ან შესაძლებელია ჰქონდეთ აღკვეთილი თავისუფლება, შეუზღუდავად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ყველა პირთან, ასევე ყველა არასრულწლოვანთან და ყველა დოკუმენტთან, რომლებიც ასეთ დანესებულებაში არსებობს.“<sup>381</sup>

პერსონალი და მათი მომზადება პენიტენციური სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და მისი როლი სასჯელის მიზნის მიღწევაში ნიშანდობლივია. ყველა საერთაშორისო სტანდარტი, რომლებიც პენიტენციური სისტემის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისკენაა მიმართული, ადგილს უთმობს სისტემის პერსონალის ხარისხს და მის მომზადება/გადამზადებას. ჰავანის წესებში საუბარია როგორც პერსონალის კვალიფიკაციაზე, ისე მათ კატეგორიზაციაზე და განმარტებულია, რომ აქ უნდა მოიაზრებოდეს საკმარისი რაოდენობა ისეთი პერსონალისა, როგორიცაა: აღმზრდელი, პროფესიული მომზადების ინსტრუქტორი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრი. წესებში ადგილი ეთმობა შერჩევის პროცედურებს, ყურადღება გამახვილებულია ისეთ მახასიათებლებზე, როგორიცაა: ჰუმანურობა, არასრულწლოვნებთან მუშაობის უნარი, პროფესიული უნარი და სხვ. წესებში საუბარია ასევე მომზადების თავისებურებებზე და განმარტებულია, რომ „პერსონალი უნდა მოემზადოს ისე, რომ ეფექტიანად შეასრულოს თავისი მოვალეობები, მათ შორის, გაიაროს ნაწილობრივი მომზადება საბავშვო ფსიქოლოგიის, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში და გაეცნოს საერთაშორისო ნორმებს ადამიანის უფლებებისა და ბავშვთა უფლებების სფეროში“.<sup>382</sup>

<sup>381</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლება აღკვეთილი არასრულწლოვანი პირების დასაცავად: გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/45/113, დანართი 45, UN GAOR დამ. (N 49A) და 205, UN Doc. A/45/49 (1990) (შემდგომში „ჰავანის წესები“), პუნქტი 77.

<sup>382</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლება აღკვეთილი

## 19.6 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უვადო და გრძელვადიანი პატიმრები

გრძელვადიანი პატიმრის განმარტებისას აუცილებლად ნაგანყდებით ტერმინოლოგიურ განსხვავებებს, თუ ვინ მოიაზრება ამ კატეგორიაში. მთელ რიგ ციხეებში, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში, ნებისმიერი პირი, რომელიც სასჯელს იხდის 6 თვეზე მეტი ვადით, გრძელვადიან პატიმრად ითვლება. თუმცა არსებობს სისტემები, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც გრძელვადიან პატიმრად მიიჩნევიან პირები, რომლებიც სასჯელს იხდიან 10 წელზე მეტი ვადით. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს შემთხვევები, როდესაც პატიმრებს შეეფარდებათ თავისუფლების აღკვეთა 100 წელზე მეტი ვადით, რაც მათი ცხოვრების ხანგრძლივობას აშკარად აღემატება.<sup>383</sup>

საქართველოს კანონმდებლობა 2000 წლამდე გრძელვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთის ცნებას არ მოიაზრებდა. დღევანდელი ფორმით არსებულ განმარტებას პრაქტიკაში ვხვდებით 2000 წლიდან, რაც შემოდებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ამ კატეგორიის პატიმართა სასჯელის მოხდის ნაწილში რაიმე ტიპის განსხვავებული მიდგომა არ გვხვდება, რადგანაც ისინი სასჯელს იხდიან ჩვეულებრივ დახურული ტიპის დაწესებულებებში, ყველა იმ სტანდარტის დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია სხვა შესაბამის დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისათვის. კანონმდებლობაში საუბარი არ არის შშმ გრძელვადიანი და უვადო პატიმრების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებულ მონყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან, მათი მდგომარეობიდან და სასჯელის

---

არასრულწლოვანი პირების დასაცავად: გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/45/113, დანართი 45, UN GAOR დამ. (N 49A) და 205, UN Doc. A/45/49 (1990) (შემდგომში „ჰავანის წესები“), პუნქტი 85.

<sup>383</sup> იხ. კოილი ე., პენიტენციარული სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის, პენიტენციურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2007, 145.

ზომიდან გამომდინარე. ეს ორი ცნება რეალურად აბსოლუტურად ურთიერთშეუთავსებელია, რამდენადაც, უპირველეს ყოვლისა, შშმ პირი ხანგრძლივი პატიმრობის შემთხვევაში მისი მდგომარეობის გართულების მაღალი რისკის წინაშე დგება ციხეებში არსებული შეუსაბამო პირობებიდან გამომდინარე. შშმ პატიმრები ხანგრძლივი დროით ციხეში ყოფნის გამო ხშირად კარგავენ გარესამყაროსთან ყოველგვარ კონტაქტს და გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში ინტეგრირების მინიმალური შანსები აქვთ. მდგომარეობა განსაკუთრებით მაშინ რთულდება, როდესაც ციხეებში არ არსებობს სპეციალური მიდგომა და პროცედურები აღნიშნული კატეგორიის პატიმრებთან სამუშაოდ.

საერთაშორისო სტანდარტებში, რომლებიც გრძელვადიან და უვადო პატიმართა სასჯელის მოხდის პროცედურებს არეგულირებენ, მთავარი აქცენტი კეთდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენასა და მასზე ორიენტირებული სასჯელის მოხდის პროცედურების შემუშავებაზე. სტანდარტებში განმარტებულია, თუ რა დოკუმენტები უნდა შეიმუშაოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ მიღწეულ იქნეს საერთო მიზნები და აღნიშნულია, რომ უნდა შეიქმნას და განვითარდეს სავალდებულო ინდივიდუალური გეგმა თითოეული პატიმრისათვის. გეგმის შემუშავებასთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეკომენდაციაში ასახული მიდგომა. იგი უნდა მომზადდეს და განვითარდეს პატიმრის, შეძლებისდაგვარად, აქტიური მონაწილეობით. გეგმაში ასახული უნდა იყოს არა მხოლოდ ადმინისტრაციის ცალსახა აზრი, არამედ თვითონ იმ პირის აზრიც, რომლისთვისაც უნდა შემუშავდეს გეგმა. ასევე რეკომენდაციებში საუბარია ვადის შესახებ, რომელსაც გეგმა უნდა მოიცავდეს. იგი უნდა შემუშავდეს „დაკავების პერიოდიდან დასასრულისაკენ გათავისუფლების შემდგომი ზედამხედველობითა და სხვა შესაბამის ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით.“<sup>384</sup>

<sup>384</sup> იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ, 2003, 3.

რეკომენდაციების უმთავრესი დათქმა, რომელიც გრძელვადიანი და უვადო პატიმრების, განსაკუთრებით კი ამ კატეგორიის შშმ პატიმრების, სასჯელის მოხდის მთავარი მიზანი უნდა იყოს, არის მიდგომა, რომ „ციხის ცხოვრება მოენყოს ისე, რომ მაქსიმალურად მიახლოებული იყოს საზოგადოების რეალურ ცხოვრებასთან (ნორმალიზაციის პრინციპი)“.<sup>385</sup> ამ დათქმის მნიშვნელობა არის ის, რომ მოცემული კატეგორიის პატიმრებმა არ განიცადონ იმ ხარისხის ინსტიტუციონალიზაცია და გაუცხოება საზოგადოებისაგან, რომ მათ ვერ შეძლონ შემდგომი რეინტეგრაცია და დაბრუნდნენ კვლავ სასჯელის მოხდის ადგილებში სხვა ალტერნატივის არარსებობის გამო. ასეთი რისკი ყველაზე მაღალია სწორედ შშმ პატიმრებისთვის, რომლებიც, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროებენ სისტემატურ მოვლასა და დახმარებას.

ლოგიკურია, რომ გრძელვადიანი და უვადო პატიმრების მართვისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი მომეტებულად სახიფათო ბუნება, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და სხვა გარემოებები. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებებიც, რომ უსაფრთხოების უმკაცრესმა ზომებმა, რომელიც შერწყმულია მათ იზოლაციასთან სხვა პატიმრებისაგან და გადაადგილების შეზღუდვასთან, შეიძლება გამოიწვიოს მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მოშლა.<sup>386</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკა არ ცხადყოფს, რომ ხანგრძლივად დაპატიმრებული ყველა პირი საშიშია. მაგალითისათვის, უვადო თავისუფლებაალკვეთილი პატიმრები არ წარმოადგენდნენ ხოლმე იმაზე მეტ საფრთხეს, ვიდრე მრავალგ-

<sup>385</sup> იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ, 2003, 3.

<sup>386</sup> იხ. *Alejandro Forero Cuéllar, María Celeste Tortosa, Klaus Dreckmann, Dimitar Markov, Maria Doichinova*, A handbook on Vulnerable groups of prisoners (The compilation of this Handbook was coordinated by the research team of the Observatory on the Penal System and Human Rights of the University of Barcelona (Spain) and the Center for the Study of Democracy (Bulgaria) based on national reports elaborated by each country team). 2015, 75.

ზის ნაკლებვადიანი სასჯელის მქონე ან ნებისმიერი სხვა პატიმარი. კოილი აღნიშნავს, რომ ხშირად ასეთი კატეგორიის პატიმრები დამამშვიდებლად მოქმედებენ სხვა პატიმრებზე, რასაც ხსნის მათი ასაკით, ჩადენილი დანაშაულის ხასიათით, გათავისუფლებისათვის მომზადებისადმი მათი დამოკიდებულებით და სხვა მიზეზებით.<sup>387</sup>

განსაკუთრებით ამ მიდგომით უნდა იქნეს განხილული შშმ უვადო და გრძელვადიან პატიმართა სასჯელის მოხდის პოლიტიკა, რადგანაც ასეთი პატიმრები, მათი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისთავად არიან ნაკლები რისკის მატარებელი. ამდენად, მათი სასჯელის მოხდის დროს განხორციელებული ღონისძიება მიზნად უნდა ისახავდეს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას, შეძლებისდაგვარად, უმოკლეს ვადებში და მათ რეინტეგრაციას საზოგადოებაში.

მრავალმხრივი საჭიროებების მქონე შშმ პატიმართა სასჯელის მოხდის თავისებურებების განხილვა იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ ამ კატეგორიის პატიმართათვის უსაფრთხო და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი სასჯელის მოხდის პირობების უზრუნველსაყოფად უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. უპირველეს ყოვლისა, სასჯელალსრულების სისტემაში უნდა დაინერგოს ტერმინი „მრავალმხრივი საჭიროებები“, რაც სისტემას მისცემს საშუალებას, სწორი კვალიფიკაცია მიანიჭოს როგორც შშმ პირის მდგომარეობას, ისე მის თითოეულ საჭიროებას და საბოლოოდ, მთლიანობაში დაიგეგმოს ასეთი, მრავალმხრივი საჭიროების მქონე პირის სასჯელის მოხდა მისი ღირსების დაცვით, ფიზიკური თუ ფსიქიკური ზიანის მიყენების გარეშე.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტიტუტის დანერგვა სასჯელალსრულების სისტემის ყველა დაწესებულებაში და ყველა შესაბამისი თანამშრომლისთვის ხელმისაწვდომი საერთო ბაზის წარმოება საშუალებას იძლევა მრავალმხრივი საჭიროების

<sup>387</sup> იხ. კოილი ე., პენიტენციარული სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის, პენიტენციურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2007, 146.

მქონე შპმ პირის დაწესებულებაში მიღებისთანავე დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი სახის უფლებათა დარღვევის, დისკრიმინაციის ან უხეში მოპყრობის რისკი და ასევე ხელი შეუწყოს პირს ადაპტაციაში.

მრავალმხრივი საჭიროებები უკავშირდება როგორც სქესსა და ასაკს, ასევე სისტემის შიდა კრიმინალური სამყაროს მიერ შექმნილ დისკრიმინაციულ იერარქიას, რაც შპმ პირის ისედაც რთულ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს. ამდენად, სასჯელაღსრულების სისტემამ უნდა შეიმუშაოს დამცავი მექანიზმები, რომლებიც არ უკავშირდება დისციპლინურ ღონისძიებებს.

## თავი 20. გათავისუფლებისათვის მომზადება და სასჯელის მოხდისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლება

პენიტენციური სისტემის საქმიანობაში ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე თემაა სასჯელის მოხდისაგან ვადამდე ადრე გათავისუფლება. მასთან მიმართებით ევროპული სტანდარტები ადგენენ მოთხოვნებს, რომლებსაც ის უნდა შეესატყვისებოდეს და ემსახურებოდეს, კერძოდ: ამ პროცედურების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობაზე დამყარებული დემოკრატიული სახელმწიფოების ძირითად პრინციპებს, რომელთა უპირველესი ამოცანაა ადამიანის უფლებების გარანტირება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.<sup>388</sup>

ვადამდე ადრე გათავისუფლება დაკავშირებულია მრავალ სპეციფიკურ სირთულესთან. ერთ-ერთია ის, რომ მასში მონაწილეობს რამდენიმე მნიშვნელოვანი მოქმედი მხარე: თვითონ მსჯავრდებული, რომლის მთავარი მოტივაცია სასჯელის მოხდის პერიოდში არის ვადამდე ადრე გათავისუფლებისათვის მზადება და მისი ხელმისაწვდომობა, მეორე მხრივ, დაზარალებული, რომელსაც მიადგა მორალური ან/და მატერიალური ზიანი და აქვს შინაგანი პროტესტი იმის გამო, რომ პირი, რომელმაც მას ეს ზიანი მიაყენა, სრულად არ მოიხდის სასჯელს, დაბოლოს, საზოგადოება და მისი უსაფრთხოება, რომელშიც მსჯავრდებული უნდა დაბრუნდეს და რომელიც უმეტეს შემთხვევაში არცთუ ისე კეთილგანწყობილია ყოფილი პატიმრის მიმართ. თუმცა, თუ ყურადღებას მივაქცევთ ევროპის საბჭოს განმარტებას ვადამდე ადრე გათავისუფლების მიზნებთან დაკავშირებით, აქ ნათლად არის წარმოჩენილი მისი დადებითი მხარეები ყველა ზემოაღნიშნულ რისკთან მიმართებით. კერძოდ, პირველ რიგში, მიზნად უნდა ისახავდეს პატიმრის დახმარებას, რათა მან ციხის ცხოვრება გარდაქმნას საზოგადოებაში

<sup>388</sup> იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პრეამბულა, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015, 64.



კანონმორჩილ ცხოვრებად. დასახული მიზნის მიღწევა მოხდეს გათავისუფლების შემდგომ პირობების შექმნითა და ზედამხედველობით, რასაც წვლილი შეაქვს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის შემცირებაში.<sup>389</sup>

იმ სირთულეებიდან გამომდინარე, რომელთა გადალახვაც პირს უწევს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების პროცესში და რომელსაც ემატება ჯერ კიდევ მრავალ ქვეყანაში გადაუჭრელი სტიგმატიზაციის პრობლემა, სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებულ პირს უჭირს იმ საზოგადოებაში ინტეგრირება, რომელშიც ეს ბარიერები არსებობს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ შშმ პირის მდგომარეობას მოცემულ შემთხვევაში, როდესაც არსებულ საერთო ტიპის პრობლემებს ემატება მისი შეზღუდული შესაძლებლობა, ეს ადამიანები გაცილებით მეტი სირთულის წინაშე დგებიან. თუმცა აქვე ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელისაგან გათავისუფლება ნებისმიერი პირის უფლებაა და ის ამ უფლების შესახებ დაკავებისთანავე უნდა იყოს ინფორმირებული. როგორც გ. მიქანაძე თავის ნაშრომში აღნიშნავს, ვადამდე გათავისუფლების პროცედურები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტებთან მიმართებით, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთის ნეგატიური ეფექტების შემცირება და მსჯავრდებულთა რეინტეგრაცია.<sup>390</sup> ამდენად, მისი როლი ბევრად უფრო ფართო და მნიშვნელოვანია, ვიდრე მხოლოდ სასჯელის მოხდის ადგილიდან გათავისუფლება.

თუმცა აქ იკვეთება ციხის ადმინისტრაციის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი წვლილი: პირველ რიგში, თუ პატიმარი საზოგადოე-

---

<sup>389</sup> იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პრეამბულა, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015, 65-66.

<sup>390</sup> იხ. *მიქანაძე გ.*, პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება — ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბილისი, 2012, 137.

ბაში ბრუნდება სხვადასხვა ცხოვრებისეული უნარით აღჭურვილი, ამ შემთხვევაში მაღალია იმის ალბათობა, რომ ყოფილმა შშმ პატიმარმა ადვილად მოახდინოს საზოგადოებაში ინტეგრაცია. მეორე მხრივ, ასევე მაღალია ალბათობა იმისა, რომ საზოგადოება იცოს დაცული ახალი დანაშაულისაგან. ევროპული წესები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესს, რომლის განმავლობაში საპატიმროს შესაბამისმა სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პატიმრებს ჰქონდეთ გათავისუფლების წინა პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა.<sup>391</sup>

<b>სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სტატისტიკა 2019 წლის სექტემბრის მონაცემებით:<sup>6</sup></b>	
პატიმართა საერთო რაოდენობა	10 042
გათავისუფლებულთა რაოდენობა	644
კალენდარულად გათავისუფლებული	188
პირობითი მსჯავრი	45
სასჯელის მოხდისაგან ვადამდე ადრე გათავისუფლება	82
სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა (საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა/შინაპატიმრობა)	15
ამნისტია	0
შენწყალება	0
განაჩენის აღსრულების გადავადება ავადმყოფობით/ორსულობით	1
ავადმყოფობით გათავისუფლება	0
სხვა სახის გათავისუფლება (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა)	313

<sup>391</sup> იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პირობით გათავისუფლებისათვის მომზადება, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015, 67-68.

რა არის გამოსავალი იმისათვის, რომ შშმ პატიმრები გათავისუფლების შემდგომ არ აღმოჩნდნენ გამოუვალ მდგომარეობაში და იმ რისკის წინაშე, რომ მათ მოუწიოთ სასჯელის მოხდის ადგილებში დაბრუნება. როგორ უნდა განხორციელდეს მათი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი. პირველ რიგში, ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოავლინოს მაქსიმალური ძალისხმევა იმისათვის, რომ შშმ პატიმრები ჩართული იყვნენ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისათვის მომზადების ყველა პროგრამაში, რომლებიც არსებობს მოცემულ დაწესებულებაში სხვა ნებისმიერი პატიმრისთვის. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, შშმ პირთა საჭიროებებიდან გამომდინარე, უნდა შეიმუშაოს ისეთი პროგრამები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება აღნიშნული საჭიროებების გათვალისწინებით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პროგრამების არარსებობა ან შშმ პირებისათვის პროგრამებზე ხელმისაწვდომობის არქონა არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ პირს უარი ეთქვას სასჯელის მოხდისაგან ვადამდე ადრე გათავისუფლებაზე. განსაკუთრებით კი ის ფაქტორი, რომ შესაძლოა ადმინისტრაციამ ვერ შეძლო შესაბამისი რაოდენობის პატიმართა პროგრამებში მონაწილეობა მათი შეზღუდული შესაძლებლობების გამო, არ უნდა იქნეს მათ წინააღმდეგ გამოყენებული პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>392</sup>

გარდა ციხის შიდა პროგრამებისა, ევროპის საბჭოს რეკომენდაცია მნიშვნელოვან ადგილს უთმობს სხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ინსტიტუტების როლს გათავისუფლებისათვის მომზადებისა და გათავისუფლების შემდგომ მხარდაჭერის პროგრამებში განხორციელებაში.<sup>393</sup> რაც ხელს შეუწყობს ნებისმიერი პირის და განსაკუთრებით შშმ პირის საზოგადოებაში ინტეგრაციას. შშმ პირის

<sup>392</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 53.

<sup>393</sup> იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პირობით გათავისუფლებისათვის მომზადება, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015, 67.

გათავისუფლების შემდგომ ცხოვრების მოწესრიგებას კარგად შეესატყვისება ე.კოილის განმარტება, რომლის მიხედვით, ციხეში ყოფნის დროს მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რათა ისინი გათავისუფლების შემდგომ პირს დაეხმარონ დასახლებაში, უნდა შეიქმნას რაიმე სოციალური სტრუქტურა, რომელიც მათ დაეხმარება საზოგადოებაში ხელახლა დაბრუნებაში.<sup>394</sup> სწორედ შშმ პირები წარმოადგენენ იმ რისკჯგუფს, რომელიც ასეთი ტიპის დახმარებას ყველაზე ხშირად საჭიროებს თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე.

სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამებში მონაწილეობის ხელშემშლელ ფაქტორებს, როგორცაა: ციხეების გადატვირთულობა, როდესაც ადმინისტრაციას ფიზიკურად არ გააჩნია ინფრასტრუქტურა იმისათვის, რომ დანერგოს ასეთი პროგრამები, ან არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, როდესაც პროგრამები არ არის ხელმისაწვდომი მხოლოდ შშმ პირებისთვის; ფინანსური რესურსების არქონა პროგრამების იმპლემენტაციისათვის, როდესაც ვერ ხერხდება სწორედ შშმ პირებზე ორიენტირებული პროგრამების დანერგვა, მათი რაოდენობრივი სიმცირიდან გამომდინარე, რადგან რესურსები ძირითადად მიმართულია პატიმართა უმრავლესობის საჭიროებებზე; სპეციალისტების სიმცირე ან/და არარსებობა დაწესებულების ბაზაზე და სხვ.

გარდა სისტემის შიგნით არსებული პროგრამებისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა სისტემა და სამსახური, რომლებმაც, მათი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, დახმარება უნდა გაუწიონ პენიტენციურ დაწესებულებებს გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამების შემუშავებაში. შესთავაზონ გათავისუფლების შემდგომი მხარდაჭერის პროგრამები, რომლის გარეშეც გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში ადაპტირება წარმოადგენს დამატებით სირთულეს

<sup>394</sup> იხ. კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის, პენიტენციურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2007, 91.

და გამოწვევას შშმ პირისათვის. ასეთი სამსახურების ნუსხაში, უპირველეს ყოვლისა, ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, უნდა მოვიზიაროთ პრობაციის სამსახურები, იმის გათვალისწინებით, რომ პირობით გათავისუფლებას ასევე თან უნდა ახლდეს ზედამხედველობა, რომელიც შედგება დახმარებისა და კონტროლის ღონისძიებებისგან.<sup>395</sup> როგორც პრობაციის სამსახურები უნდა იყვნენ ჩართული გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში, ასევე ციხის ადმინისტრაციას უნდა ეკისრებოდეს ვალდებულება, მიაწოდოს პრობაციის სამსახურებს საჭირო ინფორმაცია შშმ პირის გათავისუფლებისა და მისი საჭიროებების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ ასეთი თანამშრომლობა შედგეს, შშმ პირთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში ციხის შესაბამის სამსახურებს უნდა ჰქონდეთ აქტიური კომუნიკაცია სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო სამსახურთან, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ შშმ პირებს გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესში. საზოგადოებაში არსებული მომსახურებისა და დახმარების ხელმისაწვდომობა, რთული და ზოგჯერ შეუძლებელიც არის სასჯელის მოხდის დაწესებულებებიდან გათავისუფლებული შშმ პირებისათვის, მათი ნასამართლეობიდან გამომდინარე. მოცემული დაბრკოლების თუ პრობლემის გადაჭრის გზაა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში და გათავისუფლების შემდგომი მომსახურების მიწოდებაში კვალიფიციური სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურების ჩართვა.

გათავისუფლებისათვის მომზადებისა და გათავისუფლების შემდგომი კომპლექსური პროგრამები მიმართული უნდა იყოს პატიმართა საზოგადოებაში დაბრუნების პროცესის მხარდაჭერისაკენ, რათა თავიდან იქნეს აცილებული განმეორებითი სამართალდარღვევები და შესაძლებელი გახდეს ციხის უარყოფითი ზეგავლენის შემცირე-

<sup>395</sup> იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, ზოგადი პრინციპები, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015, 66.

ბა, განსაკუთრებით შშმ პირების შემთხვევაში, რადგანაც, სავარაუდოდ, ისინი განსაკუთრებული სირთულეების წინაშე აღმოჩნდებიან გათავისუფლების შემდგომ.<sup>396</sup>

აღსანიშნავია ასევე ვადამდე ადრე სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საკითხის განხილვის პროცესი, რომელსაც იხილავს სასამართლო ან შესაბამისი საბჭო/კომისია ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული პრაქტიკის მიხედვით. შშმ პირის გათავისუფლების საკითხის განხილვისას მისი მდგომარეობა უნდა იყოს ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც გათავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს, იმის გათვალისწინებით, თუ ციხის პირობებში ყოფნა რამდენად აყენებს მას ზიანს ან ართულებს მის მდგომარეობას.

---

<sup>396</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 53.

## პარი IV. არასაპატიმრო სასჯელის აღსრულება/ პრობაცია

### თავი I. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სპეციფიკა შშმ პირებთან მიმართებით. კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

შშმ პირთა მიმართ არასაპატიმრო სასჯელების გამოყენება, გარდა იმისა, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ჰუმანურობის მაჩვენებელია, შშმ პირისათვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. თუ რატომ უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას, ამას ბევრი მიზეზი განაპირობებს, პირველ რიგში, ის გამოორიცხავს შშმ პირის საკნის პირობებში განთავსებას და, მეორე მხრივ, პირი რჩება შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების კონტროლის სფეროში, იქიდან გამომდინარე, რომ მან, თავისი მდგომარეობის მიუხედავად, ჩაიდინა დანაშაული.

არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ასევე იმის გათვალისწინებით, რომ შშმ პირის მიმართ საპატიმრო სასჯელები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ვადით, რომ დახურულ დაწესებულებაში ყოფნამ არ გამოიღოს ისეთი შედეგები, როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაართულება, ოჯახისა და ჩვეული გარემოსგან ხანგრძლივი სიშორით გამონეული ფსიქოლოგიური სტრესი და ა. შ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დამახასიათებელია ქართული რეალობისთვის, რადგანაც შშმ პირები, უმეტეს შემთხვევაში, მიჯაჭვული არიან ოჯახს, ცხოვრობენ მასთან ერთად და მისგან იღებენ დიდ დახმარებასა და თანადგომას. „შშმ დამნაშავეების სოციალური რეინტეგრაციის საჭიროებები იშვიათად ან საერთოდ არ კმაყოფილდება ციხეში სასჯელის მოხდით და მათთვის თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა და საზოგადოებრივი

უსაფრთხოების საჭიროებების გათვალისწინებით.<sup>397</sup>

შშმ პირის მდგომარეობისა და საჭიროებიდან გამომდინარე, საპატიმრო თუ არასაპატიმრო სასჯელის ნაცვლად, პრიორიტეტულად შესაძლებელია განვიხილოთ შშმ პირის მიმართ განრიდების პრაქტიკის მაქსიმალური გამოყენება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სისხლის სამართლის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, როცა ამის შესაძლებლობას იძლევა სისხლის სამართლის საქმისწარმოების ინტერესები, დაზარალებულის დამოკიდებულება და საზოგადოების უსაფრთხოება. „სისხლის სამართლის საქმეებზე თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს გამოყენებული როგორც უკიდურესი ზომა, როცა განრიდების პროგრამები, მათ შორის აღდგენითი მართლმსაჯულება, არასაკმარისია მომავალი დანაშაულების თავიდან ასაცილებლად.“<sup>398</sup>

ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა განრიდების ინსტიტუტის გამოყენების წარმატებულ პრაქტიკად არ გამოდგება, მიუხედავად იმისა, რომ, თავისი არსით, განრიდება და მედიაცია სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების პარალელურად არსებული სამართლებრივი ბერკეტია, რომელიც მიზნად ისახავს ლიბერალური მეთოდებით უფრო ეფექტიანად მოხდეს ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.<sup>399</sup>

არასრულწლოვანთა შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ 2010

---

<sup>397</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 48.

<sup>398</sup> იხ. Committee on the Rights of Persons with Disabilities, Guidelines on article 14 of the Convention on the Rights of Persons with Disabilities, The right to liberty and security of persons with disabilities, Adopted during the Committee's 14th session, held in September 2015, 6.

<sup>399</sup> იხ. დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013, 167 (დანაშაულის პრევენციის ცენტრი, არის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ, რომელიც 2012 წელს შეიქმნა. ცენტრის მისიაა: საქართველოში დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა, რისკჯგუფებთან მუშაობა და პირველადი დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება).



ნლის ივლისში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება. ამ ცვლილებასთან ერთად ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის მექანიზმი. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ბაზაზე პროგრამა ამოქმედდა 2010 წლის 15 ნოემბერს.<sup>400</sup> აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ განრიდება გამოიყენება არასრულწლოვნების შემთხვევაში, თუმცა მისი გამოყენების არეალი შესაძლებელია და მიზანშეწონილია გავრცელდეს სხვა მონყვლად ჯგუფებზე და მათ შორის, შშმ პირებზეც, მათ მიერ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. როდესაც შესაძლებელია დაზარალებულსა და შშმ ბრალდებულს შორის შეთანხმების მისაღწევად პროცესში შეიძლება ჩაერთოს მედიატორი, რაც, შესაბამისად, დაზარალებულის ინტერესების უგულბელყოფასაც გამორიცხავს. შშმ პირების მიმართ განრიდებისა და მედიაციის პროცესი მიზანშეწონილია ამოქმედდეს პირველივე წუთებიდან, როდესაც მათ შეხება აქვთ სამართალდამცავ ორგანოებთან და მოხდეს მათი განრიდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემიდან. აქვე ექსპერტები განმარტავენ განრიდების გამოყენების პერიოდს, რომელიც არ უნდა იყოს შეზღუდული. განრიდების გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში - ბრალის ნაყენების, სასამართლო პროცესის ან პატიმრობის დროს.<sup>401</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასჯელის გამოყენებას გარდაუვალი ხასიათი აქვს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულისა და საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. წინამდებარე ნაშრომში ფართოდ არის განხილული საპატიმრო სასჯელების გამოყენების სტანდარტები და ამგვარი სასჯელის უარყოფითი და დადებითი შედეგები. თუმცა შშმ პირების მიმართ ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას პრიორიტეტი ენიჭება, იმის გათვალისწინებით, რომ შშმ

<sup>400</sup> იხ. განრიდების და მედიაციის პროგრამა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის 2016 წლის 6 თვის ანგარიში.

<sup>401</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 48.

პირები განსაკუთრებულ მონყვლად კატეგორიას მიკუთვნებული რისკჯგუფია და მათი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სასამართლომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მათ მიმართ ალტერნატიული სასჯელები.

ალტერნატიული სასჯელის გამოყენების პრიორიტეტულობა ჩვენი აზრით, არაერთი გარემოებით შეიძლება იყოს არგუმენტირებული და მიჩნეული პოზიტიურ პრაქტიკად. კერძოდ:

**შშმ პირის ინტერესები** - ალტერნატიული სასჯელის შემთხვევაში, ერთი მხრივ, პირი რჩება ოჯახთან და იმ ადამიანებთან ერთად, რომელთა მხრიდანაც იღებს ჩვეულ მორალურ თუ ფიზიკურ მხარდაჭერასა და დახმარებას. მეორე მხრივ, იგი, მისი საჭიროების შეფასების საფუძველზე, იღებს მხარდაჭერასა და დახმარებას პრობაციის სამსახურისგან, მათ შორის იმ სახის დახმარებებს, რომლებიც მანამდე არ იყო ხელმისაწვდომი მისთვის ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის, დაბალი ინფორმირებულობის, ფიზიკური შეზღუდვისა და მის მდგომარეობასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებათა გამო. ხშირ შემთხვევაში ამგვარი ხელმისაწვდომობის არარსებობა დანაშაულის ჩადენის მიზეზიც შეიძლება იყოს.

**ციხის სისტემის ინტერესები** - იმის გათვალისწინებით, რომ ციხის სისტემა, ძირითადად, გათვალისწინებულია ახალგაზრდა და ჯანმრთელი ადამიანებისათვის, უმეტეს შემთხვევაში, მისი ინფრასტრუქტურა, რეგულაციები და სხვა პირობები არ არის მორგებული შშმ პირთა საჭიროებებს. ამდენად, შშმ პირების ციხეში მოხვედრისას ციხის ადმინისტრაციას დამატებით უწევს ზრუნვა მათთვის ადეკვატური პირობების შესაქმნელად, რასაც ხშირად სჭირდება დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსების მობილიზება და პერსონალის სპეციალური მომზადება. თუმცა პრობლემის გადაჭრა ხშირად სცილდება ციხის უფლებამოსილებას, როცა გარკვეული ქმედებების განხორციელება მოითხოვს საკანონმდებლო და სხვა სახის ცვლილებებს.

**საზოგადოების უსაფრთხოება** - ადამიანები, რომლებმაც, მათი მდგომარეობის მიუხედავად, ჩაიდინეს დანაშაული, არ რჩებიან ინ-

ტენსიური კონტროლისა და ყურადღების გარეშე.

ცალსახაა, რომ ალტერნატიული სასჯელის გამოყენება შშმ პირების მიმართ სასჯელის გამოყენების ჰუმანური გზაა. თუმცა განხილვის საგანი უნდა იყოს ასევე პრობაციის სამსახურების მზაობა, თუ რამდენად აქვთ მათ სათანადო კვალიფიკაცია და რეგულირების მექანიზმები იმისათვის, რომ იმუშაონ შშმ პირებთან. კანონისა და სტანდარტების დაცვით განახორციელონ სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელის აღსრულება, შშმ მსჯავრდებულთა ინტერესების, მათი ღირსების დაცვით, მათთვის საჭირო პროგრამების მიწოდებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამების უზრუნველყოფით.

პრობაციის სამსახური არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას და სასჯელის მოხდისაგან ვადამდე ადრე გათავისუფლებული პირის მიმართ კონტროლის განხორციელებისას უნდა ითვალისწინებდეს დაზარალებულის ინტერესებს და საზოგადოების უსაფრთხოებას. ლოგიკურია ის მსჯელობა, რომელსაც განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატიმართა სახელმძღვანელოში ვხვდებით იმის შესახებ, რომ შშმ პირებისთვის შესაბამისი არასაპატიმრო პროგრამების განვითარება, საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობის კომბინაციით და თემში ზედამხედველობით<sup>402</sup>, წარმოადგენს უფრო ადამიანურ და ეფექტიან გზას, დაკმაყოფილდეს ამ პირის განსაკუთრებული საჭიროებები და ამასთანავე, უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივი უსაფრთხოება.<sup>403</sup> ამდენად, შშმ პირის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენება და პრობაციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა უფრო პრიორიტეტული ღონისძიება უნდა იყოს, ვიდრე პატიმრობა.

საქართველოს პრობაციის სისტემაში შშმ პირებთან მუშაობის არსებული პრაქტიკის შეფასებისათვის, შესაძლებელია განვიხილოთ საქართველოს კანონმდებლობა (საქართველოს კანონი არასაპატიმ-

<sup>402</sup> მოცემულ შემთხვევაში თემაში ზედამხედველობის ქვეშ მოიაზრება პირისადმი კონტროლის განხორციელება საზოგადოებისაგან მისი იზოლირების გარეშე.

<sup>403</sup> იხ. Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009, 49.

რო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ) და პრობაციის სისტემის პრაქტიკა შუამ პირებთან მუშაობის ნაწილი. მოცემული ანალიზი იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ის რეგულაციები, რომლებიც შუამ მსჯავრდებულებთან/პრობაციის კლიენტებთან მუშაობის სტანდარტებს განსაზღვრავს, საკმაოდ სუსტია და რეალურად იგი არ შეიძლება ჩაითვალოს იმის გარანტიად, რომ ალტერნატიული სასჯელი აღსრულდება შუამ მსჯავრდებულთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

თუ თვალს გადავაგვლებთ ქართული პრობაციის სისტემის შექმნისა და განვითარების ისტორიას,<sup>404</sup> ის არც ისე ხანგრძლივია. ამდენად, მასში არსებული ხარვეზები ეტაპობრივ დახვეწასა და განვითარებას საჭიროებს. ქართული პრობაციის სისტემა ევროპული ქვეყნების მსგავსი განვითარების ეტაპებითა და სტანდარტებით ხასიათდება და რაიმე ფორმით გამონაკლისს არ წარმოადგენს. თუმცა, ევროპული სისტემებისაგან განსხვავებით, ის გაცილებით ახალგაზრდაა. შესაბამისად, არსებული ხარვეზები ნიშანდობლივია. ევროპის პრობაციის სისტემების შედარებით ანალიზში განმარტებულია, რომ პრობაციის წარმოშობა და განვითარება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ბევრი მსგავსებით ხასიათდება და მისი წარმოშობის საწყისებს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ხედავს. „როდესაც საქველმოქმედო და რელიგიურმა ინსტიტუტებმა დაიწყეს პატიმრებისა და ყოფილი პატიმრების ბედით დაინტერესება, შეეთავაზებინათ მათთვის მატერიალური და არამატერიალური დახმარება (გერმანია, ირლანდია, ლუქსემბურგი და შვეიცარია),“<sup>405</sup>

საქართველოში პრობაციის სამსახურის შექმნასა და თანამედროვე სახით ფორმირებას 19 წლის ისტორია აქვს. კერძოდ, პროცესები შემდეგნაირად ვითარდებოდა: 2000 წელს სისხლის სამართ-

<sup>404</sup> იხ. *Magrade T., Gozalishvili N., Probation in Europe – Georgia, 2016, 5* (საქართველოში პრობაციის სამსახური შეიქმნა 2001 წელს. პირველი კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ მიღებულ იქნა 2001 წელს).

<sup>405</sup> იხ. *Anton M. van Kalmthout Ioan Durnescu, A comparative overview European Probation Service Systems, Chapter 1, 2, 2008.*

ლის სფეროში მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მოქმედ თითქმის ყველა საკანონმდებლო აქტში. კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით არაერთ თანამედროვე მიდგომას ჩაეყარა საფუძველი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ჰუმანიზაციის და პოსტსაბჭოთა სტანდარტებიდან მის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობისა და პატიმართა მიმართ მოპყრობის ჰუმანიზაციის კონტექსტში. მაგალითად, სასჯელაღსრულების სისტემაში პოსტსაბჭოთა აღმზრდელობით სამსახურს ეცვლება სახე და იქმნება პატიმართა რეაბილიტაციაზე ორიენტირებული სოციალური სამსახური; იწყება მუშაობა პრობაციის სამსახურის შექმნისთვის, ჩნდება ტერმინი „პრობაცია“, რომელიც უცხოა მთელი სისტემისათვის, ხოლო ცოტა მოგვიანებით, 2003 წლის 7 მაისს, უკვე პირველად ძალაში შედის საქართველოს სისხლის სამართლის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, რომლის მიხედვით, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) და იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროები (შემდგომში - პრობაციის ბიურო).<sup>406</sup>

ახლად შექმნილ დეპარტამენტს ეძლევა კოორდინაციის ფუნქცია, ხოლო პრობაციის ბიუროები უშუალოდ ახორციელებენ მათ კომპეტენციაში შემავალი სამართლებრივი აქტების აღსრულებას პრაქტიკაში, როგორცაა, მაგალითად, არასაპატიმრო და პირობითი სასჯელის მქონე პირთა მიერ სასამართლოს განაჩენით დაკისრებული მოვალეობების განხორციელება. სამსახურის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის ხელის შეწყობა, მისი დახმარება და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის

<sup>406</sup> იხ. *Magrade T., Gozalishvili N., Probation in Europe – Georgia, 2016*, 5 (საქართველოში პრობაციის სამსახური შეიქმნა 2001 წელს. პირველი კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ მიღებულ იქნა 2001 წელს).

თავიდან აცილება, თუმცა პირველ ეტაპზე მას მხოლოდ კონტროლი შეეძლო. დროთა განმავლობაში პრობაციამ მკვეთრი განვითარება განიცადა და თავისი შესაძლებლობებით ევროპული ქვეყნების პრობაციის სისტემას დაუახლოვდა.

კანონი პერიოდულად განიცდიდა სახეცვლილებას: 2007 წლის 17 ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს ახალი კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, რომლის საფუძველზეც არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის ნაცვლად ჩამოყალიბდა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური. აღნიშნული კანონის თანახმად, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროები გარდაიქმნა უშუალოდ პრობაციის ეროვნული სამსახურის ტერიტორიულ ორგანოებად. 2009 წლის 4 თებერვლიდან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური გადადის ახლადშექმნილი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაქვემდებარებაში და 2018 წელს იგი კვლავ უბრუნდება იუსტიციის სამინისტროს.

გარდა სამსახურის ეტაპობრივი ფორმირებისა, ცვლილებებს განიცდიდა კანონი პრობაციის შესახებ, თუმცა, თუ კანონმდებლობას გავანალიზებთ შუამ პრობაციონერებთან მიმართებით, ამ მხრივ დიდი წარმატება არ გვქონია. კანონი წარმოადგენს რეგულირების ძირითად მექანიზმს, როგორც თანამშრომელთა მხრიდან სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით, ისე პრობაციონერთა უფლებებისა და მათთან მოპყრობის სფეროშიც. ამდენად, მისი როლი ძალიან დიდია ნებისმიერი პირის და მათ შორის შუამ პირების, მიმართ ალტერნატიული სასჯელის აღსრულების შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონში თითქმის არ არის მოხსენიებული შუამ პირები და მათთან მუშაობის სპეციფიკა, მასში

ვხვდებით გარკვეულ დათქმებს, რომლებიც შესაძლებელია მაინც მოვიაზროთ შშმ პირთა უფლებების დაცვის გარანტად, მაგალითად, როგორცაა პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები, რომელშიც განმარტებულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ვალდებულება, რომ პატივი სცენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და დაიცვან კანონის წინაშე თანასწორობა, განურჩევლად ნებისმიერი განმასხვავებელი ნიშნისა.<sup>407</sup> უპირველეს ყოვლისა, ყველა პუნქტი ვრცელდება როგორც სხვა პირების, ისე შშმ პირების მიმართ და პრობაციის თანამშრომლები ვალდებული არიან თანაბრად სცენ პატივი შშმ პირთა საჭიროებებსა და მათ ინტერესებს. ასევე, მუხლში ნახსენები ტერმინი „სხვა ნიშნისა“, შესაძლებელია მივუსადაგოთ შშმ პირს და მის სპეციფიკურ საჭიროებებს.

შემდეგი მუხლი, რომელიც ასევე შშმ პირთა დაცვისა და მათთან მუშაობის ეფექტიანობის გარანტად უნდა მივიჩნიოთ, არის პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზნები, სადაც განმარტებულია, რომ „*პრობაციის ეროვნული სააგენტო თავის მიზნებს ახორციელებს მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმვით, მსჯავრდებულის აუცილებელი ზედამხედველობითა და კონტროლით, მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის ხელის შეწყობითა და დახმარებით.*“<sup>408</sup> მოცემული მუხლის მნიშვნელობა განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რადგანაც, თუ პრობაციის სისტემა ნებისმიერი პატიმრის მიმართ განახორციელებს რისკისა და საჭიროების შეფასებას, ის შესაბამისად გავრცელდება შშმ პირზე, რომლის სასჯელის მოხდა დაიგეგმება არა ზოგადი სტანდარტების, არამედ მისი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასების საფუძველზე მომზადებული სასჯელის აღსრულების გეგმის მიხედვით. ეს შესაძლებლობას მისცემს პრობაციის ოფიცრებს, სოციალურ მუ-

<sup>407</sup> იხ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის — არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, მუხლი 3, 27/03/2019.

<sup>408</sup> იქვე. მუხლი 2.

შაკებსა და ფსიქოლოგებს სასჯელის მოხდა წარმართონ ეფექტიანად, პირის გათავისუფლებისათვის მომზადებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობით.

პრობაციის სააგენტოს მიზნებში ასევე ვხვდებით დათქმას, რომელიც ციხის სისტემისაგან განსხვავებით, პრობაციის სისტემას აძლევს უფრო ფართო შესაძლებლობას, რომ, გარდა სასჯელის დაგეგმვისა, შშმ პირთა სასჯელის მოხდა განახორციელოს ყველა იმ აქტივობით, რომლებიც გეგმით არის განსაზღვრული და თავისი შეხედულებისამებრ გამოიჩინოს ზრუნვა შშმ პირების მიმართ, შეურჩიოს მათ რელევანტური პროგრამები, მომსახურება და სხვ. *„მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით, მინისტრთან შეთანხმებით, პრობაციის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია საკუთარი შემოსავლებიდან დააფინანსოს კულტურული, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა ღონისძიებები.“*<sup>409</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ კანონში ტერმინს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი“ თითქმის არ ვხვდებით. ამგვარი რეგულირების მექანიზმის არქონა ან მისი ზოგადი ხასიათი, ერთი მხრივ, პრობლემას უქმნის პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულია ალტერნატიული სასჯელი, მეორე მხრივ, ის პრობლემის წინაშე აყენებს პრობაციის ოფიცერს ასეთი პირის მიმართ სასჯელის აღსრულების პროცესის წარმართვისას. ერთადერთი მუხლი, რომელიც არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ნაწილში შშმ პირებს მოიხსენიებს, არის მე-12 მუხლი, რომელიც გარკვეულ შეღავათებს ადგენს პირობით მსჯავრდებული და პირობით ვადამდე გათავისუფლებული შშმ პირის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევისათვის. აღნიშნული რეჟიმი მოიცავს კვირაში ერთხელ პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროსა და ადგილას გამოცხადების

---

<sup>409</sup> იხ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის — არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, მუხლი 2, 3, 27/03/2019.



ვალდებულებას. თუმცა ასეთი რეჟიმი შესაძლებელია მოიცავდეს ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულებას.

კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს პრობაციის სისტემას სხვადასხვა განსაკუთრებულ კატეგორიას მიკუთვნებულ მონაცვლად ჯგუფებთან და მათ შორის, შშმ პირებთან მიმართებით გამოიყენოს შემსუბუქებული რეჟიმი, თუ ის მიიჩნევს, რომ სასჯელის შემდგომი ეფექტიანი მოხდისათვის არ არის აუცილებელი პირის სტანდარტულ რეჟიმში გამოცხადება, „თუ მსჯავრდებული არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში).“<sup>410</sup> კანონი ადგენს ასევე პროცედურებს, თუ რა შეღავათები შეიძლება იყოს გამოყენებული და როგორ უნდა დარეგულირდეს იგი, როდესაც პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან ნერილობითი შეთანხმებით, მსჯავრდებულს შესაძლებელია შეუმსუბუქდეს დადგენილი რეჟიმი პრობაციის ბიუროში 3 თვეში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებით.

აქვე, პოზიტიურ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს დამოკიდებულება შშმ მსჯავრდებულთან, რომელსაც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია. კანონი ავალდებულებს პრობაციის ოფიცერს მსჯავრდებულზე ზედამხედველობის განსახორციელებლად თვითონ მივიდეს მის საცხოვრებელ ადგილას არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.

დადგენილი რეჟიმის დარღვევის შემთხვევას თუ განვიხილავთ, შეზღუდულ შესაძლებლობას კანონი არ განიხილავს საპატიო მიზეზების სიაში. კანონი რეჟიმის დარღვევას საპატიოდ განიხილავს, თუ არსებობს ისეთი მიზეზი, როგორიცაა: „მსჯავრდებულის ჯანმრთ-

---

<sup>410</sup> იხ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის — არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, მუხლი 12, 27/03/2019.

ელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელს ხდის დადგენილი რეჟიმის შესრულებას, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა“.<sup>411</sup> იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული შესაძლებლობა სამედიცინო მოდულში არ იქნება განხილული, შშმ პირის გამოუცხადებლობა კვალიფიცირდება დარღვევად. ამის მაგალითი კი შესაძლებელია მრავალი იყოს პრაქტიკაში, მაგალითად, ეტლით მოსარგებლე ან უსინათლო პირს, რომელიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება, დათქმულ დღეს არ ჰყავდა დამხმარე.

კანონში, მსჯავრდებულის უფლებების დაცვის ნაწილში, საერთოდ არ არის ნახსენები შშმ პირების რაიმე სახის განსაკუთრებული საჭიროებები და მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, გარკვეული უფლებების დაცვის საჭიროება, შესაბამისად, გარკვეული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება (თუ არ ჩავთვლით გამოცხადების პერიოდულობაში გათვალისწინებულ შეღავათებს).

ცხადია, მსჯავრდებულის ყველა უფლება, რომლებსაც განიხილავს კანონი, ვრცელდება შშმ პირზეც, თუმცა, განსაკუთრებული მონაცვლადობიდან გამომდინარე, მას შესაძლებელია დაცვის განსხვავებული გარანტიები ესაჭიროებოდეს. ასეთ გარანტიად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი დათქმა: „ყოველგვარი სახის დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება“,<sup>412</sup> რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ამკრძალავ ნორმად, რომ შშმ პირი, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ იქნეს ჩაყენებული სხვა მსჯავრდებულებთან არათანაბარ პირობებში, როგორც ალტერნატიული სასჯელის აღსრულების, ასევე პროგრამებში მონაწილეობისა და კონტროლის განხორციელების შემთხვევაში.

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ფართოდ არის წარმოდგენილი პრობაციის საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრავენ პრობაციის ფარგლებში მსჯავრდებულებთან მოპყრობისა და არასაპატიმრო სასჯელების

<sup>411</sup> იხ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის — არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, მუხლი 2-3, 27/03/2019

<sup>412</sup> იქვე. მუხლი 10.

აღსრულების წესებსა და პროცედურებს. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია „არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები)“. განმარტების თანახმად, წესები წარმოადგენს ძირითადი პრინციპების ნაკრებს, რომელიც ემსახურება არასაპატიმრო ზომების გამოყენების ხელშეწყობას და პატიმრობის ალტერნატიული სასჯელის მქონე პირების მინიმალური დაცვის მექანიზმს.

შშმ პირებთან მიმართებით, ყურადღება უნდა გამახვილდეს სწორედ პრობაციის როლის განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც, პრობაციის როლი განპირობებულია იმით, რომ არსებობდეს პატიმრობის ალტერნატივის არჩევანი, სადაც მთავარ მიზნებში მოიაზრება „პატიმრობის ზომის გამოყენების სიხშირის შემცირება და ადამიანის უფლებებზე დაკვირვების, სოციალური მართლმსაჯულების მოთხოვნების და დამნაშავეის რეაბილიტაციის საჭიროებების გათვალისწინებით სისხლის სამართლის პოლიტიკის რაციონალიზაცია“.<sup>413</sup>

წესებში მითითებული სამართლის პოლიტიკის რაციონალიზაცია ქართულ პრაქტიკაში ყურადსაღებ ინსტიტუტს წარმოადგენს, რადგანაც საქართველოში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შშმ პირი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხვდება სწორედ იმ საფუძვლით, რომ არ არსებობს სისხლის სამართლის რაციონალური პოლიტიკა შშმ პირებთან მიმართებით და ადამიანი, რომელიც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი მდგომარეობის გათვალისწინებით არ საჭიროებს საზოგადოებისაგან იზოლირებას, ხვდება ციხეში.

პრობაციის როლი უნდა იწყებოდეს არა არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების და სასჯელისაგან ვადამდე ადრე გათავისუფლების პროცესში, არამედ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს წინასასამართლო ანგარიშის მომზადებას შშმ ბრალდებულებთან მიმართებით, რათა სასამართლომ მიიღოს სრული და ამომწურავი

---

<sup>413</sup> იხ. სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის, პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული, არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები), 1990, 12.

ინფორმაცია შშმ პირის მდგომარეობის, დანაშაულის გამომწვევი მიზეზების, ცხოვრების პირობებისა და სხვა გარემოებების შესახებ. ისინი ვალდებული არიან წინასასამართლო ანგარიშის მომზადების დროს სრულად მიიღონ მხედველობაში მსჯავრდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლები, გარემოებები და საჭიროებები, რათა უზრუნველყონ თითოეული პრობაციონერის საქმის სამართლიანად და კანონის დაცვით აღსრულება.<sup>414</sup> მოცემული ინფორმაცია ხელს შეუწყობს სასამართლოს მიერ რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული პრაქტიკა აქტიურად გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (მაგ., სკანდინავიის ქვეყნები). წინასასამართლო ანგარიშის როლის შესახებ პრობაციის წესები განმარტავს ანგარიშის მიზანს, რომ „საჭიროებისამებრ, დაეხმარონ სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს გადაწყვეტილების მიღებაში სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების ან შესაბამისი სასჯელის ან სხვა ღონისძიების შეფარდების თაობაზე“.<sup>415</sup>

რაც შეეხება პრობაციას დაქვემდებარებული სასჯელების აღსრულებას, საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავენ ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებულ სასჯელის მოხდის სისტემის მნიშვნელობას. „პრობაციის ორგანოებმა სრულად უნდა მიიღონ მხედველობაში მსჯავრდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლები, გარემოებები და საჭიროებები, რათა უზრუნველყონ თითოეული პრობაციონერის საქმის სამართლიანად და კანონის დაცვით აღსრულება.“<sup>416</sup> პრაქტიკოსების სახელმძღვანელო მიუთითებს პრობაციის ორგანოების ვალდებულებაზე - საქმიანობა განახორციელონ ნებისმიერი საფუძვლით, დისკრიმინაციის გარეშე, ნებისმიერი სტატუსის მიუხედავად.

როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ისე მოცემული წესი კონკრეტულ მითითებას არ აკეთებს შშმ პირებზე, თუმცა წესებში

<sup>414</sup> იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №M/ლევ (2010)1, წვერი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ, დანართი 1, 33.

<sup>415</sup> იქვე, წესი 42, 40.

<sup>416</sup> იქვე, წესი 33.

ცალსახად არის ასახული, რომ პრობაციის სამსახურებმა კანონი უნდა აღასრულონ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული სასჯელის მოხდის სისტემით.

არსებობს გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ შშმ პირების მიმართ არასაპატიმრო სასჯელების უმეტესი ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას, მათი ფიზიკური თუ ფინანსური მდგომარეობის, დაუსაქმებლობისა და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე. დამატებით კვლევას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ საქართველოში შშმ პირების უმეტესობა სოციალურად დაუცველი ან ეკონომიკურად სუსტი ოჯახებიდან არის, ასევე მინიმალურია შშმ პირთა დასაქმების შემთხვევები. ამდენად, პირადი შემოსავალი მათ, ძირითადად, არ გააჩნიათ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სსკ-ს განმარტებით, სასამართლო ჯარიმის ოდენობას ადგენს, სხვა გარემოებებთან ერთად, მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, შშმ პირის მიმართ ჯარიმა,<sup>417</sup> ისევე როგორც პატიმრობა სასჯელის სახით გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც გამონაკლისი ან საერთოდ არ უნდა იქნეს გამოყენებული, იმ საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც შშმ პირს აქვს იმისათვის, რომ იცხოვროს საზოგადოებაში სხვა ადამიანებთან მიახლოებულ პირობებში.

საქართველოს პრაქტიკაში შშმ პირის მიმართ ეფექტიანად ვერ იქნება გამოყენებული სასჯელი - თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა,<sup>418</sup> რამდენადაც თითქმის არ გვაქვს შემთხ-

---

<sup>417</sup> „ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი. ჯარიმის მინიმალური ოდენობა 2000 ლარი. თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები“ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 42, ნაწილი 1, 2, 22/07/1999.

<sup>418</sup> „თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას“, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 43, 1-ლი ნაწილი, 22/07/1999.

ვევა, რომ შშმ პირს ეკავოს რაიმე სახის თანამდებობა საჯარო თუ სახელმწიფო სამსახურში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონით საჯარო სამსახურის შესახებ შეზღუდული შესაძლებლობა არ წარმოადგენს საჯარო და სახელმწიფო სამსახურებში მიღების შემაფერხებელ გარემოებას.

ოპტიმალურ და გამოყენებად სასჯელებს შორის შესაძლებელია განხილულ იქნეს არასაპატიმრო სასჯელი, როგორცაა: გამასწორებელი სამუშაო,<sup>419</sup> თუ პირი დასაქმებულია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, ზოგადად, საზოგადოებაში არსებული დასაქმების პრობლემას და მათ შორის, შშმ პირთა დასაქმების დაბალ მაჩვენებელს, აღნიშნულ სასჯელს ეფექტიან გამოყენებად სასჯელთა სიაში ვერ მოვაქცევთ.

ყველაზე ოპტიმალურ სასჯელებად შესაძლებელია განხილულ იქნეს შინაპატიმრობა (სსკ, მუხლი 40, ნაწილი 1, ვ1 ქვეპუნქტი)<sup>420</sup> და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (სსკ, მუხლი 40, ნაწილი 1, გ - ქვეპუნქტი),<sup>421</sup> მათი აღსრულების თავისებურებებისა და იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც მათთან არის დაკავშირებული. თანამედროვე საზოგადოებრივი და მეცნიერული აზრი თანდათან არა სასჯელის სიმკაცრის, არამედ მისი სარგებლიანობისაკენ, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, უფრო იხრება. ამ მხრივ, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ერთობ მნიშვნელოვანი სასჯელია.<sup>422</sup>

<sup>419</sup> „გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდელი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე“, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 45, 1-ი ნაწილი, 22/07/1999.

<sup>420</sup> „შინაპატიმრობა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 471, 1-ლი ნაწილი, 22/07/1999).

<sup>421</sup> „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო“, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 44, 22/07/1999.

<sup>422</sup> იხ. დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013, 48.

შინაპატიმრობასთან მიმართებით მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ, კანონის თანახმად, შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით. ამდენად, ის არ წარმოადენს რაიმე სახის ისეთ დამატებით ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ დატვირთვას შშმ პირისათვის, რომ გამოიწვიოს შშმ პირის მდგომარეობის გართულება.

თუ განვიხილავთ არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებისას შშმ პირებისთვის სხვა მსჯავრდებულებთან თანაბარი პირობების შექმნას, შესაძლებელია ყურადღება დაეთმოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, რომელიც შშმ პირებისათვის, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხშირად ან არ არის ხელმისაწვდომი, ან სამუშაოს შერჩევა ხდება პრობაციის თანამშრომლების მიერ ერთპიროვნულად, რაც თავისთავად დისკრიმინაციული ხასიათისაა. ექსპერტები საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას მიიჩნევენ სამართლიან სასჯელად, რომლის ერთ-ერთი ასპექტია შესასრულებელი სამუშაოს შესახებ მსჯავრდებულთან წინასწარი კონსულტაცია. ასეთი სასჯელის შერჩევისას კი მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს, თუ რა სახის სამუშაოს შესრულება შეუძლია. თუმცა, მათივე განმარტებით, ეს მიდგომა არ ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებული იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა სახის სამუშაოს განახორციელებს.<sup>423</sup> მათივე აზრით, ეს დაეხმარება პრობაციის სისტემას, მსჯავრდებულისგან გაიგონ, თუ რა სახის უნარებს ფლობს, ისევე როგორც ისეთი სპეციფიკის ცოდნა, როგორცაა არსებული სამუშაო, საოჯახო ვალდებულებები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობის ქონა, დასვენების დღეებში მუშაობის დასაშვებობა და სხვა.

პრობაციის ევროპული წესები ადგენს პრობაციის ორგანოების ვალდებულებას, შეიმუშაონ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის პროგრამები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა სახის დავალებას მსჯავრდებულთა უნარებისა და საჭიროებების შესაბამისად.

---

<sup>423</sup> იხ. *არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ.*, პრობაციის სამართალი, 2015, 302.

ასეთი მიდგომა გამორიცხავს ზემოაღნიშნულ დისკრიმინაციას და შესაძლებლობას იძლევა შშმ პირებმა სასჯელი მოიხადონ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით სხვა პირთა თანაბარ პირობებში. ასეთი პროგრამების შექმნის ვალდებულებაში წესები განსაზღვრავს იმ მონყვლად ჯგუფებს, რომელთათვისაც ასეთი პროგრამების შექმნა უნდა იყოს პრიორიტეტი, როგორიცაა: ქალები, შშმ, ახალგაზრდა და მოხუცი მსჯავრდებულები.<sup>424</sup>

თუმცა სპეციალური პროგრამებისა თუ სამუშაო ადგილების შექმნას არ უნდა ჰქონდეს დისკრიმინაციული ხასიათი და ისინი მხოლოდ მათ უნარ-ჩვევებსა და შესაძლებლობებზე უნდა იყოს მორგებული. ევროპული სტანდარტები განმარტავენ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას: პირველ რიგში, ის არ უნდა იყოს დამამცირებელი (მასტიგმატიზებელი) და მეორე მხრივ, პრობაციის ორგანოები უნდა შეეცადონ ისეთი სამუშაოს მოძიებას, რომელიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის უნარ-ჩვევების განვითარებასა და მის სოციალურ ჩართულობას.<sup>425</sup>

### 1.1. წინასასამართლო ზედამხედველობა

ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა არ იცნობს ისეთ ინსტიტუტს, როგორიცაა პრობაციის ჩართულობა სასამართლო პროცესამდე ზედამხედველობის განხორციელებაში. ხშირ შემთხვევაში სასამართლოს მიერ აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა გამოიყენება იმ მიზეზით, რომ პირმა შესაძლებელია თავი აარიდოს გამოძიებას ან ზემოქმედება იქონიოს მოწმეებზე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ბრალდებული შშმ პირი და შეუძლია თუ არა განახორციელოს ამ ორი მოქმედებიდან რომელიმე. რეალურად ასეთი გადაწყვეტილებების მიღება იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ სასამართლო ვერ ხედავს

<sup>424</sup> იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ (პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული, 2015), წესი 51.

<sup>425</sup> იქვე, წესი 47, 41.



პასუხისმგებელ სისტემას, რომელიც ვალდებული იქნება გააკონტროლოს პირი, რათა მან არ განახორციელოს ასეთი ქმედებები. მსგავსი სახის ზედამხედველობის არქონა, სავარაუდოდ, სასამართლო ორგანოებს არ აძლევს საშუალებას, შშმ და ზოგადად, ნებისმიერი პირის მიმართ არ გამოიყენოს აღმკვეთი ღონისძიება, რადგანაც არ არსებობს ჯეროვანი ზედამხედველობის განხორციელების გარანტი.

ამ ინსტიტუტის არსებობის მრავალი დადებითი მხარე შეიძლება იქნეს განხილული, როგორცაა: პატიმართა რაოდენობის შემცირება და პენიტენციური სისტემის განტვირთვა, ჰუმანური დამოკიდებულება, სტიგმასთან ბრძოლა და ა. შ., მაგრამ მას განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს შშმ პირებთან მიმართებით, რომელთათვისაც ყოველთვის მაღალ რისკს წარმოადგენს დახურულ სივრცეში მოთავსება, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე. ამდენად, შშმ პირების მიმართ საპატიმრო ღონისძიება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის დროს. პრობაციის ზედამხედველობის ინსტიტუტი სასამართლო ორგანოებისთვის იქნება საშუალება შშმ პირთა წინასწარი პატიმრობის შესამცირებლად.

რაც შეეხება პრობაციის ზედამხედველობას მსჯავრდებულ შშმ პირებზე, იგი უნდა ეყრდნობოდეს შშმ პირთა საჭიროებებს. „იზისათვის, რომ ზედამხედველობა სრულად იქნეს განხორციელებული, პრობაციის სამსახურებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ინდივიდუალური სამართალდამრღვევის სხვადასხვა საჭიროება.“<sup>426</sup> ზედამხედველობა არ მოიაზრებს მხოლოდ მსჯავრდებულ პირის კონტროლს, რომელიც ხშირ შემთხვევაში შემოიფარგლება პირის პრობაციის ბიუროში გამოცხადებით და ხელმოწერის (ან ქართულ პრაქტიკაში თითის ანაბეჭდით) დაფიქსირებით. პრობაციის სამსახურები მობილიზებული უნდა იყვნენ იმისთვის, რომ მსჯავრდებულებს და განსაკუთრებით შშმ პირებს, გაუწიონ კონსულტაციები (ზედამხედველობა არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც

<sup>426</sup> იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 ნვერი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ (პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული, 2015), წესი 54

მხოლოდ კონტროლის ვალდებულება, არამედ იგი მოიცავს მსჯავრდებულისათვის რჩევების მიცემას, დახმარების აღმოჩენასა და ნახალისებას),<sup>427</sup> გადაამისამართონ ისინი მომსახურების გამწევ სახელმწიფო და არასამთავრობო ინსტიტუტებთან, რომლებთან თანამშრომლობა პრობაციის სამსახურების პრიორიტეტი უნდა იყოს.

## **1.2 პრობაციის საქმიანობის დაგეგმვა და სტატისტიკის წარმოება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მიმართებით**

ყველა შემთხვევაში და განსაკუთრებით პრობაციის შემთხვევაში, განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს სტატისტიკის წარმოებასა და გამოქვეყნებას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი მომსახურების მიმწოდებელი ან სხვა დაინტერესებული ორგანიზაციის, ინსტიტუტისა და პირებისათვის, რადგანაც პრობაციის კლიენტები არ იმყოფებიან დახურულ ინსტიტუციებში. ამდენად, მომსახურების მიწოდება არ არის დაკავშირებული რაიმე სახის შეზღუდვასთან, გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებისა. შესაბამისად, ნებისმიერი საჭირო დახმარება უნდა იყოს მიღებული და ნახალისებული პრობაციის კონტროლისა და თანამშრომლობის ფარგლებში.

პრობაციის საქმიანობის დაგეგმვა უნდა მოიცავდეს თანამშრომლობას შიდა სამსახურებთან (რისკის/საჭიროების შეფასება, მზრუნველობა, მოვლა), რათა ზუსტად დადგინდეს, თუ რა საჭიროება აქვს შშმ პირს, რომ დახმარება და მომსახურება, რომლებიც იქნება მიწოდებული, იყოს მისი შესაბამისი. საქმიანობის დაგეგმვის პროცესში უნდა იყვნენ ჩართული როგორც პრობაციის ოფიცრები, ასევე სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები, რათა პროგრამა სწორად და ეფექტიანად იყოს მორგებული შშმ პირის მდგომარეობასა და მის საჭიროებებს.

---

<sup>427</sup> იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1, წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ, წესი 47, 41 (პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული, 2015), წესი 55.

შპმ პრობაციონერის მიმართ სასჯელის აღსრულების გეგმა, განსხვავებით სხვა შემთხვევებისა, განსაკუთრებით საჭიროებს გარე სამსახურების ჩართულობას შპმ პირის მდგომარეობისა და შეზღუდულობის ტიპიდან და ხარისხიდან, ასევე პირის შეზღუდულ მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა გარემოებებიდან გამომდინარე. საჭიროა თანამშრომლობა მომსახურების მიმწოდებლებთან (მკურნალობა და ყოველდღიური ცხოვრების უნარების გამომუშავება: კომუნიკაციისა და სხვა სოციალური უნარები, თავის მოვლა, სახლში დამოუკიდებლად ცხოვრების უნარი, პროფესიული უნარები და სხვა, ასევე, ყოველდღიურ აქტივობებში ჩართვა: განათლება, დასაქმება, პროგრამებში მონაწილეობა და ა. შ.) იმ მიზნით, რომ, პირველ რიგში, დადგინდეს, არიან თუ არა მსურველი ინსტიტუტები ან პირები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ ის მომსახურება, რომელსაც კონკრეტული შპმ პირი საჭიროებს. მეორე მხრივ, მათი მზაობა, მიაწოდონ ამა თუ იმ პირს საჭირო დახმარება, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა ან სხვა გარემოებებისა, განსაკუთრებით ეს ეხება დანაშაულებს, რომლებიც საზოგადოებისთვის მგრძნობიარე (სენსიტიური) თემაა.

პრობაციის საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს ასევე ოჯახთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობა (პროფესიული დახმარება, სოციალური მომსახურება, საცხოვრებელი უზრუნველყოფა და სხვ.), ასევე, ისეთი სახის პროფესიული დახმარება, როგორცაა: ჯანდაცვა, განათლება, პროფესიული სწავლება და სხვა. პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს, თუ რა ურთიერთობა აქვს შპმ მსჯავრდებულს ოჯახთან, რათა გაირკვეს, რა თანადგომა შეიძლება მიიღოს მან ოჯახის მხრიდან.

ბოლოს კი პრობაციის საქმიანობაში უმთავრესი როლი ენიჭება სუპერვიზიას/კონტროლს, რომელიც მან უნდა განახორციელოს ნებისმიერი პრობაციის კლიენტის მიმართ, თუმცა ეს პროცესი შპმ პირთან მიმართებით განსაკუთრებულ დაგეგმვას მოითხოვს, იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის კონტროლი უნდა იქნეს განხორციელებული ნებისმიერი ინდივიდის მიმართ, რა სიხშირით, მისი

ჯანმრთელობის მდგომარეობის, პირადი ცხოვრების დაგეგმვისა და უსაფრთხოების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ უნდა გამოიკვეთოს რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება, რომელთა დანერგვა საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ხელს შეუწყობს შშმ პირების მიმართ ისეთი სახის სასჯელების შერჩევასა და გამოყენებას, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანენ შშმ პირთა სასჯელის აღსრულების პროცესში მათი მდგომარეობის გართულებას და სხვადასხვა სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს. კერძოდ:

სავალდებულო უნდა გახდეს წინასასამართლო ანგარიშის მომზადება შშმ ბრალდებულებთან მიმართებით, რათა სასამართლოებმა სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში მიიღონ შშმ პირის მდგომარეობა, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი, ოჯახისა და საზოგადოების მხარდაჭერა და სხვა გარემოებები, რაც ხელს შეუწყობს ობიექტური და შშმ პირების მდგომარეობასთან მიმართებით რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საკანონმდებლო სივრცეში უნდა დაინერგოს სასამართლო პროცესამდე პრობაციის ზედამხედველობის ინსტიტუტი, რაც მეტ შესაძლებლობას მისცემს სასამართლოებს, არ გამოიყენონ აღმკვეთი ღონისძიება, გარდა უკიდურესი შემთხვევისა. მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს წინასწარ საპატიმრო დანესებულებების განტვირთვას და უზრუნველყოფს მოცემულ დანესებულებაში უკვე მყოფი პირების უფლებების დაცვას. პირველ ეტაპზე აღნიშნული ინსტიტუტის პილოტირება შესაძლებელია მოხდეს მონყვლად ჯგუფებთან მიმართებით.

უნდა მოხდეს განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების პილოტირება შშმ პირებთან მიმართებით და ის გამოყენებულ იქნეს, შესაძლებლობის ფარგლებში, ხშირად, რაც იქნება ერთ-ერთი გარანტი იმისა, რომ შშმ პირები არიდებულ იქნენ საპატიმრო დანესებულებებში მოხვედრასა და შესაბამისად, საზოგადოებისაგან იზოლირებას.

## დასკვნა

ნაშრომში განხილული შშმ პირთა სასჯელის მოხდის თავისებურებების, საკანონმდებლო რეგულაციების, საქართველოსა და სხვა ქვეყნების პენიტენციურ სისტემებში შშმ პირებთან მოპყრობის პრაქტიკის ანალიზი ავლენს ისეთი ხარვეზებს, როგორცაა: მოქმედი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე აქტების შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტებთან; შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურის არარსებობა ან არსებულის შეუთავსებლობა შშმ პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებთან; შშმ პირებთან მომუშავე პერსონალის მომზადების დაბალი დონე და სხვ. აღნიშნული ნაკლოვანებები აყალიბებს სასჯელის მოხდის ისეთ გარემოს, სადაც შშმ პირებს არ აქვთ სხვა პატიმრებთან თანაბარი სასჯელის მოხდის პირობები და რომელშიც ისინი არ არიან დაცული ძალადობის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან.<sup>428</sup>

ნაშრომში განხილული ხარვეზების არსებობა იწვევს შშმ პირთა მიმართ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებების<sup>429</sup> დარღვევას, როგორცაა: ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობა და წამების აკრძალვა; თანასწორობის უფლება; დაცვის უფლება; პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება; ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმისაწვდომობის, შრომის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებები და სხვა. ასეთი უფლებების დარღვევის რისკები, მათი გამომწვევი მიზეზები და მათი გადაჭრის გზები დეტალურადაა განხილული

---

<sup>428</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მუხლი 15, 2006 წლის 13 დეკემბერი. „წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა ეფექტურ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო თუ სხვა ზომას, რათა დაიცვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ სასჯელისაგან, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.“

<sup>429</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9, 11, 15, 17, 26, 27, 28 და 31, 24/08/1995.

და განალიზებული წინამდებარე ნაშრომში როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის კვლევისას.

ნაშრომის სახით საქართველოს მთავრობასა და იუსტიციის სამინისტროს ვთავაზობთ წინადადებებს, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა ხელს შეუწყობს სასჯელალსრულების სისტემაში შშმ პირთათვის სხვა პირებთან თანაბარ, რეაბილიტაციაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, რომელიც იქნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და ხელს შეუწყობს გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში შშმ პირთა ეფექტიან რეინტეგრაციას.

შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირებისა და სხვადასხვა საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმის ამოქმედების მიუხედავად, პრაქტიკაში ჯერ კიდევ არსებობს ხარვეზები და წლების განმავლობაში საზოგადოებაში დამკვიდრებული სტიგმა შშმ პირების მიმართ. აღნიშნული კი არ იძლევა იმის გარანტირებულ შესაძლებლობას, რომ ყოველმა ადამიანმა, მიუხედავად მისი ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობისა, სასჯელი მოიხადოს სხვა პატიმრებთან თანაბარ პირობებში, ისეთ გარემოში, სადაც ადამიანის ღირსება და სხვა ძირითადი უფლებები იქნება დაცული.

ნაშრომში განხილულია ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა მდგომარეობა, რომელიც განსხვავდება სხვა თავისუფლებაალკვეთილი პირებისაგან მხოლოდ იმ თავისებურებით, რომ მათ, თავიანთი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, აქვთ დამატებითი საჭიროებები. შესაბამისად, სასჯელის მოხდის ადგილებში მოხვედრისას ისინი დგებიან დაბრკოლებების წინაშე, რომელთა გადალახვა დამოუკიდებლად არ შეუძლიათ. ასეთი დაბრკოლებების არსებობა კი შშმ პატიმრებს აყენებს მათი უფლებების დარღვევის მაღალი რისკის წინაშე.

ნაშრომში მოცემული გარემოებები ნათლად წარმოაჩენს იმ სურათს, რომ შშმ პირებთან მიმართებით არსებობს პრობლემები და გამოწვევები სხვადასხვა სფეროში და მოიცავს სახელმწიფო ინსტიტუტების ფართო სპექტრს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, სასამართლო, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვ.), მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროსა და სამოქალაქო საზოგადოებას. აღნიშნული კომპლექსური პრობლემები კი საბოლოოდ ინვესტს შპმ პირების მიმართ სასჯელის მოხდის/პატიმრობის ადგილებში არსებულ იმ დარღვევებს, რომლებიც განხილულია ავტორის სადისერტაციო ნაშრომში.

ნაშრომში განხილულია სასჯელალსრულების სისტემაში შპმ პირთა უფლებების დარღვევის განმაპირობებელი ფაქტორები, როგორცაა: სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან შპმ პირებზე ორიენტირებული ბიუჯეტის არქონა და შესაბამისად სათანადო რესურსების სიმცირე; ციხეების გადატვირთულობა ან შპმ პირის განთავსებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, როდესაც ციხეები, ძირითადად, ერგება ახალგაზრდა და ჯანმრთელი ადამიანების საჭიროებებს და სხვ.

საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, დანაშაულის ჩამდენ პირთა შორის ხშირად არიან შპმ პირები. ცხადია, მათ მიმართ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ვერ იქნება შერჩევითი. შესაბამისად, შპმ პირები არიან და მომავალშიც იქნებიან პენიტენციურ სისტემაში, რომელიც მზად უნდა იყოს უზრუნველყოს სასჯელის მოხდის ეფექტიანი და ადეკვატური პირობები შპმ და სხვა მონყვლადი ჯგუფებისათვის.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი არ არის ამტკიცოს შპმ პატიმრებისათვის სასჯელის მოხდის პრივილეგირებული პირობების შექმნის აუცილებლობა. ეს არის მცდელობა, შემუშავდეს რეკომენდაციები და მექანიზმები შპმ პირებისათვის სასჯელის მოხდის სხვა პატიმრებთან თანაბარი პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად, მათი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომის ფარგლებში შემუშავებულმა დებულებებმა, დასკვნებმა და რეკომენდაციებმა ჩამოაყალიბონ ახალი მიდგომები შპმ პირთა სასჯელის მოხდის თავისებურებებთან

მიმართებით, არსებითი წვლილი შეიტანოს შშმ პირთა სასჯელის მოხდის ადეკვატური პრობების შექმნასა და ამ საკითხთან დაკავშირებული სადავო საკითხების ეფექტიან გადანყვევებაში.

შშმ პირებთან მიმართებით არსებული დარღვევები ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია არ იყოს გამიზნული, გამოწვეული სუბიექტური მიზეზებით, არამედ ჰქონდეს უფრო ობიექტური საფუძვლები, თუმცა ეს არ ამართლებს იმ სტრუქტურებს, რომლებშიც გვხვდება ზემოაღნიშნული შეუსაბამობები. მაგალითად, ციხის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემა, როდესაც „პატიმრებს შეუძლოთ ჰქონოდათ მნახველებთან ფიზიკური კონტაქტი, თუ ისინი იდგებოდნენ კედელთან, რაც ხშირად პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ბევრი პატიმრისთვის, რომლებსაც ჰქონდათ ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობა“.<sup>430</sup> აღნიშნული და სხვა მსგავსი სირთულეები, რომლებიც პენიტენციური სისტემის წინაშე დგას, ვერ გაამართლებს ამა თუ იმ პირის მიმართ შესაძლო დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომი არ განიხილავს შშმ პირთა სასჯელის მოხდის ადგილებში სხვა პატიმრებთან თანაბარი პრობების შექმნას, როგორც ცალკე აღებულ ავტონომიურ სფეროს, არამედ ის ცდილობს, სასჯელის მოხდის პრობებთან ერთად, გამოიკვლიოს ის განმაპირობებელი ფაქტორები, რომელთაც შშმ პირი მიჰყავთ სასჯელის მოხდის ადგილამდე. სირთულეების სიღრმისეულად განხილვის მიზნით ნაშრომი გარკვეულწილად ეხება, ზოგადად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისა და სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესის ხელმისაწვდომობას შშმ პირებისათვის და მათ სრულ და თანასწორუფლებიან ჩართულობას მოცემულ პროცესში. აღნიშნული სფეროს განხილვა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს პრობლემის სრული სპექტრი სისხლის სამართლის საქმისწარმოების დაწყებიდან პირის გათავისუფლე-

---

<sup>430</sup> იხ. Report to the Italian Government on the visit to Italy carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 13 to 25 May 2012, 39.



ბამდე. იმდენად, რამდენადაც პრობლემა კომპლექსური ხასიათისაა, ჩვენი აზრით, ის არ შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ სასჯელალსრულების სისტემის ჩარჩოებში, რადგანაც ცნობიერების დაბალი ხარისხი, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, ასევე, მართლმსაჯულების სისტემა, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ შშმ პირთა სრულ და ეფექტიან ჩართულობას სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე, არის წინაპირობა იმისა, რომ შშმ პირები ხვდებიან სასჯელის მოხდის ადგილას, მათ შორის, იმ შემთხვევებშიც, როცა შეიძლება დაფუძვან, რომ მისი თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. თუმცა ყველა საერთაშორისო სტანდარტი ცალსახად აღიარებს, რომ შშმ პირის მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენება უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება, მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ევროპის საბჭოს 2018 წლის რეკომენდაცია მოუწოდებს ნევრ სახელმწიფოებს, მიიღონ მთელი რიგი ზომები იმ პირთა პატიმრობის თავიდან ასაცილებლად, რომელთა მდგომარეობა შეუთავსებელია პატიმრობასთან.<sup>431</sup>

სიახლე, რომელიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის კომპონენტში შემოაქვს ნაშრომს, არის შშმ პირებზე ორიენტირებული საკანონმდებლო პაკეტის მომზადება, რომელიც, გარდა თავისუფლების აღკვეთის და პრობაციის სისტემების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებისა, მოიაზრებს ასევე ცვლილებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, მაგალითად, მიზანშეწონილი იქნება სსსკ მე-3 მუხლში, განიმარტოს ტერმინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, მე-18 ნაწილში წინადადების „რაც გამოწვეულია მისი ავადმყოფობით,“ შემდეგ დაემატოს „შეზღუდული შესაძლებლობით“ და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „რაც გამოწვეულია მისი ავადმყოფობით ან პირის შეზღუდული შესაძლებლობით“, ასევე სსსკ-ს დაემატოს, მაგალითად, 181 ნაწილი, რომელშიც განმარტებული იქნება ტერმინი

---

<sup>431</sup> იხ. *Tornare M.*, Rapporteur of the Committee on Equality and Non-Discrimination, Report on Detainees with disabilities in Europe, 2018, 4.

„შეზღუდული შესაძლებლობა“.<sup>432</sup>

38-ე მუხლში, „ბრალდებულის უფლება-მოვალეობები“, უფრო დეტალურად გაიწეროს შშმ ბრალდებულის უფლებები, რომლებიც მის შეზღუდულ შესაძლებლობებს უკავშირდება. მაგალითად, 38-ე მუხლის 1-ლ ნაწილში წინადადებას - „ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს“ - უნდა დაემატოს ტერმინი „გასაგები ფორმით“ და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე და გასაგები ფორმით უნდა ეცნობოს“. მოცემულ შემთხვევაში, გარდა ენობრივი ბარიერისა, გათვალისწინებული იქნება მხედველობის, სმენის, ალქმისა და სხვა პრობლემების მქონე პირთა საჭიროებები. ამავე მუხლის მე-5 ნაწილში წინადადებას - „ხოლო თუ ის უქონელია — უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე“ - დაემატოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ხოლო თუ ის უქონელია ან არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი — უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე“.

117-ე მუხლში,<sup>433</sup> რომელიც განსაზღვრავს შშმ პირთა და-

<sup>432</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში“, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს 2014 წლის 7 მარტის კანონი №2103, მუხლი 2.

<sup>433</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გამოკითხვა/დაკითხვა უნდა განხორციელდეს შეზღუდვის შესაბამისი კორექტივების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მის მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილის როლის ეფექტიანი განხორციელება. 2. ყრუს და სმენადაქვეითებულის გამოკითხვა/დაკითხვა ტარდება ჟესტური ენის მცოდნე თარჯიმნის (სურდოთარჯიმნის) მონაწილეობით. თუ გამოსაკითხი/დასაკითხი პირი ყრუა, მისთვის შეკითხვების დასმა შეიძლება წერილობით, ხოლო თუ იგი მუხჯია, მას შეუძლია შეკითხვებს პასუხები წერილობით გასცეს. 3. მძიმედ დაავადებულის გამოკითხვა/დაკითხვა ტარდება ექიმის ნებართვით და, საჭიროების შემთხვევაში, მისი დასწრებით“, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, მუხლი 1, ნაწილი 10, 14 ივლისი, 2020.

კითხვა/გამოკითხვის პროცედურებს და განმარტებულია მხოლოდ სმენადაქვეითებული პირის დაკითხვა/გამოკითხვის თავისებურებები, უნდა გაიწეროს სხვა კატეგორიის შშმ პირებთან მუშაობის პროცედურებიც, როგორიცაა: „მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ და „ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევების მქონე პირი“, რომლებსაც აქვთ აღქმადობის პრობლემა და საჭიროებენ სპეციალისტის დახმარებას.

სსსკ-ში შეტანილმა ცვლილებებმა უნდა უზრუნველყოს გარანტიები შშმ პირის მონაწილეობისათვის საქმისწარმოების ყველა ეტაპზე, მიუხედავად პირის შეზღუდულობის ხარისხისა, რაც გულისხმობს ფიზიკურ მონაწილეობას ინფორმაციის, მტკიცებულებების წარდგენასა და სხვა თანმდევ პროცესებში; დამცველის არჩევას ან უფლებას, თვითონ დაიცვას თავი, სურვილის შემთხვევაში, რამაც უნდა განაპირობოს მთელი პროცესის ობიექტური და სამართლიანი წარმართვა.

შშმ პირთა სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უზრუნველყოფა მოიაზრებს არა მხოლოდ პროცესუალურ ნაწილს, არამედ ადაპტირებულ გარემოს და დასწრების უზრუნველყოფის ტექნიკურ მხარეს, რაც უნდა დარეგულირდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონით. ცვლილების შედეგად უნდა განისაზღვროს შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომი გარემოს უზრუნველყოფა, როგორც სავალდებულო ნორმა.

ნაშრომში განხილულია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან. აღნიშნული საკითხის გადანყვეტა ასევე სცილდება სასჯელალსრულების სისტემის ფარგლებს, აღნიშნული ცვლილებები არის საწყისი და უმთავრესი საფეხური, რომელმაც საზოგადოებაში უნდა უზრუნველყოს ყველა ადამიანისთვის თანაბარი გარემო, უნდა შეცვალოს შშმ პირების მიმართ სახელმწიფო სტრუქტურებში ჯერ კიდევ შემორჩენილი საბჭოური დამოკიდებულების ელემენტები, განაპირობოს სახელმწიფოში ხელმისაწვდომი და თანაბარი გარემო შშმ პირებისთვის,

განურჩევლად იმისა, არიან ისინი თავისუფლები, თუ იმყოფებიან სასჯელის მოხდის ადგილებში. სწორედ ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის ბაზაზე უნდა შემუშავდეს პროგრამები, რომლებიც დანერგავენ ინდივიდუალურ მიდგომებს ყველა შშმ პირის მიმართ. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ინფორმაციის ალტერნატიული, გამარტივებული ფორმით მიწოდების სისტემა იმ პირთათვის, რომლებიც ამას საჭიროებენ. სახელმწიფო პროგრამებითა და საინფორმაციო საშუალებებით უნდა განხორციელდეს ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანია შშმ პირთა სპეციფიკური საჭიროებებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის შესახებ, რაც მიმართული იქნება სტიგმის შემცირებასა და საზოგადოების მხრიდან მიმღებლობის გაზრდაზე და სხვა, რათა ეს პირები აღიარებულ იქნენ არა დახმარების ობიექტებად, არამედ უფლებების მატარებლებად.

გარდა საკანონმდებლო ბაზის მოდერნიზაციისა, ნაშრომში დეტალურად განხილულ პრობლემებსა და მისი გადაჭრის გზების ძიებას, შემუშავებულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს შემოაქვს სიახლეთა ფართო სპექტრი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შშმ პირთა სასჯელის მოხდის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფა ისეთ ნაბიჯებზე დაყრდნობით, როგორცაა: ფიზიკური გარემო პირობების შესაბამისობაში მოყვანა და მოპყრობის ჩარჩო-სტანდარტების შემუშავება. კერძოდ, ნაშრომი წარმოაჩენს იმ ეტაპებს, რომელთა განხორციელებამ საქართველოს პენიტენციურ სისტემას ხელი უნდა შეუწყოს შშმ პირთა სასჯელის მოხდის პროცესის სწორად დაგეგმვაში, სტატისტიკის წარმოებასა და ამ პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში და საბოლოოდ, სხვა პატიმართა სასჯელის მოხდის პროცესთან თანაბარი სასჯელის მოხდის პირობების უზრუნველყოფაში. ასევე გაამყაროს გარანტიები შშმ პირთა კანონიერი უფლებების დასაცავად, რათა სასჯელის მოხდის პროცესი განხორციელდეს ადამიანის ღირსების, მისი ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინსტერესების დაცვით.

ნაშრომის მიხედვით, ნაბიჯები, რომლებიც სასჯელალსრულების სისტემამ შშმ პირთა სასჯელის მოხდის ახლებური და ადეკვატური გარემოს შექმნის მიზნით უნდა გადადგას, არის შემდეგი:

ა. სასჯელალსრულების სისტემის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება, რომელმაც შშმ პირთათვის უნდა უზრუნველყოს სასჯელის მოხდის გონივრული და მისადაგებული გარემოს შექმნა. მიუხადავად იმისა, რომ პატიმრობის კოდექსში 2020 წელს შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები შშმ პირებთან მიმართებით, მსგავსი საკანონმდებლო ცვლილებები უნდა გაგრძელდეს პროფესიონალური წრეების ჩართულობით, რათა მათი ეფექტიანობა იყოს უფრო ხელშესახები. ასევე უნდა შემუშავდეს კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ კანონის პრაქტიკაში განხორციელებას.<sup>434</sup>

განახლებული სამართლებრივი ბაზა უნდა არეგულირებდეს სასჯელის მოხდის პროცესთან დაკავშირებულ ყველა სფეროს დამოუკიდებლად და დეტალურად, მათ შორის შშმ პირთა სასჯელალსრულების დანესებულებაში მიღების, რეგისტრაციის, შემონმების, განთავსება/განაწილების პროცედურებს, მათი ღირსების დაცვით, ასევე სასჯელალსრულების დანესებულებებში განთავსების შემდგომ სასჯელის მოხდის პროცესის დაგეგმვას, საცხოვრებელი გარემო პირობების უზრუნველყოფას, სამედიცინო მომსახურებას, ციხის რეჟიმის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, სარეაბილიტაციო პროგრამებში შშმ პირთა თანაბარ ჩართულობასა და გათავისუფლებისათვის მათ მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ ეფექტიან რეინტეგრაციას, ასევე, თანამშრომელთა პროფესიულ მომზადებას და სხვა. აღნიშნული საკითხების რეგულირების არარსებობა იწვევს სხვადასხვა თანმიმდევ პრობლემას, ეს კი ართულებს შშმ პირთა სასჯელის მოხდის პროცესს, მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და შედეგი შესაძლებელია იყოს სავალალო.

<sup>434</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 14 ივლისი, 2020.

სამართლებრივი ბაზის ოპტიმიზაციის საკითხის წინ წამოწევა ეყრდნობა კვლევის ფარგლებში განხორციელებულ ანალიზს, რომლის მიხედვითაც, შშმ პირთათვის სასჯელის მოხდის ადეკვატური გარემოს შექმნასთან დაკავშირებით იკვეთება ისეთი შემაფერხებელი ფაქტორები, როგორებიცაა: სპეციალური სამართლებრივი პროცედურების არქონა, შიდა რეგულაციებში შშმ პირებთან მუშაობის სპეციფიკის არარსებობა ან მისი სიმწირე, რომლებმაც დეტალურად უნდა დაარეგულიროს ციხის შიდა პროცედურები ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებიდან მის გათავისუფლებამდე.

ნებისმიერი ქვეყანა, განსაკუთრებით კი ქვეყნები, რომლებიც მიერთებული არიან ადამიანის უფლებათა დაცვის არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებას, ვალდებული არიან შექმნან პირობები იმისათვის, რომ ყოველმა ადამიანმა იცხოვროს ღირსეულ და სხვა ადამიანებთან თანაბარ პირობებში,<sup>435</sup> იმის მიუხედავად, თუ სად იმყოფებიან ისინი, სასჯელის მოხდის ადგილებში თუ მის მიღმა.

ის, რომ ნაშრომი სწორად აკეთებს აქცენტებს სამართლებრივი ბაზის დახვეწაზე როგორც პენიტენციურ სისტემასთან მიმართებით, ისე მის გარეთ, ადასტურებს ავტორის სადისერტაციო ნაშრომში ხაზგასმული<sup>436</sup> არაერთ საკანონმდებლო აქტში განხორციელებული ცვლილებები, მათ შორის პატიმრობის კოდექსში შეტანილი ცვლილება, რომლებიც, ფაქტობრივად, მოცემულ კანონში ადგენენ ტერმინს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ და არეგულირებენ სასჯელის მოხდის ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: შშმ პირის საცხოვრებელი პირობები, კვება და კონტაქტი გარე სამყაროსთან, კერძოდ კი, მიმონერა.

**ბ. სტატუსის დადგენა.** თემის კომპლექსურობას ხაზს უსვამს ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც ეხება არა მხოლოდ სასჯელალსრულების სისტემის რეგულირებას, არამედ ისეთ სფეროს, როგორიცაა, მაგალითად, სტატუსის დადგენა. სტატუსის არქონა

<sup>435</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს გენერალური ასამბლეა, 1948 წელი, 1-ლი და მე-7 მუხლები.

<sup>436</sup> იხ. ამ ნაშრომის გვ. 40-41.

კი პირდაპირ უკავშირდება შშმ პატიმართა შესაბამის პირობებში განთავსებასა და მომსახურების ხელმისაწვდომობას. სტატუსის არქონა პრობლემას წარმოადგენს როგორც თვითონ შშმ პირისათვის, ასევე სასჯელალსრულების სისტემისათვის, რომელსაც ევალება მოცემულ პირებზე ზრუნვა.

საზოგადოებაში სტატუსის დადგენასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული სისტემა კიდევ უფრო რთულდება სასჯელალსრულების სისტემაში, სადაც მოცემული საკითხი საერთოდ საკანონმდებლო რეგულირების მიღმა რჩება. სასჯელალსრულების სისტემაში მოხვედრილ შშმ პირს არ შეეთავაზება სტატუსის დადგენის ეფექტიანი მექანიზმები. შესაბამისად, სტატუსის დადგენის ბიუროკრატიული და მოუქნელი სისტემა მძიმე ტვირთად აწვება შშმ პირებსა და მათ ოჯახებს.

შშმ პირთა მიკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიისთვის ეყრდნობა იმ საჭიროებებს, რომლებიც მათ აქვთ, როგორც მონყვლად/დაუცველ პირებს, მათი ფიზიკური თუ მენტალური მდგომარეობის გამო. ასეთი საჭიროებების შესწავლა, გამოვლენა და შემდეგში მისი უზრუნველყოფა კი ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებაა.

**შეთავაზებული წინადადება:** ციხეებმა უნდა შეიმუშაონ შშმ პირთა მდგომარეობის წინასწარი კვლევის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პირს, სტატუსის დადგენამდე მიეწოდოს მისთვის საჭირო ყველა მომსახურება და დახმარება. ასევე ნაშრომი სთავაზობს სასჯელალსრულების სისტემას, დაწეროს შშმ პირთა პირველადი რისკისა და საჭიროებების შეფასების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს მათ საჭიროებებზე მორგებული განთავსებისა და მოვლის პირობების შეთავაზებას. ბოლოს კი, სტატუსთან დაკავშირებულ სიახლეს წარმოადგენს სასჯელალსრულების სისტემაში მოხვედრილ შშმ პირთათვის ცალკე, დაჩქარებული ფორმით სტატუსის დაწერვის პროცედურების შემუშავება და მისი პრაქტიკაში დაწერვა, რათა სტატუსის დადგენის ბიუროკრატიულმა მეთოდებმა რისკის წინაშე არ დააყენოს შშმ პირთა ჯანმრთელობა და ზოგიერთ შემთხვევაში, მათი სიცოცხლე.

**გ. შშმ პირებზე ორიენტირებული ბიუჯეტი.** საქართველოს პრაქტიკაში ყურადღების მიღმა რჩება შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული ბიუჯეტის შემუშავების ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სტრუქტურას აქვს მკაცრად განსაზღვრული ბიუჯეტი და შესაბამისად, მისი წინასწარ განსაზღვრული წესებით ხარჯვის ვალდებულება.

**შეთავაზებული წინადადება:** სიახლე, რომელსაც ავტორი პენიტენციურ სისტემას სთავაზობს ბიუჯეტთან მიმართებით, არის შშმ პირებზე ორიენტირებული ბიუჯეტის პრაქტიკაში დანერგვა, რომელიც დაწესებულებებისათვის განსაზღვრულ ბიუჯეტის სტანდარტულ ფორმაში შეტანილ უნდა იქნეს როგორც სავალდებულო პუნქტი. ასეთი ბიუჯეტი შესაძლებლობას მისცემს სისტემას, ეტაპობრივად, საჭიროებების გათვალისწინებით, სასჯელის მოხდის პროცესი შეუსაბამოს შშმ პირთა საჭიროებებს.

**დ. ციხეების დიზაინი და მონყობა.** მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტორი, რომ მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, ციხეების შენობათა უმრავლესობა აშენებულია შშმ პირთა უფლებათა დაცვის კონვენციის რატიფიცირებამდე, მაშინ, როდესაც შშმ პირთა სამართლებრივი სტატუსი და შესაბამისად, მათი სპეციალური საჭიროებები და უფლებები, ფაქტობრივად, უცნობი თემები იყო. მოცემული სფერო მოკლებულია სპეციალური რეგულირების მექანიზმებს, რადგანაც, პირველ რიგში, მისი შიდა რეგულირების მექანიზმები არ არსებობს. ბრძანება,<sup>437</sup> რომელიც ქვეყანაში ასეთი ინფრასტრუქტურის შექმნის სტანდარტებს ადგენს, საერთოდ არ მოიხსენიებს სასჯელალსრულების დაწესებულებებს. ამდენად, სასჯელის მოხდის დაწესებულებების ადაპტირების საკითხი უნდა დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე ისე, რომ ის ითვალისწინებდეს არა მხოლოდ საცხოვრებელი საკნების ადაპტირებას, არამედ ციხის ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი ობი-

<sup>437</sup> იხ. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვრის №41 დადგენილება, მუხლი 13.



ექტის ხელმისაწვდომობას.<sup>438</sup> დაგეგმვისა და დიზაინის შემუშავებისას სავალდებულო მოთხოვნათა სიაში შეტანილ უნდა იქნეს ადაპტირებული საკნებისა და სხვა დამხმარე სათავსოების აშენება, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა განთავსებული დაწესებულებებში ეტლით მოსარგებლე და სხვა გადაადგილების პრობლემის მქონე პირები.

**შეთავაზებული წინადადება:** სასჯელალსრულების სისტემამ უნდა დაადგინოს ამკრძალავი ნორმები შშმ პირთა ისეთ დაწესებულებაში მოსათავსებლად, რომელიც არ იქნება მათთვის სრულად ადაპტირებული. ადაპტირებაში უნდა მოიაზრებოდეს არა მხოლოდ საცხოვრებელი საკნები, არამედ ყველა დამხმარე სათავსო, რომლებიც ხელმისაწვდომია სხვა პატიმრებისათვის. შეიმუშაოს სპეციალური სტანდარტული დიზაინი, რომელიც იქნება სავალდებულო ყველა ახლად აშენებული დაწესებულებისათვის.

**ე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრებთან მოპყრობაზე ორიენტირებული სასჯელალსრულების დაწესებულებების მენეჯმენტი.** შშმ პირებთან მიმართებით არსებული პრობლემების გადაჭრა ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს სწორი დაგეგმვისა და პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში ადგილობრივ დონეზე. ციხის მართვა და ადმინისტრაციის მიდგომები მიზნად უნდა ისახავდეს ყველა იმ დაბრკოლების აღმოფხვრას, რომლებიც შესაძლებელია შშმ პირებს აყენებდეს სხვა პატიმრებისგან განსხვავებულ პირობებში, რაშიც ციხის ადმინისტრაციას გადამწყვეტი როლი ენიჭება.

**შეთავაზებული წინადადება:** სასჯელალსრულების სისტემამ უნდა შეიმუშაოს შშმ პატიმრებზე მორგებული პოლიტიკა, რომელიც გამყარებული იქნება, მინიმუმ, ციხის შიდა რეგულაციებით. კერძოდ, შშმ პირებთან მუშაობის სპეციფიკა და მათი საჭიროებები შეტანილ უნდა იქნეს როგორც სისტემის ხანგრძლივი განვითარების სტრატეგიაში, ისე ყოველწლიურ გეგმებში, რაც აამაღლებს პასუხ-

---

<sup>438</sup> იხ. Detainees with disabilities in Europe, PACE - Resolution 2223 (2018), paragraph 7.8.2, 2.

ისმგებლობის ხარისხსა და ანგარიშვალდებულებას სისტემის მენეჯმენტის მხრიდან.

**ვ. სტატისტიკა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა სასჯელის მოხდის პროცესში.** გარდა პოლიტიკის შემუშავებისა, მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს ასევე მონაცემების შეგროვება და ანალიზი. დღეისათვის საქართველოში შეუძლებელია მოიძიო სტატისტიკა,<sup>439</sup> რომელიც სასჯელალსრულების სისტემაში შშმ პირთა ზუსტ ან მაქსიმალურად მიახლოებულ რაოდენობას წარმოაჩენს, მით უმეტეს, შეზღუდულობის ტიპების მიხედვით, რაც არ იძლევა გარეშე დამხმარე აქტორების ეფექტიანი ჩარევის შესაძლებლობას შშმ პირებთან მუშაობის საკითხებში.

**შეთავაზებული წინადადება:** ნაშრომი განსაზღვრავს შშმ პირთა სტატისტიკის წარმოების პრაქტიკის დანერგვას სასჯელალსრულების სისტემაში. მოცემული სტატისტიკა დეტალურად უნდა აღწერდეს შშმ პაციმართა რაოდენობას, ასაკის, სქესისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. ასევე, ნაშრომი გამჭვირვალობის საჭიროებას წარმოაჩენს და განმარტავს, რომ მოცემული სტატისტიკა, პერსონალური მონაცემების გარეშე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ და აქვთ როგორც საჭიროებების შეფასების, ისე, ზოგადად, შშმ პირებთან მუშაობის ფართო, მრავალწლიანი გამოცდილება, რათა სასჯელალსრულების სისტემამ მიიღოს აღნიშნული ორგანიზაციების მხარდაჭერა და პროფესიული დახმარება. ამ ორგანიზაციების ჩართულობა სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებაში ხელს შეუწყობს სისტემის მოქნილობის გაუმჯობესებას შშმ პირებთან მუშაობისა და სასჯელის მოხდის პროცესის მართვის ნაწილში.

## **ზ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პაციმრის სასჯელალ-**

<sup>439</sup> იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდებზე არ იძებნება ინფორმაცია სასჯელალსრულების დაწესებულებებში შშმ პირთა რაოდენობისა და მათი კატეგორიების შესახებ.

**სრულების დაწესებულებაში მიღება.** საქართველოს კანონმდებლობაში არ არის დეტალურად განხილული მიღების დროს შშმ პირთა საჭიროების შესწავლა და მათი ინფორმირება მოცემული საჭიროების (სმენის, მხედველობის, აღქმადობისა და სხვა პრობლემები) გათვალისწინებით. მიღებისას ნებისმიერ შშმ პირს და განსაკუთრებით მათ, რომლებიც პირველად მოხვდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გარდა მისი ზოგადი უფლებებისა, დეტალურად, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა განემარტოს ციხის პირობები, საცხოვრებელი გარემო და კომუნიკაციის გზები და საშუალებები,<sup>440</sup> რათა მათ მოახდინონ მოცემულ გარემოსთან ადაპტაცია.

**შეთავაზებული წინადადება:** სასჯელალსრულების სისტემაში უნდა დაინერგოს შშმ პირთა სასჯელალსრულების დაწესებულებებში მიღების ახალი პროცედურები. მიღების პროცესში, ნებისმიერი სახის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, სასჯელალსრულების სისტემის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ მორიგე ჯგუფში, რომელიც პატიმართა მიღებაზე პასუხისმგებელი, ყოველთვის შედიოდეს, სულ ცოტა, ერთი თანამშრომელი, რომელსაც გავლილი ექნება კვალიფიციური მომზადება შშმ პირებთან მუშაობის კუთხით და შეძლებს მათ ინტერვიუებას წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით. პროცესი უნდა რეგულირდებოდეს სამართლებრივი აქტით. ასევე ყველა დაწესებულებაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს სურდოთარჯიმანი, უფლებებისა და რეგულაციების ბრაილის შრიფტით შესრულებული დოკუმენტები, რომელთაც გაეცნობიან მხედველობადაქვეითებული პირები და სხვა.

**თ. რისკისა და საჭიროების შეფასება და სასჯელის მოხდის დაგეგმვა.** გამომდინარე იქიდან, რომ სასჯელალსრულების სისტემაში მოხვედრილი შშმ პირები განიხილებიან როგორც მონყველადი ჯგუფები სხვადასხვა სახის ძალადობისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის კონტექსტში,<sup>441</sup> ნაშრომი მოცემულ ანალიზზე დაყრდ-

<sup>440</sup> იხ. Detainees with disabilities in Europe, PACE - Resolution 2223 (2018), paragraph 2, 2.

<sup>441</sup> იხ. Human Rights Watch, Abuses Against People with Disabilities in Prisons in Australia, summary, 2018 (Human Rights Watch investigated 14 adult prisons across

ნობით, აკეთებს დასკვნას, რომ ეს ადამიანები სასჯელაღსრულების სისტემაში საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას არა მხოლოდ სხვა პატიმრების, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, პერსონალის მხრიდანაც.

**შეთავაზებული წინადადება:** შშმ პირთა მოწყვლადობის ხარისხის გათვალისწინებით, ნაშრომი სთავაზობს სასჯელაღსრულების სისტემას რისკისა და საჭიროებების შეფასების ზოგადი სტანდარტების დანერგვის გარდა, შექმნას შშმ პირთა სასჯელაღსრულების სისტემაში მიღებისას მათი საჭიროებების შესწავლისა და ამ საჭიროებებზე მორგებული სასჯელის მოხდის დაგეგმვის ინსტიტუტი. აღნიშნული პროცედურა უნდა ეყრდნობოდეს სასჯელაღსრულების ნებისმიერ დანესებულებაში მიღებულ შშმ პირთა გამოკითხვას პროფესიონალი ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების მიერ, რაც საშუალებას მისცემს სისტემას, გამოავლინოს მიღებულ პირთა შეზღუდული შესაძლებლობების სახე და ხარისხი, რისკი და საჭიროებები. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობა არ არის ვიზუალურად გამოკვეთილი. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს სასჯელაღსრულების სისტემას თავიდან აიცილოს შშმ პირთა უფლებების დარღვევა და შესაბამისად, გაამყაროს შშმ პირთა დაცულობის ხარისხი.

საპრობლემაში პირველად მიღებისას შემუშავებული სასჯელის მოხდის გეგმა ზუსტად უნდა ასახავდეს სასჯელის მოხდის მთელ პროცესს, პირის ფიზიკური მდგომარეობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. გეგმა თან უნდა ახლდეს პირს ნებისმიერ სხვა დანესებულებაში გადაყვანის დროს. გეგმის მოქმედება უნდა გაგრძელდეს სასჯელის საბოლოო მოხდამდე და შშმ პირის პრობაციის დაქვემდებარებაში გადასვლის შემთხვევაში უნდა გადაეცეს პრობაციის სამსახურს. აღნიშნული ფორმით სასჯელის დაგეგმვა და მოცემულ გეგმაზე დაფუძნებით სასჯელის აღსრულების პროცე-

---

Western Australia and Queensland and interviewed 275 people, including 136 current or recently released prisoners with disabilities, as well as prison staff, health and mental health professionals, lawyers, academics, activists, family members or guardians, and government officials).

სის წარმართვა ხელს შეუწყობს პირის საჭიროებებზე მორგებული პრობების უზრუნველყოფას სასჯელის მოხდის ნებისმიერ ეტაპზე.

**ი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრის შემონმება (ჩხრეკა).** შშმ პირთა სასჯელალსრულების დანესებულებაში მიღებისას, ასევე მათი დანესებულების გარეთ გაყვანისა და სხვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, პირის (მსჯავრდებული/ბრალდებული) შემონმება ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. ასეთი შემონმების მიმართ შშმ პირები უფრო მგრძნობიარენი არიან და გააჩნიათ მეტი საჭიროებები, ვიდრე სხვა პირებს. პრობლემებს შორის განიხილება ინფორმირებულობა, როდესაც შშმ პირებს არ შეუძლიათ მიიღონ/მათ არ აწვდიან ინფორმაციას მოცემული პროცედურებისა და შემონმების წესების შესახებ. მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ მხედველობის პრობლემების მქონე პირთა მდგომარეობა ასეთი ინფორმაციის არქონის შემთხვევაში, როდესაც პირმა არ იცის, თუ რა ხდება პროცედურულად, როცა მას ეხებიან ფიზიკურად. ეს თავისთავად განსაკუთრებულად ამძაფრებს მათ პენიტენციურ სტრესს. „თუ შშმ პირი ექვემდებარება სრულ შემონმებას (ჩხრეკას), შემონმება უნდა ჩატარდეს ისეთი სახით, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა და შემონმების მთლიანობაც.“<sup>442</sup>

მიღების დროს პირის შემონმება, უპირველეს ყოვლისა, არის პროცედურა, როდესაც შშმ პირი შეიძლება დაექვემდებაროს დისკრიმინაციულ, ღირსების შემლახავ ან არაადამიანურ მოპყრობას ორი უმნიშვნელოვანესი გარემოების გამო: კერძოდ, მისი ფიზიკური მდგომარეობის გამო, რომელიც არ აძლევს შშმ პირს შესაძლებლობას, სრულად დაექვემდებაროს ციხის ადმინისტრაციის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს და მეორე, ციხის პერსონალის გამო, რომელიც შეიძლება არ იყოს აღჭურვილი ცოდნით, თუ როგორ უნდა შეამონმოს პირი მიღების დროს ან არ არის მომზადებული შშმ პირთა შემონმების თავისებურებების მხრივ.

<sup>442</sup> იხ. Procedures – Searches of prisoners, Policy Directive 26 Searches - Procedures, Government of Western Australia, Department of Correction Service, 2015, 4.

**შეთავაზებული წინადადება:** იმისათვის, რომ შშმ პირთა შემომწე-  
ბა (ჩხრეკა) ჩატარდეს მათი ღირსების დაცვით, სასჯელალსრულები  
სისტემამ შშმ პირის შესამონმებლად უნდა დანერგოს ახალი მიდ-  
გომები. კერძოდ, სასჯელალსრულების დაწესებულებებში უნდა  
მოეწყოს შესაბამისი, ადაპტირებული ოთახი. სპეციალური შემონ-  
მების გარემო და პროცედურები უნდა იყოს გათვალისწინებული  
როგორც თავისუფლებაალკვეთილი პირის, ისე მნახველთა შესამონ-  
მებლად, სპეციალური ოთახი ადაპტირებული და აღჭურვილი უნდა  
იყოს დამხმარე მონყობილობებით. შშმ პირთა შემომწევა ძირითადად  
უნდა განხორციელდეს შემონმების ელექტრონული საშუალებებით,  
რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მათთან ფიზიკური კონტაქტის  
აუცილებლობა, გარდა უკიდურესი შემთხვევებისა.

შემომწებასთან დაკავშირებით სასჯელალსრულების სისტე-  
მამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს პერსონალის  
მომზადების საკითხს. საკანონმდებლო დონეზე უნდა აიკრძალოს  
შშმ პირთა შემომწევაზე იმ პერსონალის დაშვება, რომლებსაც არ  
ექნება გავლილი სპეციალური მომზადება. პერსონალს გავლილი  
უნდა ჰქონდეს სწავლება როგორც, ზოგადად, შემომწეების სტანდ-  
არტების, ისე შშმ პირებთან მოპყრობის საკითხებში. პერსონალმა  
შემომწეებამდე უნდა გაიაროს კონსულტაცია სამედიცინო პერსონ-  
ალთან, ასევე სავალდებულო ხაიათი უნდა მიეცეს მძიმე შეზღუდუ-  
ლი შესაძლებლობების გამოვლენის შემთხვევაში შემომწეების პრო-  
ცესში სამედიცინო პერსონალის მონაწილეობას.

მოცემული პროცესის მარეგულირებელმა საკანონმდებლო ბა-  
ზამ უნდა გაიაროს ოპტიმიზაცია, რომელიც დაადგენს ნორმებს  
სხვა პირობებში შემომწეების აკრძალვასთან დაკავშირებით. ასევე,  
კანონქვემდებარე აქტებში უნდა გაინეროს შშმ პირთა (როგორც  
თავისუფლებაალკვეთილის, ისე დაწესებულებაში ვიზიტორი შშმ  
პირების, განსაკუთრებით, შშმ არასრულწლოვანი პირების) შემონ-  
მების (ჩხრეკის) დეტალური წესები და სტანდარტები, რომლებიც  
ითვალისწინებენ ნებისმიერი ტიპის შეზღუდულობის მქონე პირთა  
ინფორმირებას შემომწეების მიზეზების, მიზნებისა და წესების შეს-

ახებ, როგორც შემონმების დანყებამდე, ისე მის შემდეგ.

**კ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სასჯელალსრულების დანესებულებაში განთავსება და საცხოვრებელ სადგომში გადანანილება.** შშმ პირთა საცხოვრებელ სადგომში განანილება/ განთავსება ან მისი სხვა დანესებულებაში გადაყვანა წარმოადგენს სირთულეს სასჯელალსრულების სისტემის ადმინისტრაციისათვის, რადგანაც განთავსება/განანილების დროს დაშვებული ნებისმიერი შეცდომა შშმ პირისათვის შეიძლება სასიცოცხლო მნიშვნელობის იყოს.

**შეთავაზებული წინადადება:** საკითხის სირთულიდან გამომდინარე, ნაშრომი სთავაზობს სასჯელალსრულების სისტემას, შშმ პირთა განთავსება/განანილებისთვის შეიმუშაოს პროგრამა, რომელიც დანერგავს მოცემული გადანყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი, შშმ პირების საკითხებზე მომუშავე, მულტიდისციპლინური ჯგუფის შექმნის პრაქტიკას. პენიტენციური სისტემის ადმინისტრაციას საკანონმდებლო დონეზე უნდა აეკრძალოს შშმ პირთა საცხოვრებელ სადგომში განანილება/განთავსება ინდივიდუალური გადანყვეტილების საფუძველზე, რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის დაგეგმვის ჯგუფის დასკვნის გარეშე. შშმ პირის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის ან სხვა დანესებულებაში გადაყვანის შესახებ ნებისმიერი გადანყვეტილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ აღნიშნული მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული შშმ პირთა განთავსება ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის შეუსაბამო გარემოში.

**ლ. შშმ პირების საცხოვრებელი პირობები სასჯელალსრულების დანესებულებებში.** შშმ პირებისათვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა ციხეში მოიცავს პრობლემათა ფართო სპექტრს. შეუძლებელია რომელიმე კონკრეტული მათგანის ერთჯერადად გადანყვეტა. საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებული პრობლემები უნდა გვარდებოდეს კომპლექსურად და პერმანენტულად.

პირველ რიგში, შშმ პირთათვის სასჯელის მოხდის ადეკვატური,

გონივრულად მისადაგებული გარემოს შექმნა შესაძლებელი გახდება მხოლოდ საკითხის კანონით დარეგულირების შემთხვევაში, რომელიც სავალდებულო იქნება ნებისმიერი იმ დაწესებულებისათვის, რომელშიც შესაძლებელია განთავსებული იყოს შშმ პირი.

საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფაში მოიაზრება შშმ პირისათვის ნებისმიერი საცხოვრებელი თუ სხვა ობიექტის ხელმისაწვდომობა ნებისმიერ საჭირო დროს, კერძოდ, როგორცაა: საცხოვრებელი შენობები და საკნები, შეხვედრის ოთახები (როგორც შშმ პაციმრებისათვის, ისე ვიზიტორებისათვის); ფიზიოლოგიური და პიგიენური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი ნაგებობები: საპირფარეშო, აბანო (საშხაპე), სადაც პირს შეეძლება მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დამოუკიდებლად; სასაფარო ეზო, სადაც შშმ პირს უნდა შეეძლოს მისი მდგომარეობის შესაბამისი ფიზიკური აქტივობების განხორციელება; სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამა, რომელშიც შშმ პირმა უნდა შეძლოს მონაწილეობა თანაბარ პირობებში.

**შეთავაზებული წინადადება:** საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის სფეროში ნაშრომი სასჯელალსრულების სისტემას სთავაზობს შეაფასოს სასჯელალსრულების დაწესებულებები შშმ პირებთან მისადაგების კონტექსტში. შეფასება უნდა მოიცავდეს საცხოვრებელ პირობებს, პროგრამებს სხვადასხვა ტიპის შეზღუდულობის მქონე პირებისათვის, მათი თვითრეალიზების შესაძლებლობას და სხვა. პრობლემების ნუსხაში, გარდა შენობების ადაპტირებისა, უნდა მოიაზრებოდეს ასევე ისეთი სპეციფიკური საკითხები, როგორცაა: ოთახების განლაგება და ხელმისაწვდომობა ეტლით მოსარგებლე პირებისათვის, კარის ზომა და მისი შესატყვისობა ეტლის ზომასთან, ოთახის ზომა და მასში ავეჯის განლაგება ეტლით ან ყავარჯნით მოსარგებლე პირებისათვის, განლაგება ოთახში და ოთახის სივრცე მხედველობადაქვეითებული პირებისათვის და ა. შ.

**მ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების კონტაქტი ოჯახსა და გარე სამყაროსთან.** როგორც ნაშრომი განმარტავს, საქართველოში შშმ პირთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვ-



რობს ოჯახთან ერთად. ისინი, უპირველეს ყოვლისა, მიჯაჭვული არიან ოჯახის წევრებზე და მათგან იღებენ დახმარებას. მეორე მხრივ, ოჯახის წევრები ხანგრძლივად ეხმარებიან შშმ პირებს და იცნობენ მათ პრობლემებსა და მისი გადაჭრის გზებს.

**შთავაზებული წინადადება:** ნაშრომი სთავაზობს სასჯელალ-სრულების სისტემას, დანერგოს ინოვაციური მიდგომები და შექმნას შესაბამისი გარემო სასჯელის მოხდის პროცესში შშმ პაციმართა ოჯახის წევრების ჩართულობისათვის. მიზანშეწონილი იქნება შეიქმნას საკოორდინაციო ჯგუფი, რომელსაც სისტემატური კონტაქტი ექნება შშმ პაციმართა ოჯახის წევრებთან და დააფიქსირებს მათ ხედვასა და რეკომენდაციებს მოპყრობისა და მოვლის ნაწილში. მეორე მხრივ, ადმინისტრაციას უნდა მიეცეს უფლება ოჯახის წევრებს მისცეს დამატებითი შეხვედრების საშუალება პირის შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხისა და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, ოჯახის წევრებს (მსჯავრდებულისა და ოჯახის წევრის სურვილით) უნდა მიეცეთ საშუალება მომვლელის სტატუსით ყოველდღიურად განსაზღვრული დრო გაატარონ სამედიცინო დაწესებულებაში, შშმ პირის ასეთ დაწესებულებაში განთავსების შემთხვევაში, განსაკუთრებით იქ, სადაც არ ფუნქციონირებს მომვლელის ინსტიტუტი. დროის განსაზღვრა უნდა მოხდეს ექიმის რეკომენდაციით, გონივრული საზღვრებით, რომელიც უნდა დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე.

**ნ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კვება.** ნაშრომი შშმ პირთა კვებას განიხილავს როგორც ერთ-ერთ რთულ საკითხს, რომელიც, გარდა სტანდარტული კვების ხარისხისა და რაციონისა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სპეციალური კვების რაციონის შემუშავებას სხვადასხვა ტიპის საჭიროების მქონე პირებისათვის. ასეთ კვების რაციონზე ხშირ შემთხვევაში შეიძლება იყოს დამოკიდებული მათი სიცოცხლე და ჯანმრთელობა. კვებასთან დაკავშირებული პრობლემა შეიძლება იყოს არა საკვების ხარისხი, არამედ თვითონ პაციმრის ფიზიკური მდგომარეობა, მაგალითად, ეტლით მოსარგებლე ან მხედველობადაქვეითებული და გადაადგ-

ილების პრობლემის მქონე პირებისათვის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ სამზარეულომდე ან სასადილო ბლოკამდე მიღწევა ან დროულად მისვლა.

**შეთავაზებული წინადადება:** პრობლემების გადაჭრის მიზნით ნაშრომში განხილულია ახლებური მიდგომა, კერძოდ, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისათვის ექიმის რეკომენდაციით შედგენილი დიეტური კვების მენიუს პარალელურად სავალდებულო ხასიათი მიეცეს შშმ პირებისათვის სპეციალური მენიუს შემუშავებას, მათი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ან მათი სპეციფიკური საჭიროების მიხედვით. შშმ პირებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც შეზღუდული აქვს გადაადგილების ან თავისუფალი მოძრაობისა და ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა, უნდა მიენდოთ საკვები, რომელიც არ გამოიწვევს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულებას. აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად უნდა იქნეს შემოღებული სპეციალისტის (დიეტოლოგი) საშტატო ერთეული, რომელიც შშმ პირის კვების რაციონს შეიმუშავებს ინდივიდუალურად. აღნიშნული სპეციალისტი ვალდებული იქნება შეიმუშაოს სპეციალური კვების რაციონი შშმ პირთან ინტერვიუებისა და სამედიცინო პერსონალთან კოორდინაციის საფუძველზე. ამავე თანამშრომლის ვალდებულებაში უნდა შევიდეს შშმ პირის ინფორმირებულობა კვების საჭირო რაციონის შესახებ.

**ო. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.** სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პრობლემა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, ციხის გადატვირთულობა ან/და სამრეცხაო მომსახურების არქონა. შესაბამისად, შშმ პატიმრებს მოუწიოთ ჭუჭყიან თეთრეულში დაძინება ან ასეთივე ტანსაცმლის ტარება, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს სხვა პატიმრების მხრიდან აგრესიას და ზრდის ძალადობის რისკს მათ მიმართ.

გარდა აღნიშნულისა, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებ-

ბებში მოხვედრისას შშმ პირებს ერთ-ერთ უპირველეს პრობლემად ხვდებათ სწორედ ჰიგიენის არახელმისაწვდომობა, განსაკუთრებით კი იმ შშმ პირებს, რომლებიც მიჯაჭვული არიან ეტლს, აქვთ კიდურების (როგორც ქვედა, ისე ზედა) ამპუტაცია, ყავარჯნებით მოსარგებლებს, მხედველობადაქვეითებულებს და მათ, რომლებიც მიჯაჭვული არიან საწოლს. აღნიშნული პირები დგებიან ღირსების შემლახავი მოპყრობის წინაშე, როცა ისინი განთავსებული არიან საერთო საცხოვრებლებში ან საკნებში, რომლებშიც ღია საპირფარეოებია. წამების პრევენციის ასოციაცია განმარტავს, რომ შშმ პირები უნდა იღებდნენ დახმარებას ხელისუფლების მხრიდან, რომ დაიკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებები თეთრეთლთან თუ ტანსაცმლის რეცხვასთან დაკავშირებით.<sup>443</sup> ამდენად, ამ საკითხის დარეგულირება სასჯელალსრულების სისტემის ადინისტრაციის პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს.

**შეთავაზებული წინადადება:** ნაშრომი რეკომენდაციას უწევს სასჯელალსრულების სისტემას, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოს ადაპტირებული სანიტარიული ობიექტების მონყობა, თუმცა ეს პრობლემის სრული გადაწყვეტის გარანტი ვერ იქნება. ადაპტირებასთან ერთად შშმ პირებისთვის შეუზღუდავად, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჰიგიენური ობიექტები. საპირფარეოსა და საშხაპის დაგეგმარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი ადგილმდებარეობა, ოთახის მოცულობა, დამხმარე საშუალებები, ისე რომ შშმ პირს დაბრკოლების გარეშე შეეძლოს მათი გამოყენება.

**პ. შშმ პირებთან მოპყრობა და სასჯელალსრულების სისტემის პერსონალი.** სასჯელალსრულების სისტემის პერსონალის საქმიანობის განმსაზღვრელი დეტალური საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობა ზრდის პატიმართა მიმართ უხეში მოპყრობის რისკს. ის განსაკუთრებით მძიმედ აისახება შშმ პატიმრებზე, რადგანაც თუ

---

<sup>443</sup> იხ. Material conditions of detention, Clothing and bedding, Association for the Prevention of Torture (APT), <<https://apt.ch/detention-focus/en/themes/4/?vg=-1>>, [15.11.2019].

კანონმდებლობა პირდაპირ არ განმარტავს, თუ როგორ უნდა მოექცეს პერსონალი სხვადასხვა სახის შეზღუდულობის მქონე პირებს, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში პერსონალის უბრალოდ კარგი ქცევა ვერ იქნება არაჰუმანური მოპყრობის თავიდან აცილებისათვის საკმარისი საფუძველი.

**შეთავაზებული წინადადება:** ნაშრომი ასეთი რისკის თავიდან აცილების მიზნით სთავაზობს იუსტიციის სამინისტროს შეიმუშაოს მონყვლად ჯგუფებთან და განსაკუთრებით შშმ პირებთან მოპყრობის ეროვნული სტანდარტები, რომლებიც გამოყენებული იქნება ასევე პენიტენციური სისტემის დაწესებულების საქმიანობაში; ასევე პენიტენციურ სისტემაში დანერგოს სხვადასხვა ენაზე საინფორმაციო, მათ შორის ბრაილის შრიფტით ბუკლეტების მომზადების პრაქტიკა, შშმ პატიმრებისათვის მათი უფლებებისა და იმ პირობების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების დარღვევის რისკის შემცირებას. საინფორმაციო ბუკლეტს თან უნდა ახლდეს ასევე ინფორმაციის მიწოდების ფორმებისა და მეთოდების შესახებ ცნობარი პერსონალისათვის.

**ჟ. საგანგებო სიტუაციების მართვა.** ნაშრომი სიახლეთა ნუსხაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს სასჯელალსრულების დაწესებულებების მხრიდან საგანგებო სიტუაციებში შშმ პირებთან მუშაობისა და მათი ევაკუაციის გეგმის შემუშავებას, რაც მაქსიმალურად შეამცირებს შშმ პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკს მსგავს შემთხვევებში. რამდენადაც ასეთი ევაკუაციის გეგმა ითვალისწინებს არა მარტო შიდა პროცედურებს, არამედ სხვადასხვა სტრუქტურასთან ურთიერთქმედებას (მაგ.: შინაგან საქმეთა სამინისტრო), საგანგებო სიტუაციების მასშტაბიდან და ხარისხიდან გამომდინარე, იგი ზედმინევენით უნდა განიხილავდეს შშმ პირებთან მუშაობის დეტალებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხო ევაკუირება.

**შეთავაზებული წინადადება:** ნაშრომი, პირველ რიგში, მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებაში დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში ადგილზე იმყოფებოდეს ერთი

თანამშრომელი მაინც, რომელსაც გავლილი ექნება სპეციალური მომზადება შშმ პირებთან მუშაობის საკითხებში და რომელიც საგანგებო სიტუაციებში კოორდინაციას გაუწევს შშმ პირთა ნებისმიერ გადაადგილებას. გარდა ევაკუაციის გეგმისა, საფრთხის თავიდან აცილების მიზნით შშმ პირს ნებისმიერ, მისთვის საჭირო დროს უნდა მიეცეს ციხის ადმინისტრაციასთან შეხვედრისა და ასევე წერილობით მიმართვის შესაძლებლობა, თუ მას ეს ფიზიკურად შეუძლია.

**რ. ძალადობის რისკი და პრევენციული ღონისძიებები ციხეში.** ნაშრომში არაერთხელ აღინიშნა, რომ შშმ პირები, რომლებიც ხვდებიან სასჯელის მოხდის ადგილებში, წარმოადგენენ წამების, ძალადობის, ღირსების შემლახავი მოპყრობის მაღალ რისკჯგუფს.<sup>444</sup> უპირველეს ყოვლისა, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ისინი იმყოფებიან სახელმწიფო მოხელეების ხელში და მათ არ შესწევთ უნარი, სრულყოფილად დაიცვან თავი დამოუკიდებლად, მეორე მხრივ, მათ შეზღუდული აქვთ სხვა პირებთან ურთიერთობა, თავიანთი სტატუსიდან გამომდინარე. ამასთან, როდესაც შშმ პირებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება და იმყოფებიან ციხეში, შეზღუდული შესაძლებლობის გამო ხდებიან მეტად დამოკიდებული სხვაზე და ადვილად იქცევიან სამიზნედ.

**შეთავაზებული წინადადება:** შშმ პატიმართა მიმართ წამების ან ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილების მიზნით სასჯელალსრულების სისტემას ვთავაზობთ პერსონალის მომზადების პროგრამაში შეიტანოს ცალკე თავი, რომელიც განიხილავს შშმ პირებთან მოპყრობასა და მათთან მუშაობის თავისებურებებს, ასევე სასწავლო ცენტრში სპეციალური ტრენინგმოდულების შემუშავებას სასჯელალსრულების სისტემის იმ თანამშრომლებისათვის, რომლებიც უშუალოდ შშმ პირებთან მუშაობენ. ცალკე სასწავლო პროგრამა უნდა შემუშავდეს იმ პერსონალისათვის, რომელიც მონაწილეობს პირის დაწესებულებაში მიღებისას რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის დაგეგმვაში.

<sup>444</sup> იხ. Detainees with disabilities in Europe, PACE - Resolution 2223 (2018), paragraph 7.3, 2.

ტრენინგპროგრამა უნდა მოიცავდეს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე სპეციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას. განსაკუთრებით სიახლეს წარმოადგენს სპეციალური სასწავლო პროგრამები მომვლელ-დამხმარებელთათვის, რომლებიც იმუშავენ მძიმე ფორმის შშმ პირებთან. პროგრამა, ფიზიკური განვითარების გარდა, უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებებისა და ფსიქოლოგიური უნარ-ჩვევების სწავლებას.

**ს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სამედიცინო მომსახურება და მოვლა სასჯელალსრულების დაწესებულებებში.**

პენიტენციური სისტემის სამედიცინო სამსახურები სრულად უნდა შეესაბამებოდნენ სამოქალაქო სექტორში დადგენილ სტანდარტებს (საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსი, მუხლი 119), რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება შშმ პატიმართა არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილება და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა. ასევე, სისტემა ეფექტიანად უნდა თანამშრომლობდეს მომსახურებების მიმწოდებლებთან, სამოქალაქო სამედიცინო სამსახურებთან, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოს შშმ პირთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შესაფერისი მომსახურება. მოცემულ ნაწილში ნაშრომი რეკომენდაციას უწევს სასჯელალსრულების სისტემას, აკრძალოს პრაქტიკაში დანერგილი მოდელი: შშმ პირის სამედიცინო განყოფილებაში მოთავსება, ან მისი სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა, ან შშმ პირთა ერთ დაწესებულებაში მობილიზება, სამედიცინო მაჩვენებლების არსებობის გარეშე, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი არიან შშმ პირები. ასევე სამედიცინო პერსონალს შესაბამისი რეგულაციებით დაევალოს შშმ პირის მონახულება, სულ ცოტა, დღეში ერთხელ ნებისმიერ დაწესებულებაში, იქნება ეს სამედიცინო დაწესებულება თუ სხვა.

**შეთავაზებული წინადადება:** სამედიცინო პერსონალის შშმ პირებთან მუშაობის უფრო ეფექტიანად ჩართვის მიზნით ისინი უნდა იყვნენ შეყვანილი შშმ პირთა საჭიროებების შეფასების ჯგუფში. უნდა აიკრძალოს სამედიცინო ობიექტების განლაგება არაადაპტირებულ, რთულად მისადგომ ადგილებში. იმ შშმ პირებისათვის,

რომლებიც სარგებლობენ ეტლით, არიან მწოლიარე ან უჭირთ გადაადგილება, ხელმისაწვდომ ადგილზე უნდა დამონტაჟდეს გამოცხების ლილაკები, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ ნებისმიერ საჭირო შემთხვევაში, სხვა პატიმართა დახმარების გარეშე, გამოიძახონ სამედიცინო პერსონალი.

**ტ. ციხის რეჟიმი და დისციპლინური ღონისძიებები.** შშმ პირს ვერ მიენიჭება პრიორიტეტი მისი მდგომარეობის გამო. შეუძლებელია მის მიმართ არ იყოს გამოყენებული დისციპლინური ღონისძიება იმ დარღვევის გამო, რომლისთვისაც სხვა პატიმრები ისჯებიან.

**შეთავაზებული წინადადება:** ამ და სხვა სახის გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით ნაშრომი მიზანშეწონილად მიიჩნევა ახალი მიდგომების დანერგვას. კერძოდ, სასჯელალსრულების სისტემაში შემუშავებული და დანერგილი უნდა იყოს შშმ პირთა მიმართ დისციპლინური სასჯელის გამოყენების გამჭვირვალე და მოქნილი პროცედურები და შეზღუდვები, რომლებიც დადგენილი იქნება შშმ პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენებისას. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთი ღონისძიებების გამოყენებას, როგორცაა: დისციპლინურ სადგომში ან საკნის ტიპის სადგომში გადაყვანა, რომელიც უკიდურესი ღონისძიება უნდა იყოს. ამ ტიპის ღონისძიების გამოყენებამ არ უნდა მიაყენოს შშმ პირს რაიმე სახის ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი. შშმ პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ თანამშრომლის მონაწილეობით, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება.

**უ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სამარტოო საკანში მოთავსება.** სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებში განმარტა, რომ ზოგჯერ სამარტოო პატიმრობა გამოიყენება, როგორც შშმ პირთა მოპყრობის ან დასჯის ფორმა ან როგორც გარკვეული ჯგუფის მართვის ფორმა.<sup>445</sup> ამ პრაქტიკას ვხვდებით

<sup>445</sup> იხ. *Nowak M.*, Special Rapporteur of the Human Rights Council on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, Interim report on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, submitted in accordance with Assembly resolution 62/148, 2008, 20-21.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებშიც, როდესაც სასჯელალ-სრულების დანესებულებების ადმინისტრაცია იღებს გადაწყვეტილებას შშმ პირის განცალკევებულად ან/და სამართოო საკანში მოთავსების შესახებ და ამას უკავშირებს პატიმრის უსაფრთხოებას ან სხვა საჭიროებას.

**შეთავაზებული წინადადება:** ნაშრომი აღნიშნული მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს შშმ პირთა იზოლირება მათი შეზღუდული შესაძლებლობების გამო. იზოლირება ართულებს შშმ პირთა მდგომარეობას როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. იზოლირების დაშვება შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ უმოკლესი ვადით, ექიმის კონტროლის ქვეშ, მხოლოდ პირის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, დანესებულების ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებითა და პირადი პასუხისმგებლობით. შშმ პირის იზოლირების ალტერნატივად უნდა იქნეს გამოყენებული პირის სხვა დანესებულებაში გადაყვანა ნებისმიერ საჭირო შემთხვევაში, მათ შორის, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე.

**ფ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის რეაბილიტაციის პროგრამებისა და ფსიქოლოგის მომსახურების ხელმისაწვდომობა.** მსჯავრდებულ პირთა რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და მათი საზოგადოებაში დაბრუნების ხელშეწყობა სასჯელალ-სრულების სისტემის მთავარი დანიშნულებაა, რასაც უნდა ემსახურებოდეს სისტემის საქმიანობა მსჯავრდებულის დანესებულებაში მიღებიდან მათ გათავისუფლებამდე. სკოტი განმარტავს რეაბილიტაციის მხარდამჭერი არგუმენტის ძლიერ მხარეებს და აღნიშნავს, რომ იგი: განიხილავს ადამიანებს ინდივიდუალურად, აქცენტს აკეთებს დამნაშავეს პირად ცხოვრებაზე, მის მოტივაციასა და შესაძლო პროცესებზე, რომლებიც გამოიწვევენ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაპირისპირებას ან დაეხმარება ადამიანს, გაუმკლავდეს საკუთარ ცხოვრებას.<sup>446</sup> სკოტის მიდგომა რეაბილიტაციის როლთან

<sup>446</sup> იხ. *Scott d., Flynn N., Prison & Punishment*, Liverpool John Moores University, UK, 2014, 43.



მიმართებით ადასტურებს სწორედ ინდივიდუალურ მიდგომებს, რომლის განვრცობა პირდაპირ შეესატყვისება შშმ პატიმრებთან მუშაობის თავისებურებებს.

**შეთავაზებული წინადადება:** სასჯელაღსრულების სისტემამ უნდა დანერგოს ახალი მიდგომები და შეიმუშაოს სარეაბილიტაციო პროგრამები ან მოახდინოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი პროგრამების ადაპტირება. პროგრამების იმპლემენტაციისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ პროგრამების დანერგვას, რომლებიც ხელმისაწვდომია შშმ პირებისათვის სხვა პატიმრებთან თანაბარ პირობებში. იმ დაწესებულებებში, რომლებშიც ასეთი პროგრამები არ არსებობს, პროგრამების დანერგვა უნდა იქნეს შეტანილი სისტემის განვითარების სტრატეგიაში.

ასევე საერთო პროგრამების პარალელურად უნდა შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროგრამები, რომლებიც მოიცავენ შშმ პირთა სასჯელის მოხდის სხვადასხვა ეტაპის რეგულირებას: პირველადი პროგრამები, რომლებიც მოიცავენ შშმ პირის სასჯელის მოხდის დაწესებულებაში ადაპტირებასა და პენიტენციური სტრესის დაძლევას, რომელიც განსაკუთრებული სიმძაფრით ვლინდება შშმ პირებში; ეტლით მოსარგებლე და სხვა ფიზიკური შეზღუდულობის მქონე პირებისათვის - პროგრამები, რომლებიც მოიცავენ მათთვის ისეთი უნარების განვითარებას, როგორცაა: თვითმოვლა, გადაადგილება ციხის ტერიტორიაზე, სივრცესთან შეგუება, პატიმრებსა და პერსონალთან შეგუება, მათთან კომუნიკაციის დამყარება.

იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად შშმ პირები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან და მათთვის შესაძლოა ხელმისაწვდომი არ იყო სათანადო განათლება, უნდა შემუშავდეს ტრენინგ-პროგრამები როგორც ზოგადი და საშუალო განათლების ფარგლებში, ისე პიროვნული განვითარების, სტრესის მართვისა და კომუნიკაციის უნარებში. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმ უნარებს, რომლებიც მათ უკვე აქვთ და დაეხმარება მათ ახალი უნარების გამომუშავებაში გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში წარმატებული რეინტეგრაციისთვის. უნდა დაინერგოს უწყვეტი

პროგრამის სტანდარტი, რათა პირს შეეძლოს მასში მონაწილეობის გაგრძელება პრობაციის დაქვემდებარებაში ყოფნისა და სასჯელიდან სრული გათავისუფლების შემდგომ.

**ქ. სპეციალური გამონვევები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის საჭიროებები.** იმ დანესებულებებში, რომლებშიც არ არსებობს მომვლელის ინსტიტუტი, ან მისი დანიშვნა დამოკიდებულია სტატუსის დადგენის ხანგრძლივ პროცედურაზე, შშმ პატიმრები დამოკიდებული არიან სხვა პატიმრების კეთილ ნებაზე, რომლებიც არ არიან ვალდებული დახმარება გაუწიონ ნებისმიერ სხვა პირს, მათ შორის, აიღონ პასუხისმგებლობა შშმ პირის მოვლაზე, რაც შესაძლებელია ძალიან მძიმე იყოს, შეზღუდულობის ხარისხიდან გამომდინარე. დიდია ალბათობა იმისა, რომ მოხდეს იმ პატიმრების უგულებელყოფა, რომელთაც სჭირდებათ დახმარება ყოველდღიურ აქტივობებში, როგორცაა: კვება, საპირფარეშოში გასვლა, ჩაცმა, ბანაობა და ა. შ. არ უნდა იქნეს დაშვებული სხვა პატიმრების გამოყენება მომვლელებად ანაზღაურების გარეშე. პატიმრის მომვლელად აყვანა უნდა მოხდეს მხოლოდ ორივე მხარის სურვილით, რათა თავიდან იქნეს აცილებული შშმ პირის დამოკიდებულება პირზე, რომელსაც ამის ვალდებულება არ გააჩნია, რაც გაზრდის შშმ პირის მდგომარეობის ბოროტად გამოყენების რისკს.

**შეთავაზებული წინადადება:** სასჯელალსრულების დანესებულებებმა უნდა გადაადგან კონკრეტული ნაბიჯები ამ საქმიანობის განსახორციელებლად, შშმ პირთა მონყვლადობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე. კერძოდ, ნაშრომი სიახლის სახით სთავაზობს სასჯელალსრულების სისტემას:

- პრაქტიკაში დანერგოს მომვლელის ინსტიტუტი სპეციალურად ამისათვის მომზადებული პერსონალის ბაზაზე. ასევე შეიმუშაოს მოცემული სამუშაოს შესასრულებლად მსჯავრდებულთა დასაქმების პროგრამა, მომვლელის ანაზღაურებად სამუშაოზე ორივე მხარის - შშმ მსჯავრდებულისა და მომვლელი მსჯავრდებულის - თანხმობის შემთხვევაში, რაც აღმოფხვრის იძულებითი მომვლელის პოზიციაში სხვა პატიმრების ჩაყენების მანკიერ პრაქტიკას. სასწავლო ცენტრმა უნდა შეიმუშაოს სპე-

ციალური სასწავლო პროგრამა მომვლელებისათვის, როგორც სამოქალაქო პირების, ისე მსჯავრდებულებისათვის.

- შეიმუშაოს შშმ პირთა ნამების, ძალადობისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვის სამოქმედო გეგმა, რომლის ნაწილი უნდა იყოს შშმ პირთა მიღება, განთავსება, განაწილება, საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, კვება, პროგრამებში მონაწილეობა და გათავისუფლებისათვის მომზადება. თუმცა განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს პერსონალის სპეციალურ მომზადებასა და სხვა პატიმრების ინფორმირებულობას შშმ პირებთან მოპყრობისა და კომუნიკაციის საკითხებში.
- აკრძალოს დანესებულების პერსონალისა და სხვა პირების მხრიდან მასტიგმატიზებული ტერმინების გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული სტიგმატიზაციის და დისკრიმინაციული დამოკიდებულების რისკი.
- დანესებულების ხელმძღვანელ პირთა სამუშაო აღწერილობაში ვალდებულებითი ხასიათი მისცეს მათი მხრიდან შშმ პირებთან მუშაობას, მათთან სისტემატურ შეხვედრებს რაიმე ტიპის საფრთხის, ძალადობის ან დისკრიმინაციული მიდგომის თავიდან აცილების მიზნით.

ღ. მრავალმხრივი საჭიროებები და განსაკუთრებული კატეგორიები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრებს შორის. ქართული კანონმდებლობა განმარტავს სხვადასხვა განსაკუთრებულ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირებს და გარკვეულ მექანიზმებს ამ პირებთან მუშაობისა და მათი დაცვის მიზნით. პრაქტიკა იცნობს სხვა განსაკუთრებულ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირებს, რომელთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა განსაკუთრებული რისკის წინაშე დგას, განსაკუთრებით იმ დანესებულებებში, რომლებიც გამოირჩევიან შავ სამყაროს მიკუთვნებული პატიმართა ჯგუფებით. მრავალმხრივი საჭიროებები უკავშირდება როგორც სქესს, ასაკს, ასევე სისტემის შიდა კრიმინალური სამყაროს მიერ შექმნილ დისკრიმინაციულ იერარქიას, რაც შშმ პირის ისედაც რთულ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს.

მოცემულ ნაწილში, უპირველეს ყოვლისა, სიახლეს წარმოად-

გენს, სასჯელალსრულების სისტემაში ისეთი ტერმინის დანერგვა, როგორცაა „მრავალმხრივი საჭიროებები“, რაც სისტემას მისცემს საშუალებას, სწორი კვალიფიკაცია მიანიჭოს როგორც შშმ პირის მდგომარეობას, ისე მის თითოეულ საჭიროებას და საბოლოოდ, მთლიანობაში, დაიგეგმოს ასეთი, მრავალმხრივი საჭიროების მქონე, პირის სასჯელის მოხდა მისი ღირსების დაცვით, ფიზიკური თუ ფსიქიკური ზიანის მიყენების გარეშე.

ასევე სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტიტუტის დანერგვა სასჯელალსრულების სისტემის ყველა დანესებულებაში და ყველა შესაბამისი თანამშრომლისთვის ხელმისაწვდომი საერთო ბაზის წარმოება საშუალებას იძლევა მრავალმხრივი საჭიროების მქონე შშმ პირის დანესებულებაში მიღებისთანავე დაიგეგმოს შესაბამისი ღინისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი სახის უფლებათა დარღვევის, დისკრიმინაციის ან უხეში მოპყრობის რისკი და ასევე ხელი შეუწყოს პირს ადაპტაციაში. ასევე სისტემური ხასიათი უნდა მიეცეს სასჯელალსრულების დანესებულებათა შორის კოორდინაციას ასეთი საჭიროებების მქონე პირებთან მუშაობის საკითხებში, მაგალითად: ინფორმაციის გაცვლა, პრაქტიკის გაზიარება, თანამშრომლის მივლინება და სხვა.

**ყ. არასაპატიმრო სასჯელების აღსრულება/პრობაცია.** როდესაც განიხილება საპატიმრო სასჯელის, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენება, პრიორიტეტი ენიჭება ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას, რათა შშმ პირის დახურულ დანესებულებაში ყოფნამ არ გამოიწვიოს მძიმე შედეგი, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულება, ოჯახისა და ჩვეული გარემოსგან ხანგრძლივი სიშორით გამოწვეული ფსიქოლოგიური სტრესი. ამდენად, შშმ პირების მიმართ ალტერნატიული სასჯელების გამოყენება და მათი პრობაციის სამსახურის ზედამხედველობისათვის გადაცემა უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი, რათა, პირველ რიგში, დანაშაულის ჩამდენი პირი, მისი ფიზიკური მდგომარეობის გამო, არ დარჩეს დაუსჯელი, რაც

საზოგადოებაში დაუსჯელობის სინდრომს გააჩენდა. ამასთან, ის არ უნდა მოსწყდეს ოჯახს და ყოველდღიური ცხოვრების წესს, რაც, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხშირად სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, განსაკუთრებით საქართველოს რეალობაში, როდესაც შშმ პირები ძირითადად მოკლებული არიან დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობას და ცხოვრობენ ოჯახის წევრების მხარდაჭერითა და მზრუნველობით. ამასთან, პრობაციის სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები, ასევე სარეაბილიტაციო პროგრამები შშმ პირებს მისცემს შესაძლებლობას მიიღონ ის მომსახურება და დახმარება, რომელიც შესაძლებელია მათ მანამდე არ ჰქონდათ ან რომელიც მათ მოცემულ მომენტში სჭირდებათ.

**შეთავაზებული წინადადება:** სიახლე, რომელსაც ნაშრომი პრობაციის ნაწილში წარმოაჩენს, ეხება არა მხოლოდ სასჯელაღსრულების სისტემას, არამედ მთლიანად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას და სახელმწიფო პოლიტიკას შშმ პირებთან მიმართებით, კერძოდ:

შშმ ბრალდებულებთან მიმართებით წინასასამართლო ანგარიშის მომზადების სავალდებულოდ ქცევა, რათა სასჯელის შეფარდებისას სასამართლომ მიიღოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია. ეს ხელს შეუწყობს მას გაითვალისწინოს შშმ პირის ფიზიკური მდგომარეობა, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი, ოჯახისა და საზოგადოების მხარდაჭერა და სხვა გარემოებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სასჯელის მოხდის პროცესზე და თვითონ შშმ პირის ფიზიკურ მდგომარეობაზე მოცემულ პროცესში.

საკანონმდებლო სივრცეში სასამართლო პროცესამდე პრობაციის ზედამხედველობის ინსტიტუტის დანერგვა (წინასასამართლო ზედამხედველობა), რაც მეტ შესაძლებლობას მისცემს სასამართლოებს, არ გამოიყენონ აღმკვეთი ღონისძიება, გარდა უკიდურესი შემთხვევისა. მეორე მხრივ, ეს მიდგომა ხელს შეუწყობს წინასწარ საპატიმრო დაწესებულებების განტვირთვას და შშმ პირებისადმი დამატებითი ზრუნვისათვის საჭირო რესურსების შემცირებას. აღნიშნული ინსტიტუტის პილოტირება შესაძლებელია მოხდეს სხვა

მონყვლად ჯგუფებთან.

შშმ პირებთან მიმართებით განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტისთვის უფრო ფართო არეალის მინიჭება და მისი გამოყენება, რაც შეიძლება, ხშირად, როცა ამის მინიმალურ შესაძლებლობას იძლევა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. განრიდებისა და მედიაციის ეფექტიანი გამოყენება იქნება ერთ-ერთი გარანტი იმისა, რომ შშმ პირები არიდებულ იქნენ საპატიმრო დაწესებულებებში მოხვედრასა და შესაბამისად, საზოგადოებისაგან იზოლირების რისკს.

**შ. მონიტორინგი.** დამოუკიდებელმა ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა რეგულარულად უნდა განახორციელონ სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებების მონიტორინგი შშმ პირებისთვის შეუსაბამო პირობებისა და უხეში მოპყრობის პრევენციის მიზნით<sup>447</sup>. აღნიშნული ორგანიზაციები სისტემატურად უნდა შეიმუშავებდნენ რეკომენდაციებს შშმ პირთა განთავსებისა და მოპყრობის გაუმჯობესების მიზნით. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი შშმ პატიმრების მდგომარეობა უნდა იყოს არა მხოლოდ ციხის ადმინისტრაციის ინტერესი, არამედ ის სამოქალაქო საზოგადოების ვალდებულებასაც უნდა წარმოადგენდეს.

**შეთავაზებული წინადადება:** შშმ პირთა სასჯელის მოხდის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ეფექტიანი და სისტემატური ჩართვის მიზნით სასჯელაღსრულების სისტემამ უნდა შეიმუშაოს საზოგადოების ინფორმირების პროგრამა და საზოგადოებრივ სტრუქტურებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის ისეთი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მათთან სისტემატურ თანამშრომლობას.

საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები და შიდა ეროვნული კანონმდებლობა ნებისმიერ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა

---

<sup>447</sup> „სამოქალაქო საზოგადოება, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციები ჩართულები უნდა იყვნენ და ფართოდ მონაწილეობდნენ მონიტორინგის პროცესში.“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მუხლი 33, 2006 წლის 13 დეკემბერი.

დაცვისა და ყველა ადამიანის თანაბარი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფის უმთავრესი გარანტიაა. შშმ პირებთან მიმართებით ასეთი სტანდარტებისა და ეფექტიანი კანონმდებლობის არსებობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა, მათი მონყვლადობის ხარისხიდან გამომდინარე, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, მათ არ ძალუძთ აარიდონ თავი დაბრკოლებებს.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ჯგუფებზე, რომლებიც, უმეტესწილად, ვერ სარგებლობენ სხვა ადამიანებთან თანაბარი საცხოვრებელი გარემოთი და მოპყრობით. ასევე, საზოგადოების უმეტეს ნაწილზე, მათ შორის, მათზე, რომლებიც არ გამოირჩევიან ტოლერანტული დამოკიდებულებით აღნიშნული პირების მიმართ, თუმცა ევალებათ თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა ავალდებულებს ქვეყანას ცხოვრების თანაბარი პირობები და გარემო შეუქმნას ყოველ ადამიანს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, მიუხედავად მისი მდგომარეობისა თუ სტატუსისა, თავისუფლების აღკვეთის ადგილზე თუ მის გარეთ.

## ბიბლიოგრაფია

### I. კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტები:

- განრიდების და მედიაციის პროგრამა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის 2016 წლის 6 თვის ანგარიში.
- კანონპროექტი - პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ (კანონპროექტი მომზადებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ 2019 წელს და ინიცირებულია საქართველოს მთავრობის მიერ).
- საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის, 2018.
- საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), 1927.
- საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 24/08/1995.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009.
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22/07/1999.
- საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ, ახალი რედაქცია, საქართველოს 2014 წლის 7 მარტის კანონი №2103.
- საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 14/06/1995.
- საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსი, სსმ, 12, 24/03/2010.
- საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 12/06/2015.
- საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 02/05/2014.



- საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, 19/06/2007.
- საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2020 წლის 14 ივლისი.
- საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 2020 წლის 14 ივლისი.
- საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 2020 წლის 14 ივლისი.
- საქართველოს კანონი საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 15 ივლისი, 2020.
- საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 10 თებერვალი, 2020.
- საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 14 ივლისი, 2020.
- საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, 23 ივნისი, 2020.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის — არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, 27 მარტი 2019.
- საქართველოს მთავრობის N41 დადგენილება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, 2014 წლის 6 იანვარი.
- საქართველოს მთავრობის N68 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის - ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ, 2014 წლის 15 იანვარი.
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის მინისტრის N01-54/6 ბრძანება სადღელამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ, 23 ივლისი, 2014.

- საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №388 — №01-18/ნ, „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“, 6 მარტი 2019.
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №70, მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე, 9 ივლისი, 2015.
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №39, მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ, 5 ივნისი, 2015.
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №1/ნ შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, თბილისი, 2003 წლის 13 იანვარი.
- საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისთვის, 2016.
- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 21 ივნისის ბრძანება № 150, პატიმრობისა და თავისუფლების

აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 12 იანვარის ბრძანება №6 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.
- სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, საანგარიშო პერიოდი - სექტემბერი, 2019, 107, 108, 118-120, 121.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია, საქართველოს პარლამენტის №604-II დადგენილება, 2 დეკემბერი, 2008.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს 2014 წლის 7 მარტის კანონი №2103.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №732, ტექნიკური რეგლამენტის — „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე, 4 დეკემბერი, 2020.

#### • **საერთაშორისო სტანდარტები**

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს გენერალური ასამბლეა, 10 დეკემბერი 1948.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 13 დეკემბერი, 2006.
- კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 20 ნოემბერი 1989.

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 4 ნოემბერი 1950.
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 16/12/1966.
- არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები), 1990, <<https://www.ncjrs.gov/pdffiles1/Digitization/147416NCJRS.pdf>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.11.2019].
- გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები“), 2015, <[https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI\\_Nelson\\_Mandela\\_Rules\\_Short\\_Guide\\_Geo](https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.11.2019].
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („ბუკინის წესები“), 1985 წლის 29 ნოემბერი.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებათა დაცვითი არასრულწლოვანი პირების დასაცავად: გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/45/113, (1990), <<https://www.un.org/documents/ga/res/45/a45r113.htm>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.11.2019].
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), 2010, <<https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/07/BangkokRules-Updated-2016-with-renumbering-SMR.pdf>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.11.2019].
- ევროპული პენიტენციური წესები, ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია დეც(2006)2, 2006 წლის 11 იანვარი, <[https://pjp-eu.coe.int/documents/3983922/6970334/CMRec+\(2006\)+2+on+the+European+Prison+Rules.pdf/e0c900b9-](https://pjp-eu.coe.int/documents/3983922/6970334/CMRec+(2006)+2+on+the+European+Prison+Rules.pdf/e0c900b9-)

92cd-4dbc-b23e-d662a94f3a96.>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 20.11.2019].

- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ, 2003, 3, <[https://www.ochrance.cz/fileadmin/user\\_upload/ochrana\\_osob/Umluvy/vezenstvi/R\\_2003\\_23\\_management\\_of\\_life\\_sentence\\_and\\_long-term\\_prisoners.pdf](https://www.ochrance.cz/fileadmin/user_upload/ochrana_osob/Umluvy/vezenstvi/R_2003_23_management_of_life_sentence_and_long-term_prisoners.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 20.09.2019].
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015, 64, 65-66, 67-68.
- სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის, პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული, CM/Rec (2010)1 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, 2010, <[https://www.pmscr.cz/download/mezdozen\\_European\\_Probation\\_Rules.pdf](https://www.pmscr.cz/download/mezdozen_European_Probation_Rules.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 20.09.2019].

### III. ნაშრომები, სახელმძღვანელოები და ანგარიშები

- **არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ.**, პრობაციის სამართალი, 2015.
- **ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტკარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს.**, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013.
- **ბერძენიშვილი ლ., ბრავაძე ზ., გვახარია გ., დარასელია ზ., თაქთაქიშვილი ლ., საყვარელიძე ფ.**, ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა, გამოცემულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერ-

სიტეტის IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით, 2004.

- **გაბიანი ა., გვენეტაძე ნ., დვალაძე ი., თოდუა ნ., ივანიძე მ., მამულაშვილი გ., ნაჭყებია გ., ტყეშელიაძე გ., ხუროშვილი გ.,** სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007.
- **გეთიაშვილი გ.,** საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსი, სამართლის ჟურნალი, №2, 2016.
- **გოგშელიძე რ., აქუბარდია ი., ფაფიაშვილი ლ., გოგნაშვილი ნ.,** სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2008.
- **დვალაძე ი.,** სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013.
- **დუშუაშვილი თ.,** კრიმინალი და ეკონომიკა, 2015, <<http://forbes.ge/blog/123/kriminali-da-ekonomika>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- ევროპის სასამართლო საქმეები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, ევროპის სასამართლო (Persons with disabilities and the European Convention on Human Rights), 2014, <[https://www.echr.coe.int/Documents/FS\\_Disabled\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/FS_Disabled_ENG.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- **თოდუა ნ., ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., ცქიტიშვილი თ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,** სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016.
- **იონათამიშვილი რ.,** შესაძლებლობათა შეზღუდვის ისტორია, შესაძლებლობათა შეზღუდვის სოციალური და სამედიცინო მოდელები, 2007. <[http://www.csogeorgia.org/uploads/library/206/kdc\\_broshura-geo.pdf](http://www.csogeorgia.org/uploads/library/206/kdc_broshura-geo.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- **კორკელია კ.,** ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამონვევები, სტატიათა კრებული, თბილისი, 2012.
- **კოილი ე.,** პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის

უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის, პენიტენციურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2007.

- **მიქანაძე გ.**, პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება — ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამონგვევები, სტატიათა კრებული, თბილისი, 2012.
- **ნადირაძე კ., არგანაშვილი ა., აბაშიძე ა., გოჩიაშვილი ნ., ლორდი ჯ.**, სასამართლო შენობების მისანვდომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, 2019.
- სახელმძღვანელო პოლიტიკის განმსაზღვრელთათვის ინკლუზიური გადანყვეტილებების მიღებაზე, ბრიტანეთის საბჭო, 2014. <[https://www.britishcouncil.ge/sites/default/files/policy\\_makers\\_print.pdf](https://www.britishcouncil.ge/sites/default/files/policy_makers_print.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ინკლუზიური გადანყვეტილებების მიღებაზე, ნაშრომი მომზადებულია ბრიტანეთის საბჭოს პროექტის ფარგლებში (Project is implemented by British Council in Armenia, Azerbaijan, Georgia, Jordan, Lebanon and Ukraine in partnership with local organisations for people with disabilities), 2014.
- საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, არანებაყოფლობითი და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში - რეკომენდაციების შესრულების ანალიზი, 2014. <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2253>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.19].
- სოციალური მომსახურების სააგენტო, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზა, 2018, <[http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=127](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=127)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].

- **ტურავა მ.**, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2010.
- **ტრექსელი შ.**, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009.
- უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი, 11 მაისი 2017, ლექსიკონი ეფუძნება მ. ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონის 1989 წლის მესამე შესწორებულ და შევსებულ გამოცემას, <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=7434>>, [უკანასკნელად იქნა გადამონმე-ბული - 15.11.2019].
- **ფაფიაშვილი შ.**, კრიმინალისტიკა, დანაშაულის გახსნის ტექნიკა, თბილისი, 2011.
- **ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ.**, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი, 2015.
- **შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ.**, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, 2016.
- **ძამაშვილი ბ.**, დისკრიმინაციასთან ეფექტური ბრძოლის მიზნით სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, სამართლის ჟურნალი, №1, 2016.
- **ხასია ზ.**, არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, ჟურნალი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხების ზოგადი მიმოხილვა №1, 2017.
- **ხუბუა გ.**, სამართლის თეორია, 2004.
- **ჭეიჭუდი ა.**, პოლიტიკის ამერიკელი მკვლევარი, პოლიტიკური იდეოლოგიები, მესამე გამოცემა, თბილისი, 2003.



#### IV. უცხოენოვანი ლიტერატურა

##### ა. ინგლისურენოვანი ლიტერატურა

- Anton M. van Kalmthout Ioan Durnescu, *A comparative overview European Probation Service Systems*, 2008.
- Alejandro Forero Cuéllar, María Celeste Tortosa, Klaus Dreckmann, Dimitar Markov, Maria Doichinova, *A handbook on Vulnerable groups of prisoners*, 2015. <[http://www.ub.edu/ospdh/sites/default/files/documents/Handbook.%20VGP\\_EN\\_\\_FINAL\\_1.pdf](http://www.ub.edu/ospdh/sites/default/files/documents/Handbook.%20VGP_EN__FINAL_1.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 15.11.2019].
- Access to Justice and Persons with Disabilities, Alberta Civil liberties Research Center, 2019, <<http://www.aclrc.com/access-to-justice-persons-with-disabilities#socialeconomic>>, [უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 15.11.2019].
- Body of Principles for the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment, Adopted by General Assembly resolution 43/173 of 9 December 1988, <<https://www.un.org/documents/ga/res/43/a43r173.htm>>, [უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 15.11.2019].
- CRPD/C/COK/CO/ Concluding observations on the initial report of Australia, adopted by the Committee at its tenth session (2-13 September 2013), <<https://www.refworld.org/docid/5280b5cb4.html>>, [უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 15.11.2019].
- Committee on the Rights of Persons with Disabilities, Guidelines on article 14 of the Convention on the Rights of Persons with Disabilities, The right to liberty and security of persons with disabilities, Adopted during the Committee's 14th session, held in September 2015. <<https://www.ohchr.org/Documents/HRBodies/CRPD/.../GuidelinesOnArticle14.doc>>, [უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 15.11.2019].
- Human Rights Committee, concluding observations on the second periodic report of Slovakia (CCPR/CO/78/SVK)
- Crétenot M., *From National Practises to European Guidelines:*

Interesting Initiatives in Prisons Management, European Prison Observatory, Detention conditions in the European Union, Rome, December, 2013. <<http://www.prisonobservatory.org/upload/EPOinterestinginitiatives.pdf>> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.09.2019].

- *Cavallaro J.*, Leading human rights experts call for speedy implementation of the Nelson Mandela Rules on Nelson Mandela International Day, 18.07.2016. <<https://www.coe.int/en/web/commissioner/-/leading-human-rights-experts-call-for-speedy-implementation-of-the-nelson-mandela-rules-on-nelson-mandela-international-day>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- CPT standards, European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), Strasbourg, December 2010. <<https://www.refworld.org/pdfid/4d7882092.pdf>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- CPT standards, European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), 2011. <<https://www.psychargos.gov.gr/Documents2/%CE%9D%CE%95%CE%91/eng-standards.pdf>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- *Davies E. and Green S. Article*, Sentence Planning – Progress: It is all in the planning, InsideTime, the National Newspaper for Prisons & detainees, 2013, <<https://insidetime.org/sentence-planning-progress-it-is-all-in-the-planning/>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- Disability and Criminal Justice Reform: Keys to Success, Report from June 2016, by the organization “Respect Ability”, <<https://www.respectability.org/wp-content/uploads/2017/05/Disability-and-Criminal-Justice-Reform-White-Paper.pdf>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- European Convention on Extradition, Council of Europe, Paris,

1957. <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680064587>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].

- EDF alternative report on the implementation of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities, Adopted in Brussels by European Disability Forum’s Board of Directors on 8-9 November, 2014. <[http://www.edf-feph.org/sites/default/files/2015\\_03\\_04\\_edf\\_alternative\\_report\\_final\\_accessible.pdf](http://www.edf-feph.org/sites/default/files/2015_03_04_edf_alternative_report_final_accessible.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.09.2019].
- Fact sheets on sustainable development goals: health targets, World Health Organisation, regional office for Europe, 2017. <[http://www.euro.who.int/\\_\\_data/assets/pdf\\_file/0003/348249/Fact-sheet-SDG-Polio-FINAL-04-09-2017.pdf?ua=1](http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0003/348249/Fact-sheet-SDG-Polio-FINAL-04-09-2017.pdf?ua=1)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.09.2019].
- *Fassler J. and Brown G.*, Prison Food Is Making U.S. Inmates Disproportionately Sick, 2017, <<https://www.theatlantic.com/health/archive/2017/12/prison-food-sickness-america/549179/>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.09.2019].
- *Gonnerman J.*, Before the Law, The New Yorker, October 6, 2014, <[www.newyorker.com/magazine/2014/10/06/before-the-law](http://www.newyorker.com/magazine/2014/10/06/before-the-law)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- Handbook on Prisoners with special needs, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Criminal Justice Handbook Series, New York, 2009. < [https://www.unodc.org/pdf/criminal\\_justice/Handbook\\_on\\_Prisoners\\_with\\_Special\\_Needs.pdf](https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Prisoners_with_Special_Needs.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.11.2019].
- Handbook for Prison Managers and Policymakers on Women and Imprisonment, Criminal Justice Handbook Series (The handbook was prepared for the United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) by Tomris Atabay, consultant on criminal justice issues, based in Turkey), United Nations, New York, 2009. <<https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/women-and-imprisonment.pdf>> - [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -

20.11.2019].

- Handbook on European law relating to the rights of the child, European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe, 2015. <[https://fra.europa.eu/sites/default/files/fra\\_uploads/fra-ecthr-2015-handbook-european-law-rights-of-the-child\\_en.pdf](https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/fra-ecthr-2015-handbook-european-law-rights-of-the-child_en.pdf)> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- Human Rights Watch, Abuses Against People with Disabilities in Prisons in Australia, summary, 2018, <<https://www.hrw.org/news/2018/02/06/australia-prisoners-disabilities-neglected-abused>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- Information book for prisoners with a disability, Offender Health and Prison Reform Trust 2009, Prison Reform Trust office (020 7251 5070 or PRT, Freepost, ND6125, London EC1B 1PN), <<http://www.prisonreformtrust.org.uk/Portals/0/Documents/Disability%20pib.pdf>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- International classification of functioning disability and health (ICF), world health organization, Publication, 22 May, 2001. <<https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/42407/9241545429.pdf>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- *Juan E. Méndez*, Interim\_ Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, 2008. <<https://www.mindbank.info/item/1341>> - >, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.11.2019].
- *Juan E. Méndez*, Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, A/HRC/22/53, 1 February, 2013, <[https://www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/RegularSession/Session22/A.HRC.22.53\\_English.pdf](https://www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/RegularSession/Session22/A.HRC.22.53_English.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.11.2019].
- *Juan E. Méndez*, Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, A/HRC/31/57, 5 January, 2016, <<https://www.refworld.org/>

docid/56c435714.html>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019]

- *Larson D. A.*, An Emerging Strategy, Access to Justice for Persons with Disabilities: School of Law, May 27, 2014, 224-225.
- *Magrade T., Gozalishvili N.*, Probation in Europe – Georgia, 2016.
- *Murdoch J.*, Professor of Public Law, University of Glasgow, School of Law, United Kingdom, Vaclav Jiricka, Head Psychologist, Prison Service, Czech Republic, A handbook for prison staff with focus on the prevention of ill-treatment in prison, Council of Europe, April, 2016.
- Making Hard Time Harder Programmatic Accommodations for Inmates with Disabilities Under the Americans with Disabilities Act, Amplifying Voices of Inmates with Disabilities (AVID), Prison Project of Disability Rights, 2016, <<https://droregon.org/wp-content/uploads/Making-Hard-Time-Harder-PDF-Version.pdf>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- Material conditions of detention, Clothing and bedding, Association for the Prevention of Torture (APT), <<https://apt.ch/detention-focus/en/themes/4/?vg=-1>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- National Educational Association of Disabled Students (NEADS) Making Extra-Curricular Activities Inclusive - NEADS is a consumer-controlled, cross-disability charitable organization, founding in 1986, <[https://www.neads.ca/en/about/projects/inclusion/guide/pwd\\_01.php](https://www.neads.ca/en/about/projects/inclusion/guide/pwd_01.php)>, [ukanasknelad iqna gadamowmebuli - 15.11.2019].
- *Nowak M.*, Special Rapporteur of the Human Rights Council on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, Interim report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, submitted in accordance with Assembly resolution 62/148, 2008. <<https://www.ohchr.org/EN>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- National Prison Rape Elimination Commission Report, June 2009,

- <<https://www.ncjrs.gov/pdffiles1/226680.pdf>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- Prison service Order, PSO 2855 - The Management of Prisoners with Physical disabilities, 2003, <[https://bulger.co.uk/prison/PSO\\_2855\\_prisoners\\_with\\_disabilities.doc](https://bulger.co.uk/prison/PSO_2855_prisoners_with_disabilities.doc)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
  - Procedures – Searches of prisoners, Policy Directive 26 Searches – Procedures, Government of Western Australia, Department of Correction Service, 2015.
  - *Rohwerder B.*, Disability stigma in developing countries, Institute of Development Studies, 9 May, 2018, <[https://assets.publishing.service.gov.uk/media/5b18fe3240f0b634aec30791/Disability\\_stigma\\_in\\_developing\\_countries.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/media/5b18fe3240f0b634aec30791/Disability_stigma_in_developing_countries.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
  - *Russell, M. and Stewart J.*, Disablement, Prison and Historical Segregation, An Independent Socialist Magazine, Monthly Review, Jul 01, 2001, <<https://monthlyreview.org/2001/07/01/disablement-prison-and-historical-segregation>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
  - Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 19 to 23 November 2012, <<https://rm.coe.int/16806961f8>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
  - Report to the Italian Government on the visit to Italy carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 13 to 25 May 2012, <<https://rm.coe.int/168069727a>> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
  - Solitary confinement of prisoners, European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), 21st General Report of the CPT, published in 2011, <<https://rm.coe.int/1680696a88>> [უკანასკნელად იქნა

გადამონმებული - 15.11.2019].

- Sentence Planning, National Offender Management Service (NOMS), UK, 2014, <<https://www.justice.gov.uk/downloads/offenders/psipso/psi-2014/psi-19-2014-ai-14-2014-pi-13-2014-sentence-planning.pdf>> [უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 15.11.2019].
- *Schlanger M.*, Professor of Law at the University of Michigan Law School, Prisoners with disabilities: Individualization and Integration, Public law legal theory research paper series, March 14, 2017.
- *Scott d., Flynn N.*, Prison & Punishment, Liverpool John Moores University, UK, 2014.
- *Greifinger R. B.*, Disabled prisoners and reasonable accommodation, Criminal Justice Ethics, 25, 253-55, 2006, in *შპუნკ ბ.*, The Treatment of Criminals with Disabilities: An Ongoing Debate, Submitted as partial fulfillment of the Requirements for The Master of Liberal Studies, The University of Toledo, 2008, <[https://etd.ohiolink.edu/rws\\_etd/document/get/toledo1229019841/inline](https://etd.ohiolink.edu/rws_etd/document/get/toledo1229019841/inline)>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 05.03.2021].
- *Tornare M.*, Rapporteur of the Committee on Equality and Non-Discrimination, Report on Detainees with disabilities in Europe, 2018.
- Thematic report by HM Inspectorate of Prisons, Disabled prisoners: A short thematic review on the care and support of prisoners with a disability, March, 2009, <[https://lx.iriss.org.uk/sites/default/files/resources/Prisoners\\_with\\_Disabilities1.pdf](https://lx.iriss.org.uk/sites/default/files/resources/Prisoners_with_Disabilities1.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 15.11.2019].
- The UN Fact sheet on Persons with Disabilities, The UN Programme on Disability/Secretariat for the Convention on the Rights of Persons with Disabilities (SCRPD) falls within the Division for Social Inclusive Social Development (DISD) of the United Nations Department of Economic and Social Affairs (UNDESA), 2018, <<https://www.un.org/disabilities/documents/toolaction/pwdfs.pdf>>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 15.11.2019].

- *Vallas R.*, Disabled Behind Bars, The Mass Incarceration of People With Disabilities in America’s Jails and Prisons, July 2016, <<https://cdn.americanprogress.org/wp-content/uploads/2016/07/18000151/2CriminalJusticeDisability-report.pdf>>, [უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 15.11.2019].
- *Wilmar J. Schaufely and Maria C.W. Peeters*, Job Stress and Bournout among Correctional Officers: Literature review, International Journal of Stress Management, Vol 7, 2000.
- Women and Girls Deprived of Liberty, Human Rights Watch Submission to the UN Working Group on Discrimination Against Women in Law and Practice, 2018, <<https://www.hrw.org/news/2018/10/01/human-rights-watch-submission-un-working-group-discrimination-against-women-law-and>>, [უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 15.11.2019].
- World report on disability, World Health Organization, Malta, 2011.
- *Weatherburn D.*, What Causes Crime? Crime and justice bulletin, NSW - Justice Bureau of Crime Statistics and Research, Australia, No 54, 2001.
- *Quinn G. and Degener T.*, The current use and future potential of United Nations human rights instruments in the context of disability, 2002.
- Right to access to justice under article 13 of the Convention on the Rights of Persons with Disabilities, Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, 2018.
- Prison Service Order, Order Number 2855, HM Prison Service, Prisoners with physical, sensory and mental disabilities, Date of Initial Issue 20/12/99, Date of Update: 13/10/03.
- Offender Management end sentence planning, Prison reform Trust, UK, 2018, <<http://www.prisonreformtrust.org.uk/ForPrisonersFamilies/PrisonerInformationPages/OffenderManagementandsentenceplanning>>, [უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 15.11.2019].



- Sentence Planning, portal, Prison reform trust, 2012,
- United Nations Rules for the Treatment of Women Prisoners and Non-custodial Measures for Women Offenders (the Bangkok Rules), rule 29, 2010.
- Detainees with disabilities in Europe, PACE - Resolution 2223 (2018).
- Prisoners life and life after prison, SAGE publication, 2015. World Female Imprisonment List, Institute for Criminal Policy research, 2017, p.2

### **ბ. რუსულენოვანი ლიტერატურა**

- Анализ Уголовноисполнительного Кодекса Республики Узбекистан: Предложения и Рекомендации, Региональное Представительство Управления Организации Объединенных Наций по Наркотикам и Преступности в Центральной Азии, Узбекистан, 2018, <<https://www.unodc.org/documents/centralasia//2018/UIK.pdf>>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 20.09.2019].
- Приложение к приказу Министра внутренних дел Республики Узбекистан от 08 мая 2001 года N 118, Правила внутреннего распорядка учреждений по исполнению наказания в виде лишения свободы.
- *Балыкин Д. Г., Буланов А. С.*, Права инвалидов в местах лишения свободы, Справочно-информационное издание, Нижний Новгород, 2014, <<http://invaprison.ru/wp-content/uploads/2014/10>>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 20.09.2019].
- *Волкова Н.*, Инвалиды в СССР: история об уничтожающей опеке, Портал милосердия.ру, 2016, <<https://www.miloserdie.ru/article/invalidy-v-sssr-istoriya-ob-unichtozhayushhej-opeke/>>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 20.09.2019].
- *Фефёлов В.*, В СССР инвалидов нет!.. <<https://e-libra.ru/read/242202-v-sssr-invalidov-net.html>>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 20.09.2019].
- *Раднаева Н.*, эксперт Фонда, В защиту прав заключенных, статья - Инвалид-колясочник в колонии: наказание или пытка? 16

январь, 2012.

## **V. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები**

- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები - ახალი მემარჯვენეები და საქართველოს კონსერვატიული პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 17 სექტემბრის №1/1/493 გადანყვეტილება, <<http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/moqalaqeta-politikuri-gaertianebebi-axalimemardjveneebi-da-saqartvelos-konservatiuli-partia-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-624.page>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1/392 გადანყვეტილება, <<http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqe-shota-beridze-da-sxvebi-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-460.page>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].

## **VI. ევროპის სასამართლოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადანყვეტილებები**

- *Arutyunyan v. Russia*, 10 January, 2012, <[https://www.echr.coe.int/Documents/FS\\_Disabled\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/FS_Disabled_ENG.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- *Hamilton v. Jamaica*, Communication No. 616/1995, 7 July, 1997, CCPR/C/60/D/616/1995, <[https://www.echr.coe.int/Documents/FS\\_Disabled\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/FS_Disabled_ENG.pdf)> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- *Semikhvostov v. Russia*, 2689/12, Judgment 6.2.2014, <<https://www>.

[echr.coe.int/Documents/FS\\_Disabled\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/FS_Disabled_ENG.pdf), [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].

- *Price v., the United Kingdom*, 10 July, 2001 (ფრაისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), *Persons with disabilities and the European Convention on Human Rights*, <[https://www.echr.coe.int/Documents/FS\\_Disabled\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/FS_Disabled_ENG.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- *Z.H. v. Hungary* - 28973/11, Judgment 8.11.2012 [Section II], <[https://www.echr.coe.int/Documents/FS\\_Disabled\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/FS_Disabled_ENG.pdf)>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.11.2019].
- *CASE OF D.G. v. POLAND* (Application no. 45705/07), 12 February 2013.

## VII. პერსონალური ინტერვიუები

- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შპმ პირებთან მუშაობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (თბილისი), პერსონალური ინტერვიუ, სექტემბერი, 2017.
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შპმ პირებთან მუშაობის დეპარტამენტის წარმომადგენელი (თბილისი), პერსონალური ინტერვიუ, ანკეტირება, ოქტომბერი, 2017.
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი, პერსონალური ინტერვიუ, ანკეტირება, აპრილი, 2017.
- მოქალაქეები, აგვისტო, 2017.
- შპმ პირი, შპმ პირებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი (თბილისი), პერსონალური ინტერვიუ, სექტემბერი, 2017.
- შპმ პირი, ტრენერი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (თბილისი), პერსონალური ინტერვიუ, სექტემბერი, 2017.

- შშმ პირების უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები (თბილისი), პერსონალური ინტერვიუ, ანკეტირება, ოქტომბერი, 2017.
- ყირგიზეთის სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრის დირექტორი, პერსონალური ინტერვიუ, ანკეტირება, აპრილი, 2017.
- კვლევაში მონაწილე შშმ პირებთან მომუშავე ორგანიზაციისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 28 ივნისის No191166/01 წერილი.

### VIII. ვებგვერდები

- <http://www.prisonstudies.org/country/georgia>
- [www.Matsne.gov.ge](http://www.Matsne.gov.ge)
- [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)
- [www.sps.gov.ge](http://www.sps.gov.ge)
- [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
- <http://www.un.org/disabilities/documents/toolaction/pwdfs.pdf>
- <http://www.nplg.gov.ge>
- <https://www.canadahelps.org/en/charities/national-educational-association-of-disabled-students-needs/>
- <http://www.childrenshospital.org/conditions-and-treatments/conditions/p/poliomyelitis/symptoms-and-causes>
- <https://www.wma.net/>
- [www.americanprogress.org](http://www.americanprogress.org)
- <https://www.disabled-world.com/disability/discrimination/crpd-milestone.php>
- <http://www.prisonreformtrust.org.uk/Portals/0/Documents/Sentence%20planning%20info%20sheet%20final.pdf>
- <http://www.prisonreformtrust.org.uk/ForPrisonersFamilies/PrisonerInformationPages/OffenderManagementandsentenceplan>

ning

- <http://prevention.gov.ge/>.
- <https://www.who.int/about/what-we-do>
- <https://www2.le.ac.uk/library/help/referencing/footnote>
- [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2017/idfi\\_general/statistics\\_on\\_pwds\\_in\\_georgia\\_geo\\_idfi.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/idfi_general/statistics_on_pwds_in_georgia_geo_idfi.pdf)
- <https://www.justice.nsw.gov.au/>
- <https://hwa.org.sg/>
- <https://hwa.org.sg/general-information-on-physical-disabilities/>
- <http://www.prisonreformtrust.org.uk/Portals/0/Documents/Sentence%20planning%20%20info%20sheet%20final.pdf>
- <https://www.dictionary.com/browse/gender-specific>

(Footnotes)

1 იხ. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, საანგარიშო პერიოდი - სექტემბერი, 2019, 118-120.

2 იხ. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, საანგარიშო პერიოდი - სექტემბერი, 2019, 108.

3 იხ. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, საანგარიშო პერიოდი - სექტემბერი 2019, 108.

4 იხ. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, საანგარიშო პერიოდი - სექტემბერი, 2019, 107.

5 19 წლის ასაკი ქართული კანონმდებლობით სცილდება არასრულწლოვნების ასაკს, თუმცა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მათი გადაყვანა ამ ასაკში უკვე ხდება სრულწლოვანთა დაწესებულებაში, ისინი შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც რისკჯგუფი.

6 იხ. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, საანგარიშო პერიოდი - სექტემბერი, 2019, 121.

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თამარ სტიფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
აღ. ყაზბეგის გამზ. №47  
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22

